

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

დ.არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ლია ლეჟავა

ახალი ქართული სალიტერატურო ენის

ნორმალიზაციის ისტორია

და პრინციპები

2004

თბილისი

რედაქტორი: შუქია აფრიდონიძე

რეცენზენტები: ნელი ცქიტიშვილი
თამარ სურაბიშვილი

რედაქტორის წინათქმა

ღია ლექსავას მეცნიერული ბიოგრაფიის დასაწყისი, შეიძლება ითქვას, ემთხვევა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიდი წამოწყების – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატიმეულის მისამზადებელ პერიოდს. ამ უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ პროცესში ღია ლექსავა ნააბეს მისმა დიდმა მასწავლებლებმა – არნოლდ ნიქობაიამ და ვარლამ თოფურიათ, რომელთაც იგი მიიყვანეს ინსტიტუტის ლექსიკოგრაფიის განყოფილებაში.

ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი ნვენში კოლექტიური ლექსიკოგრაფიული მუშაობისა, როგორც ანალოგი მრავალსაუკუნოვანი ევროპული უნივერსიტეტებისათვის დამახასიათებელი დისციპლინირებული მუშაობის სტილისა. ამ ლექსიკონზე მუშაობამ არა მარტო ერთ ორგანიზმად შეკრა ინსტიტუტი და მაღალკვალიფიციური კადრების მთელი თაობები აღზარდა, არამედ ერთგვარი სნეობრივი ფილტრის როლიც შეასრულა მათი მეცნიერულ-მთქალაქობრივი ნამოყალიბების საქმეში. მათ შორის ერთ-ერთი პირველი – თავისი მომზადებით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობითა და მაღალი სნეობით – იყო ღია ლექსავაც, რომლის ლექსიკოგრაფიული მუშაობის ნაყოფი განმარტებითი ლექსიკონის პირველ ხუთ ტომშია ასახული. პარადგულურად მეცნიერი იკვლევდა დიალექტოლოგიის საკითხებსაც – როგორც ადგილობრივ მეტყველებაზე დაკვირვების გზით, ისე მწერლის (კერძოდ, ღაით კლდიაშვილის) ნაწარმოებთა ენის შესწავლის გზით.

ღია ლექსავას ერთ-ერთ უმაღლეს მეცნიერულ მიღწევას წარმოადგენს მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი *"ქართული ანდაზების ენა"*, რომლის შესრულების მაღალპროფესიულმა დონემ მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. ამიტომაც სავსებით კანონსომიერი იყო, რომ "ხალხური სიბრძნის" მრავალტომიანი კორპუსის მეხუთე ტომის შედგენა სხვებთან ერთად (მ. ნიქოვანი, ჯ. ბარდაველიძე, ა. ვანაჟა) ქ-ნ ღიასაც დაეკისრა. ამ ტომში, რომელიც თითქმის მთლიანად ანდაზებს ეძღვნება, შესულია მის მიერ კვალიფიციუ-

რად მომზადებული 400-გვერდიანი ტექსტი ხანიძეშვილს გამოკვლევისა და დეკლარაციისთვის.

სოციალისტური მთავარი ღია დეკლარაციის მოლოდინად მოქმედებდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხებზე მუშაობას. იგი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ედგა მსარში ივანე გიგინეიშვილს, რომელიც 1950-იანი წლებიდან სათავეში წაუდგა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა (შემდგომ - ქართული მეტყველების კულტურის) განყოფილებას და სოციალისტური ბოლომდე ხელმძღვანელობდა მას.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ღია დეკლარაციის აქტიური მონაწილეობა როგორც განყოფილების საერთო გეგმით გათვალისწინებულ კვლევით მუშაობაში (თანამედროვე პრესის, აგრეთვე საშუალო სკოლის სახელმძღვანელოთა ენის შესწავლა თუ სხვადასხვა სტილისტიკური საკითხის კვლევა), ისე საზოგადოებრივ-გამათვითცნობიერებელ მუშაობაში (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, კერძოდ, რადიო-ტელევიზიით, საზოგადოება "კვლევის" ხაზით და სხვ.) - უკვე დადგენილ ენობრივ ნორმათა პოპულარიზაციისა და პროპაგანდის მიმართულებით.

სემიოტიკური საკითხების პარალელურად, უკანასკნელ წლებში ქნი ღია დიდი გულმოდგინებითა და გატაცებით აგრეთვე მასალას სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიისა და პრინციპების შესახებ. ეს მასალა ახახავს საზოგადოებრივი და საენათმეცნიერო აზრის განვითარების მეტად ხაინტყურეს პროცესს XIX საუკუნის მთავრ ნახევრიდან (განსაკუთრებით - სამოციანელებიდან) მოქმედებული ვიდრე დღემდე, როდესაც სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვა სახელმწიფოს და მისი უმადლესი აღმასრულებელი პირის - პრეზიდენტის ზრუნვის საგნადაა ქცეული. თითქმის მთელი ეს მასალა, სათანადოდ კვალიფიცირებული, ავტორმა ნაწილ-ნაწილ წაიკითხა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებზე, რის შემდეგაც (ვალკეულ მონაკვეთებად გამოაქვეყნა იგი განყოფილების ბეჭდვით ორგანოში ("ქართული სტილისტიკის კულტურის საკითხები").

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი და გაერთიანებულია სწორედ ეს (ვალკეული ნაკვეთები ავტორისეული ნაკვლევისა. მათ დამატება ხელნაწერად დარჩენილი ბოლო ნაკვეთი (და, სამწუხაროდ, უკანასკნელი ნაშრომი ავტორისა), რომლის დაბეჭდვაც ივარაუდება ხსენებული კრებულის მორიგ - XII წიგნში.

ნორმალიზაციის თეორიულ საკითხებზე მუშაობას ქნი ღია წარმატებით უხამებდა წმინდა პრაქტიკულ საქმიანობასაც, რაც არსებითად ნორმათა პროექტების მომზადებას გულისხმობს. ღია დეკლარაციის მიერ მომზადებული და ნორმების დამდგენი სამთავრობო

კომისიის მიერ დამტკიცებული პროექტები წიგნში შესულია დანართის სახით.

დანართშივე პირველად იბეჭდება ღია ღვეჯავას გამოქვეყნებულ ნაშრომთა სრული ბიბლიოგრაფია, თუმცა ქნი ღიას კოლექციები დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ ამ ნაშრომთა რაოდენობით სრულიადაც არ განისაზღვება ის ამაგი, რომელიც დასდო მან ქართულ ენათმეცნიერებას.

ღია ღვეჯავას მეცნიერულ ნაღვაწზე ნაკლებ ყვასეული როდია მისი პიროვნული სხეკეთილი თვისებები: თავმდაბლობა და ღირსების გრძნობა, სისათუთე და სუღიერი სიმტკიცე, უსომო სიკეთე და თავღაუსოგავი ერთგულება. ეს იყო მისი ენერგიის უმრეტესი წყაროც და სნუობის ბაღავარიც.

შუქია აფრიღონიძე

მიტეივალეპის კულტურის საკითხები ღიმიტრი ეიფიანის „ახალ ქართულ გრამატიკაში“

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში დ. ეიფიანის გრამატიკის¹ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მოცულობით ეს გრამატიკა დიდი არ არის. შეიცავს 199 გვედრს. აქედან 58 გვერდი (139—197) ლექსიკონია („შემოკლებული ლექსიკონი სიტყვებისა, რაც ძვირათღა იხმარება ქართულს ლაპარაკსა და წერაში; — ან რაც სხვა ენებიდამ არის შემოტანილი“). ლექსიკონი საკმაოდ ხაინტკერესო მასალას შეიცავს და წარმოადგენს ამ წიგნის II ნაწილს. I ნაწილში კი (გვ. 5—137) გრამატიკაა მოთავსებული. წიგნს უძველეს ავტორის წერილი დ. ნუბინაშვილისადმი (გვ. 1), ასლავს წინასიტყვაობა (გვ. 2—3), შემდეგ წარმოდგენილია ქართული ანბანის (მხედრულის, ასომთავრულისა და ნუსხურის) ცხრილები (გვ. 4); 5—12 გვერდებზე მოთავსებულია შესავალი. ზმნის მიმოხილვაში ჩართულია ზმნის უღველილების ვრცელი ტაბულა.

ეს გრამატიკა 1882 წელს გამოვიდა, მაგრამ მისი შედგენა დ. ეიფიანს დაეკისრა უფრო ადრე, 60-იან წლებში; მართალია, იმ დროისათვის ქართული ენის რამდენიმე გრამატიკა არსებობდა (ხ. შანშოვანისა, ანტონისა, გაიოზისა, ვარლაამ მიტროპოლიტისა, თიანე ქართველიშვილისა, იესე ნუბინაშვილისა, ფირალოვისა, ს. დოდაშვილისა, დ. ნუბინაშვილისა, პლ. იოსელიანისა), მაგრამ უკვე ძალიან იგრძნობოდა ახალი გრამატიკის საჭიროება, რადგანაც ძველი გრამატიკები ვეღარ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებას: მათი უმრავლესობა ანტონის გრამატიკიდან ამოდიოდა, სალიტერატურო ენით იფარგლებოდა და პრაქტიკული დანიშნულებისა იყო (ამ გრამატიკების ავტორების გაგებით, გრამატიკა სწორ-მეტყველებისა და მართლწერის შესწავლას უნდა ემსახურებოდაეს!).

¹ დ. ე ი ფ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატიკა ხსარტულად დაწერილი მამისაგან შესდებისათვის, სანკტ-პეტერბურღი, 1882 წ.

მათი შესასწავლო მასალა — ძველი ქართული სალიტერატურო ენა — დიდად იყო დამორბეული (ყოცხალი სასაუბრო ენისაგან. უკვე აღარაიყნო და აღარც წერდა ისე, როგორც ძველად, ამიტომ ეს გრამატიკები „სასიტორიო მასალად კი გამოიყენებოდა... მაგრამ სასწავლებლად აღარა“².

ბუნებრივია, დაიხუა ახალი გრამატიკის შედგენის საკითხი. ეს საკითხი პირველად აღძრა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანიმა წერილში: „ქართული ებნობა ანუ წერა“³. იგი წერდა: მოკლე, სწორი გრამატიკა უნდა შედგეს და ეს საქმე ბაქარ ქართულს (დ. ყიფიანს) უნდა ეთხოვოს.

ალ. ორბელიანის არსეუანი არ იყო შემთხვევითი. დამიტრი ყიფიანი XIX საუკუნის თეატლსახინო მოღვაწეა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მადალი საზოგადოებრივი მდგომარეობა (ის იყო თბილისის ქალაქის თავი 1876—1879 წწ., ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1885 წ. და სხვ.) მან მოანდომა მეყის რუსეთის ბიუროკრატული მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. სახელმწიფო სამსახურს ის უწყობდა, როგორც საზოგადოებრივ-ეროვნულ მოვალეობას და შეუპოვრად იბრძოდა ადგილობრივ ხელისუფალთა წინააღმდეგ, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ მათი პოლიტიკა თვით-მკერობელობის ძირითადი შინაარსისაგან გამომდინარეობდა; მას დამნაშავე ადგილობრივი ხელისუფლება ეგონა და შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს და კაკასიის სასწავლო ოლქის მსრუნველს — იანოვსკის; მანვე თავ-გამოდეებით გაიღლაშქრა ეგზარხოს პეღეს წინააღმდეგ ქართველი ერის შეურაცხყოფის გამო.

დ. ყიფიანის თავდადებულმა ბრძოლამ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ხოლო შემდგომ სტავროპოლში მისმა ტრაგიკულად დაღუპვამ განსაკუთრებული დიდებით შემოსა მისი სახელი.

დ. ყიფიანი დიდად განათლებული პიროვნება იყო, კარგად იცოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, ინგლისურიდან და ფრანგულიდან თარგმნიდა შექსპირის, მოლიერისა და სხვა მწერალთა თხზულებებს, წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიიდან, თარგმნიდა სამეცნიერო შრომებს, მსჯელობდა გრამატიკის საკითხებზე და ა. შ. მან, როგორც ევროპულად განათლებულმა ადამიანმა, კარგად იცოდა მეცნიერების მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში, ამიტომ დიდი მოსურნე იყო საქართველოში მეცნიერული

² დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 9.

³ „ცისკარი“, 1860, ტ. II, თვისი.

შრომებისა და ხაერთოდ მეცნიერების გაერცეულებისა. დ. ყოფიანსა დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ისტორიის შესასწავლად და ბევრი საინტერესო ნარკვევიც შექმნა. არანაკლებ საინტერესოა მისი შრომები ქართული ენის გრამატიკული აგებულების შესახებ. დ. ყოფიანის გრამატიკული ნააზრვეის სრულად გათვალისწინებითათვის მის ცნობილ გრამატიკასთან ერთად საინტერესო მასალას იძლევა მისი კრიტიკული შენიშვნები დ. ნუბინაშვილის მოკლე ქართული გრამატიკის გამო.⁴

არერთხელ აღუნიშნავთ, რომ დ. ყოფიანის გრამატიკა სასკოლო-პრაქტიკულ გრამატიკათა შორის ერთგვარი გარდატეხის მომასწავლებელია, რომ ამ გრამატიკაში ბევრი სიახლეა. ეს სიახლეები ძირითადად შეპირობებულია ამოსავალი თეფასაზრისის — გრამატიკის რაობისა და შესასწავლი ობიექტის — ახლებური გაცემით. პრაქტიკულ გრამატიკათა შორის დ. ყოფიანის გრამატიკა პირველი იყო, რომელშიაც ყრცლად იყო წარმოდგენილი მსჯელობა ამ საკითხების ირგვლივ.

დ. ყოფიანი ემიჯნება ე. წ. ტრადიციულ შეხედულებას. მისი აზრით, გრამატიკის მიზანი არის ენის თვისებების გაცნობა, ენის კანონთა შეკრება და იხეთი წესით დაღაგება, რომ შესწავლა გაავიღებულ იყოს (გვ. 11). გრამატიკა არის მოძღვრება ენის აგებულების, ენის კანონთა შესახებ. ამ კანონებს კი თვით ენა ქმნის.

უფრო ადრეც, დ. ნუბინაშვილის გრამატიკის შესახებ დაწერილ რეცენზიაში, დ. ყოფიანი ნათლად წარმოგვიდგენს თავის აზრს: „გრამატიკა ენის კანონებს შეისწავლის, ცოცხალ ენას თავსე კი არ ახევენ კანონებს, არამედ ის თვითონ იძლევა მათ. გრამატიკის მიზანია გამოარკვეოს ეს კანონები და არა უარყოს ისინი“⁵.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით კი გრამატიკა იყო სწავლა სწორად წერისა და სწორად მეტყველებისა, მის საგნად სწორმეტყველება და მართლწერა იყო გამოცხადებული, იგი მართლწერისა და მართლმეტყველების წესებს აღგანდა:

„ღრამატიკა არს „შემძლებლობა მართლებნობად და წესიერ წერად“, — აცხადებდა ანტონ კათალიკოსი⁶.

„ღრამატიკა არს სწავლა თვისებისათვის და ხმარებათა ასოთა“, — წერდა გაიოს რექტორი⁷.

⁴ ყრცლად იხ. ა. დ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს წიგნში: О грамматической литературе грузинского языка. СП-ბ. 1873.

⁵ ა. ც ა გ ა რ ე ლ ი. დახასულებული ნაშრომი, გვ. 60.

⁶ ა ნ ტ ო ნ ი. ქართული ღრამატიკა. 1885. გვ. 1.

⁷ გ ა ი ო ს ი. ქართული ღრამატიკა. კრემენჩუგი. 1889. გვ. 1.

გრამატიკა „არს მეცნიერება სწორად ლაპარაკისა და წერისა“, — ასეთია ახრი ვარლამი მიტროპოლიტისა⁸.

„ღრამმატიკა არს მსწავლა ჳელთმძღუანელი კანონებისა უბნობისა და მართლწერისადმი“, — ამბობს იოანე ქართველი-შივილი⁹.

„ქართული ღრამმატიკა ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად“, — გეასწავლის ს. დოდაშივილი¹⁰.

„ღრამმატიკა არს გამოცდილება კანონიერად ხმარებისათვის ენისა ყითარცა საუბარსა შინა, უგრეთვე წერასა შინაცა“, — წერს ბ. ყირაღოვი¹¹.

„ღრამმატიკა ქართული ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად“, — ამბობს პლ. იოსელიანი¹².

დ. ყოფიანი კი აცხადებს, რომ გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელო ენის აგებულებას, მის კანონებს უნდა შესწავლიდეს.

დ. ყოფიანის გრამატიკა გამოიჩინეა იმითაც, რომ აქ არის მსჯელობა პრაქტიკული გრამატიკის შესასწავლი ობიექტის შესახებ, გარკვეულია, თუ რა მასალას უნდა ემყარებოდეს თანამედროვე ენის გრამატიკა.

ანტონისა და მის მომდევნო გრამატიკოსებს ქართული გრამატიკის შესასწავლ ობიექტად ძველი ქართული ენა აქვთ მიჩნეული. ისინი უარყოფენ ენის განვითარებას, — ენა უცვლელია, უცვლელია მასში მოქმედი კანონებიც, ამიტომ საკმარისია ერთი გრამატიკა და არაა საჭირო სხადასხვა ეპოქაში ენას სხედასხვა გრამატიკა დაეწეროს.

გრამატიკის მიხნისა და შესასწავლი ობიექტის გაგების შეცვლა მხოლოდ დ. ყოფიანის სახელთან როდია დაკავშირებული. ეს მოხდა XIX ს. 60-იან წლებში: ქართული გრამატიკის შესასწავლი ობიექტი — ძველი ქართული — ახალი ქართულით შეცვალა დ. წუბინაშივილი¹³. თუქცა თვით დ. წუბინაშივილი არაფერს ამბობს

⁸ ვ ა რ ლ ა მ მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი. Краткая грузинская грамматика, СПб, 1802, გვ. 2.

⁹ ი ო ა ნ ე ქ ა რ თ ე ე ლ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1825, გვ. 1.

¹⁰ ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი. შემოკლებული ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1830, გვ. 1.

¹¹ ბ. ყ ი რ ა ლ ო ვ ი. თვითმასწავლებელი, სსკპ, 1820, გვ. 22.

¹² პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. პირველდაწვებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, ტფილისი, 1831, გვ. 5.

¹³ დ. წ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. Краткая грузинская грамматика Д Чубинова, СПб, 1855.

ცნობილია, რომ მარი ბროსეჩაძე თავის 1834 წლის გრამატიკაში ფართოდ აქვს გამოყენებული ახალი ქართულისა და სასაუბრო ენის ფაქტობრივი მასალა, მაგრამ

ამის თაობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა აღნიშნა, რომ ეს გრამატიკა ძირითადად არის ახალი სალიტერატურო ენის გრამატიკა.

მაგრამ მაინც ძირითადად და არა მთლიანად დ. ნუბინაშვილის (სარეკენსიო ცალში მაინც) ბევრი ილუსტრაცია აქონდა ძველი ქართული ძეგლებიდანაც და ბევრი არქაული ფორმაც აქონდა გაა-ნაღიხებული.

დ. ყოფიანმა ამ წიგნის რეკენსიაში (1853 წ.) მკვეთრად გა-ხაზა, რომ თანამედროვე ენის გრამატიკული აგებულების შექმნა-ვლულ სახელმძღვანელოს ამსავლად უნდა აქონდეს თანამედროვე სალიტერატურო ენა და მის კანონებს შესწავლიდეს, არც ძველი ქართულისა და არც დიალექტების ფაქტები აქ მოხატანი არ არის.

ეს პოზიცია ხაყებით მართებული იყო.

ცნობილია, რომ გრამატიკის რაობისა და თბიქტის საკითხზე მსჯელობა გაიშალა 60-იანი წლების ქართულ პრესაში¹⁴. პირვე-ლად ეს საკითხი დააყენა ალ. ჯამბაკურ-ობელიანი 1860 წ. „ცისკრის“ № 6-ში გამოქვეყნებულ წერილში: „ქართული უბნობა ანუ წერა“. თუმცა ალ. ობელიანი სამი ხტილის საკითხში ანტონის მიმდევარი იყო, მაინც გრძნობდა სამი სახის ენის უხერხელო-ბას და მოითხოვდა წერასა და ღაპრაქში ერთი ენის შესიღებას. გრამატიკის თბიქტად ის მიიხევედა არა ძველი ქართული საეკლე-სიო მწერლობის ენას, არამედ საშუალო საუკუნეების საერო მწერლობის ენას. ე. ო. ქართული ენის გრამატიკას „ვეფხისტყაოს-ნისა“ და სახრუხადის ენა უნდა შეესწავლა და არა სახარებისა. გრამატიკის თბიქტის თუნდაც ასეთი შეცვლა იყო წინგადა-გმული ნაბიჯი ქართულ გრამატიკულ ასროვნებაში. ამ მოსასრე-ბის აგტარი მოითხოვდა, რომ ახალი თბიქტის შესაბამისად შექმ-ნილიყო ახალი, „შემოკლებული“, „სწორი“ გრამატიკა. ასეთი გრა-მატიკის სასურველ შემდგენლად მან, როგორც აღენიშნეთ, დ. ყო-ფიანი მიიხნია.

მაგრამ სანამ დ. ყოფიანი თავის გრამატიკას გამოაქვეყნებდა (1882 წ.), ქართული პრესის ფურცლებზე მიმდინარეობდა მსჯელო-ბა გრამატიკის რაობისა და მისი შესახწავლი თბიქტის შესახებ. თანდათან უფრო ნათლად გამოიკვეთა ასრი, რომ ენა იცვლება

მისი გრამატიკა სხვა რიგის ნაშრომისა — ის არ არის სახელმძღვანელო (თხ. არნ. ნ ი ქ ო ბ ა ვ ა. თბიურულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორია, გვ. 136).

¹⁴ ნ. ა ბ ე ს ა ძ ე. გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემაში, თბილისი, 1960.

და, რადგან იგი ცვალებადია, ცვალებადი უნდა იყოს მისი შემსწავლელი მეცნიერებაც — გრამატიკაც.

დ. ბაქრაძის აზრით, გრამატიკის კანონები ენის თვისებებს უნდა გამოხატავდნენ, მაგრამ, რადგან ენა იცვლება, ვითარდება, ძველ საფუძველზე შედგენილი კანონები თანამედროვე ენის გრამატიკისათვის აღარ გამოდგება. ამიტომ ვერ დაეუბრუნდებით „ეფუხისტეკოსნის“ ენას, რადგან მის შემდეგ ვრი წინ წავიდა, ენა განვითარდა. ამიტომ უნდა ვემყარებოდეთ ცოცხალ ენას, საჭიროა „ცხოველი საზოგადო დარბაისლური ენის შესწავლა“¹⁵.

ანტონ ფურცკვლაძეც (კნობლა ენის ცვალებადობას, ენის განვითარებას და რადგანაც, მისი აზრით, „გრამატიკა არის ერთი ამოთვანი — ან ხელსენება ან მეცნიერება“, ისიც უნდა იცვალოს, „დროის განმავლობაში“ ესეც მიეცემა ცვლილებასო. იცვლება თბიქტი — ენა, უნდა შეიცვალოს მისი შემსწავლელი მეცნიერება — გრამატიკა¹⁶.

დავით ყიფიანი გრამატიკის ახალ განსაზღვრებას იძლეოდა („გრამატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებააო“) და გრამატიკის თბიქტად ახალ სალიტერატურო ენას აცხადებდა¹⁷.

ენისა და მისი შემსწავლელი მეცნიერების — გრამატიკის — შესახებ ყველაზე უფრო რადიკალური და თანამედვერული შეხედულება, როგორც კნობლია, წამოაყენა ი. ჭაჭავაძემ ძველსა და ახალ თაობას შორის გამართულ ცნობილ პოლემიკაში. ილიას აზრით, ენა „ობრდება და ვითარდება“, იცვლება მასში მოქმედი კანონები: კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხელმე. ენის კანონები ცოცხალ მეტყველებაში, ამ ენაზე მოუბარ ხალხში იქმნება, ეს კანონები თვით ენაში უნდა ვეძებოთ, „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა თეორეტიკა“. ამიტომ არ კმარა, რომ გრამატიკა სწავლობდეს მხოლოდ ცოცხალ ენას. გრამატიკის თბიქტი სალიტერატურო ენასთან ერთად ცოცხალი მეტყველებაცაა, — ასეთია ილიას კონცეფცია.

ენის ცვლილების, ენისა და გრამატიკის ურთიერთმიმართების საკითხებში დ. ყიფიანი ილიას თვალსაზრისზე დგას: ენა იცვლება და გრამატიკა არ უნდა დამორღეს, არ უნდა ჩამორჩეს მას. იგი ასე მსჯელობს: „როგორც ახლანდელი მეცნიერება გვიმტეოცებს,

¹⁵ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, წიგნი მსწერილი აღ. ჯამბაკურ-ობრელიანისადმი შესახებ მისის „ქართული უბნობისა არე წერისა“, „ცისკარი“, 1860, № 8, გვ. 326.

¹⁶ უ ლ ო ღ ი კ ო (ანტ. ფურცკვლაძე), ორიოდე სიტყვა დავით ყიფიანის სტატიისზედ „გრამატიკის შესახებ“ მასალაზედ“, „ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 74.

¹⁷ დავ. ყ ი ფ ი ა ნ ი, „რთიანი ქართული გრამატიკის შესახებ“ მასალაზედ“, „საქართველოს მთაბე“, 1863, № 3, გვ. 72.

მთელს მსოფლიოში უძრავი არა არის რა, არა არის რა განუხილავი
იხეთი, რომ ან წინ არ მიდითქვს, ან უკან არა რჩებოდეს, — ენაც
ამგვარს — დაუცხრომელ მოძრაობაში არის... თუ რომ კაცო დროს
არ მაძიქა და თავის ცოდნაც თან არ მიადევნა, იმისთანა საქმე
დაქმართება, რაც ამ ბერძნულ გრამატიკას დაქმართა: დრო
დაუდგა იხეთი, რომ აღარაჲს სწერდა იხე, როგორც
ლაპარაკობდნენ და აღარაჲს ლაპარაკობდა იხე, როგორც
სწერდნენ. სამწიგნობრო და სასაუბრო კვლიები მეტად დასცილ-
დნენ ერთმანეთისა და სხვადასხვა გზას გაუდგნენ. როგორცა,
ყოქათ, ახლანდელი სასაუბრო და ძველი სამწიგნობრო ქართული,
ან როგორც რუსული და სლავურის; ძველი და ახალი ბერძნული
ხომ — ერთი აღთას მიდის, მეორე ბაღთას¹⁸.

ე. ი. გრამატიკა ცოცხალ ენას უნდა შეისწავლიდეს, მის კანონ-
ებს უნდა ახახუდეს, — ამ თეაღსახროსიდან ამოდის დ. ყოყიანი.
როგორც შენიშნავენ, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი გრამა-
ტიკულ აზროვნებაში. ამიტომაც არის მის წიგნში ბევრი სახელე
წინამორბედ გრამატიკებთან შედარებით. მაგრამ რას გულისხმობს
ეს ცოცხალი ენა, ობიექტი რომ უნდა იყოს გრამატიკისა? ეს
ვახლავთ იმდროინდელი სალიტერატურო ენა, რომელიც საერთო
სახალხო ენას ეყრდნობა. გრამატიკაში დ. ყოყიანი წარმოადგენს
სახელის ბრუნებისა და ხმის უღვლიდების იხეთ პარადიგმებს,
რაც მის თანამედროვე სალიტერატურო ენაში გამოიყენება (თუქც
ხოგჯერ პარადულურად იძლევა ძველი ქართულის, ან როგორც
თუთონ უწოდებს, ისტორიული ან სამწიგნობრო ენის
პარადიგმასაც).

დ. ყოყიანს არ დაღატობს სომიერების გრძნობა და ის მეტო-
ცედ იცავს სალიტერატურო ენის იმდროინდელ ნორმებს, დაუშეუბ-
ლად მიანნია დიალექტური ფორმების შემოტანა სალიტერატურო
ენაში.

მისი ყურადღების გარეშე არ რჩება სახელთა ბრუნებასთან
დაკავშირებული საორტოფო საკითხები და სრულიად ნათლად აქა-
ლიბებს სადაყო ფორმათაგან სწორი ფორმების გამოკვეთისა და
ხმარების წესებს. ასე, მაგ.: ა და ე ბილოხმოენიან სახელთა
კვეცის წესები ახეა ნამოყალიბებული: ა და ე ხმოენი იკარგება
მხოლოობითი რიცხვის ნათესაობითში, მრავლობით რიცხვში კი
ყველგან იკარგება ა და არსად არ იკარგება ე (მთა — მო-ის-ა,
კლდე — კლდ-ის-ა, მაგრამ მთ-ებ-ი, კლდე-ებ-ი). იქვე ავტორი
მარჯვედ გამოკვეთს გამოსაკლისებს ამ წესებიდან: ა და ე არ
უნდა შეეკვეცოთ, როცა გვაქვს ადამიანის საკუთარი სახელი

¹⁸ დ. ყოყიანი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 9-10.

(მართა, პეტრე), მკენარის, მწერის, ცხოველის სახელი (გვირილა, კრა'ხანა, თრითინა...), ხელობის სახელები (მენავე, მუველე), რთული სიტყვები (ძირმწარე, ღობემკერაღა, შავთვაღა)...

შენიშნულია ისიც, რომ ბოლოუკვევც სახელებში „ნათესაობის -სა-ს მაგაურად ემატება -სი“ (აქრო-სი, ბუ-სი, პავლე-სი).

სახელების კუმშვის შესახებაც საყვებით მართებულა წესია შემკმავებულა: მრავალმარცველიანი სახელები, რომლებიც ბოლოვდება მარცველებზე:

აღი, ამი, ანი, არი

ელა, ემი, ენი, ერი

ოღი, ომი, ონი, ორი — ხმოვანს კარგავენ. ზოგჯერ კი ო და ე ვ-ს გვაძლევს (მშენივრად, ვანივრული, ნივრის...), ავტორი ნამთაფლის სახელებს, რომლებიც გამოწაკლისს ქმნიან ამ წესიდან (ბიწიერი, გამცემი, გაღამწერი, დამღნარი, მკებნარი, საქციელი, ხრინწიანი...) (გვ. 36).

საგანგებოდ წერდება დ. ყოფიანი იმ ფაქტზე, რომ ორი სახელი: ღმერთი და ხუცესი იბრუნება თავისებურად (გვ. 42).

დ. ყოფიანი „ნაკრეფი, საკრეფის“ ან „ნაღვამი, საღვამის“ გვერდით ახახელებს, ე. ი. დასაშვებ ფორმებად მიიხნევს -დი სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს: ფშენადი, შობადი, დგმადი, კრეფადი, გმობადი, წუობადი, ყოფადი, მყოფადი, რწეადი, დგომადი, ჭამადი, შექამადი, პარვადი, მოპარვადი (გვ. 44—45). ეს ფორმები განსაკუთრებით საინტერესოა დღევანდელი სიტყვაწარმოების თვალსაზრისით. ცნობილია, რომ დღევანდელ სიტყვაწარმოებაში, განსაკუთრებით კი ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, საჭირო გახდა და გამოყენებულიც იქნა -დ ფორმანტით ნაწარმოები ტერმინები: შენეზადი და მისთ.

ბუნებრივია, ბევრი საინტერესო ფაქტია წარმოდგენილი სმნუბის შესახებ მხველობაშიც. როგორც შენიშნავენ, ვერც ერთი ძველი გრამატიკოსი იხე ღრმად ვერ ნახწვდა ქართული სმნის თავისებურ ბუნებას, როგორც დ. ყოფიანი.

მაგრამ ყველაფერი ეს დ. ყოფიანის გრამატიკაში წარმოდგენილი ენის გრამატიკული დახასიათების ორგანული ნაწილია და ყოველივე ამის შესახებ წყენ სხვაგან ვისახებრებთ დაწერილებით. აქ კი გვინდა წარმოვიჩინოთ ის საკითხები, რომლებიც დ. ყოფიანის მიერ დასმულია მეტყველების კულტურის ასპექტით, ე. ი. საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიაწინა საღობერატურო ენის სიწმინდის დასაცავად.

1. დ. ყოფიანის აზრით, სავალდებულოა ენის კანონები, შემუშავებული გრამატიკის მიერ, ტარდებოდეს, სრულდებოდეს, არ იღა-

სებოდეს. საჭიროა გვეხსნდეს ერთი დადგენილი წესი და ყველა მიუდევლეთ მას. „როგორც ყოველი სამსახურაქო ან საპოლიტიკო კანონი იმისთვის იწერება, რომ საზოგადოებაში რიგი დაწესდეს ენებათა დამაცხრობელი, დამამშვიდებელი და მართლმსაჯულებით კაცობრიობის სიცოცხლის განმავითარებელი, — გრამატიკის კანონებიც განსაკუთრებულად იმისთვის იწერება, თვითონ ენისთვისებათაგან გამოსკრებილი, რომ სიტყვიერებაში რიგი დაწესდეს უკმეხობის გამდევნელი, ყურთასმენის დამატკობელი და მართლმსოებრობით ენის განსამკენებელი“¹⁹.

ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ დ. ყიფიანი მომხრეა ხალიტერატურო ენაში სადავო საკითხების მოგვარებისა, ერთიანი, ყველა-სათვის საგაღლებულო წესების დადგენისა და განმტკიცებისა. ხალიტერატურო ენისათვის საგაღლებულო წესები მას კანონის დონემდე აქავს. ეს წესები საგაღლებულო უნდა იყოს ყველაისთვის, ეინც ქართულად მეტყველებს ან წერს. ეს იყო დ. ყიფიანის მიერ ხალიტერატურო ენის ნორმების საკითხის დასმა. საკმაოდ მკაფიოდ, მკაცრად, პირდაპირ. დღეს, როდესაც ამ საკითხებს სახელმწიფო უკლის, მათი მოგვარება რაიმე განსაკუთრებულ ხიმნულეს არ შეიცავს, მაგარმ იმ პერიოდში, როდესაც ეს წიგნი გამოქვეყნდა — რუსიფიკატორული პოლიტიკის, რეაქციის მძლავრობისა და ბატონობის ხანაში — ქართული ხალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლა, ხალიტერატურო ენის დახასიეწვად სრუნეა ადვილი არ ყოფილა.

2. დ. ყიფიანი ყურადღებას ანიერებს მართლწერის, ორთოგრაფიის სოგ საკითხზე. სახელდობრ, ტერმინ გრამატიკასთან დაკავშირებით ბერძნული გ-ს ქართულად გადმოცემის შესახებ შენიშნავს, რომ შეცდომაა აქამდე ყველა გრამატიკოსის მიერ ნახმარი ტერმინი „ღრამმატიკა“, რადგან „სიტყვა... ბერძნულია და დ არც ანბანში არის ბერძნულსა და ლათინურში, არც ენაში. რომ ელაპარაკობთ: დუნერალი, დუბერნატორი, დეოლრაფია, დეოლოლია, — არც ერთი არ არის სწორე: ყოველგან „ბ“ უნდა იყოს „დ“-ს მადგიურ“ (გვ. 10). დ. ყიფიანი ამ შენიშვნევაში უგულბებელყოფს ტრადიციის პრინციპს და საკმაოდ კატეგორიული ტონით წერს: „მაინცა და მაინცა ყური შენევეული გეაქესო და ისეე დ-თა ვსწეროთო, იქნება სთქვან; დიად კარგი და პატიოსანი; — მაგარმ მართლწერახაც თავისი კანონები აქეს და კანონის დარღვევას ხომ სასჯელიც დაჰყევა ხოლმე“ (გვ. 10—11).

ამ საკითხზე მსჯელობისას კიდევ ერთი ხაინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დ. ყიფიანს. სახელდობრ, იგი წერს: „თუ

¹⁹ დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 61.

ბერძნული ან ლათინური სიტყვების წერაში „რ“ და „გ“-ს მაგივრად „ღ“ უხმარეთ როდისმე, ბარემ დავედგეთ ამასა და ბოლომდე აგრე უარათ; ე. ი. ყოველი ამ ენებიდამ მძღებული სიტყვა, სადაც ეს ასო იხმარება, სულ ერთნაირადა ვსწერათ: ღეორდი და არა გეორგი; ღრილოდ და არა გრიგოდ; ღაბრიელ და არა გაბრიელ; ელნატე, ღეოლრაფია, ღედემონია და სხე.²⁰ ე. ი., თუ რაიმე ფაქტისათვის გარკვეულ წესს მივიღებთ, ის უნდა გატარდეს თანმიმდევრულად ყველა მსგავს შემთხვევაში.

და კიდევ ერთი რამ იქცევეს ეურადღებას ამ ტერმინთან დაკავშირებით: როდესაც დ. ყოფიანი ძველ გრამატიკებს ახსენებს ან იმეწმებს (თუ მათ შესახებ მსჯელობს), იგი ყოველთვის იცავს ძველ მართლწერას: ღრამმატიკა, ღრამმატიკოსი.

ახეა მაგ. გვ. 18: „სახელი თვისებითი... რომელსაც ძველ ღრამმატიკებში ერქვა 'ხედ'მესრული“.

გვ. 22: „ამ ოთხს გარდა ძველ ღრამმატიკებში იყო კიდევ ოთხი ბრუნვა“.

გვ. 26: „არის კიდევ ერთი სახე მრავლობითის ბრუნვისა, რომელსაც ძველი ღრამმატიკოსებიცა ხმარობდნენ“ და სხე.

მაგრამ სხვა შემთხვევაში გრამატიკას ხმარობს.

ცალკეულ სიტყვათა მართლწერის შესახებ 'სოფჯერ ავტორი ფაქის' შენიშნას აკეთებს და ძირითად მსჯელობას არ არღვევს: მაგ. 126-ე გვერდ'ზე ნაშთულის წყენებით ნაცვაღსახელებს: აქ, იქ, მანდ... ასე და ფრნხიდებში დაურთავს: „ასე (და არა ესე)“.

3. დ. ყოფიანი სრულიად სამართლიანად მოუთითებს ქართულ ანბანში 'სოგი 'ხედმეტი ასოს შესახებ. ესენია: მ, ა, ვ, ჯ, მ. იგი წერს: „მე ამასაც გავბუდავ და ვიტყვი, რომ რამდენიმე ასო მეტიც არის... თუ არ ანგარიშისთვის, არას შემთხვევაში არც ერთი ამ ასოთაგანი ხაჭირო არ არის და სულ რომ გამოთრიცხებოდნენ. — წვენი ანბანის დიდ ღირსებას მიემატებოდა ასოთ რიცხვის შემცირება, და მართლწერის ძალიან გაადვილება“ (გვ. 12)²¹.

4. ერთი შეხედვით უცნაური ნანს, რომ დ. ყოფიანი, რომელიც დაუცხრომლად იბრძვის ხიმარტივისათვის, თავის გრამატიკაში იყენებს ასომთავრულ ასოებს. წინასიტყვაობაში იგი ასე ხსნის ამ ფაქტს: „სხვა არა იყოს რა, თვალთათვის მაინც დიდად სამძიმო არის სტრიქონების ისეთი ერთნაირი გაბმა, რომ შესასვენებელი აღარც სად წურტილი ნანდეს და აღარც სად მომსხო ასო, წენიკი ასოებისაგან გასარწყე“. ამიტომ მას უთხოვია, რომ ეფროპული მართლწერის შესაბამისად „მომსხო ასოები ხმარებუდიყო“, მაგრამ

²⁰ დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 11.

²¹ ამ ასოთა ამოღების საკითხს უფრო ადრე ხეამდა დ. წუბინაშვილი.

რადგან ეს ტექნიკურად მოესერხებული აღმოჩენილა, გამოუყენებიათ ასომთავრული და ნუსხური (ხუცური) ანბანი, შესახსენებლად ამ ანბანთა ცსრილებსაც წარმოადგენს ანტორი (გვ. 4).

5. დ. ყოფიანი ყურადღებას აქცევს 'ზოგი ფორმის უმართებულოდ სისარებას. მაგ.: იგი აღნიშნავს, რომ ქართულში ორგვარი მრავლობითია: ახლანდელი (-ებ-იანი) და სამწიგნობრო (ნართანიანი). 'ზოგი სახელი სამწიგნობრო კილოს ფორმებს იწარმოებს (მაგ.: ერთნი, ათნი, ასნი...) და მათთვის უცხია ახლანდელი მრავლობითის ფორმები, როგორც თვით ანტორი ამბობს: „არ შეიძლება თქმა: ერთები, ათები, ასები, ბევრები, ცოტები, ორებივე, სამებივე. სამჯობინართა თქმა: საერთანი, სამკლდელონი, რომელნი, რომაელნი, წარმოებანი და არა — საერთები, სამკლდელაები, რომლები, წარმოებები...“

როგორც ნანს, ანტორის სწორ მსჯელობას („ერთი, ათი, ბევრი... ნართან მრავლობითში უკეთესია“) აქ კეთილხმოვანების პრინციპი შეურთა, თორემ რით გაამართლებს იმას, თითქოს საერთები ან წარმოებები არ ვარგოდეს. თუმცა ანტორის მსჯელობა აქ არც ისე კატეგორიულია, რადგან დასკვნას ასეთს აკეთებს: „საქმე დაგვანახებებს, სად როგორ ემჯობინება“²².

კეთილხმოვანების პრინციპის დ. ყოფიანი დიდ ანგარიშს ეწევს. 'ზნისხართ'სე მსჯელობისას იგი ამბობს, რომ დაბოლოება 'ზნისხართისა არის დ, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნია, მის გვერდით იხმარებოდეს თ-ც ისეთ თანხმოვანთა მეზობლობაში, რომლებთანაც დ ეურს ენათირება (მაგალითებს, სამწიგნობროდ, არ ასახელებს). აი, მისი სიტყვები: „როგორცა ვხედავთ, 'ზნის'სედა უფრო ხშირად დაბოლოვდება „დ-თ“. — კანონის წინააღმდეგობა კი სრულებით არა იქნება რა, რომ ეს ასო ხანდახან „თ-დ“ და „თა-დ“ იქცეოდეს; — მეტადრე მაშინ, როდესაც მომდევნო სიტყვა ისეთი ასოებით იწყება, რომ იმათთან დ ეურს ენათირებოდეს — ხანდასან საჭიროც არის ესა, რომ ან სიტყვის უკმეხობა არ მოგვივიდეს, ან კაკაფონია არ შემოგვეპაროს, ესე იგი: ერთნაირის ხმის გახშირება“ (გვ. 128).

მაგრამ დ. ყოფიანი კეთილხმოვანების პრინციპის მონა-მორილი როლია. მაგ., იგი კეთილხმოვანებას მეორე პლან'სე გადასწევს იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯელობა ეხება სიტყვის შიგნით ნართულ წინდებულს: „სამწიგნობრო კილოში (ძველ ქართულში — დ, ლ) თანდებული ხშირად შიგ შუა სიტყვაშიც ნაეკვეტება ხოლმე, მაგ.: მირაივიდოდი — რომ მივიდოდი, მიოდენრაივიდოდა — რომ

²² დ. ყოფიანი, ახალი ქართული გრაფიკა, გვ. 26.

მივიდოდა. ამგვარი ლექსთმოყვანილობა გასაგონათ დიად ხაამოა, მაგრამ ახლანდელს სახაუბრო ენას სულ აღარ ეთვისება“ (გვ. 133).

6. უფრო ენერგიულად იღაშქრებს დ. ყიფიანი დიალექტური ფორმების შემოტანის წინააღმდეგ სალიტერატურო ენაში. დასაყდურ კუთხეთა შემონატანად თველის იგი ორმაგი მრავლობითის ფორმებს: ძ მ ე ბ ნ ი, დ ა ნ ე ბ თ ა თ ე ი ს, რ ო მ ლ ე ბ ნ ი, რ ო მ ლ ე ბ თ ა გ ა ნ, კ ა რ გ ე ბ ნ ი, დ ი დ ე ბ ნ ი, ბ ე ბ რ ე ბ ნ ი...

„ეს... სახე მერყეობაში მრავლობითის რიცხვისა სწორეთ არ არის საჭირო ქართული ენისათვის და ვერცა რა საგრამატუკო კანონი გაამართლებს... სადაური გრამატუკით იქნება გასამართლე-ბელი ან რა საჭიროებით?“²³.

ახეთივე კატეგორიულობით მოითხოვს იგი, აღიკვეთოს სალიტერატურო ენაში ნაწილაკიან სასკლთა უმართებულო, დიალექტური სახით ხსარება:

დ. ყიფიანი მომხრეა, რომ ნაწილაკები (-ლა, -ვა, -მე, -ვე) ბრუნვის ნიშნის შემდეგ ვისმართთ. „ეს ბილანდელი მარცვლები: ღა, ცა, მე, ვე, — როგორცა ვსხედავთ, ბრუნვის ცველილებას კი არ უშლიან, -- ყოველთვის თან მიჰყვებიან ისე უცვლელად, როგორც დასახელების ბრუნვებს: ვისილა, რამაცა, რომელსამე, ამითვე...“

რაც შეეხება ვისმესი, ვისმესთან, რისმესაგან და მსგავს ფორმებს, ისინი გრამატუკის ავტორის აღშფოთებას იწვევს. ისინი მას დიალექტისმებად მიანია: „მოელი დასაყლეთ საქართველოს საღსი დანებისა და ძმანებისა არ იყოს, — მაგ სეუელებას ადგია“, ხოლო ავტორისავე აზრით, „გრამატუკის წინაშე ისეთი დიდი უკანონება არის ამგვარი სახე, ამგვარი ყორმა ქართული სიტყვიერებისა, რომ ვისაც კი უკანონება არ უყვარს, უსათუოდ უენდა ერთდებოდეს“²⁴.

ასე შეუპოვრად იცავს დ. ყიფიანი სალიტერატურო ენის სიწმინდეს და დაუშვებლად მიიხნეეს დიალექტისმთა შემოტრას სალიტერატურო ენაში.

7. არანაკლები სიმკაცრით მოითხოვს დ. ყიფიანი სალიტერატურო ენის დაცვას ეულგარიშმებისაგან. საქმად შემსფოთებელი კილათი წერს იგი: „რომელი ქართველი იტყვის, თუ რიგიანად დაუფუქრდა საქმესა, რომ ღაპარაკის შეუფუერხებლად მიმდინარეობისათვის კინტოების უკანონო კილო სჯობდეს — წმინდა, ქართულს კილოხა? რომელი იტყვის: საათის ხუთზე, საათის მყოთხეზე, ერთი ვისმესგან თუ ვინმესგან, ერთს რასიმეზე დანაშაული

²³ დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატუკა, გვ. 26-27.

²⁴ ი ქ ე თ ა ნ, 60-61.

ვარ; ერთ ვინმემ მომატევიდა; ერთადეუნი ვიყავით? პაულემ წაყიდა²⁵. ვინ იტყვის, რომ ამისთანა ღაპარაკი ხეობდეს რაშიმე კანონიერსა: ხუთ საათსე, მუთხე საათსეღ, ვისგანმე, ვისთანმე; ვისთვისმე, რახედიმე, დანაშაული მაქვს ან დამნაშავე ვარ, ერთმა ვინმემ მომატევა, ორნივე ვიყავით²⁶.

8. დ. ყოფიანს სრულიად სამართლიანად მოექცევია ეჭრადლება აღიარებს სმნისათვის, რადგანაც ამ სმნის სმარება გარკვეულ სიმნელებს შეიცავს; როგორც თვითონ წერს, ეს სმნა „თავისთავად დიად კანონიერია, მაგრამ სოგებრთს ახლანდელ მოხსეველებს კი ძალიან უტყრეებს საქმეს“²⁶.

არა თუ ამ ახი წლის წინათ, როცა დ. ყოფიანს გრამატიკა იწერებოდა, არამედ ამ ბოლო სახებამდეც, სნამ აყიციადურად დადგენილი იქნებოდა და გამოქვეყნებოდა ხეველებული ნორმები, სადავოდ იყო მიხნეული, თუ რომელი ყორმად სწორი — აღე-იარებ, თუ ეად-იარებ, აღ-მი-იარებთა თუ მი-ღ-იარებთა...

დ. ყოფიანს ენის ეს ხორაულე არ გამორხენია და წიგნის 123-ე გვერდსე წარმოუდგენია სრული პარადიგმა ამ სმნის უღველიღებთსა. იგი მომხრეა, პირის ნიშანი ვისმართთ პრეკერბის შემდეგ: აღე-იარებ, პარადიგმაში შემდეგი ყორმებთა წარმოუდგენილი: აღე-იარებ, აღიარებ, აღიარებს; აღეიარებღი, აღიარებღი, აღიარებღა; აღეიარე, აღიარე, აღიარა; აღეიარო, აღიარო, აღიაროს; აღმიარებთა, აღგიარებთა, აღეარებთა; აღეიარებღე, აღიარებღე, აღიარებღეს; აღმეარებთინოს, აღგეარებთინოს, აღეარებთინოს; აღიარე, ნე აღიარებ, არ აღიაროს. გერუნდი: „აღსარება“; გერქლიცი: „სააღსარებთ“; სეჟინი: აღსაარებღად, აღსაარებღად; მოძეობა ახლანდელი: აღსაარებელი (რომელიც; სათქმელი იყო და არისცა), აღმსაარებელი (რომელსაც უნდა ეთქვა, ან უნდა ეთქვას); აღმსარებელი (რომელსაც ეთქვას ან ამბობს); გაველიდი: აღსარებელი (თქმელი); მომავალი: სააღსარებო, აღსარებადი.

როგორც ეხედავთ, თავის გრამატიკაში, რომელსაც მიწნად ეხახავს ქართული ენის აგებულების სეკენებას, ენობრივ კანონთა გამოკლენას, დ. ყოფიანს ეჭრადლების გარემე არ რხება სალიტერატურო ენის ნორმალისაჯიის ყრთად მნიშენელოენი ამოცანაც.

დ. ყოფიანი ქართული სალიტერატურო ენის დახევეწისა და მონოლითურობის მომხრეა, იღვეწის ამისთვის და იბრძვის ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად, სალიტერატურო ენის კანონთა თანმიმდევლობისა და ერთგვარობისათვის.

²⁵ ი ქ ვ ე გე 61.

²⁶ დ. ყ ი ყ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატიკა, გვ 123.

ახალი ძართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან

(ნორმალიზაციის პრინციპები „ივერიაში“)

ქართული ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა, მასზე სახელმწიფო სრუნიავს. ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის სისტემატურ, გეგმაშეწონილ მუშაობას ხელმძღვანელობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მეცნიერი სახელმწიფო კომისია, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებობს. ნორმების დადგენა ხდება იმ პრინციპთა მიხედვით, რომლებიც შეიმუშავა განათლების სახალხო კომისარიატთან შექმნილმა სპეციალურმა რესპუბლიკურმა კომისიამ (არნ. ჩიქობავას მოხსენების საფუძველზე) და რომელიც საფუძველად დაედო ჯერ ამ კომისიის სახელით 1936 წ. გამოცემულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებულს და შემდეგ — 1970 წ. გამოცემულ კრებულს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებულს“ (რომელშიც ის მკირე რედაქციული ცვლილებებით შევიდა). ამ პრინციპებს ემყარება დღესაც სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები მეცნიერულ წინამძღვრებზე დაფუძნებული, ენის ძირითადი სპეციფიკიდან ამოდის:

ენა სისტემაა — ენობრივი ნიშანთა ორგანიზებული სიმრავლეა. ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ფორმულები-სა და პარადიგმების მოწესრიგებული ერთობაა.

ენა სოციალური მოვლენაა, ურთიერთობის საშუალებაა. ამიტომ ენობრივი ფაქტი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იხმარება ენობრივი კოლექტივის მიერ, მიღებულია გაგები-

ნების საშუალებად, დამკვიდრებულია ენაში, აქვს სახოგადოებრივი ხანქცია.

ენობრივი სისტემა ისტორიულად ცვალებადია — ერთი ეპოქის (მაგ., ძველი ქართულის) სისტემისათვის კანონიერი ფორმა ხშირად უცხია მორე სისტემისათვის (მაგ., ახალი ქართულისათვის).

სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას ემყარება, მაგრამ განსხვავდება მისგან.

თავდაპირველად სალიტერატურო ენა ერთ რომელსაჲე კილოზე იღებს ორიენტაციას და სხვა კილოებზე განეწვევრღვი იასლოებს და უახლოვდება, მაგრამ სალიტერატურო ენის გზა არც ერთი კილოს განვითარების გზას არ ემთხვევა მთლიანად. დიალექტები სალიტერატურო ენის გამდიდრების უმრეტი წყაროა.

ამის წყალობით სალიტერატურო ენა საერთო ენაა მთელი ერისათვის, ეროვნული ენაა. ამდენად ის უნდა იყოს ერთხა და იმავე დროს ერთიანი, დახვეწილი.

ნორმათა მოწესრიგება გულისხმობს სალიტერატურო ენის ყველა მხარის — ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის სადაეო საკითხების გადაწვეეტას.

ნორმათა დადგენას საფუძველად ედება ობიექტური ანალიზის პრინციპი. ანალიზის ობიექტია სალიტერატურო ენა, რომლისთვიხაც ნორმებს ვეძებთ. ე. ი. გაანალიზდება ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის ისტორია, გაირკვევა რამდენად ევლება ეს მოვლენა ენის განვითარების ტენდენციებს, რამდენად გამართლებულია დღევანდელი ქართული ენის გრამატიკული სისტემის თავასხარისით, რამდენად გავრცელებულია და დამკვიდრებულია ენაში (ე. ი. აქით თუ არა სოციალური ხანქცია), როგორია მისი გამოყენების სხშირე კლასიკოსთა ენაში, არის თუ არა სხვაზე უფრო მარტივი წარმოების პრინციპის მიხედვით და ნათელი — მნიშვნელობის მისედვით.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის პრინციპთა შემუშავებას წინ უძღოდა თითქმის საეკენოვანი ფიქრი, სჯა, მუშაობა ნორმალისაციის თეორიულ საკითხთა გარშემო.

მე-19 ს-ის 50-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ერთი და ერთიანი სალიტერატურო ენისათვის, სალიტერატურო ენის დემოკრატიისაციისათვის ბრძოლაში ბევრი საჭირბორბო საკითხი წამოტრიდა. მსჯელობასა და ცხარე კამათში თანდათან ყალიბდებოდა მოსახრებები როგორც კონკრეტულ, ისე სოგად თეორიულ საკითხთა შესახებ.

წყენ საშუალება გვეძინდა თვალი გაგვეღებინა XIX ს-ის მკარე ნახევრისა და XX ს-ის 10-20-იანი წლების მოღვაწეთა ნააზრვეისათვის ხალიტერატურო ენის ნორმალისაციის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. ამ საკითხებით აღრეც დაინტერესებულან წყენი მკვლევარები²⁷. წყენ შვეიცარიეთ უფრო სრულად გაეცნობოდიოთ ამ მასალას.

ამხერად გვიხდა წარმოყადგინოთ ერთი ნაწილი ამ მასალისა, კერძოდ, იღია ჭავჭავაძის თაოსნობით შექმნილ ბეჭდვით ორგანოებში („საქართველოს მოამბესა“ და „თვერიაში“) მოღვაწე ავტორთა შეხედულებები. მათ მიერ შემოთავაზებული თეხისები, რომლებიც უმეტესად სხვადასხვა წერილებშია (ვადკველ დებულეუბად წარმოყადგინილი, მაგრამ ერთად თავმოყრილი, საინტერესო სურათის იძლევა და წარმოყადგინას გვიქმნის ხალიტერატურო ენის ნორმალისაციის პრინციპთა შემუშავების, ნამოყადგინების ოხტორიასე.

მეტე გარკვეულობისათვის ვად-ვადკვე წარმოყადგენთ „საქართველოს მოამბესა“ და „თვერიაში“ მოღვაწე ავტორთა პრინციპულ დებულეუბებს. სოგი ავტორი სხვაგანაც აქვეყნებდა წერილებს ენის საკითხებზე, მაგრამ მათი ამოხაყელი პრინციპები ძირითადად უცვლელი რხებოდა. თყით იღიაც უერ კიდევ „ვისიკარში“ მსხყდობდა ამ პრობლემებზე. ეს მასალაც აქ გათვავლისწინებულა.

1. იღია ჭავჭავაძე. ცნობილია, რომ ახალი ხალიტერატურო ქართული ენისათვის ბრძოლას ხათაკეში ეღვა და წარმართავდა იღია ჭავჭავაძე. იგი შეუბოყრად იბრძოდა ქართული ენის წართმეულ უყვლებათა აღხადგენად ხეოლანში, ხასამართლოში, დაწესებულეუბებში, ეკლესიაში... იბრძოდა ასევე, ენის გასამოყადგინებლად, დასახეკვლად, რადგან სწამდა, რომ „არსებოთი ნიშანი ეროვნებისა, მისი გყელი და სყელი ენაა“²⁸. იღია პრაქტიკულად იღვწოდა ენის გამარტოყება-გასადხურებისათვის, დექსიკური მარავის შესახებ, ტერმინების შესაქმნელად და ა. შ. იგი განსაკუთრებულ ეერ

²⁷ ს. გ. ო. რ. გ. ა. მ. ახალი ხალიტერატურო ქართულის ოხტორიოდან: ე. „მნათობი“, 1925, №№ 1 და 3; 1926, № 5-6; შ. მ. ი. მ. ი. გ. უ. რ. ი., ქართული საწყრდობო ენის საწმინდისათვის ბრძოლის ოხტორიოდან: „მნათობი“, 1957, № 3, გვ. 60-70. ავტოთეე წყენში: „სიტყვის ცხეყრება“, თბ., 1988, გვ. 167-187; ჯ. ჭ. ე. მ. ბ. უ. რ. ი. მ. ე. ხალიტერატურო ენის საკითხი ხამოყთან წლების ქართულ კოტიკაში, „ვისიკარი“, 1966, № 1.

²⁸ ი. ჭ. ა. ე. ჭ. ა. ე. ა. მ. ე. შინაური მისიხილევა, 1881, მასი, თხ. ტ. V, გვ. 80. მათოთებული გვაქსი კ. ოხტორიოყას რელაქტობით გამოსყული აოტომიკულის მიხედული (1951-1961 წ.წ.). სხვა გამოცემების გამოყენების ოროდუ შესიხეყვაში იქვე უყითოთებო გამოცემაში.

რადღებაც აქცევდა ენის სიწმინდეს. როგორც ი. მანსვეტაშვილი იტყობს, იღია კატეგორიულად მითითებულია, ენა უნდა დაეციკვას შერყენილობისაგან, რადგან ენა არის ბურჯი ერისა, მისი მკობის ნიშანი, მისი არსებობის აუცილებელი პირობა. „ენას ისე უნდა ეკუთვნოდეს, მოუწაროს, როგორც დედა თავის პირში შვილს, ენა არის დედაბიძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედაბიძი გამოეცალათ... ჭერი წამოგვეგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს და წვენი მშობელი ქვეყანა, წვენი საქართველო განადგურდება, განიადება დედამიწის ზურგზე“²⁹. ამიტომ საგანგებო მასალას მოვლი რედაქცია იღიას მეთაურობით კითხულობდა, აშლადწინებდა, ასწორებდა და მხოლოდ შემდეგ უშვებდა დასაბუჯდად.

იღიას უახლოესი თანამშრომლის გრ. ყიფშიძის ხიტყვით, იღია „დიდ ყურადღებას აქცევდა უფრო ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამისად ხიტყვების დაწობას და დასურათებით აზრის გამოთქმას გლეხკაცურ კილოზე. თვით ღრმა მკვლევ იყო ქართულისა და ყოველის ღრნისიძებით ცდილობდა, რომ გასეთში ყოველივე წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. ამ საქმეში თვით იკისრა უფროსობა და ნაგვიყოლია უმცროსები“³⁰.

თავის წერილებში იღია ხშირად ესება ენის საკითხებს. ყოველივე ამის მოუხედავად, იღიას მდიდარ მემკვიდრეობაში ენის თეორიულ საკითხთა შესახებ რაიმე საგანგებო ნაშრომი არ ნანს, მაგრამ მის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში გაბნეულია მისაზრებები, დებულებები, მსჯელობა, რომელთაგან ზოგი შეიძლება დღეს გასაზიარებელი აღარ იყოს. მაგრამ დიდი უმრავლესობა ძალზე საყურადღებო, საესებით მართებელი, ღრმა აზრის შემკველია და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ამოსავალ დებულებებს წარმოადგენს.

იღიასა და მისი უახლოესი თანამშრომლისა და თანამებრძოლის — დავით ყიფიანის შეხედულებები დაედო საფუძვლად იმ პოლიციას, რაც „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ წამოყალიბდა.

იღიას დებულებები ასეთია:

1. ენა არსებითი ნიშანია ეროვნებისა.
2. ენა ცვალებადია (ის იზრდება, კითარდება). ცვალებადია ენის კანონებიც: „ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ ღროს

²⁹ ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, თბ., 1985, გვ. 74.

³⁰ კრ. „იღიას სამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 132.

საქართველო, სხვა დროს უკარგისნი არიან ხოლმე. ამიტომ ახალი ენა ძველ ენას არა ატარებს³¹.

3. ენის კანონები ენაშივე უნდა ვეძებოთ. გრამატიკა არ არის ნორმატიული მეცნიერება, რომელიც კანონებს, ნორმებს უწესებს და უკარნახებს ენას. გრამატიკა თვით ენის სინამდვილიდან ამოდის. ენაში არსებულ კანონებს შეისწავლის. ე. ი. გრამატიკის მიზანია, შეისწავლოს რა არის ენაში და არა ის, რომ უკარნახოს, რა უნდა იყოს ენაში³². ესაა ძირითადი ასრი ილიას გამოხატულება — „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“³³ და თვითვე საძირკველი ილიას მიერ გამოთქმული ბევრი მართებული ასრისა.

4. ენა ერთი უნდა იყოს ლიტერატურაში და არა სამგვარი, სალიტერატურო ენა ბუნებით განუყოფელია... ლიტერატურის განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოიანი³⁴.

ამიტომ მოუღებელია სალიტერატურო ენაში ე. წ. „სამი შტილის“ არსებობა.

5. სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთიანი, მონოლითური, დახვეწილი, სუფიქტი პარაფლემებისაგან თავისუფალი, საყოველთაო ნორმებს დაქვემდებარებული.

ენის ერთობა ხალხის ერთობის, მისი ვრად სამოქალაქოების აუცილებელი პირობაა, ხალხის ერთობის ერთ-ერთი ნიშანია. ენა ერთიანი უნდა იყოს მოვლი ხალხისთვის. სალიტერატურო ენის ერთიანობისთვის აუცილებელია ერთგვარობა ენისა. სიტყვდუ, პარაფლემურ ფორმათა არსებობა მონოლითურობას არღვევს, ამაბუნებს ენას. ამიტომაც იბრძვის ილია საყოველთაო წესების დასადგენად.

6. სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა გადაწყვეტა ერთპიროვნულად შეუძლებელია. სასურველია ქართული ენის მკოლნე პირთა შეკრება და ამ კრებაზე ყველასთვის საყვალდებულო წესების დადგენა³⁵.

³¹ ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა მ ე. პასეხი, „ცისკარი“, 1861. № 6, თხზ. ტ. III, გვ. 40.

³² ა რ ნ. ნ ი ქ ი ბ ა ვ ა. ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ტყ., 1938, გ. 10-11.

³³ ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა მ ე. პასეხი, გვ. 40.

³⁴ ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა მ ე. ხარდის-მესხიევის კრიტიკის გამო, თხზ. ტ. III, გვ. 446.

³⁵ ილიას 1886 წ. 8 მარტს „თეორიის“ რედაქციაში მოუწვევით კიდევ სხვებს „განსახილველად საგრამატიკო საგანთა ამ ასრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი დაიდგინოს მწერლობაში სახმარად“. თხ. ა. შ ა ნ ი მ ე. ილია ჭავჭავაძე, რეკორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, წიგნში: „ილიას სამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 115-119.

7. ახალი ქართული სალიტერატურო ენა უნდა დაეყრდნოს ცოცხალ მეტყველებას; ენა ხალხში ბუნებრივი სახითაა დაცული. ხალხი, ვრი არის ენის პატრონი. სწორედ ხალხის მეტყველებაში უნდა ეყრდნობოთ ენის კანონები, „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ-თეორეტიკა“³⁶.

8. სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში, გამდიდრებასა და სიწმინდის დაცვაში დიდი როლი ენიჭება მწერლობას. „ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა“³⁷. „ნიჭიერი მწერალიც ამისთვის არის სახარებლო ენისათვის, რომ თავის თს'უკლებებში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხელმე“³⁸.

9. მხატვრული ლიტერატურა ხალხისთვის იქმნება და მისთვის გასაგები, ბუნებრივი ენით უნდა იწერებოდეს.

„ყოველთვის უფრო სახიამოვნოა წასაკითხავად თს'უკლება დაწერილი საყოველღეო შინაურულს ენაზედა, იმ ენაზედ, რომ-ლითაც ლაპარაკობს ქართუელი კაცო თავის ხალხში, თავის ცოლ-შვილში, ტოლთაანა და ამხანაგთაანა“³⁹.

შეიძლება ლიტერატურა ყოველდღიურად მდიდრებოდეს, იყუბოდეს ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიოდეს ისინი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის. „რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხუ-ლობდა და... თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს“⁴⁰.

10. ამა თუ იმ სიტყვის სიაგეარგე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოიყენება ეს სიტყვა ენაში. თუ ხალხი მიიღებს სიტყვას, ენაში სახმარს სიტყვად დამკვიდრდება (ე. ი. თუ საზოგადოებრივ სანქციას მოიპოვებს), მაშინ ეს სიტყვა კანონიერი არსებობის უფლებით აღიჭურვება — ასეთ აზრს უნდა შეიცავდეს ილიას შემდეგი გამონათქვამი: „უეარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ, თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე, ვარგისიანია“⁴¹. ე. ი. რასაც საზოგადოებრივი სანქცია აქვს, მას არსებობის უფლებაც აქვს.

11. ლიტერატურა, წიგნი ენას მტკიცედ უნარჩუნებს თავის სახეს. წიგნის ენა, სალიტერატურო ენა უფრო დაცული, ორგანი-

³⁶ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. პახუნი, გვ. 212.

³⁷ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. სარდიონ-მეხსიევის კრიტიკის გამო. გვ. 446.

³⁸ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. პახუნი, გვ. 49.

³⁹ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. სვირიდიანის და თაღეულის ბაასი. ე. „საქართველოს მოამბე“, 1863, №№ 5, 6, 7; თს.ს. 1983, III, 442.

⁴⁰ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. „საქართველოს მოამბეზედ“. ე. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 1; თს.ს. ტ. III, გვ. 64.

⁴¹ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. პახუნი, გვ. 53.

„ზებუელი ენაა, უფრო დასდევულია (ველილებებისაგან, შედარებით მცარი და კონსერვატიულია. ამიტომ „ენები, რომელთაც უკვე მოედლევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურნებოდნენ (ველილებას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა... ძლიერ ინახავენ სიტყვებს და ერთხელ დადგინდნენ ფორმებს“⁴².

12. ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულ მწერლობას, ენას: „ძველი თაობის მწერლობამ თავისი ყვერ დახლო ახალსაც, შესამჩნევი გაკლენა იქონია ახალსე და ამ გაკლენას ვერასხვით ვერ მოესწინეთ მკენებელ გარემოებად... ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, რამდენიც დღესა გააქვს, უმთავრესად ისევ ძველის მწერლობის საქმია“⁴³.

13. ქართული ენის ხმარების შეზღუდვა უარყოფითად მოქმედებს ენაზე, აღარბებს და ასუსტებს მას: „წყენს ენას წყენში მოედანი არა აქვს საყარჯისოდ“⁴⁴.

14. ქართული ენა მზად არ არის მეცნიერების სამსახურისათვის. „წყენი ენა ჯერ მომსადებული არ არის დღევანდელს ასრის კაცობრიობისას სასოგადოდ და თუნდ წყენებურ ინტელიგენციისა-საც აღებ-მოცემობა გაუწიოს გაუჭირვებლად“⁴⁵.

15. ტერმინოლოგიის უქონლობა აფერხებს წყენს ენას და მეცნიერების განვითარებას წყენს ქვეყანაში.

16. საერთაშორისო სიტყვები უნდა მიიღოს ქართულმა ენამ (ისევე, როგორც ყველა სხვა ენამ). ეს სიტყვები (მაგ., ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვ.) ყველა ხალხს მოედია, როგორც ღვიძლი სიტყვები და იყენებს მათ. „არც წყენათვის არის დასაძრახისი, რომ წყენც ვისმართო“. კიდევ რომ აგარიდოთ თავი მათ ხმარებას, ისინი „უთოოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარენ: პოქსა, პაქსა, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოგიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის ცრუობს, რომელიცა ძრახავს მაგვარ სიტყვების შემოტანას ენაში“⁴⁶. „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამადლებს“⁴⁷.

⁴² ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. აი ისტორია, „თქერია“, 1889, № 117, თხ.ს., ტ. IV, გვ. 85.

⁴³ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. თერგადლეული და ახალი თაობა, „თქერია“, 1886, №№ 101, 102; თხ.ს., ტ. III, გვ. 312-313.

⁴⁴ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. შინაური მიმოხილვა, „თქერია“, 1879, № 2; თხ.ს., ტ. V, გვ. 39.

⁴⁵ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. აი ისტორია, „თქერია“, 1889, № 118; თხ.ს., ტ. IV, გვ. 93.

⁴⁶ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. პასუხი, გვ. 52-53.

⁴⁷ ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა მ ე. ხომელთა მცენიერნი და ქვითა დღადი, „თქერია“, 1899, № 64; თხ.ს., 1987, ტ. V, გვ. 45.

17. ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება წინ სწევს ერს გონებრივად. რაც უფრო ნაკლებ განათლებულთა ხალხი, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაში. სიტყვა აზრის გამოხატულებაა, ამიტომ ახალი სიტყვების შემატება ენაში ნიშნავს ენის გამდიდრებას, აზრის შესატებას, გონების გაფართოებას, ყვესის წინ წადგმას⁴⁸.

18. ახალი სიტყვის (იქნება ის უცხო ენიდან შემოსული თუ წმინდა ქართულ ნიადაგზე შექმნილი) დასამკვიდრებლად და გასათავისებლად ენას დიდი დრო სჭირდება. „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდაც წმინდა ქართულიც იყოს, რაკი ამ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნება ჯერსანად, როგორც უცხო სიტყვა— რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შევეჩვიეთ თავის დროზე“⁴⁹.

ბევრი ქართული სიტყვა შეუღებნით (მაგ.: მოთხოვნისებობა, გაკულენა, მიმართულება, მეცნიერება...), სოფი სიტყვისათვის კი აზრი, შინაარსი უცვლიათ (მაგ.: მამული). ერთხანს ეს სიტყვები ადვილად გასაგები არ იყო, შემდეგ თანდათან გაერკვეულა, დაიკვიდრდა (ე. ი. მოიპოვა სასოგადოებრივი ხანქცია)⁵⁰.

19. მაგრამ უნდა ვებრძოლოთ უცხო სიტყვების მოზღვავენებას ენაში. უცხო სიტყვების შემოტანა არ უნდა დაეუქმეთ იმ შემთხვევაში, როცა ქართულს მოეპოვება ბადალი სიტყვა ან გამოთქმა. ბარბარისმშობით არ უნდა დაეანაგვიანოთ ენა. მე „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარშინული სიტყვები... ამისათვის დაეძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ნყენს ენაში“⁵¹.

20. რადგან ხალხისთვის კწერთ, უპირველესი ამოცანა უნდა იყოს ხიმარტივე ენისა. მართლწერის სიმარტივის პრინციპი გულისხმობდა ანბანიდან იმ ასოთა ამოღებასაც, რომელთაც ენა აღარ ხმარობდა (ა, ვ, ჯ, მ, ყ), ეს გაამარტივებდა ორთოგრაფიას⁵².

⁴⁸ ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ი ე. სელსონება და მეცნიერება (სელსაწერი). თ.ს.ს. ტ. III. გვ. 471.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ი ე. სელსონება და მეცნიერება, გვ. 471.

⁵¹ ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ი ე. პოსეხი, გვ. 53.

⁵² ამ ასოთა ზედმეტობის თანამედროვე ენისთვის ჯერ კიდევ ნიკო და დავით ნუბინაშვილები აღნიშნავენ, მაგრამ მართლწერის გამარტივების პრინციპის ასე კონკურენტულად დაყენება და პრაქტიკულად გადატანა ილიას დიდი დამსახურებაა.

ა. შანისემ ილიას აზრი „სკელო“ ასოების შესახებ 8 დებულებად წამოაყალიბა და დაასკენა: „აქ წარმოდგენილია გარკვეული პრინციპები მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებლად ქართული ორთოგრაფიის დარგში. ეს პრინციპები დღესაც ძალის მქონეა და მამინაც მისაღები უნდა ყოფილიყო“ (იხ. მ ი ს ი).

„ამ ასოები ხუელ ტყვილათ არიან ნუნს ანბანში... ტყვილად აგრძელებენ ანბანსა, აძნელებენ მართლწერასა და სხვას არაყურს არ შეგძინებენ“⁵³.

II. დავით ყოფიანი. ახალი ქართული ხალიტგრატიურო ენისათვის ბრძოლაში ილიას მხარში უღვა შესანიშნავი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, „საქართველოს მოამბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დავით ყოფიანი. მისი და ილიას მეგობრობა გამნაზიის წლებიდან იწყება და პეტერბურგში კიდევ უფრო ღრმავდება. ყოქრობენ, რომ დაე ყოფიანსა გააცნო ილიასა და სხვა ქართველ სტუდენტებს სერნიშეხკი და დობროლიუბოეი, რომლებთანაც მას ახლო ერთოქრობა აქონია⁵⁴.

ერის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხში ილია და დაე ყოფიანი ერთ პოზიციაზე იდგნენ, ერთად იბრძოდნენ. ენის პრინციპულ საკითხებზედაც მათი მისასრებები ძირითადად ეთანსხება ერთმანეთს.

დაე ყოფიანის შესანიშნავი გამოკვლევა „რიგიანი ქართული გრამატიკის შესაბამელებელ მასალებად“, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ (№ 3) გამოქვეყნდა, ბევრ საყურადღებო და მართებულ დებულებას შეიცავს როგორც სოგადმეცნიერულ, ისე ქართული გრამატიკის საკითხთა შესახებ.

ნამოყალიბდა რა მეცნიერულად მართებული ასრი გრამატიკის რაობის შესახებ („გრამატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებათ“), დ. ყოფიანმა მიუთითა აგრეთვე გრამატიკის როლზე ხალიტგრატიურო ენის ნორმალიზაციის საქმეში⁵⁵. მისი დებულებები ასეთია:

ო. ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი ხალიტგრატიურო ქართულის დამყიდრებოხათვის, მოხსენება ენისკის საბჭოს სესიონზე 1937, წიგნში: „ილიას ხამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 99-100.

⁵³ ი. ჭ ა ე ჭ ა ე ა მ ე. პახეხი, გვ. 41.

⁵⁴ ა. ლ. კ ა ლ ა ნ დ ა მ ე. ქართული ეურნადისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 89-91.

⁵⁵ როგორც ნ. ა ბ ე ს ა მ ე შესანიშნავს, დაე ყოფიანის მიერ „ყურადღების გამსხვილება გრამატიკის ნორმატიულობაზე ახალი ხალიტგრატიურო ენის თხრობილელი მდგომარეობით იყო გამოწვეული“ (თხ. მ ი ს ი: გრამატიკის საკითხები XIX ს-ის ქართულ პერიოდულ გამოცემებში, თბ., 1960, გვ. 17).

დაე ყოფიანს შეედა წელიწადის უმეშავია აღნიშნულ გამოკვლევაზე 1857-1860 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტიში საჯარო დეკლემები წაუკითხავს ხალიტგრატიურო ენის გახალსურებისა და ყენქვიდაქარგული ასოების ამოღების შესახებ (თხ. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა მ ე. ქართული ეურნადისტიკის ისტორია, III, თბ., 1985, გვ. 35).

1. გრამატიკის ერთ-ერთი ნაწილი, მორფოლოგიისა და სინტაქსის გვერდით, არის მართლწერა (აქ ის ტრადიციას მისდევს და ილიას შორდება). კანონიერ ფორმათა შესარჩევად გრამატიკამ უნდა მოგვცეს გასაღები. გრამატიკა არის საყრდენი მართლწერის დასადგენად. გრამატიკა კანონმდებელია, ის აწესრიგებს ფორმათა მრავალფეროვნებას, აწესებს, რომელია კანონიერი ენაში არსებულ სადავო ფორმათაგან, მათგან უმართებულოს უარყოფს, მართებულ ფორმას კი აკანონებს, მოქალაქეობრივ უფლებებს ანიჭებს. „სწორედ გრამატიკას ეკუთვნის გადამწვევტი სიტყვა ენის ფორმათა მოწესრიგებაში“.

2. ენა იცვლება, იცვლება მისი ფორმები, ენის ცვლილება ენისავე შინაგან კანონებს ექვემდებარება, რომელთაც წინ ვერ აღუვლავებთ. „ენა იცვლება, წარმოტებაში შედის და ამ წარმოტებასა და ცვლილებასაც თავისი ბუნებითი კანონი აქვს, რომლის წინააღდგომა ყოველთვის ფუჭია“⁵⁶.

3. ენის სრულყოფილად შესწავლისათვის, „ექსმარტივი ცნობისათვის“ საჭიროა ისტორიული გრამატიკა, რომელსაც შეუძლია გადამწვევტი პასუხი გაგვცეს სალიტერატურო ენის ნორმათა საკითხებზეც. მხოლოდ ამგვარი გრამატიკა „არის წყენი ასაღი დროების მთახიონილება“⁵⁷.

4. მრუდვა და ასასრულებლად შეუძლებელია აზრი იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ენად ავირჩიოთ ძველი სალიტერატურო ენის ფორმებთან შესაყებელი „დარბაისლური“ კილო.

5. ასევე შეუძლებელია ძველი ენის გამოყენებაც, რადგან ძველებური ენა ის ენა არ არის, რომელსედაც ეხლა ხალხი დაპარაკობს, ხელ ხსევა ენა არის, თუ ხსევა ენაა, სწავლა უნდა. ჯერა სალსისთვის იმის საკეთარ ენაზე მარტო წერისა და კითხვის სწავლას ვერ ვახერხებთ, ხსევა ენა როგორდა ვასწავლოთ! შესაძლებელიც რომ იყოს, რათ გავიტიროთ საქმე“⁵⁸.

ამიტომ წყენთვის საჭირო კანონები ახალ ენაში უნდა ვეძებოთ, ძველ ენას კი მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა თუ აქვს.⁵⁹

6. სალიტერატურო ენა ხალხის ცოცხალ მეტყველებას უნდა ემყარებოდეს. „გრამატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთიანობა უნდა იყოს ცოცხალი ხალხის ენა... ლიტერატურ

⁵⁶ „საქართველოს მთაბე“, 1863, № 3, გვ. 84.

⁵⁷ იქვე, გვ. 84.

⁵⁸ „საქართველოს მთაბე“, 1863, № 3, გვ. 87.

⁵⁹ იქვე, გვ. 79.

რის ენაც ისეთი უნდა იყოს, რომელსაც უწოდებენ მდაბოურსა. ნუჟა სწორედ ამ ენაზე გვსურს მართო ღაპარაკი კი არა, წერაცა⁶⁰.

„ცოცხალი ხალხის ენაში“ იგულისხმება „არა ენა ამა თუ იმ კუთხისა: ქართლისა, კახეთისა თუ იმერეთისა“, არამედ ის ენა, რომელზედაც მთელი ქართველი ხალხი ღაპარაკობს⁶¹.

7. გრამატიკის (აგრეთვე მართლწერის წესების) შედგენის დროს დაუშვებელია, რომ რომელიმე კუთხის მეტყველებას მიეცს უპირატესობა: „საერთო ეროვნული ენის განვითარებაში ყველა კუთხის მეტყველების უფლებები თანაბარია... ქართველ გრამატიკაში საქართველოს არც ერთი მხარის გაცალკევება არ უნდა ნაივდეს ქართული ენის სასოგადო კანონად“⁶².

8. ქართველი სასოგადოების სხვადასხვა ფენის მეტყველება არსებითად ერთგვარია. სოციალური სხვაობა არ ნიშნავს ენის სხვაობას — ქართველი გლეხიცა და ფეოდალიც ერთი ენით — ქართული ენით — ღაპარაკობს. „ეური მიუგაღეთ, სწორედ ერთნაირადა ღაპარაკობენ. ღაპარაკში ერთსა და იმავე გრამატიკულ ფორმებს ახმარებენ, როგორც გლეხები, ისე თავად-აწნაურნი... ენის ერთობისთვის ნუჟნი ხალხის ბუნდოვნება სწორედ ეს არის“⁶³.

9. ენის ერთობა ხალხის ერთობაა, ხალხის ერთად შეკერის, ერთად ჩამოყალიბების ნიშანია. ისეთ „სასოგადოებას, რომელიც არის შეკავშირებული ერთისა და სასოგადოს ენითა... ქვიან ხალხი“. „ენა მთელი ხალხის კუთვნილებაა, სასოგადო საკუთრებაა“. მთელი ხალხის ენა (ე. ი. ეროვნული ენა — ლ. ლ.) და სალიტერატურო ენა ერთი ენა უნდა იყოს.

სალიტერატურო ენა ხალხის მეობის ნიშანია: „ლიტერატურა არის ხალხის ხიკოცხლე და იმ ხალხს, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი... ხალხობა არ ეთქმის“⁶⁴.

10. ძველი ასოები (ა, ვ, შ, მ, ჯ) ხედმეტია, რადგან „ეხლა მნიშვნელობა აღარა აქვთ რა ენაში“. ამიტომაც დღევანდელ ენაში მათ ხმარობენ ყოველგვარი წესის გარეშე. ყოველი ხედმეტი ასოს ან მათი ნებისმიერი კომბინაციების შესაბამისი ბგერის გამოსატყვა თავისიყველად შეუძლია სხვა ასოებს (მ = ე, პ; შ = პოი, ჯ = ხ, უ = ე, უშ = ეე...), ე. ი. ამ ასოებს დღევანდელ ქართულში არავითარი საფუძველი არა აქვს და მათი ხმარება უარყოფილ უნდა იქნეს.

⁶⁰ იქნა.

⁶¹ იქნა იმ 87-88.

⁶² იქნა იმ 91.

⁶³ იქნა იმ 79.

⁶⁴ „საქართველოს მთაბჭე“, 1863, № 3, გვ. 76

III. გრიგოლ ორბელიანი. აქვე გვინდა წარმოვადგინოთ შეხედულებები გრიგოლ ორბელიანისა, რომელიც, მართალია, ილიას მოწინააღმდეგეთა ბანაკში ითვლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მისი პრინციპების გაცნობა, ერთი მხრივ, ილიას ოპოზიციონერთა შეხედულებებს შეგვახსენებს და, მეორე მხრივ კი, იმსაღვ დაგვიანასკებს, რომ გრ. ორბელიანი მხოლოდ წმინდა არქაისტი და კონსერვატორი არ ყოფილა. მას, როგორც საღვდ მოაზროვნე პიროვნებას, არ შეეძლო არ ეგრძნო განახლების ძალა და თანდათან არ გადახრილიყო ახალი თაობის პოზიციებისაკენ. თვით ილია ბრძანებდა: „გრ. ორბელიანმა არ იუცხოვა ახალი მიმართულება და, პირიქით, თავისი ძლიერი ბანი მისცა“⁶⁵.

გრ. ორბელიანი განხილავს გიორგი წერეთლის თხზულებების („იკილიკი, ნიკილიკი და ქუდაბოიკა“) ენას და გზადაგზა გამოთქვამს ბევრ საყურადღებო აზრს როგორც სალიტერატურო ენის ნორმალისაციის კერძო საკითხთა შესახებ, ასევე იმ პრინციპთა შესახებაც, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ენის ნორმალისაციას⁶⁶. ხილვო ენის სიწმინდის დაცვას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი, კარგად ნანს შემდეგი სიტყვებიდან: „მსგავსად სხუათა ენათა ქართულსაცა აქუს თავისი თვისება, თავისნი კანონები მართლ-წერისა და უბნობისა, ესე იგი, თვისი დრამატიკა, რომელიცა ასწავლის ყოველსა ამას თეორეტიკულად და რომლის სუდ-მიწევნით ცოდნა საჭირო არის მწერალთა-თვის“⁶⁷. ცოტა ქვემოთ, სადავო საკითხების განხილვისას გრ. ორბელიანი შენიშნავს: ეს კანონები მხოლოდ კლასის გიმნაზისტმაც კი იცის და თუ მაინც მათ შესახებ საუბარი აკავებდნენ, ესე მხოლოდ სიყვარულისა-გამო ნუწნისა ენისა, რომლისა სიწმიდით შენახვა მსურს მე გულისთა“⁶⁸.

რა თქმა უნდა, რეალური საფუძველი აქვს გრ. ორბელიანის არქაისტად მიჩნევას: იგი იზიარებს დებულებას, რომ ენა უცვლელია, ამიტომ გრამატიკაც უცვლელია; აუცილებელია ურყევად დავიცვათ ანტიკის გრამატიკაში შემქმნალებული წესები, ის კანონები, რაც საღმრთო წერილში არის გატარებული; ასევე საჭიროა დავიცვათ ძველი ორთოგრაფია; ქართული ანბანი სრულყოფილია

⁶⁵ ი. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრ., ტ. III, გვ. 231.

⁶⁶ ა ვ ე ლ ი ს ე შ ი ნ ა რ ი ს ტ ი (= გრ. ორბელიანი), მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ. განხილვა. „ცისკარი“, 1874, № 20. აგრეთვე წიგნში: გრიგოლ ორბელიანი, თხზ. სრ. კრ., თბ., 1959, გვ. 312-330.

⁶⁷ იქვე გვ. 314.

⁶⁸ გრიგოლ ორბელიანი. გვ. 320.

და მასში რაიმე ცვლილებების შეტანა დაუშვებელია და სხვ. პრაქტიკულადაც იგი არქაული ერთ წერს.

იმსვე ნაშრომში გრ. ორბელიანი თავგამოდებით იბრძვის სალიტერატურო ენის უცვლადინარობისა და დამახინჯების წინააღმდეგ. ამ პოზიციიდან იგი ენას უწუნებს ახალი თაობის მწერლებს, რომლებიც, მისი აზრით, ბევრს სკოლაგუნ ენის წინაშე, რადგან არ იციან ენა. ახეთი ცოდნით კი არა აქვთ უფლება ძველ გრამატიკასთან მიერ დადგენილი კანონების შეცვლისა.

გრ. ორბელიანი ცდილობს გამოაჩინოს ძველი ქართული ენის დასაქვნილობა, სიხადავე და მისაბამ მკაფიოთად დასახოს იგი.

მეორე მხრივ, იმსვე ნაშრომში გრ. ორბელიანი რიგ პროფესიულ მოსახრებასაც გამოთქვამს⁶⁹.

აქ წარმოუდგენთ გრ. ორბელიანის იმ დებულებებს, რომლებიც ენის ნორმალისაციის პრინციპებს ეხება:

1. ენის კანონები უცვლელია. ენის ბუნებრივი თვისებების შეცვლა (კალკულ პიროვნებას არ შეუძლია. ენა „არ არის მოგონებუელი ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეუძლოს ძირიანად შეცვლა მისი“. და რადგან „ენის თვისება მეოფობს მარადის შეუწყველად“, „ახალი სტილი“ არსებითს ვერაფერს შეცვლის ენაში“⁷⁰.

2. ძველი ორთოგრაფია დაცული უნდა იქნეს, არ უნდა გაეართულათ მისი შეწავლა. „ჩვენ გუქართებს, რომ სუქნი მართლწერა დაეიცვათ მტკიცე და შეუქრებელად, უფრო იმ მისეხითაც, რომ მისი შესწავლა არის დიდად ადვილი“⁷¹.

3. ქართული ანბანი სრულყოფილია — თითოეულ ბგერას თავისი სიძახი აქვს. დაუქვერელია ამ ანბანიდან რაიმეს გამოკლება. „იმეიდასა ენასა აქვს იხეთი სოქლა ანბანა, რიგორცა ქართულსა. სოქნს ანბანსში თვთველსა ხმის ბგერასა აქვს საკეთრივ გამოსატკელი თვისი ნიშანი, ასო... ამ ასოების უარის-ყოფა, გადაგდება, უცქმლად საგნებელი არის ენისა-თვის“⁷². „ანტონ კათალიკოსისა, დიდად მკოდნემ ქართულისა ენისა, ართუ დააკლო, არამედ დაემატა ასო ფ“⁷³.

⁶⁹ გრ. ორბელიანის შესვლულებები ენის საკითხებზე განხილულია ა. ბ. მ ა ხ ა რ ა მ ი ს წიგნში „გრაფილ ორბელიანი“, თბ., 1944; ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა ს გამოკვლევაში: გრაფილ ორბელიანი, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი (თბ. წიგნში: გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959); კ. მ ე ძ ე დ ი ა ს წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“, თბ., 1967.

⁷⁰ გრაფილ ორბელიანი... გვ. 323.

⁷¹ გრაფილ ორბელიანი... გვ. 316.

⁷² იქვე.

⁷³ იქვე გვ. 317.

4. ქართულში გამოთქმა და წერა თანხედება ერთმანეთს; „ჩემნ ისე ვსწერთ, როგორცა ვლაპარაკობთ. ასუების შეუცვლელად“⁷⁴.

5. სხვა ენების მსგავსად, ქართულსაც აქვს მართლწერისა და სწორმეტყველების კანონები, თავისი ბუნება, ე. ი. გრამატიკა, და ყველა მწერალი ვალდებულია იცოდეს და დაიცვას იგი⁷⁵.

6. გრამატიკული წესების შეცვლაზე ფიქრიც კი დაუშვებელია: „ჩემნ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუცა უფლება, რომ ესრეთის გაბედავით, ესრეთის კადნიერებით უარ-გაყოთ, გადაგაგაოთ და შეგოსცუალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა დასდუმს ჩემნის ენისათვის დიდად მეცნიერთა დრამმატიკოსთა, თუთ ენის თვისებისავე გამოკუთვლითა“. მათგან „დაწესებულნი კანონნი ვერა შესცუალებს ვერცა შავთელმა, ვერცა ჩასრუხბაძემ და ვერცა თუთ რუსთაველმა“⁷⁶.

7. ქართული ენის ეტალონს წარმოადგენს საღმრთო წერილი, „მართლად მოუღებელი საუნჯე ჩემნის ენისა“⁷⁷, რომელიც ჩვენს წინაპრებს გადმოუდიათ ბერძნულიდან და სირიულიდან.

ჩვენს ენას იცავდნენ და ინახავდნენ „ბერები მონასტრებსში, ეკლესიებსში მღუდლები და მეტადრე დარაისლობასში ჩემნი ქალები“⁷⁸.

8. ქართული ენა ყველაზე წმიდად იმერეთშია დაცული: „იმერეთში გვერულებოდა ქართული ენა სიწმიდით შეერევენელად შენახული“⁷⁹.

9. ახალი თაობის მწერლები „უწყალოდ პრყუნიან ჩემნსა მართლწერასა“⁸⁰. მართალია ისინი გულმხურვალედ შეუღღნენ დაცემული ენის აღდგენას, მაგრამ მათ არ იციან ენის ბუნება, მართლწერის წესები, რადგან დრამად არ შეესწავლიათ ქართული ენა, საღმრთო წერილი. ამიტომ „არა არიან ეგენი ბრალეულ, თუ სოგიერთის წერასში მოჰსნანს მრავალი შეცდომიდება, როგორც პირის-პირ ენისა თვისებისა, ეგრეცა მართლ-წერისა, მათ არ პქონიათ შემთხუშვა დრამად შესწავლისა-თვის ქართულისა ენისა და ამა მოსესითავე არა არიან ნუშეულნიცა საღმრთოს წერილისა“⁸¹.

⁷⁴ იქნა ვა- 316.

⁷⁵ იქნა ვა- 314.

⁷⁶ იქნა ვა- 317.

⁷⁷ იქნა

⁷⁸ იქნა ვა- 330.

⁷⁹ იქნა ვა- 327.

⁸⁰ გრეგოლ ორბელიანი. გვ. 317.

⁸¹ იქნა ვა- 314.

ქართული ენა აღარ ისწავლება რეგიონად „არცა ღიმნაზიასში და არცა თვთ სემინარიასში“⁸².

მაგრამ მოსახლის ცოდნა გრ. ორბელიანისათვის მიტყვევებს როდი ნიშნავს. პოეტი კატეგორიულად მოითხოვს: „მწერალნი უნდა იცოდეს ენა, რომელს-სუდაცა მსწერს ან ტეორეტიკულად და ანუ პრაქტიკულად“⁸³.

ამ დებულებათა გვერდით ეურადღებებს იპერობს გრ. ორბელიანის შეხედულებები:

1. ლიტერატურა იქმნებოდა და კელაეაც უნდა იქმნებოდეს ხალხისათვის გასაგები ენით, ხალხის ენით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლებოდა ხალხური მტკიცებულების უცვლელად შექმნა ხალიტერატურა ენაში: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: ხალხის ენაზედ უნდა ვსწეროთო. მაშ რა ენაზედ უნდა დამსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მახალა შეუქმნავებელი, ვიდრე დაჭელოვნებელი მწერალი მახალას მას არ გადაარჩევს, კარგსა უყარვისისაგან არ გააწმენდს, არ გააშუქნიერებს და დიდებულებითა არ აღიქვანს სალიტერატუროს სამყლობელოსში; მერე იმ გადასახელებულსა ენასა გააშუქნიერებულის ქორმითა გადმოაძცემს მოსახმარებლად ისევე იმავე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა და რომელიცა შეითესებს იმას, ვითარცა საკეთრებასა...“

ესრეთ, დაჭელოვნებელი, მადალ-აზროვანი არხიტექტორი აიღებს კირსა, ქვასა, ტალახსა და აღმართავს“... დიდებულ შენობებს, მაგრამ არხიტექტორი თავის კვლოვნებით თუ არ შეეწია შენობასა, ტალახი დააშთება ტალახად! მწერლობასშიაცა მსწორედ ასე არის“⁸⁴.

2. ხალხის ენაზე იქმნებოდა ჩვენი ლიტერატურის უძველესი ძეგლები და ქართველი გლეხის სიტყვა, დიდ შემოქმედთა ხელში გამოვლილი, გამშენიერებული და ამაღლებული, ისევე გასაგები იყო ხალხისათვის.

„განჯელო ათასმა წელმა, რა პირუელად ითქუა ქართულად „მოწკალე მე, ღმერთო, დიდითა წეალობითა შენითა და მრავლითა მოწკალებითა შენითა აღისოცე უსჯულოება სემი!“ და რომელსა გლეხსა არ ესმის ესლაცა მარტივად და მშუქნიერად გამოთქმული სიტყუა ესე, რომელიც ეკუთვნის იმავე გლეხის ენასა? თვთ ვეფხისტყაისანი რა არის, თუ არა იგივე სიტყუა ქართველისა გლეხისა, მხოლოდ ღამისად განწყობილი და გამოთქმული?

⁸² იქმნ. იმ 326.

⁸³ იქმნ. იმ 314.

⁸⁴ იქმნ. იმ 323-324 (ხაზი ხეხია. ლ. ლ.).

მაშასადამე, სიტყუასა უნდა გაწყობა, გაწყობასა მსწავლა, მსწავლასაცა უნდა შეეწყოდეს ნიჭი ბუნებითი!⁸⁵

3. ხალხი ღაპარაკობს კარგი ენით, სწორად. „უცოდინარი გლეხი, რომელიცა არის დიახ შორს გრამატიკისაგან, ღაპარაკობს კანონიერად, მაგრამ ესე მსწარმოებს იმისაგან, რომ სიყრმისდგანყე მას ესმის კანონიერი ღაპარაკი და პრაქტიკულად მსწავლეობს ენასა, ასე რომ არა იღეს არ შესცდებია“⁸⁶.

4. აზრის ნათლად გადმოსაცემად სიტყუები უნდა დალაგდეს კანონების მიხედვით: „პასრი გამოითქმის ნათლად მხოლოდ სიტყუებისა კანონიერად გაწყობითა“⁸⁷.

5. გამორჩენილი მწერლები კი აზრს გადმოსცემენ არა მხოლოდ სწორად და ნათლად, არამედ ღამაზი ფორმითაც⁸⁸.

6. წიგნის ენაში, მწერლობაში შეცდომები მიუტევებელია: „რააცა სეპირად ნათქუამისა მიეტევება შეცთომილება, იმას არ მოუთმენენ მწერლობასში“⁸⁹.

7. ენის სიწმინდისათვის პასუხისმგებლობა აწევს კრიტიკასაც, რედაქციებსაც, კრიტიკას ევალება ყურადღება გაამახვილოს „ჩუშნს მართლწერას“⁹⁰ სედაცა და თუთ ენის თვისებას სედაცა, რათა მის ძალითა და შემწეობითა გაიწმინდოს ჩუშნი ენა სოგიერთთა შეცთომილებათაგან, რომელიცა, ანუ დაუდევრელობითა, ანუ უცოდინარობითა, შემოეპარენ ჩუშნსა მწერლობასა და ახდენენ ენასა მეტად უწკალად⁹¹... „დიდად საშიშია, რომ უკანონოება არ დაიღუას შემდეგთათვის კანონად ენისა, რადგანაც ბევრი მსწერენ ესრეთუჲ დაუდევრელობით“⁹¹.

„ახლა რედაქციის მეტი ვინდა დაგურნა ენის მყარეშლად, რომ ესეცა ასე დაუდევრეულად, გულ-შეუტკივრად პბეკლავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის აზრით, რედაქციის აძეეს მოვალეობა, რომ ხასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩუშნსა მართლწერასედაც და კანონიერად ენის ხმარებასედაც, თორემ სრულეობით უსარგებლოდ დაჰშთება ესოდენი მისი ღუაწლი, ესოდენი შრომა და მეცადინეობა დაცვსათვის სიწმინდით ჩუშენისა ენისა“⁹².

8. უცხო ენის სიტყვის შემოტანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ენას ბადალი სიტყვა არ გააჩნია: „ახალი

⁸⁵ გრიგოლ ორბელიანი... გვ. 324.

⁸⁶ იქვე გ. 314.

⁸⁷ იქვე ივ. 319.

⁸⁸ იქვე სვ. 328.

⁸⁹ იქვე გვ. 329.

⁹⁰ იქვე გ. 315.

⁹¹ გრიგოლ ორბელიანი... გვ. 321.

⁹² იქვე ივ. 330.

უნდა შემოიტანონ ის სიტყვა, რომლისა თანახმად არ იპოვებოდეს ნუქის ენასში⁹³.

აღნიშნულ წერილში გრ. ორბელიანი სოფი კერძო საკითხის შესახებაც გამოთქვამს თავის აზრს (უნდა ვწეროთ: პაზრი, პაერი და არა პზრი, აერი; თუთ, თუხება და არა თვით, თვისება; მსგავსად, კეთილად და არა მსგავსათ, კეთილათ და ა. შ.), მაგრამ მათ შესახებ აქ სიტყვას აღარ გააგვრძელებთ.

გრ. ორბელიანის სოფადყოფილი შეხედულებების გაცნობა გვირწმუნებს, რომ იგი ბოლომდე მყარად ვერ დარსნა თავის პოზიციასზე, გაორდა მისი შეხედულებები. თუმცა თავგამოდებით იცავდა და აღიღებდა ძველ ენას, ძველ ფორმებს, ანტონის გრამატიკას, ძველ ორთოგრაფიას... მაგრამ მშობლიური ენის სიყვარული, მისი კეთილდღეობა, მისი ინტერესები ყოველივე ამაზე ძლიერი აღმოჩნდა. პოეტს სწამდა, რომ ენის დაცემა ერის დაცემას ნიშნავდა. ამიტომ დასტრიალებდა თავს ქართულ ენას მისი ფიქრი, ამიტომვე იგრძნო მან, რომ სვენი ენის, ისევე როგორც მთელი ერის, ხსნა განახლებაშია და სავსებით გულწრფელად განაცხადა: „ისმარეთ როგორცა გნებაჟთ, გინა ახალი სტილი, გინა ძეშლი, ოღონდ კი დაუტყვეუთ თავის-მოუყარება თქუენი და მით მოასკვით ქართულსა ენასა ნაყოფი კეთილი! ყოველის მხრით დაღადება ყვედრებისა ქართულის ენის წახდენისა-თჳს უნდა გესმოდეთ“⁹⁴.

ამით გრ. ორბელიანი დათმო თავისი პოზიცია. მეტიც, იმავე წერილში იგი არსებითად გადავიდა ახალი სალიტერატურო ენის მხსვევრთა მხარეზე. მისი შეხედულება ხალხური ენის როლისა და ადგილის შესახებ სალიტერატურო ენაში, იმის შესახებ, რომ ხალხია ენის პატრონი — ეს ხომ ილიას ძირითადი პრინციპების გაზიარებას ნიშნავდა (თუნდაც გარკვეული კორექციით). მეტიც, „საქართველოს ისტორიისა“⁹⁵ და „კაცია ადამიანის“ შესახებ ნათქვამი სიტყვები: „საქართველოს ისტორია“ და „კაცია ადამიანი“ რამდენაჯერმე წავიკითხე დიდის სიამოვნებითო“, — ფაქტობრივ უკვე აღიარებაა ახალი ქართული სალიტერატურო ენის გამარჯვებისა. ან კიდევ მისი მინაწერები „დროების“ არშიებზე, სადაც აღ. ყაზბეგის „ელგუჯა“ იყო დაბეჭდილი: „კარგია“, „ძალიან კარგია“, „მშვენიერება არის“, „დიდად მიამა“, „უფალო მონახუბარიძე, გიხაროდეს, შენ ხარ პირველი დრამატიკი საქართველოში... ჯერ ქართულს ენასე მსგავსი არა დაწერილა რა“ —

⁹³ იქნა გვ. 322.

⁹⁴ იქნა გვ. 327.

⁹⁵ თ. ს უ ლ ხ ა ნ ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი. საქართველოს ისტორია (თარგმანი და შენიშვნები ილია ჭავჭავაძისა). „საქართველოს მიაძიქ“. 1863, № 1, გვ. 1-34.

ხომ იმის დასტურია, რომ აღ. ყაზბეგის ახალ სალიტერატურო ენას (თანაც პერსონაჟთა დიალექტური მკერველებით) არ შეუძლია ხელი გრ. ორბელიანის აღტაცებისათვის. ეს ფაქტი ბევრის მოქმედია.⁹⁶

IV. დიმიტრი ყიფიანი. არა მარტო გრ. ორბელიანის, არამედ ძველი თაობის ბევრი სხვა გამოსჩენილი მოღვაწის ხიმკათები გადაიხარა ახალი სალიტერატურო ენისაკენ. მათ შორისაა დიდი ქართული მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანიც. იგი მალე მიქმნრო ქართული სალიტერატურო ენის გახალსებების აზრს და „საქართველოს მოამბეში“ (შემდეგ სხვაგანაც) ბეჭდავდა თარგმანებს, შესრულებულს ახალი სალიტერატურო ენით. აქვეყნებდა წერილებს, შეადგინა და გამოსცა „ახალი ქართული გრამმატიკა“ (რომელიც ქართულ გრამატიკებს შორის პირველი იღებს ორიენტიკის ახალ ქართულზე). იგი „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს უზიარებდა თავის გულწრფელ აღტაცებას იმის გამო, რომ ჟურნალი გამოდიოდა ხალხურ, მდაბიურ, ყველახათვის გასაგებ ენაზე „როგორც შეიძლება, ისე განმარტყვეს თქვენს ჟურნალში კილო შესამეცნებელი... ამ ამბავმა სწორედ დაგვიტკბო გული“. — წერდა იგი⁹⁷.

დ. ყიფიანი იზიარებდა თვალსაზრისს ენისა და მისი კანონების ცვლილების, ენისა და გრამატიკის ურთიერთმიმართების შესახებ:

1. გრამატიკა ცოცხალ ენას უნდა შეისწავლიდეს, მის კანონებს უნდა ასახავდეს. ენა იცვლება და გრამატიკაც არ უნდა ჩამორჩეს მას: „თუ რომ კაცი დროს არ მიხედა და თავისი ცოდნაც თან არ მოადევნა, იმისათანა საქმე დაეშაროება, რაც ამ ბერძნულ გრამატიკას დაემართა: დრო დაუდგა ისეთი, რომ აღა რა ვინ სწერდა ისე, როგორც ღაპარაკობდნენ და აღა რა ვინ ღაპარაკობდა ისე, როგორცა სწერდნენ. სამწიგნობრო და ხასაუბრო კილოები მეტად დასცილდნენ ერთმანეთსა“⁹⁸.

2. გრამატიკა არის „სწავლა ხასაუბრო თუ სალიტერატურო ენის თვისებათ გაცნობისა“⁹⁹. იგი ენის კანონებს შეისწავლის. ეს კანონები, რომლებიც თვით ენიდან გამოიყვანება, ენის დახვეწას უწყობენ სეღს: „გრამატიკის კანონებიც განსაკუთრებითად იმის-

⁹⁶ შტრ. ა. გ. ა. წ. ე. ლ. ი. ა. გრითიულ ორბელიანი, კრტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვეუი. წიგნში: გრითიულ ორბელიანი, თსსუელეებათა სრული კრებულა, თბ., 1959, გვ. 090-093.

⁹⁷ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 2.

⁹⁸ დ. ყ. ი. ყ. ი. ა. ი. ახალი ქართული გრამატიკა, ხანკტ-ბეჭდებურდი, 1882.

⁹⁹ თქვენი გვ. 11.

თვის იწერება, თვითონ ენის თვისებათაგან გამიკრეფილი, რომ სიტყვიერებაში რიგი დაწესდეს უკმეხოების გამდევნელი, ეურთასმუნის დასატკობელი და მართლებლობით განმარტებული¹⁰⁰.

3. გრამატიკა უნდა ითვალისწინებდეს მართლწერის საკითხებსაც: „ეს სწავლა (= გრამატიკა -- ლ. ლ.) გაიყოფება სამად: პირველი არის -- ეტიმოლოგია, ქართულად ლექსთწარმოება; მეორე -- სინტაქსის, ლექსთა თხზულება და შესამე -- ორთოგრაფია, ქართულად -- მართლწერა“¹⁰¹.

4. გრამატიკული წესების სწავლებისას უნდა ვიცავდეთ მარტივიდან რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლის პრინციპს. ამიტომ საჭიროა ბევრი საკითხის გამარტივება: „რიგი და სამართალი მითითოვდა, სწავლას ისე დავიწყებდეთ ხელმე, რომ ადვილიდამ მკლამდის და მკელიდამ უმსიმესამდის გაუჭირებლად ვიყლიდეთ“¹⁰².

5. დ. ყოყიანი ემხრობა ანბანის გამარტივებასაც, ზედმეტი ასოების (ა, ვ, ჳ, მ, შ) ამოღებას: „თუ არ ანგარიშისათვის, არას შემოსიხვევასი არც ერთი ამ ასოთაგანი საჭირო არ არის და სულ რომ გამოირიცხებოდნენ, სვენი ანბანის დიდ ღირსებას მიჰმატებოდა ასოთ რიცხვის შემცირება და მართლწერის ძალიან გაადვილება“¹⁰³.

6. ქართული ანბანი სრულყოფილია: „არა მგონია სხვა ხალხს ქონდეს ვისმე ისეთი ბუნებასთან დაახლოებულნი, გამარტივებული და ადვილად სასწავლი ანბანი, რაგორც სვენი გვაქვს“¹⁰⁴.

7. ლიტერატურა, პუბლიცისტიკა უნდა იყენებდეს ფართო მკითხველისათვის გასაგებ ენას: „ისე იწერებოდეს, რაც კი სწავლაზე და სელსენებაზე იწერება, რომ ვისაც წაკითხვა არ უჭირს, იმას აღარც გაგება გაუჭირდეს“¹⁰⁵. „სამწიფნობრო კილო (= ხალიტურატურო ენა -- ლ. ლ.) უნდა მისდევდეს, არ უნდა დაშორდეს „სასაუბრო კილოს“¹⁰⁶.

8. ენამ შეიძლება შეითვისოს, მიიღოს ახალი სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება, „რაც ახალი სწავლისა და ახალი აზრისათვის არის საჭირო“. მაგრამ „სიფრთხილით, წინმსუდველობით, გარწყით, რომ სიგონჯე და უმსგაესოება არა შემოგვეპაროს რა“¹⁰⁷.

¹⁰⁰ იქნა ვა 61.

¹⁰¹ იქნა ვა 12.

¹⁰² იქნა ვა 130.

¹⁰³ იქნა ვა 12.

¹⁰⁴ იქნა

¹⁰⁵ იქნა

¹⁰⁶ „ახალი ქართული გრამატიკა“, 1882, გვ. 10.

¹⁰⁷ იქნა ვა 63.

9. მაგრამ გაუმართლებელია გრამატიკული კატეგორიის შემოტანა: „ქართული გრამატიკისათვის სქესების გარჩევა არასდროს არ არის საჭირო... მაშრობითად და მდებარებითად სიტყვის დაყოფა ქართული ენისათვის არას დროს არც ყოფილა და არც არის საჭირო. ამ ნემს ხსენებაში შემოიღეს ორიოდ-სამი გარჩევა სქესისა. მაგალითად: ხელმწიფა, მეფეა, მთაყვინა, კნეინა; მაგრამ ქართული ენა ეგრეც ამას ითვინებს“¹⁰⁸.

ასევე, დაუშვებელია უცხო ენათა გავლენით წინადადების აგებულების, ბუნებრივი ქართული ფრაზეოლოგიზმების შეცვლა არაქართულით, შეუფერებელი კონსტრუქციის წინადადების გამოყენება.

დ. ყოფიანი ოციოდე მაგალითს აანალიზებს, რათა დაასაბუთოს სინტაქსური დარღვევები (მაგ.: „სიკვდილს მორნა“ (= გადარნა), სპილს მძღაგრი (= ძაღვიანი) პირუტყვია, მუნდირში (= მუნდირით) მივიდა...¹⁰⁹.

10. რთული, გრძელი წინადადებები („უშეულებელი პერიოდები“) ამძიმებს ენას. მათი დანაწევრება, „ნაწილ-ნაწილად“ დაყოფა კი უფრო მოქნილს, ადვილად სახმარს გახდის მას¹¹⁰.

V. იაკობ გოგებაშვილი. XIX ს-ის ქურნალ-გახეთებში ქართული ენის შესახებ ბევრ წერილს აქვეყნებდა დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი. ამ წერილების უმეტესი ნაწილი დედაენის სწავლებას ეხება, ბევრიც — სადავო კერძო საკითხებს (აღვიარებ/ვაღიარებ, სწორი/სწორე, კარგათ/კარგად...), ამასთანავე, „ხოგადთორიული ხასიათის ბევრ საინტერესო მოსახრებასაც შეიცავს ეს მასალა:

1. ენის ერთობა ერის ერთობის ნიშანია: „დედა-ენა [არის] ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“¹¹¹.

ქართველები ერთ ერს წარმოადგენენ, რადგან „ერთის ტომისანი არიან, ერთს ენაზე საუბრობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს... ერთის სარწმუნოების მიმდევარნი არიან... საქართველო ხშირად ერთს შეერთებულს სახელმწიფოს წარმოადგენდა ფარნაოხიდან დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე“¹¹².

„ენის ერთობაც ძალა გახლავს ერისათვის. მისი დაყოფა პროცინციალურ კილოებად აუძღურებს მწიგნობრობას და დიდს

¹⁰⁸ იქვე გვ. 28.

¹⁰⁹ დ. ყოფიანი, უცნაური ნადირობა: „ოქერია“, № 1, გვ. 100.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ „ოქერია“, 1890, №№ 100, 101, 102, 104; ტ. II, გვ. 207.

¹¹² „ოქერია“, 1894, № 134, თხ.ს., ტ. II, გვ. 321.

დაბრკოლებას შეადგენს ერის გონების და სულიერის წარმატებისათვის¹¹³.

2. ენის შესასწავლად საუკეთესო საშუალებაა ხალხური ზეპირსიტყვიერება („ხალხის გონების ნაწარმოები“) და მხატვრული ლიტერატურა, რომელიც არის „ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“¹¹⁴.

3. რაც შეეხება გრამატიკას, ენის პრაქტიკულად დაუფლების საქმეში „გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარე დონისძიება“, ის „ფილოსოფიაა ენისა“¹¹⁵, თეორიული დარგია.

გრამატიკის შესწავლის ობიექტი ცოცხალი ენა უნდა იყოს. იქ უნდა დაიძებნოს გრამატიკის კანონები. გრამატიკის შედგენისას ენის კანონები საკეთარი ენის თვისებებიდან უნდა ამოდიოდეს. დაუშვებელია სხვა ენის ყალიბების გადმოღება: „ქართული ენის შენობის შესწავლისათვის და გრამატიკის შედგენისათვის ქვაკუთხედად [უნდა დაიდოს] მისი საგრამატიკო ანალიზი“¹¹⁶.

4. ქართული ენა მაღალი დონის, სრულყოფილი ენაა. ის „მრავალრიცხოვან თაობათა შრომას... აუყვანია კულტურული ენუბის დონემდე და სრულყოფილებამდე“¹¹⁷. „ქართული ენა [არის] განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკული ფორმებითა, ენა სრულის ორგანიზაციისა, უმაღლესი ხარისხისა“¹¹⁸. „ქართული ენა ეკუთვნის მაღალი აგებულების ენათა დასსა“. მას მოეპოვება ის თვისებები, რაშიც მდგომარეობს „ღირსება ენისა... სიმარტივე ბრუნვებისა, გრამატიკული სქესების არ ქონა, თანდებულთა სიტყვის ბოლოს მოქცევა, ხმოვანი დაბოლოება სიტყვებისა, ხმის ამალღების დამორჩილება განსასდერულს კანონსყდ, მრავალფეროვნება და მოქნილება ხმის ფორმებისა, სიმდიდრე ხინონიმებისა, ლექსიკონისა“¹¹⁹.

5. ენის ღირსების ერთ-ერთი ნიშანია ლექსიკური მარაგის სიმდიდრე: „რამდენიც ხალხი დაბლა სდგას აზრებით და განვითარებით, იმდენად უფრო დატაკია სიტყვებით, ფორმებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს“¹²⁰.

¹¹³ „საგრამატიკო შენიშვნა“, პირველად გამოქვეყნდა 1953 წ., თხ.ს., ტ. II, გვ. 416.

¹¹⁴ „ოქერია“, 1886, № 25, თხ.ს., თ. II, გვ. 90.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ იქვე.

¹¹⁷ თ. გ. ბ. გ. ბ. ა. შ. ვ. ი. დ. თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის, პირველად დაიბეჭდა თხ.ს., სრ. კრ., II ტ., 1954, გვ. 154.

¹¹⁸ თ. გ. ბ. გ. ბ. ა. შ. ვ. ი. დ. ბურჯი ეროვნებისა, თხ.ს., ტ. II, გვ. 217.

¹¹⁹ იქვე, გვ. 205.

¹²⁰ „ოქერია“, 1894, № 212, თხ.ს., ტ. II, გვ. 392.

6. განვითარებულ ენაში ყოველ ცნებას თავისი სიტყვა უნდა აქონდეს. ორ-და სამაზროვნება (ომონიმია) ენის დაბალი ღირსების მანიფესტებელია: „რამდენიც უფრო ენა მდიდარია ომონიმებით, იმდენი უფრო ახლოს დგას იგი ველური ხალხის ენებთანა“¹²¹, ხოლო იდეალურად ის ენა ითვლება, რომელსაც ყოველი შინაარსის გამოსახატავად მისი შესაფერისი, შინაარსზე მორგებული სიტყვა აქვს. ამიტომ „სიმდიდრე ლექსიკონისა ითვლებოდა და ითვლება დიდ ღირსებად ენისა“¹²².

7. მოესკვლავად ამისა, სხვა ენებიდან წამ-და-უწუმ სესხება... სიტყვისა, ენის სიღარიბედ ჩაითვლება და არ არის სასურველი¹²³.

8. მარჯვე დიალექტური სიტყვები და გამოთქმები უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში. „საქართველოს სოციალურ კუთხეში ისმარებიან იმისთანა გამოსაქმანი, რომელნიც სხედ გამოტრიანი არიან საგანსხედ, აზრსხედ და რომელნიც იშვიტად ისმარებიან დანარსენს კუთხეში. პირველსაკითხავსა წიგნსა უნდა გააერთიანოს ეს მოხერხებული გამოსაქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაემკვიდროს მათ არსებითს ბრძოლაში“¹²⁴.

9. დასავლურ კილოებს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს საერთო ეროვნული ენის ფორმირებაში.

10. სადავო ფორმათა შორის უკეთესის დასადგენად საყრდენია სოციალური სანქცია და გრამატიკული სისწორე. „ამათეიმ გრამატიკული ფორმის გასამართლებლად ჩვენ სრულიად საკმარისად მოგვაჩინია ხალხის მიერ მისი ხმარება და საგრამატიკო საბუთები. ამ ორ ბურჯსხედ არის იგი შეკერეველად დამკარებელი“¹²⁵.

11. ქართული ენის განვითარება შეზღუდულია, შეფერხებულია. „ჩვენს ენას ყოველი გარემოება ხელს უშლის, ავიწროებს, ზრდას უბრკოლებს, მის განვითარებას წინ ელბება. ამის გამო ჩვენში თავისი დედა-ენა წინებულად არაყის იცის“¹²⁶.

12. კონკრეტული, კერძო დონისიძებები „ჩვენი დედა-ენის დასაცავად და გასამდიდრებლად“ ასეთია:

„დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და სავსებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის სეგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს.

¹²¹ იქვე

¹²² იქვე გვ. 391.

¹²³ იქვე

¹²⁴ „თეურია“, 1881, № 6.

¹²⁵ „თეურია“, 1894, № 226. თხზ., ტ. II, გვ. 408.

¹²⁶ ი. ს. ი. შ. ო. ნ. ო. ძ. ე. (= ი. ვოგებაშვილი), პაწია სამაგიერო: „თეურია“, 1894, № 144. თხზ., ტ. II, გვ. 342.

სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძიება, უნდა ეპრობოდეს ქართულს ენას სრული პატივით, როგორც ესაჭიროეს საგანს... სახალხო ერთ-კლასიან სკოლაში თუ უნდა მეფობდეს... მასზე უნდა იყოს მოწყობილი მთელი სწავლა, ყველა ხაზის გადაკვმა... საშუალო სასწავლებლებში სვენი დედა-ენა უწინდებურად უნდა გადაიქცეს საგანდებულო საგნად ყველა ქართველი მოწაფეთათვის”.

„ყოველი ქართველი თავის წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს იქონიოს საშინაო ქართული ბიბლიოთეკა“, ამავ დროს გამოიწეროს და თვალი ადევნოს რომელიმე ქართულ პერიოდულ გამოცემას.

სვენისთანა მდგომარეობაში მყოფ მცირერიცხოვან ერთაგან „შეიძლება გადმოვიღოთ ოჯახებში თავშეყრის წესი, საშინაო ბიბლიოთეკიდან რომელიმე წიგნის შერჩევა და კითხვა, მსჯელობა, ახრის გაცეცლა-გამოცეცლა¹²⁷.

VI. პეტრე მირიანაშვილი. ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში („თეურია“, „მწეჟისი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ტრბუნა“ და სხვ.) ცნობილი პუბლიცისტის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის პ. მირიანაშვილის მრავალი წერილი გამოქვეყნდა ქართული სალიტერატურო ენის საჯარბორბოტო საკითხებზე. ამ წერილებში არაერთი კონკრეტული და თეორიული საკითხია განხილული.

„თეურიაში“ მითავსებულ სტატიებში პ. მირიანაშვილი შექმლვ პრინციპებს აყალიბებს:

1. სალიტერატურო ენის დამახინჯება დანაშაულია. „განათლვბულ ეურიაში კრიტიკა არავის აპატიებს სიტყვისა და ენის დამახინჯებას“¹²⁸.

2. გრამატიკული წესების დაცვა პირველ რიგში მწერლობას უნდა მოეთხოვოს: „მწერლობის... გრამატიკური კანონმდებლობა... ყოველი მწერლისთვის საგანდებულო უნდა იყოს... ყოველი მწერლის კაღამი ერთნაირად უნდა აკანკლედებდეს ან აუღვლილებდეს სიტყვას“¹²⁹.

3. ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი იმთავითვე ქართული კილოა. ქართლი მესხეთსაც მოიცავდა¹³⁰. ეს შემთხვევითი რაღია. სალიტერატურო ენის ბედი თემის ბედთან არის დაკავშირებული: რა თემშიც პირველად დაიწება მოქალაქეობრივი

¹²⁷ „თეურია“, 1890, № 104, თს.ს., ტ. II, გვ. 239–242.

¹²⁸ „თეურია“, 1899, № 224.

¹²⁹ „თეურია“, 1888, № 166.

¹³⁰ „თეურია“, 1888, № 166.

ცხოვრება, იმ თემის კილოც ხდება სამწერლო ენად. წყენშიც პოლიტიკურად დაწინაურებული თემის — ქართლის ენა იქცა სამწერლო ენად. „შემო ქართლიდამ გამოვიდა პოლიტიკა და იმის ენაც გამოთავრდა საქართველოს დანარჩენ თემთათვის. „შემო ქართლი არ გულისხმობდა მხოლოდ მცხეთოსის საუფლოს, თუ იპერობდა აგრეთვე მესხეთს“¹³¹. „მესხეთში... ბაგრატიონთა გვარეულობის გაძლიერების შემდეგ მესხები გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზე... აქ მწერლობის განვითარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია... საქართველოს წერილ სამეფოებად დაყოფამდე მესხები იყვნენ მწერლები და იმათი კილო მსუფუვედა მწერლობაში... მესხეთის ძლიერებაზე მოწმობს ისიც, რომ მეცხრე საუკუნეში მხოლოდ სამცხე იყო სკოლებით მოყენილი“¹³².

4. ენის ერთობა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის შედეგია. ჩვენი სალაპარაკო ენის სხვადასხვაობა იმის ბრალია, რომ ხშირად პოლიტიკური ერთობა არ გექონდა¹³³.

5. ახალი სალიტერატურო ენის განსავეითარებლად და დასახვეწად ფრიად მნიშვნელოვანია ძველი მემკვიდრეობის ცოდნაც. ახალგაზრდობის ცოდნის წყურვილი მიაღწევს ძველი მემკვიდრეობის დაუფლებას, ეს კი წაადგება ენას. აქ არ იტულისხმება საეკლესიო ენა¹³⁴.

6. სასულიერო ლიტერატურის ენა ყოველთვის განსხვავებული იყო საერთო-სახალხო („საერო“) ენისაგან, რაც განსაზღვრა მეტისმეტმა ღვთისმოსაობამ, ორიგინალის მორჩილებამ. ისე რომ, საეკლესიო ენის ფორმები ორიგინალთა ძლიერი გაკლენის გამო ქართული ენის წინააღმდეგი კანონებით არის შემუშავებული. დღეს რომ ხელახლა გვეთარგმნა საღვთო წერილი (ისე, რომ წყენი ენის ბუნება და თვისება არ დაგვეზარა), მისი ენა სულ სხვაგვარი იქნებოდა¹³⁵.

7. სალიტერატურო ენა დაცული უნდა იყოს პროვინციალიზმებისაგან. ეს მწერლობის კალია. დიალექტური პარალელიზმები უნდა აღიკვეთოს სალიტერატურო ენაში: „წყენი მწერლობა მოკაღვლა... მეტხორცი პროვინციალიზმებით არ გაახორკლიანოს გასუფთავების მაგიერ ენა“¹³⁶. „დღეს წყენ მწერლობაში რამდენიც მწერალია, იმდენი ენაა, ესე თუი რა თემისაც არიან, იმ თემის ენით

¹³¹ იქვე.

¹³² „თქურია“, 1888, № 182.

¹³³ „თქურია“, 1899, № 166.

¹³⁴ „თქურია“, 1899, № 224.

¹³⁵ „მწეჟში“, 1886, № 19, 20.

¹³⁶ „თქურია“, 1888, № 166.

სწერენ და სოგიერთი ხომ თავისი სოფლის ენასაც ხმარობს. ამგვარად ენა აჭრელდა... ბ-ნი მანხაანელის ქიშიყურმა პროსამ და ბ-ნი ვაჟა-ფშაველას ფშაურმა პოეზიამ კი ბევრი მეტბარგად ნასარიცხი სიტყვები და უკან ჩამორჩენილი გრამატიკური ფორმები შემოიტანა მწერლობაში¹³⁷.

ენის გამდაბიურება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მდაბიოსაგან“ შეცდომით ხმარებული რომელიმე ფორმა მწერლობაში შემოვიტანოთ. მაგ.: წვეენ, იყვენ — ფორმების შემოტანა „მართლებნობის და მართლწერის კანონის დარღვევად უნდა მივიხნით“¹³⁸.

8. დიალექტური ლექსიკის შემოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სალიტერატურო ენაში ბადალი სიტყვა არა გვაქვს: თუ მწერალს „თემის სიტყვა შემოაქვს მწერლობაში, იმის მაგიერი იქ არ უნდა იყოს“¹³⁹.

9. დიალექტური მეტყველების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში: „თემის კილოს ადგილი აქვს მწერლობაში, როდესაც მწერალი ალაპარაკებს თავის გმირს“¹⁴⁰.

10. „არქაიზმები და უცხოენოვანი სიტყვები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ“¹⁴¹.

11. დაუშვებელია უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოღება სხვა ენათა გავლენით (მაგ., სქესის შემოღება ქართულში რუსულის გავლენით) — „ეს არის უკანსულა ენის მეცნიერებაში“¹⁴².

პ. მირიანაშვილის კონცეფციის მთლიანობის დასაცავად გადმოვკვამთ შემდგომი ხანის (XX ს-ის 10–20-იანი წწ.) წერილებში ახახულ პრინციპებსაც. „იუერიის“ შემდგომ პერიოდში პ. მირიანაშვილი იცავს სემიოლნიშნულ დებულებებს, სოგჯერ კიდევ უფრო აღრმავენს მათ, სოგიერთში კორექტივი შეაქვს, აყალიბებს სოგ ახალ თეზისსაც. ძირითადად კი მისი ამ ხანის წერილები მიმართულია ე. წ. „დასავლელი მწერლების“, „იმერელი ავტორების“ შეხედულებათა წინააღმდეგ (კეთილჩინოვანება, დასავლური დიალექტების ადგილი სალიტერატურო ენის განვითარებაში და სხვ.).

ეს თეზისები ასეთია:

1. ენის კულტურის შესაქმნელად აუცილებელია ნორმები¹⁴³.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ „იუერია“, 1903, № 168.

¹³⁹ „იუერია“, 1888, № 166.

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² „მწვეთისი“, 1886, № 19–20.

¹⁴³ „ახახალსო გაზეთი“, 1912, № 663.

2. ჩვენი ენა და კულტურა ქართლშია მოგვცა, IV ს-დან მწერლობა ქართულად იყო, რაც 'შეკლავიმ ნიჭიერ მწერალთა მიერ იქნა შექმნილი' კულ-განვითარებული¹⁴⁴. ქართლური ფორმები მტკიცეა და ეთანხმება ქართული კლასიკური მწერლობის ფორმებს, თუმცა ის მუდამ მდიდრდებოდა სხვა კილათა სიტყვებითაც, თუ ასეთი კლასიკურ ენას არ გააჩნდა¹⁴⁵.

3. ძველი ქართული მკაცრად ნორმირებული ენა იყო. ძველად ერთი სკოლა — ქართლის სკოლა ბატონობდა და ყველა თემის ქართველი ერთი ენითა წერდა, მათი ვინაობის გამოსწობაც კი ძნელი იყო¹⁴⁶.

4. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვულე შეიქმნა ქართული სკოლის აკრძალვის გამო. ქართული სკოლების უქონლობას, ქართული კულტურის ბუნებრივი განვითარების შეწყვეტამ დასცა ცოდნა მთელ საქართველოში. ცხადია, იმეჩმედა იმ თემებზედაც, სადაც ბატონობდა მხოლოდ ქართლის სკოლა, რომლის ნორმებიც სავალდებულო იყო ყველა ქართველისათვის¹⁴⁷.

5. ამ სიტყვლის აღსაკვეთად და ერთიანობის დასამკვიდრებლად კვლავ აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებას უნდა დავევრდნოთ: „ენა მხოლოდ ქართლის ყოფილა, არის ახლაც უფროს ერთ შემთხვევაში და მომავალშიც უნდა იქმნეს, მაგრამ განსწმენდილ-გასუფთაებელი ყოველგვარი სორცმეჭისაგან“¹⁴⁸.

6. სალიტერატურო ენაში პარალელური ფორმები დაუშვებელია. სალიტერატურო ნორმის დახადგენად ქართლის მეტყველებაზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია. „ორი სიტყვა, ორნაირი სახე მისი ქვეყის (მწერლობაში) მიუღებელია, უფრო მაშინ, როცა ერთი სიტყვის, ერთი ფორმის დასამყარებლად საჭიროა მიემართოთ აღმოსავლეთის საქართველოს, რომლისგანითაც შექმნილია ძველი მწერლობა, რომლის ენის ფორმებიც დღეს კმოვეებს სიმართლეს იმავე ძველ მწერლობაში“¹⁴⁹.

7. გაუმართლებელია ზოგი დასავლელი მწერლის ცდა — ქართულ სალიტერატურო ენას თავს მოახვიოს პროვინციალიზმები. ეს იგივეა, რაც პარიზულ ან მოსკოვეურ დიალექტს რომ პროვინციამ თავს მოახვიოს თავისი ენა. სამწერლო-სამოქალაქო ენა მხოლოდ

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

¹⁴⁶ იქვე.

¹⁴⁷ „განათლება“, 1913, № 5.

¹⁴⁸ „სახალხო საქმე“, 1920, № 835.

¹⁴⁹ იქვე.

ქართლს ეკუთვნის და ეს ენა უნდა გაიწმინდოს ხორც-მკერებისაგან¹⁵⁰.

8. სალიტერატურო ენის გამდიდრება შეიძლება სხვა დიალექტების მასალითაც: „უნდა ეწეროთ, როგორც ილაპარაკება ქართლში და გაეამდიდროთ იმ გერულ-იმერული სიტყვებით, რომლებიც დედა-ქართლში აღარ დარჩენილა“¹⁵¹.

9. კარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთსა და ზემო იმერეთში¹⁵².

10. ის, რასაც იმერელი ავტორები კეთილხმოვანებას უწოდებენ („კათა“, „თათყირი“...), „ამერულად ჩიფჩიფს უდრის“¹⁵³.

11. იმერულ-გურული ხმების დარბილება მეგრულ-ჭანურის გაელენას მიეწერება¹⁵⁴.

12. ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის ნორმები უნდა დაუახლოვდეს მე-18 ს-ის დასასრულის („რუსობის წინა პერიოდის“) ქართულს¹⁵⁵.

13. ძველ ქართულზე ორიენტაციის აღება (მიბაძვა) აღარ იძლევა შედეგს. მკულეჟარ-ბელეტრისტთა უპრაოდესობის ერუდიცია შესლუდულია (პრესას ვერ გასცილებია), რუსობის წინა პერიოდის სიტყვა-კაშხელი ლიტერატურა მათთვის უცნობია¹⁵⁶.

14. ქართლურის ხმათა ცვლა მყარია, იმერულისგან განსხვავებით, არც თანხმოვანთა დარბილება ხდება¹⁵⁷.

15. შეცდომაა და უარსაყოფია უცხოური სიტყვების გადმოტანა უარტიკლო და სქესიანი რუსული ენის მიხედვით. უნდა შექმნილიყოს უცხოური ძირი და დაეუქმებოდეს ნუენი -ი დაბოლოება (მაგ.: ფილოსოფი-ი, ფიზიკი-ი, ინდივიდუალ-ი...) ¹⁵⁸.

16. უცხო ენის პრეფიქსების შემოტანა ენაში ამ ხალხის დამონებისა და ენის გადაგვარების ნიშანია.

„უცხო კულტურისა და ენის ნორმების ბატონობისას ადგილობრივი ენა გადაგვარების გზაზე ღვება და გაბატონებული ენის ღონეს დაესხსება აზრის გამოთქმას. მაშინ გაბატონებული ენის პრეფიქსი გადმოსდის დამონებული ენის ფსიქიკაში და აზრს

¹⁵⁰ „სახალხო ხაქმე“, 1920, № 835.

¹⁵¹ „სახალხო ხაქმე“, 1919, № 695.

¹⁵² იქვე.

¹⁵³ იქვე.

¹⁵⁴ „სახალხო გაზეთი“, 1912, № 663.

¹⁵⁵ „სახალხო ხაქმე“, 1919, № 695.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ „სახალხო ყურეული“, 1915, № 196.

თავისებურად გამოათქმევინებს (მაგ., *допускать* — დაშვება, მაშინ როცა დაშვება — რუს. *опускаться*)¹⁵⁹.

17. მართლწერა, როგორც გრამატიკის დარგი, ქართულში არ არსებობს. ყოველ ბგერას ცალკე ასო შეესაბამება. ვინც კარგად ლაპარაკობს, კარგადაც წერს. ამიტომ განსაკუთრებული ორთოგრაფია არა გვაქვს¹⁶⁰.

VII. ალექსანდრე ნანეიშვილი. „ივერიის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი ალ. ნანეიშვილი თელის, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თემც რთული, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა არის ძველი ქართულის სიმდიდრისა და ცოცხალი ენის მონაცემთა გაერთიანება.

სალიტერატურო ენის მოწესრიგების, მისი ნორმალისაციის პრინციპთა შესახებ ალ. ნანეიშვილს შემდეგი თეზისები აქვს ჩამოყალიბებული:

1. გრამატიკა ანუ ენის კანონთა კრებული ბუნებრივი კუთვნილებაა ენისა, ენასთან ერთად დაბადებული და არ შეიძლება მისი სხვა ენიდან შეთვისება. ქართული ენის სიმდიდრე არ შეიძლება სხვადასხვა ენის გავლენას მივაწეროთ¹⁶¹. მკვდარია მოსახრება, თითქოს ენის განვითარების ერთ-ერთი საშუალება სამომავლოდ უცხო ენებიდან საუკეთესო ფორმებისა და კონსტრუქციების შეთვისება იყოს. ენობრივი კონსტრუქცია ანუ აგებულება ენის არსია, მისი ძირითადი მახასიათებელი და იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეიცვალოს უცხო ენათა აგებულებით: „გრამატიკული ფორმები ენისა და მისი კონსტრუქცია სხვა უცხო ენიდამ არ გადაიხდება, ერთიკა და მეორეც ყოველ ენას თავისი აქვს“¹⁶².

2. ქართულზე უცხო ენათა გავლენის უარყოფა შეუძლებელია: „ჩვენ რომ ამას ვამბობთ, არავინ იფიქროს, ვითომ ჩვენ უარეყოფდეთ უცხო ენათა სემოქმედების საჭიროებას ჩვენს ენაზე, როცა ამას მოითხოვს თვით ენისა და მწერლობის წარმატება“¹⁶³. საყოველთაოდ სიტყვების მიუღებლობა შეუქნარებელია... ქართულმა ენამაც უნდა შეითვისოს ასეთი დექსიკური მასალა¹⁶⁴.

3. არ არის დედამიწის ზურგზე არც ერთი ენა, რომელშიც უცხო ელემენტი არ მოიპოვებოდეს: თუ... ისტორია ერთა შორის

¹⁵⁹ „სახალსო გაზეთი“, 1912, № 691.

¹⁶⁰ „სახალსო ფურცელი“, 1915, № 196.

¹⁶¹ „ივერია“, 1883, № 9.

¹⁶² იქვე.

¹⁶³ „ივერია“, 1887, № 226.

¹⁶⁴ იქვე, № 123.

ხიდს გადებს სამეცნიერო თუ პოლიტიკურ სფეროში, არ შეიძლება ერთმა ენამ მყორისა არა შეითვისოს-რა... ეს აღებ-მიცემობა, თუ კანონიერად და საჭიროების მიხედვით წარმოებს, სახსარია ენის გამდიდრებისა, გაძლიერებისა, გამშვენიერებისა. ასეა ჩვენი ენაც... „ამ შევსების გზით თავს ირწყინს არამც თუ უკან ჩამორჩენილი ენა, არამედ სოფჯურ თვით წარმატებული ენაც იღებს ღალას ჩამორჩენილისაგან. თითოეული ენა ნაყოფია კაცობრიობის გენიოსობისა და ამიტომ ყოველს ენაში, ცოტად თუ ბევრად, მოიპოვება სოფიერთი იმისთანა რამ, რომელიც სანატრელია მყორისათვის“¹⁶⁵.

4. „მაგრამ ის, რაც ჩვენს ენაშივეა, უნდა ვამჯობინოთ სხვისას და ამიტომ სხვისი ენა უნდა მოვიშველიოთ დიდი სიფრთხილით და გამორჩევით“¹⁶⁶.

5. ენაში არეკლილია ერის წარსული, „ენა მკვიდრი სიგელია თითოეული ერის თავგადასავლისა, იგი იმის ისტორიაა, რომელშიც შეგიძლიათ ამოიკითხოთ რომელს ერს რომელ ერთან აქონდა სულიერი და ხორციელი აღებ-მიცემობა“¹⁶⁷.

6. ქართული თავისებური ენაა. მას წარსულში ბევრი რამ გადახდენია თავს. შეუთვისებია მრავალი ლექსიკური და იქნება გრამატიკული ელემენტიც სრულიად სხვადასხვა მოდგმის და ჯიშის ერთაგან. ამ მოსუესს უნდა მიეწეროს ალბათ ქართული ენის ლექსიკური და იქნება გრამატიკული სიმდიდრეც¹⁶⁸.

7. ჩვენს ქვეყანაზე გაუთავებელი შემოსევების გამო ქართული ენის წარმატებაცა და შესწავლაც დიდი ხნით შეჩერებული იყო¹⁶⁹.

8. „ერთსა და ორ თაობას, თუნდაც ძალიან თავდადებული იყოს, არ შეუძლია ძირეულად შეისწავლოს ენა. ამიტომ ჩვენი სიტყვიერება წარმოადგენს მარტო მდიდარს მასალას ენისას და არა იმის ცოდნა-მეცნიერებას“¹⁷⁰.

9. „ამ გზაზე ყველაზე ნაკლებ სცოდავენ ისინი, რომელნიც ცდილობენ გააერთიანონ ძველი მწერლობის სიმდიდრე და ცოცხალი ენის მონაცემები... გზა ძველი-ძველისა და ახლის ერთმანეთთან შეკავშირებისა ერთადერთი გზაა ჩვენი ენის წარმატებისათვის“¹⁷¹. თუ ჩვენ მწერლობას უნდა წარმატებას მიადწიოს, უნდა იაროს ძველისა და ახლის შეერთების გზით. მართალია ეს გზა

¹⁶⁵ „სიფრთხილი“, 1887, № 223.

¹⁶⁶ იქვე, № 226.

¹⁶⁷ იქვე.

¹⁶⁸ იქვე, № 121.

¹⁶⁹ იქვე, № 221.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ იქვე, № 223.

მკული და რთულია, იგი ბევრ შრომას მოითხოვს, მაგრამ ქართველობამ ეს უნდა გააკეთოს, თან ძალიან ნაფიქრებით და გამორჩეუთ¹⁷². „ასეთი შეკავშირებით ძველი და ახალი აქსებს ერთმანეთს, რაც ერთს აკლია, იმას მეორეში ცოტად თუ ბევრად კოოქლობა“¹⁷³.

10. „ძველ მწერლობაში შენახულია, დაცულია მრავალი ნამდვილად ქართული ფორმები, გრამატიკული კანონები და სიტყვები, რის გამოსისობითაც ეს ენა დღეს გასაგებია ხალხისთვის, ამასთან, ძველს მწერლობაში შეკავშირდა აღმოჩენილი ქართული ენის კანონები, საჭირო სიტყვები, რომლებიც ხალხს არ დაუვიწყებია, ანდა იმის ყურამდე არც-კი მისულა“¹⁷⁴.

ძველ ქართულ სიტყვებს და ფორმებს არ უნდა ვარსიოთ უცხო გაუგებარი სიტყვები და ფორმები¹⁷⁵.

11. ენას მწერლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: თუ ენა მძიმე და გაუგებარია, მაშინ თვით მწერლობაც უქმია. ამიტომ ყოველი მწერალი და მწერლობა დიდ ყურადღებას აქცევს ენას, ცდილობს გაამშვენიეროს, გააღამაზოს იგი¹⁷⁶.

VIII. ნიკო ხიზანიშვილი (ნ. ურბნელი). 1888 წ. „აქერის“ რამდენსამე ნამერში ნიკო ხიზანიშვილმა ნ. ულის ფსევდონიმით გამოაქვეყნა მეთაური წერილები¹⁷⁷, რომლებშიც იგი ძირითადად პ. ძირიანაშვილის შესჯღუღულებებს იხილაეს და ედაეება, მაგრამ ამ მსჯულობისას ბევრ საყურადღებო დებულებასაც აქვენებს. მაგ:

1. ენის გაჩენა და განვითარება, ისტორია ენისა თავის საკუთარ კანონებს ექვემდებარება.

2. ენის ერთობა არ არის აუცილებელ კავშირში ერის ერთობასთან. ერის „ერთობას სუღ-მოქმედება აქვს ენის ერთობა“^{სუ}, მაგრამ ერის ერთობა ამისი დოგაკერი და ისტორიული შედეგი რილია¹⁷⁸.

3. ქართველ ხალხს მუდამ ერთი სალიტერატურო ენა აქონდა, მიუხედავად ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა: „ფაქტია, რომ ყოველთვის და ყველგან საქართველოს მოკელი ისტორიის განსაჯლობაში ერთი და იგივე სამწიგნობრო ლიტერატურული ენა აქონდა, იქაც კი (მაგ., სამეგრელოში), სადაც სათემო ენა მეტად გამორჩეულია სამწიგნობრო ენისაგან... სასელმწიფო ერთიანობის დაშ-

¹⁷² იქვე.

¹⁷³ „აქერია“, 1887, № 226.

¹⁷⁴ იქვე, № 223.

¹⁷⁵ იქვე, № 221.

¹⁷⁶ იქვე, № 219.

¹⁷⁷ იქვე, №№ 168, 170, 171, 177.

¹⁷⁸ იქვე, № 168. აქ ურბნელი უპირისპირდება პ. უსიკაშვილს.

ლასაც კი არ გამოუწვევია „სახოგადო სასაუბრო ენის დავიწვება“. ერთობის მოხმობამა და დამხობამ ის კი არ გამოიწვია, რომ ენაში სათქმო კილომ, პროჟინციადლი¹⁷⁹სმმა გაიდგა ფეხი, არამედ ის, რომ ერთობასთან ერთად წყენი ენისა და გონების სრდა და განვითარება შექერდა, მწერლობამა და ახრმა წინ ვეღარ წაიწია და მოელს მწერლობას ეკლესიური ფერი დაედო, ეკლესიური კილო გაბატონდა, რომელმაც მოლად შექსუთა ენისა და სიტყვის თავისუფლება¹⁷⁹.

4. მცდარია აზრი, რომ მესხეთმა მისცა საქართველოს სალიტერატურო ენა. „გაცილებით ადრე, ვიდრე მესხეთი განათლების მოედანზე გამოვიდოდა, არსებობდა საერთო სალიტერატურო ენა, იმდენად განვითარებული და შემუშავებული, რომ ადვილად მოხერხდა საღეთო წერილისა და საეკლესიო წიგნების თარგმნა“¹⁸⁰.

5. ახალ ქართულ სალიტერატურო ენას აკლია დახვეწილობა, ენაში სიტყვლება: „აწინდელი ქართული ლიტერატურული ენა და კილო „ახალი დროის“ ნაყოფია... იგი სრულს, შემუშავებულს არას წარმოადგენს... ამჟამად ენასა და კილოს თავისი ბუნება დაეწოვება, დაევიწენია რაც საკუთარმა გრამატიკამ უნდურდა... წყენი დროის ენა-კილო ისეა დაქსაქსული, რომ თავი ზოლოს ვერ ებმის და ზოლო თავსა. ახლის კილოს დირსება მეტად მდარეა“¹⁸¹.

6. ქართულ სალიტერატურო ენაში „ძველისა“ და ახლის ბრძოლამ შექმნა სირთულეები: „ძველისა“ და „ახლის“ ბრძოლაში უნდა მოიძებნოს მიხეხი იმისა, რომ აქამომდე წყენს მწერლობას საერთო სალიტერატურო კილო არა აქვს. იგი გარკვეული და განმარტებული არ არის. „ძველი“ და „ახალი“ ერთმანეთშია არეული, საერო და სათქმო კილო უმხოდ ერთადლა მოთავსებული“¹⁸².

7. სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო დიალექტებია. ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი არა მარტო ასახრდოებს, არამედ სიცოცხლის ძალას მმარტებს ენას. „საერთო ენა, რაც კი რამე კარგია და მშეენიურია სათქმო კილოში, ითქისებს, ისაკუთრებს და ამ შეთქისებაზეა დამოკიდებული საერთო ენის აღორძინებაცა, იგი მამინ შედის წარმარტებაში და ყოველთქის განკარგების გზას ადგია, როცა კავშირს არ წყვეტს ხალხის ცოცხალ ენასთან, სათქმო კილოსთან“¹⁸³.

¹⁷⁹ „თქერია“, 1888, № 169.

¹⁸⁰ იქვე.

¹⁸¹ „თქერია“, 1888, № 171.

¹⁸² იქვე. შდრ. აღ. ნახეიშქიდლის მოსახრება ამავე საქისზე.

¹⁸³ „თქერია“, 1888, № 170.

8. ახალი სალიტერატურო ენა ხალხის ცოცხალ მეტყველებას ემყარება. „ახალმა ქართულმა მწერლობამ უარყო ძველი გარდაამოცემა — საეკლესიო კილო და მიმართა სახალხო. ცოცხალ ენას. აი სწორედ მაშინ გამოიწინა... მწერლობაში სათქმელ კილოც“¹⁸⁴.

9. მაგრამ ცოცხალი სასაუბრო ენის მასალა მხოლოდ გადამუშავებული სახით შეიძლება შევიდეს სალიტერატურო ენაში. ე. წ. ცოცხალი ენა, ის ენა, რომელსეც წყენი განუყვითარებელი სალსი ღაპარაკობს, მასალაა მწერლობისთვის და არა მზა იარაღი, იმას შემუშავება და განუითარება ეჭირება და უამისოდ მისი მწერლობაში ხმარება სრულადაც არ მოასწავებს სამწერლო ენის გამოსდრებასა და წარმატებას“¹⁸⁵.

10. ქართული ენა მზად არ არის ევროპული მეცნიერების გასავრცელებლად. მას საამისოდ ბევრი რამ აკლია. ამ მხრე რუსული ენა დაგვეხმარება, მაგრამ, ამასთანავე, რუსულ ენას კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ, არ უნდა დავეშვათ მისი გავლენა ქართულ გრამატიკაზე, რადგან თუმიცა რუსული ენა წყენთვის ის ძლიერი იარაღია, ურომლისოდაც ევროპული ენის მიღება არ შეეკიდია, მაგრამ „რუსულმა ენამ კი მაინც გზაკეალი შეუშალა წყენს გრამატიკას, წყენი ენის ნორმალურ ზრდას“¹⁸⁶.

IX. ვაჟა-ფშაველა. გენიალურ პოეტს ვაჟა-ფშაველას უხაყველურეს სალიტერატურო ენაში ყმაური კილოს ყაქტების ყვართოდ შემოტანის გამო. ვაჟამ დაიცვა თავისი პოზიცია და პასუხი გასცა ამ ბრალდებას, წერილებში: „მცირე შენიშვნა“ („ივერია“, 1888, № 192) და „ენა (მცირე შენიშვნა)“ („ივერია“, 1901, № 46) გამოიწინა ვაჟას შესვლელება ზოგი თეორიული საკითხის შესახებაც, მისი აზრით:

1. სალიტერატურო ენის ფუძე, საძირკველი ხალხის მეტყველებაა. „ხალსი, ერი დედაა ენისა. იგი პბადებს და ზრდის ენას, როგორც დედა შვილს“¹⁸⁷.

2. სალიტერატურო ენა თავისი სიახლის გამო მოკლებულია ბევრ საჭირო სიტყვას თუ ფორმას და „ეს ყორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული“. მაგ., იხმარება რუსული სიტყვა „სმაროდინა“, მაშინ როცა ქართულში, მთის კილოებში გვაქვს „მოცხარი“, „ხენწი“¹⁸⁸.

¹⁸⁴ „ივერია“, 1888, № 170.

¹⁸⁵ ნ. ურბნელი აქ გრ. ორბელიანის მიერ გამოთქმულ აზრს ესმანება.

¹⁸⁶ „ივერია“, 1888, № 177.

¹⁸⁷ „ივერია“, 1888, № 192.

¹⁸⁸ იქვე.

3. მწერალს არ შეუძლია სავალდებულო გახადოს რომელიმე სიტყვა ან ფორმა, მაგრამ ის კი შეუძლია და მოვალეცაა, რომ ყველა საუკრავდებო სიტყვა ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულ ენას; თუ ის შეეფერება ენის ხასიათს, მის ბუნებას, ენა მიიღებს მას¹⁸⁹.

4. დიალექტური თუ ძველი ფორმების შემოტანა სალიტერატურო ენაში დასაძრახისი როდია. ისინი ამდიდრებენ ენას, ხოლო მათი „გატანა და შექცობა — ერის გაღატაკად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმანია“¹⁹⁰.

მაგრამ კუთხური ლაქსიკისა და ფორმების გამოყენება პერსონაჟის მეტყველებაში სავსებით დასაშვებია: „სახალხო მწერალს, როცა ხალხს აღაპარაკებს, ეპატიება ამ ფორმების ხმარება“¹⁹¹.

5. სათავე ენისა არის დიდ მწერალთა ნაწარმოებებსა და იმ კილოებში, რომელთაც სხვა ენის გავლენა არ შეხებიათ და უმწიკველი, შეუბღალავად შეუნახავთ ენა. ეს სათავე წმინდაა და აუქმდრეველი. „სხეებს რომ თავი დაჟანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად წყნთეის მხოლოდ ორი მწერალი კმარა — შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყენელის ენის მონაუბრედ კიდევ მთაყუნა“¹⁹².

6. ძველი ფორმების შემონახვა მთის კილოებში „ჩამორჩენილობას“ არ უნდა მივაწეროთ. „ყმაველებზე (ყხოველებზე) ნაკლებად აქონდათ შემოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დაეარქვათ იმათ სასაუბრო ენას) და გრამატიკული ფორმები, როგორც ჩამდვლი ძველი ქართული, სრულიად პვეანან ძველის მწერლების ნაწერებისას, რის გამო იმათ „უკან ჩამორჩენა“ არ იკუთვნით“¹⁹³.

7. ენა იცვლება, წინ მიდის. ეს ცვლილება ეხება ლექსიკურ მხარეს. ენის წინსვლა და წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ „ენა მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატავად“¹⁹⁴. ხოლო ენის არსი, მისი ბუნება და ხასიათი ამ ცვლილებას არ ემორჩილება. „თუ ეს მოხდა (ე. ი. თუ იცვალა ბუნება და ხასიათი ენისა — ლ. ლ.), მაშინ ენაცა კვლავ ბა“¹⁹⁵.

¹⁸⁹ „თვეურია“, 1888, № 192.

¹⁹⁰ „თვეურია“, 1901, № 46.

¹⁹¹ „თვეურია“, 1888, № 192.

¹⁹² „თვეურია“, 1901, № 46.

¹⁹³ „თვეურია“, 1888, № 192.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ იქვე.

8. რამდენადაც უფრო განვითარებულია, მაღალ დონეზეა ენა, იმდენად უფრო სრულყოფილია მისი ლექსიკა. „რამდენიც უფრო წინ წასულია და წარმატებულია (ენა), იმდენად უფრო მომსახურებელია ყველა ცნების გამოსახატავად. მაშინ ენას ყველა ცნების გამოსახატავად საკუთარი სიტყვა მოუპოვება, ყოველს ახსრს, რაც უნდა მისი და განყენებული იყოს, ადვილად გამოსთქვას“¹⁹⁶.

9. ქართული ძველი ენაა. „ქართული ენა გუშინს მოგონილი ხომ არ არის, იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟიკაცია“¹⁹⁷.

X. გრიგოლ ყიფშიძე. იღიას ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გრ. ყიფშიძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო: პუბლიცისტი, ჟურნალისტიკის ისტორიკოსი, ლიტერატურისა და თეატრის კრიტიკოსი, ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი... იგი „ივერიას“ რედაქტორობდა 1903–1905 წ.წ. ენის სადავო საკითხები მისი ყურადღების ცენტრში იყო ყოველთვის და, როგორც მის წერილებში გაბნეული დებულებებიდან ჩანს, მათ მოსაწესრიგებლად ასეთი წანამძღვრების გათვალისწინება მიაჩნდა საჭიროდ:

1. ენა ერის არსებითი ნიშანია: „ენას არა თუ უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, არამედ ენა თითქმის ყველაფერია. ის ერი არ არის, რომელსაც თავისი საკუთარი ენა არა აქვს... ენა ხინონიშია ერისა“¹⁹⁸. როცა ენა ფუჭდება, ხდება — ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ერიც ეცემა სულით, გადაგვარების გზას ადგება“¹⁹⁹.

2. გრამატიკა თავისთავად კი არ არსებობს, იგი ცოცხალ ენას ექვემდებარება და იმის ფუნქციებს აღნიშნავს მხოლოდ²⁰⁰.

3. ენის სიწმინდე უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს: „ენის სიწმინდეს ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც დიდსა და ღრმად რამ საერო რწმენას, როგორც თვით სულს... შებღალვა ენისა იგივე შებღალვაა, გარყენაა, იგივე გათახსირებაა ერისა“²⁰¹.

4. სალიტერატურო ენაზე ზრუნვა მწერლების უშუალო მოვალეობაა. მან უნდა გააასკეცოს ბრძოლა „დედაენის სიწმინდისა და კანონიერებისათვის“, რისთვისაც ძირითად მიზნად უნდა ისახაქდეს ქართული ენის ბუნების, მისი ბუნებრივი მიმსხერის დაცვას, შენარსუნებას“²⁰².

¹⁹⁶ „ივერია“, 1888, № 192.

¹⁹⁷ „ივერია“, 1901, № 46.

¹⁹⁸ „ივერია“, 1903, № 4.

¹⁹⁹ „მოამბე“, 1895, № 4.

²⁰⁰ იქვე.

²⁰¹ „ივერია“, 1903, № 4.

²⁰² „მოამბე“, 1895, № 4.

5. ენას ამდიდრებს, აძლიერებს და აცხოველებს მისი ფართოდ გამოყენება ცხოვრების ყველა სფეროში: „საჯა ენა ერისა ისმის ყველგან — მართა-გამტკობის საქმეშიაჲც, მხედრობასა, სასამართლოსა, სკოლასა და ყველა სხვა სასოგადოებრივსა და კერძო დაწესებულებებშიაჲც, როგორც ძველად საქართველოში იყო, იქ ენა მხრეულება, ცხოველდება, მდიდრდება, ძლიერდება და გულხალვათად შლის ფრთებს“²⁰³.

6. ქართული ენის მოხმარების ასპარეზი შექოცლებულია, იგი შეფარებულია სოფელსა და ქართულ მწერლობაში. „დღეს წყენში ქართულს ძალიან პატარა წრე აქვს გარშემორტყმული... მცირე ასპარეზი აქვს საჯარჯოშიად, ფრთისგახაშლელად. როგორც ვიცით, წყენი ენა თითქმის არსად არ ვარჯიშობს... ისევე სოფელი და სოფელური ოჯახია (მღაბისი) დღეს ერთად-ერთი ციხე-დარბაზი, საცა წყენი ენა თავს აფარებს, საცა თავისუფალია ცოტად თუ ბევრად, თითქმის წყაროსხვეთ ანკარა და წმინდა, შეურევენელ-გაერევენელი... მწერლობა მკორე ძისა და ღაღაა დედა-ენისა; ის ღიადი კერაა, საცა მწყლია, თითქმის ყოვლად შეუძლებელია მისი გაქრობა ისე, როგორც შეუძლებელია მისი გაქრობა სოფლად... მწერლობის დიდს კერაში ძღვივის განუქრობლად ცეცხლი იმ ცით მონიჭებული მადლისა, რომელსაც დედაენა ეწოდება. მწერლობაა მისი მცველი, მისი ხმალამოღებული დარაჯი“²⁰⁴.

7. ხალტიერატურო ენა ახლოს დგას ხალხის მეტყველებასთან. წყენი მწერლობის ენა და მღაბით ხალხის ენა ღიად არ არის ერთმანეთისაგან დაშორებული. ეს სახლყოვე უნდა დავიცვათ შექმნეშიაჲც, ამიტომ უნდა გაფერთხილდეთ, რომ მწერლის ენა ხალხისას არ დაშორდეს“²⁰⁵.

8. ენისათვის უფრო მტკივნეულია სინტაქსური დარღვევები — კალკირება და უხეირო სიტყვათშესამებები, ვიდრე ორთოგრაფიულ და მორფოლოგიურ ფორმათა სიტყველუ ანენის ფიქრით, ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საქმე ასოები, მარცვლები და სიტყვები კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხერა, მისი სოგადი აგებულება... საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე სინტაქსია, ღექით-თხზულება ანუ ის კანონები, რომელთაც ემორჩილება სიტყვცხლე ენისა, მისი არსებობა“²⁰⁶.

²⁰³ „მოსამბე“, 1895, № 4.

²⁰⁴ იქვე.

²⁰⁵ „თეკრია“, 1903, № 6.

²⁰⁶ „მოსამბე“, 1895, № 4.

9. არ უნდა აიკრძალოს ფონეტიკური და მორფოლოგიური დიალექტური პარალელიზმების ხმარება. თუ ფორმა უცხო ენიდან არ არის შემოსტანილი და საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში იხმარება, „კანონიერია, სამართლიანი და მორფოლოგიის მიერ შექცნარებულად“²⁰⁷. თუ ერთი ფორმა ერთ კუთხეში იხმარება, მეორე კი — მეორეში (მაგ.: მიატა/მეიტა, იყვეს/იყოს, თვალა/თოლი, კიდენ/კიდევ, ძალიან/ძაან/ძაღან...), ამას არ უნდა ვებრძოდეთ, რადგან ყველა კანონიერია და „არავის არავითარი არც ნება აქვს და არც შეუძლია მოითხოვოს: ასე იხმარეთ ვგ სიტყვა და არა ისე“²⁰⁸. ამიტომ არც ღირს დავა იმასუდ, „როგორ სჯობიან ვწეროთ ისეთი სიტყვანი, რომელთაც ორნაირი და სამნაირი ფორმა აქვთ და რომელთაც ერთი მწერალი ასე სწერს, მეორე ისე“²⁰⁹.

10. დიალექტურ სახესხვაობათა არსებობით ზიანი არ მიეცმა ქართულ ენას, „პირიქით, უფრო გამდიდრდება ენა, გამდიდრდება ლექსიკონი, იმატებს მასალა ენისა. სიყრთხილით ხმარება პროვინციალურის არა თუ სიტყვებისა, ფორმა-მიმოსერისაც კი მეტადრე პოეზიასა და ბელეტრისტიკაში, აუცილებელი საჭიროებაც კია: უამისოდ ჭეშმარიტი საეროვნო პოეზია შეუძლებელია“²¹⁰.

11. ენა უნდა დავიცვათ უცხოენოვანი მასალის შემოჭრისაგან: „ჩვენი ენის უდიდესი ნაკლი რუსიციზმებია. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო იმისა, რომ რუსული ან ვეროპული განათლება შეეძინოს, მაგრამ არ უნდა გაფრყვნათ ენა არც რუსიციზმებით, არც გალიციზმებით და არც გერმანიზმებით“²¹¹.

12. უცხო ენათა გავლენისაგან კარგადაა დაცული ხალხის, გლეხკაცობის ენა, საგმირო ზეპირსიტყვაობის ენა. ყველა დროის დიდებულნი მწერლები იმ საუნჯიდან კრებდნენ მარგალიტებს. „გაიხსენეთ პუშკინის სიტყვები: ენა უნდა ვისწავლოთ მდაბიო ხალხში“²¹².

13. სხვა ენიდან „არა ყოველი გამოთქმა შეიძლება გადმოითარგმნოს... მრავალია ისეთი გამოთქმა რუსულშიაცა და სხვა უცხო ენაშიაც, რომლის პირდაპირ თარგმნა ქართულის შებღალყად უნდა წაითვალოს“²¹³.

(ვოტა მოგვიანებით, 1911 წ. გამოქვეყნებულ წერილებში ჩანს, რომ გრ. ყიფშიძის მოსასრებებმა გარკვეული ცვლილება განიცა-

²⁰⁷ „მოამბე“, 1895, № 4.

²⁰⁸ იქვე.

²⁰⁹ იქვე.

²¹⁰ იქვე.

²¹¹ „საქურია“, 1903, № 4.

²¹² იქვე.

²¹³ „საქურია“, 1903, № 13.

და, სოგი რამ დასუბტდა, დაიხვეწა, სოგი ახალი თუხისი იქნა წა-
მოიყენებუდი... ამ საინტერესო მოღვაწის შეხვედრებათა სრულად
წარმოსადგენად ამ წერილებს ეთავალისწინებთ. „ივერიაში“
მოღვაწეობის შემდგომი პერიოდის თეორიული ნააზრევი გრ. ყოფ-
შიძისა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. ახალი სალიტერატურო ენა ჭრელია. „ახალმა მწერლებმა...
დომხალიყით აურის ძველი და ახალი სიტყვები, საგრამატიკო
ფორმები, ეტიმოლოგია და სინტაქსი... ყველა ისე წერს, როგორც
მოუპრიანება... პრესა ცდილობს ერთ რომელსამე მართლწერას
დაადგინენ. მაგრამ აქაც ვერ შევთანხმებულვართ. ერთი რედაქცია
ერთს მართლწერას ადგა. მეორე — მეორეს...“²¹⁴.

2. საჭიროა შემუშავდეს ყველასათვის სავალდებულო
მართლწერის წესები. „რუსეთში, საცა სამეცნიერო აკადემია
არსებობს სიტყვიერების განყოფილებით, მიუღს საუკუნეს... მიუწ-
დნენ მართლწერის დამკარებას“ და დღესაც ბევრი სადავო საკით-
ხი აქვთ, მოსუხვდავად იმისა, რომ აქვთ განათლების სამინისტრო,
რომელსაც ძალუქს ერთგვარი ნორმების გატარება სახელმძღვანე-
ლოებში, სკოლებში: წყენ ასეთ ხელმძღვანელ ძალას მოკლებული
ვართ და დღეს საერთო საყოველთაო ქართულს იმდენი ელფერი
მოეცა, „რამდენი გრამატიკისიც გვეყავს ან რამდენი კილოც
გვაქვს“²¹⁵. რას დავეუბრდნოთ, რაზე ავიღოთ ორიენტაცია?

3. სალიტერატურო ენის ქვაკუთხედი ქართლური კილოა. მას
უნდა ვერცინობოდეს, „ეისაც წმინდა ქართულისთვის გუელი შესტკი-
ვა...“. ქართლში „ხალხი, მდაბიო და დიდებული, ლაპარაკობს
ლიტერატურულის კილოთი... ვა კილო და წყენი დღევანდელი სა-
ლიტერატურო ენა თითქოს არ განსხვავდება და უბრალო გლეხი
და გლეხის დედაკაციც ისე ლაპარაკობს, თითქოს წყენს საუკე-
თესო სალიტერატურო ნაწერებზედ აღზრდილაო“²¹⁶.

მართალია, ქართლური ყველა სიტყვა და ფორმა სალიტერა-
ტურო ენისათვის არ გამოდგება, მაგრამ არსებითია არა ეს, არა-
მედ ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ენას ქართლური კილო დაე-

²¹⁴ „განათლება“, 1911, № 8, გვ. 498.

²¹⁵ იქვე გვ. 561.

²¹⁶ „ქართლი — ზემო და ქვემო ქართლი — იყო და არის საკმაოდ ვრცელი
ცენტრონა და მისი სიერცე უფინებოდა დაახლოებით: ტყილისხი, დუშეთისა,
გორისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს, საბარათიანოს ანუ ბორჩალოს
მაზრის ნაწილს, სწლებოდა შორაანის მაზრის ნაწილსაც. მიუღს მესხეთს,
რომელც იყო ვახუშტის გუბერაფიით, ზემო-ქართლი, ქართლის ცხიერებით —
ქვეყანა ზემოხა ქართლისაი“. „განათლება“, 1911, № 8, გვ. 561.

დო ხაფიჯელად და „ბუნება და სული ამ კილოსი სავსებით გამოხუ-
ვეა“ მის²¹⁷.

4. მკახეთა-თბილისი და მისი შემოგარენი იყო საქართველოს
უძველესი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, ამდენად ქარ-
თლური კილოს გაბატონება სალიტერატურო ენაში ბუნებრივი ის-
ტორიული პროცესის შედეგი იყო და არა რაიმე ძალდატანებისა.
„ვეელას უნდა გვახარებდეს და გვაიმსინველებდეს ის გარეისობა, რომ
საერთო ცენტრი გვაქვს, ერთი საერთო სალიტერატურო ენა მოუ-
ცია ჩვენთვის ისტორიას და იმას უნდა უფროთხილდებოდეთ“²¹⁸.

5. „სალიტერატურო ენის გამშენიერების სამი წყაროა: სოფე-
ლი, საცა ქართული თავისუფლად იბრუნებს სულს და სსქეფს ან-
კარა წყაროსავით შეურევენელ-გაურევენელი, ძველი მწერლობა, მა-
შინდელი, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო და ეოკელს
დარგსა და სვეროში ქართული ბატონობდა, უფლობდა, თავისუფ-
ლად მნაფარდობდა და მწერლობა ახალი, საუკეთესო მწერალთა-
გან შემქმნაველები“²¹⁹.

სოფელში „უნდა ვიგელისხმით ქართლის სოფელი, ქართლის
სოფელში მოუბარი ხალხი და ისიც ვეელა ვიგინდარა კი არა,
არამედ რჩეულნი, ენამეტყველნი, ენის აღლთით და ნიჭით სედა-
ჯილდობებულნი, სულ ერთია რა წოდებისა და სქესისა არ უნდა
იყოს ასეთი მცოდნე ენისა“²²⁰.

6. ქართლურის ასეთ დიდ როლთან ერთად სხვა პროვინციე-
ბის კილოებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება: ა. პერსონაჟთა
დასახასიათებლად (მაგ., ნინო²შვილის, კლდია²შვილის, რა²სიკა²შვი-
ლის ნაწერებში); ბ. ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად: სხვა
კილოებში უთუოდ აღმოსნდება სალიტერატურო ენისათვის გამო-
ხადები სიტყვა თუ ტერმინი, მაგრამ მათი გამოყენებისას სიფრთხი-
ლეა საჭირო. კიდევ მეტი სიფრთხილე უნდა გურულ-იმერულ-
ფშაური გრამატიკული ფორმების და, მითუქმეტეს, „საფიგურო,
მეტაფორული და მხატვრული ელფარე გამოთქმების“ სესხებისას²²¹;
გ. ენის ისტორიისათვის: გურულს, იმერულს, რაჭულს, ფშაურს...
დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენისა და ქართლური
კილოს სიტყვათა წარმომავლობის, ევოლუციის შესწავლაში
(ოღონდ, ისტორიულ პერიოდში). ხოლო ქართული ენის
პრეისტორიული ხანის გასაშუქებლად დიდი მნიშვნელობა აქვს

²¹⁷ იქნე: გვ. 559.

²¹⁸ „განათლება“, 1911, № 8, გვ. 569.

²¹⁹ იქნე: გვ. 559-560 (ხაზი ჩვენია. ლ. ლ.).

²²⁰ იქნე: გვ. 561.

²²¹ იქნე: გვ. 565.

ლაზურ-მეგრულ-სვანურის შესწავლას. „ლაზურ-მეგრული და სვანური შუქისა პუენის წყენის საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჯერ წყენი ერის ისტორია არც-კი დაწკებულყო“²²².

7. კახური კილო „ქართლური კილოსაგან თითქმის არაფრით განსხვავდება“²²³.

8. ამასთანავე, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ წყენს კლასიკოსთა ნაწერებს და ძველ მწერლობას: „ორში ერთი უნდა ავირჩიოთ თუ არ გვინდა დავაქცვიოთ... დიდებულად ამართული შენობა ენის წარმატებისა და ერთიანის კულტურის შუქმნისა: ან ძველს მწერლობას უნდა დავექცარიოთ და ექვლამ ის გავისაღოთ სახელმძღვანელოდ, ან ქართლის კილოსა და ლაპარაკს დავეგდოთ ეჭრო“²²⁴. მაგრამ მხოლოდ ძველ ქართულზე ორიენტაცია არ გამოგვადგება, რადგან ძველი ქართული სახმარი, ცოცხალი ენა აღარ არის; მისი „ბაძვა სიკვდილი იქმნება წყენის სულიერის შემოქმედებისათვის, რადგან იმას სიცოცხლის ძარღვი ნაწვევრცელი აქვს, სიცოცხლის დუდილში აღარ არის“²²⁵. ეს, რა თქმა უნდა, ძველი ენის მთლიანად უგულებელყოფას არ გულისხმობს: „ეს იმას როდი ანიშნავს... ძველს მწერლობას ნუ შეეისწავლით, მის ბუნებას ნუ დავაკვირდებით“²²⁶.

„ქართული სალიტერატურო ენა არის ძველი მწერლობის ნაშობი და ქართლის სალაპარაკო კილოზე დამყარებული, რომელიც ბოლოს შეიმუშავა ალ. ჭავჭავაძემ, ნ. ბარათაშვილმა თვისის ფოლადებრ მტკიცე დუქსითა, გრ. ორბელიანმა, რაფ. ერისთავმა, ილიამ და აკაკიმ“²²⁷.

9. ქართული მეტყველების საუკეთესო ნიმუშები შეიძლება ხალხურ შემოქმედებაში ვიპოვოთ: ენის „ბუნების მცოდნე საღისის კილო და შინა ქართულის წმინდად და ღამისად ლაპარაკისა დაქვლია... საერო პოეზიაში... პოეტურ პროზაში: სლაპარ-არაკში, გამოცანა-ანდასაში და სხვ.“²²⁸.

10. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის კეთილხმოვანების პრინციპი არ გამოდგება, რადგან ის სუბიექტური პრინციპია.

XI. ალექსანდრე ხახანაშვილი. ჯერ ისევე იღია იყო „ივერიის“ რედაქტორი, როდესაც გასეთში გამოქვეყნდა ალ. ხახანაშვილის

²²² იქმნ. იპ. 561.

²²³ „განათლება“, 1911, № 8, იპ. 565.

²²⁴ იქმნ. იპ. 499.

²²⁵ იქმნ.

²²⁶ იქმნ. იპ. 561.

²²⁷ იქმნ. იპ. 498.

²²⁸ იქმნ. იპ. 499-500.

წერილი „ქართული სამწერლო ენა“²²⁹. წერილს ახლავს რედაქციის შენიშვნა: „ებეჭლადეთ ამ წერილს, თუქცა ავტორის აზრს 'ხოჯეურთს საგანსუდ არ ვეთანხმებითო'. წერილში შექმლვეთ მოსახსრებებთა გამოთქმულთ:

1. ლიტერატურული ენა ყველგან და ყოველთვის ხელოვნურად შენდება რომელიმე კილოს საფუძველზე. რუსულის საფუძველია მოსკოვეური კილო, ნეენი ენისა — ქართლურთ.

2. „კილოების შეტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიფრთხილით, მაგრამ აუცილებლად, რადგან მწერლობის განვითარება თხოულაობს მისი ენის და მდაბითი ენის დაახლოვეებას“²³⁰.

3. თანამედროვე სალიტერატურო ენა სრულიად ახალი მოვლენაა და მისი ისტორია იწყება გ. ერისთავის ნაწერებიდან, რომელმაც სალიტერატურო ენას ქობად დაუდგა ქართლური კილო. ეს კილო გაბატონდა კიდევ მწერლობაში.

4. ქართული სამწერლო ენის ცვლა ჩვენს თვალწინ ხდება. რაზიკაშვილებში და ალ. ეაზბეგში დაამკვიდრეს ლიტერატურაში მთაში დარსენილი სიტყვები და ფორმები. ამას დაემატა... მდაბოერი ენა იმერეთისა და გურიის (ჯსიერების ამსახველ მოთხრობებში (დაე. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი). მკრცი, ილიას „კაცია-აღამიანი“ ენობრთვედ განსხვედლება „ოთარაანთ ქერისესაგან“, რომელიც ოცდაათი წლის შექმლვ დაიწერა.

5. ყოველივე ეს არღვევს დებულებას ქართული ენის კონსერვატიული ბუნების შესახებ: „საერთოდ ამ ორმოცი წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილება საკმარისად ასაბუთებს უსაფუძველობას იმ აზრისას, რომ ქართული ენა დროთა განმავლობაში არ შეიცვალა და „ვეფხისტყაოსნის“ ენა ახლაც სუფუქლახთვის ვითომც გასაგებთა“²³¹.

* * *

სუქომოვეგანილი მასალიდან, ვყვიქრობთ, გამოინდა, რომ „ივერიაში“ აისახა ენის ნორმალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებული აზრის წამოყალიბება-განვითარება.

²²⁹ „ივერია“, 1901, № 82.

²³⁰ „ივერია“, 1901, № 82.

²³¹ იქვე.

ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში რამდენიმე ეტაპობრივი, საკვანძო პრობლემა დაისვა. უპირველესი, ბუნებრივია, იყო ახალი სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საკითხი. ამ აზრმა გაიმარჯვა. ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა ცხარე პოლემიკაში დაახაბუთეს ხალხის ენაზე ორიენტაციის აღების აუცილებლობა, ახალი სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების, მის საკუთარ კალაპოტშივე დაბრუნების გარდაუვალობა.

1875 წ. დაიხურა ჟურნ. „ცისკარი“ — „ღარბაისკლერი ენის“ მომხრეთა უკანასკნელი ქომაგი — და სალიტერატურო ენის გახალსებების პრინციპს მოდაეუც აღარაეინ დარწა (ს. გორგაძე)²³².

გახალსებების პროცესმა ფართოდ გაუხსნა გზა ხალხურ მეტყველებას, დიალექტურ ფორმებს, რის შედეგადაც სალიტერატურო ენაში განჩნდა უამრავი პარალელური ფორმა, დიალექტისმიები. ენა აჭრულდა, დამძიმდა და წამოიჭრა ახალი პრობლემა: რა დონით უნდა შემოეშვათ დიალექტისმიები სალიტერატურო ენაში, რომელ დიალექტს უნდა დაკერძნობოდა ახალი სამწიგნობრო ენა. სულ მალე გამოიკვეთა ორი გეზი — ერთს „ივერია“ იცავდა, მეორეს — „დროება“ და „კვალი“.

„ივერიელი“ იმთავითვე იმ აზრს დაადგენენ, რომ სალიტერატურო ენის საყრდენი დიალექტი ქართლურია (პ. მირიანაშვილი მესხურს ანიჭებდა პრიორიტეტს), მაგრამ, მას შემდეგ, რაც სალიტერატურო ენაში შემოვიდა ფშაური, მოხეური, იმერული, გურული..., ენის თეორეტიკოსებმა აღიარეს დახვედური და სხვა დიალექტების ადგილიც ახალი სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბების პროცესში. დაე. ეიფიანმა კი სალიტერატურო ენის საყრდენად საერთო ქართული გამოაცხადა.

სალიტერატურო ენაში პარალელურ დიალექტურ ფორმათა განენისა და უცხო ენათა გავლენით დექსიკურ-გრამატიკული ბარბარისმიების მოხლეკეების გამო მწკავედ დადგა ახალი საკითხი, საკითხი ენის უნიფიკირებისა, დახვეწისა, ერთი სავალდებულო ფორმის დადგენისა. პრესაში იმართებოდა მსჯელობა, პოლემიკა კონკრეტული საკითხების შესახებ. მაგრამ მალე ნათელი შეიქნა, რომ ამ გზით საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ჩამოყალიბდა სასოგადოებრივი აზრი, რომ საჭიროა ენის მკოდნე პირთაგან შედგეს კომისია, რომელიც შეისწავლის და გადაჭრის სადაყო საკითხებს, მიიღებს ყველასათვის სავალდებულო კანონებს. ასეთი ცდები იყო კიდევ (ცნობილია, რომ ილიას ერთი ასეთი სხდომა მოუწვევია 1886 წ. 8 მარტს). შედეგი კი არ ნანდა, რადგანაც არ არსებობდა ყველასათვის მისადები, სავალდებულო

²³² „მნათობი“. 1925. №№ 5-6.

თეორიული წანამძღვრები, რომლებითაც ისეღმძღვანელებდნენ, არ იყო შექმნილებული პრინციპები, რომელთაც დაეყრდნობოდნენ. მაგრამ თანდათანობით მსჯელობაში, კამათში, ენის საკითხების კვლევაში ეს პრინციპები იკეთებოდა, ყალიბდებოდა, ისევწებოდა.

ხესით ხეენ შეეცადეთ წარმოგვედგინა „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ გაბნეული პრინციპული ხასიათის დებულებები. ამ ეურნალებში გაშექებული ისეთი საკითხები, რომელთა დასისა და განსხვავანსილეა ნიადავს უმხადებდა ახალი ქართული ხალიტერატურა ენის ნორმათა ერთიანი პრინციპების შექმნილებას (ცხადია, „ივერიაში“ ბევრი იბეკლებოდა ცალკეულ სადავო საკითხთა შესახებაც, მაგრამ აქ მათ გვერდს ეყულოთ).

ავტორებს, რომლებიც ამ საკითხებს იხილავენ, აერთიანებს ძირითადად შესეღეულებათა ერთგვარობა, ერთი აზრი პრინციპულ საკითხებზე. ისინი ძირითადად იღიასა და დაე ყიფიანის შესეღეულებებს ეთანსებიან, თემცა, ამასთანავე ბევრ საკითხზე განსხვავებული, ორიგინალური შესეღეულებებიც აქვთ.

„ივერიაში“ წამოყენებულ სოგად საკითხთა ერთობლიობა „ივერიის“ პოზიციას ქმნის. ეს პრინციპული საკითხები შესეღეუა:

1. ენა ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, ხალხი მორგანიზებელი გამაერთიანებელი ძალაა. „სახოგადობას, რომელიც არის შეკაჰმირებული ერთისა და სახოგადოს ენითა... აქვიან ხალხი“. (დავ. ყიფიანი). „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა... ენა ხადეთო რამ არის, „სახოგადო საკეთობაა“ (ილია). „ენის ერთობაც ძალა გახლავთ ერისთვის...“ ქართველები ერთ ერს წარმოადგენენ, რადგან „ერთის ტომისხანი არიან, ერთს ენაზე უბნობენ...“ (ი. გოგებაშვილი). „ენას უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში... ენა თითქმის ყველაფერი... ის ერთ არ არის, რომელსაც თავისი საკეთარი ენა არა აქვს... ენა ხომ იგივე ერთა... ენა მისი (= ხალხისა -- დ. დ.) ხარკეა მათის სულისა“ (გრ. ყიფშიძე).

2. არაერთგის აღნიშნულა, რომ ილია იმდროინდელი ენათმეცნიერების დონეზე იღვა და ბევრი საკითხის შესახებ მართებული შესეღეულება აქონდა. მაგ., მას სწამს, რომ ენის კანონები ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად ყალიბდება თვით ენაში, ამ კანონებს თვით ენა ქმნის.

ამავე აზრს გამოთქვამს დავ. ყიფიანი: ენის „წარმოტებასა და ყელიღებას თავისი ბუნებითი კანონი აქვს“; ნ. ურბნელი: ენის გონენა და განეთარება, ისტორია ენისა თავის საკეთარ კანონებს ექვემდებარება; ალ. ნანვიშვილი: ენის კანონები ბუნებრივი კეთონიღება ენისა, ენასთან ერთად დაბადებული; ი. გოგებაშვილი: ენის კანონები საკეთარი ენის თვისებებიდან უნდა ამოდიოდეს; დომ.

ყოფიანი: გრამატიკის კანონებიც თვითონ ენის თვისებათაგან გამოსკრებილია; გრ. ყოფშიძე: გრამატიკა თავისთავად კი არ არსებობს, იგი ცოცხალ ენას ექვემდებარება და იმის ყუნქციებს აღნიშნავს მხოლოდ.

3. მეტად ფასეულია ილიასა და დაე. ყოფიანის მიერ განვითარებული და სხვათა მიერ მიღებული და გახიარებული თეალხა'ს-რისი ისტორიზმის პრინციპის შესახებ. ენა (კვალუბადია, კვალუბადია ენის კანონებიც. „ხშირად იქნება, რომ კანონები ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უეარგისნი არიან ხელმე. ამიტომ ახალი ენა ძველ ენას არ ჰგავს“ (ილია)²³³; „ენა წინ მიდის, იკვლუბა, მდიდრდება ახალი სიტყვებით (ვაჟა-ფშაველა); „მოუღს მხოვლიო-ში უძრავი არა არის რა... ენაც ამგვარს დაუცხრომელს მოძრაობაში არის“ (დამ. ყოფიანი); „ახალი ქართული განსხვავდება ძველი ქართულისაგან“ (პ. მირიანაშვილი); ძველს მწერლობაში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ქართული ენის კანონები... სიტყვები, რომლებიც დღეს ხალხს არ დავუწენია. ანდა იმის უკრამდე არც კი მოხუდა (ა. ნანეიშვილი).

4. თქმისი სალიტერატურო ენის საყრდენად ხალხური ენის მიზნების შესახებ ასევე საერთო პრინციპია „თეერის“ (და არა მარტო „თეერის“) ავტორებისათვის: „ხალხია ენის კანონის დამდუბი. მსაბერეული ლიტერატურა ხალხისთვის გასაგები ენით უნდა იწერებოდეს“ (ილია); „ლიტერატურის ენაც იხეთი უნდა იყოს, რომელსაც უწოდებენ მადიურსა“ (დაე. ყოფიანი).

მრუდეა და ახასრულეზღად შეუძლებელი ახრი იმის შესახებ, რომ სალიტერატურო ენად ავირჩიოთ ძველი სალიტერატურო ენის ფორმებთან შესავეებული „დარბაისღური კიღო“ (დაე. ყოფიანი).

„ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი კბადებს და ზრდის ენას“ (ვაჟა); „ახალმა ქართულმა მწერლობამ... მიმართა სახალხო ცოცხალ ენას... საერთო ენა, რაც კი რამე კარგი და მშვენიერია სათემო კიღოში, ითვისებს, ისაკუთრებს“ (ნ. ურბნელი); სვენი მწერლობის ენა და მადიო ხალხის ენა დიდად არ არის ერთმანეთისაგან დამორებული. ეს ხახლოეუ უნდა დაეიცვათ შემდეგშიც. ამიტომ უნდა გაფერთხიღდეთ, რომ მწერლის ენა ხალხისას არ დამორდეს (გრ. ყოფშიძე); „სალიტერატურო ენის ბედი თემის ბედათან არის შეერთებული. რა თემშიაც ძირველად დაიწება მოქალაქეობრივი ცხოვრება, იმ თემის კიღოც სასოგადო, სამწერლო ენად ხდება“ (პ. მირიანაშვილი); „სამწერლობო კიღო“ უნდა მისდევდეს, არ უნდა დამორდეს ხასაებრო კიღოს (დამ. ყოფიანი);

²³³ იმაში კი ცვლებოდა იღია, ენა რომ ცოცხალ ვარჯიხისღ მიიღნია. ამის შესახებ ის. ა რ. ნ. ი. ბ. ა. ე. ა. იღია ჭავჭავაძე ენის შესახებ. ტყ., 1938, გვ. 11.

თუ ენა მისივე და გაუგებარია, მაშინ ასეთი მწერლობაც უქმია (აღ. ნანიკაშვილი).

5. ურყევია დებულება ერთი სალიტერატურო ენისა და ერთიანი, დახვეწილი ენის აუცილებლობის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია ილიასა და მის თანამოსაზრეთა ბრძოლა ერთი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად, მათი თავდადება ერთიანი, მონოლითური სალიტერატურო ქართულისათვის.

6. „ივერიელები“ აქტიურად იბრძოდნენ ენის სიწმინდისათვის: „ენის სიწმინდეს ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც დიდსა ღრმად რამ საერთო რწმენას, როგორც თვით სუფს... შებღაღღა ენისა იგივე შებღაღღაა ერისა...“ (გრ. ყიფშიძე). პარალელურ გრამატიკულ ფორმათა აღკვეთას მოითხოვს პ. მირიანაშვილი. „ორი სიტყვა, ორნაირი სახე მისი ქცევისა [მწერლობაში] მიუღებელია“.

7. სავესებით მართებულა ამ საქმეში მწერლისა და, საერთოდ, მწერლობის დიდი როლის აღიარება. „ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა“ (ილია); „სათავე ენისა არის დიდ მწერალთა ნაწარმოებებსა და მთის კილოებში“ (ვაჟა); „ჩვენ ენა და კულტურა ქართლშია მოგვცა— რის შემდგომ ნიჰიურ მწერალთა მიერ იქნა შემუშავებული-განვითარებული“. „მწერლობის გრამატიკობრივი კანონმდებლობა... ყოველი მწერლისათვის სავესდებულო უნდა იყოს“ (პ. მირიანაშვილი). „სალიტერატურო ენის გამშვენიერებისათვის სამი წყაროა: სოფელი, საცა ქართული თავისუფლად იბრუნებს სუფს... ძველი მწერლობა, მაშინდელი, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო... და ყოველს დარგსა და სვერაში ქართული ბატონობდა... და მწერლობა ახალი, საუკეთესო მწერალთაგან შემუშავებული...“ მწერლობის ვალთა გააასკეცოს სრუნვა „დედა-ენის სიწმინდისა და კანონიერებისათვის“ (გრ. ყიფშიძე). სალიტერატურო ენის განვითარება, გამდიდრება, წინსვლა მწერლობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ბოლო „40 წლის განმავლობაში ქართული სამწერლო ენის ცვლილება აშკარაა. რაშიკაშვილმა, ვაზბუგმა, ნინოშვილმა და კვლიაშვილმა სამწერლო ენა გაამდიდრეს ხალხის მეტყველებების ფაქტებით“ (აღ. ხახანაშვილი).

ამავე დროს, „ლიტერატურა არის ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“ (ი. გოგებაშვილი).

8. ლიტერატურა, წიგნი მტკიცედ უნარსუნებენ ენას თავის სახეს, წიგნის ენა უფრო დაცული, მყარი და კონსერვატიულია (ილია).

9. „ივერიაში“ ყურადღება გაამახვილეს იმ უდავო ფაქტზე, რომ სალიტერატურო ენის დასახვეწად, მისი სიწმინდისათვის არ კმარა ორთოგრაფიული და მორფოლოგიური ფორმების მოწესრი-

გება. საჭიროა აგრეთვე ენის სინტაქსური მხარის დახვეწაც, — უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევეუთანხმოთ ეს სიტყვები ერთიმეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ“ (ვაჟა-ფშაველა); „ჩვენის ფიქრით, ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საქმე ასოები, მარცვლები და სიტყვები კი არ არის... საქმე სინტაქსია, ლექსათხისულებაა, ანუ კანონები, რომელსაც ემორჩილება სიტყვებე ენისა, მისი არსებობა“ (გრ. ყოფშიძე); ქართული ენისათვის არაბუნებრივ, შეუფერებელ კონსტრუქციებს უარყოფს დიმი. ყოფიანი, რომელიც წინააღმდეგია აგრეთვე რთული, გრძელი წინადადებებისა: „ნაწილ-ნაწილ“ დაიჯივით ეს „უშველებელი პერიოდებით“, — მოუწოდებს იგი მწერლებს.

10. მართლწერის წესების შემუშავების დროს დაუშვებელია, რომ რომელიმე კუთხის მეტყველებას მიეცეს უპირატესობა. „ქართულ გრამატიკაში საქართველოს არც ერთი მხარის გაკვალკეება არ უნდა ნაყიდეს ქართული ენის სასოგადო კანონად“ (დავ. ყოფიანი).

11. ქართული ანბანის გამარტივებას, ზედმეტი ასოების ამოღებას ეკვლა სემოთ დასახელებული აუტორი უკერს მხარს (კახალია, გრ. ორბელიანი აქ არ იტულისხმება). ამ საკითხზე ილიამ და მისმა მომსრეებმა ჯერ კიდევ „კისკარში“ გადაიხადეს და მოიგეს კიდევ დიდი ბრძოლა. „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ გამარჯვებული იღეს ხორცშეხმას, დაკანონებას ახდენდნენ, პრაქტიკულად ახორციელებდნენ მას.

დავ. ყოფიანი 1863 წ., როდესაც ბრძოლა მოლად წამკზხრალი არ იყო, წერდა: ძველი ასოები (ა, ჯ, ჳ, უ, შ) სუქმეტია, რადგან „ეხლა მისიშენელობა აღარა აქვთ რა ენაში“. ყოველი მათგანის შესაბამისი ბგერის გამოხატვა შეუქძლია სხვა ასოებს, ხოლო უკვე მოგვიანებით, 1881 წ. დიმი. ყოფიანი თავის გრამატიკაში აცხადებს: „თუ არ ანგარიშისათვის, არას შემთხვევაში, არც ერთი ამ ასოთაგანი საჭირო არ არისო“ (დიმი. ყოფიანი).

ამასთანავე, „ივერიელები“ თითქმის ერთხმად აღნიშნავენ ქართული ანბანის სრულყოფილებას — შესაბამისობას ასოსა და ბგერას შორის: „არა მგონია სხვა ხალხს მქონდეს ვისმე ისეთი ბუნებასთან დაახლოებული, განმარტივებული და ადვილად სასწავლო ანბანი, როგორიც სენა გვაქვს“ (დიმი. ყოფიანი).

12. სამართლიანი შეფასება მისცეს „ივერიელებმა“ ენის ლექსიკური ფონდის მნიშვნელობას, ერთი მხრივ, და ენის სხვა მხარეებთან შედარებით ლექსიკის ყველაზე მეტად ცვალებად ბუნებას, მეორე მხრივ, ენის წინსვლა, ცვალება ყველაზე მეტად ლექსიკის ეხება: „ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატაად“ (ვაჟა).

ლექსიკის ხიმლიდრე ენის ხიმლიდრის, ხალხის გონებრივი განვითარების ნიშანია. ი. გოგებაშვილის აზრით: „რამდენიც ხალხი დაბლა დგას აზრებითა და განვითარებითა, იმდენად უფრო ღატაკა სიტყვებით, ყორმებით, საოცრად პატარა ლექსიკონი აქვს“. ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება წინ სწევს ერს გონებრივად. „რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულა, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაში... სიტყვა აზრის წარმომადგენელია... რაც აზრი მეტია, სიტყვაც მეტია“ (ილია).

რამდენადაც უფრო წინ წასულია და წარმატებული ენა, იმდენად უფრო მომზადებულია ყველა ცნების გამოსახატავად. მაშინ ენას ყველა ცნების გამოსახატავად საკუთარი სიტყვა მოეძიება (ვაჟა).

13. „იყურიაში“ სოციალური სანქციის როლი და მნიშვნელობაც არის დანახული. ახალი სიტყვის თუ ყორმის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ენამ მიიღოს, ხალხმა იხილოს ეს სიტყვა, ე. ი. სიტყვამ მოიპოვოს საზოგადოებრივი სანქცია. „უფარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ, თუ ხალხი სმარობს, მაშასადამე ყარგისიანია“ (ილია). „მწერალი მოეაღწა ყველა სიტყვა გააცნოს ლიტერატურულ ენას. თუ ის შეეუფერება ენის ხასიათს, მის ბუნებას, ენა მიიღებს მას“ (ვაჟა). „ამა თუ იმ გრამატიკული ყორმის გასამართლებლად წევენ სრულიად საკმარისად მოგვანია ხალხის მიერ მისი ხმარება და საგრამატიკო საბუთები“ (ი. გოგებაშვილი).

14. მკარია „იყურის“ პოზიცია სალიტერატურო ენის განვითარებაში დიალექტის როლის თაობაზე — დიალექტებს სალიტერატურო ენის უმრეტ წყაროდ აღიარებენ.

დიალექტებში დაცული ისეთი ლექსიკური მასალის შემოტანას, რომელიც სალიტერატურო ენას არ გააჩნია, მხარს უჭერენ ვაჟა-ფშაველა, პ. მორიანაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ი. გოგებაშვილი... „ცილოების შემოტანა სალიტერატურო ენაში უნდა მოხდეს სიყრთხილით, მაგრამ აუცილებლად, რადგან მწერლობის განვითარება თხოვლობს მისი ენის და მღაბით ენის დაახლოვებას“ (ალ. ხახანაშვილი).

15. სადაკო შეიქნა სალიტერატურო ენაში შესატანი დიალექტური მასალის ხასიათისა და დონების საკითხი. ნ. ურბნელის აზრით, დიალექტური მასალის უშუალოდ შემოტანა სალიტერატურო ენაში შეუძლებელია, ის უნდა გადაამუშავდეს. პ. მორიანაშვილის მტკიცებით, შეიძლება მხოლოდ დიალექტური ლექსიკის (და არა გრამატიკული ყორმების) შემოტანა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სალიტერატურო ენას აკლია ბადალი სიტყვა. დაუშვებელია პროვინციალიზმების ისე უხვად შემოტანა, როგორც ამას ვაჟა-ფშაველა და დ. მანხანელი აკეთებენ. „ენის გამღაბიერება სულაც

იმას არ ნიშნავს, რომ მდაბიოსაგან შეცდომით ხმარებული რომელიმე ყორმა მწერლობაში შემოიტანს... სვენი მწერლობა მოვალეა... მეტხორცი პროვინციადღისმებით არ გაახორკლიანოს გასეფთაყების მაგიერ ენა“. ვაჟა-ფშაველას რწმენით, მწერალი ვაღდუბელთა ხალხური სიტყვა ან ყორმა გააცნოს სალიტერატურო ენას. თუ ენას არა აქვს ასეთი სიტყვა და სხვა ენიდან სესხულობს, შეიძლება მიიღოს კეთხური ლექსიკური ერთეული. გრ. ყოფშიძეს დიალექტური პარადელიზმების არსებობა სალიტერატურო ენაში დასაშვებად მიაჩნია — თუკი სიტყვა უცხო ენიდან არ არის შემოტანილი და საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში იხმარება, კანონიერია და შესაწინარებელი. ი. გოგებაშვილის აზრით, „პირველსაკითხავმა წიგნმა უნდა გაავრცელოს ეს (დიალექტური — ლ. ლ.) მოხერხებული გამოთქმანი მთელს საქართველოში და გამარჯვება დაუპყვიდროს მათ არსებითს ბრძოლაში“.

„ივერიელთა“ შორის დაეას არ იწვევს ერთი თეზისი: დიალექტისმები პერსონაჟის მეტყველებაში უყოქსანოდ შეიძლება გამოიყენოს მწერალმა.

16. „ივერიაში“ დაყენებულ იქნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი დიალექტის საკითხიც. ასეთად „ივერიელთა“ დიდი უმრავლესობა ქართლურ დიალექტს მისიწევს, თუქც დავ. ყოფიანი 1863 წ. („საქართველოს მთაბმეში“) ამტკიცებდა, რომ ლიტერატურული ენა უნდა იყოს საერთო-სახალხო ენა, მთელი ერის ენაო: „ლიტერატურის ენაც... უნდა იყოს... ცოცხალი საღხის ენა, მაგრამ არა ენა ამა თუ იმ კუთხისა — ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა“, არამედ „მთელი ქართველი ხალხისა“, რომელზედაც „მთელი ქართველი ხალხი, — ქართლელი, კახელი თუ იმერელი კი არა, — მთელი ქართველი ხალხი ღაპარაკობს“.

მაგრამ ქართლური დიალექტის პრიორიტეტს მაინც ბევრი დამცველი პყავს: სალიტერატურო ენა ყველგან და ყოველთვის ხელოწერად შენდება რომელიმე კილოს საყუძველზე. რუსულის საყუძველია მოსკოვეური კილო, სვენი ენისა — ქართლური (აღ. ხახანაშვილი). „ხემო ქართლიდამ გამოვიდა პოლიტიკა და იმისი ენაც გამოთავრდა საქართველოს დანარჩენ თუქმთავის... ხემო ქართლი მოიცავდა მესხეთსაც“ (პ. მირიანაშვილი). ნ. ურბნელი წინ აღუდგა მესხურისათვის პრიორიტეტის მინიჭებას. გრ. ყოფშიძე კატეგორიულად აცხადებს: სალიტერატურო ენის ქვაკუთხედი ქართლურია, მას უნდა მიყვეთ, რადგან ქართლური კილო სალიტერატურო ენისაგან არ განსხვავდება, მას უნდა ყურდნობოდეს. „ვისაც წმინდა ქართულისთვის გული შესტკივა“.

მაგრამ სვენი ენის თეორეტიკოსები მადე აღმოწნდნენ ჯიუტი ფაქტის წინაშე: ქართულ ლიტერატურაში მკვიდრი ადგილი დაიკა-

უკს დაჟ. კლდიაშვილმა თავისი იმერულით. ე. ნინოშვილმა თავისი გურულით, რაზიკაშვილმა და ყაზბეგმა მთის მეტეველებით... ასე რომ, ვეღარაფერი დააბრკოლებდა ამ ფაქტის აღიარებას. პ. მირიანაშვილმა (კ. კი, რომელიც ქართლურის პრიორიტეტს ბოლომდე იცავდა, მოგვიანებით მაინც დაეთმო გარკვეული ადგილი სხვა დიალექტებსაც: „უნდა ვწეროთ, როგორც ილაპარაკება ქართულში და გაეამდიდროთ იგი იმ გურულ-იმერული სიტყვებით, რომლებიც დღეა-ქართლში ადარ დარსენილა... კარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთსა და 'ხემო იმერულში'“ („სახალხო საქმე“, 1919, № 695). ი. გოგებაშვილმა (კ. აუცილებლად მიიხსია სხვა კიდოთა მონაწილეობა და გ'სა დაულოცა მათ. მისი აზრით, მარჯვე სიტყვა და გამოთქმა, რომელი დიალექტისაც უნდა იყოს ის, უნდა დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში: „საქართველოს სოგიერთ კეთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომელნიც 'ხედ გამოტრილნი არიან საგან'ხედ... პირველსაკითხავმა წიგნმა უნდა გააგრძელოს ეს მოხერხებულნი გამოთქმანი“ (ი. გოგებაშვილი). მისივე თქმით, თუმც დასავლური კილოები საფუძვლად არ დასდებია ჩვენს სამწერლო ენას, მაგრამ საერთო-ეროვნული ენის ფორმირებაში მათ საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს“... „ამ კილოებს... დიდ მნიშვნელობას ვაძლევეთ და დიდს სიხარულით... ვეწაფებით... იმერული და გურული კილო, საესებით დაცული მოქმედთა დასახასიათებლად... ნინოშვილის ამა თუ იმ მთხრობაში და ბ-ნ კლდიაშვილისაში... ჩვენს დიდ აღტაცებას და აღფრთოვანებას იწვევს მუდამ“ (გრ. ყიფშიძე).

17. „ივერია“ გარკვეულ პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართული ენის განვითარება შეზღუდულია, ენა უფლებააყრილია. „ჩვენს ენას ჩვენში მოყდანი არა აქვს საფარჯიშოდ“ (ილია): „ქართული ენის მოხმარების ასპარეზი შემოკლებულია. დღეს იგი თავს აფარებს მხოლოდ სოფელში და ქართულ მწერლობაში“ (გრ. ყიფშიძე); „ჩვენი ენის წარმატებაც და შესწავლაც დიდხანს იყო შეფერსებული“ (ა. ნანუიშვილი); ქართული სალიტერატურო ენის დონე დასცა ქართული სკოლის უქონლობამ (პ. მირიანაშვილი).

18. „ივერიის“ ავტორები იმაზედაც მსჯელობენ, თუ როგორ უნდა წარიმართოს ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება. ბუნებრივია, ამ საკითხზე მსჯელობისას ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ძველ მემკვიდრეობასთან, ძველ ქართულ ენასთან მიმართება.

„ივერია“ აღიარებს ძველი ქართული ენის კეთილისმყოფელ გავლენას ახალ სალიტერატურო ენაზე (ილია), ახალი ენის დასახევენად ძველი მემკვიდრეობის მნიშვნელობას (პ. მირიანაშვილი).

ძველ მწერლობაში დაცული ძირეულ ფორმათა და სიტყვათა დიდ როლს (ა. ნანეიშვილი)...

გამოთქვა ისეთი აზრიც, რომელიც პოლემიკის საგანი გახდა: ახალი სალიტერატურო ენის წინსვლის ერთადერთი გზა არის ძველი ქართული სიმდიდრისა და ახალი ცოცხალი ენის მონაცემთა გაერთიანება (აღ. ნანეიშვილი).

ამ აზრს წინ აღუდგა ნ. ურბნელი: ძველისა და ახლის ბრძოლას შედეგად ის მიახვეა, რომ გარკვეული არაფერი არ არის ენაში, ძველი და ახალი ერთმანეთშია არეული; გრ. ყიფშიძის აზრით, ენის წინსვლისათვის აუცილებელია მისი გამოყენების არის გაფართოება (ენას აცხოველებს, ამდიდრებს და აძლიერებს მისი გამოყენება ფართოდ, ცხოვრების ყველა სფეროში: მართვა-გამგეობა, მხედრობა, სასამართლო, სკოლა, სასოფადო და კერძო დაწესებულებები და ა. შ.).

უფრო მოგვიანებით, 1911 წ. გრ. ყიფშიძე წერს: სალიტერატურო ენის გამსვენარებისათვის სამი წყაროა: სოფელი... ძველი მწერლობა... და ახალი მწერლობა („განათლება“, 1911, № 8), ხოლო პ. მორიანაშვილი აცხადებს: ახალი სალიტერატურო ენისა და სტილის ნორმები უნდა დაუახლოვდეს „რუსობის წინა პერიოდის“ (ე. ი. მე-18 ს-ის) ქართულს. ძველ ქართულზე ორიენტაციის აღება აღარ იძლევა შედეგს („სახალხო საქმე“, 1920). ი. გოგებაშვილის აზრით, „კონკრეტული ღონისძიებები ნუნის დედა-ენის დასაცავად და გასამდიდრებლად“ ასეთია: „დედა-ენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში... სკოლაში“; ყოველ ქართულს უნდა აქონდეს საშინაო ქართული ბიბლიოთეკა და სისტემატურად კითხულობდეს რომელიმე ქართულ პერიოდიულ გამოცემას; გადმოვიღოთ სხვა მკვირიცხოვან ერთაგან და დაეამკვიდროთ ოჯახებში თავშეყრა, ქართული წიგნების კითხვა და მსჯელობა“.

19. საესებით სწორ პოზიციაზე დგანან „ივერიელები“ უცხოენოვანი სიტყვების შემოტანის საკითხშიც:

საერთაშორისო სიტყვები ყველა ხალხს მიუღია, როგორც ღვიძლი სიტყვები და „არც ნუნათვის არის დასაძრახისი, რომ ნუნც ვიხმართ (იღია); არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი ენა, რომელშიც უცხო სიტყვები არ მოიპოვებოდეს, საყოველთაო სიტყვების არმადება შეუწყნარებელია... თუ ისტორია დააკაჟშირებს ერებს ერთმანეთთან, ისინი უთუოდ დაესესხებიან ერთიმეორეს ენობრივ მასალას. თვით წარმატებული ენაც კი იღებს რაიმეს ჩამორჩენილისაგან (ა. ნანეიშვილი): „რაც ახალი სწავლისა ან ახალი აზრისათვის არის საჭირო, დუქსი იქნება, ან შეხამება სიტყვებისა, უნდა შეითვისოს ენამ (დომ. ყიფიანი).

განსხვავებულ აზრს გამოთქვამს „ივერიაში“ კირიონი. ის მომხრეა იმისა, რომ გზა გადავუდობთ უცხოენოვან მასალას: „უცხო ენიდან სესხებას და ვაღში ამოღობას ჯობს ჩვენივე ძველი ალვადგინოთ“, ძველ ქართულ ძეგლებსა და დიალექტებში დაეძებნით ხაჭირო სიტყვებიო²⁴.

20. მეორე მხრივ, იგივე მოღვაწენი უცხოენოვანი მასალის მოზღვაების საფრთხეს ხედავენ და იბრძვიან მის წინააღმდეგ: უცხო სიტყვები არ უნდა შემოვიშვათ, „თუ თანასწორი მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში“ (ილია); „არ უნდა გავრყვნათ ენა არც რუსიციზმებით, არც გალიციზმებით და არც გერმანიზმებით“ (გრ. ყოფიძე); „რაც ჩვენს ენაშია, უნდა ვამჯობინოთ სხვისას“ (ა. ნანეიშვილი); შეკვლიაა უცხოური სიტყვების გადმოტანა რუსული ენის მიხედვით, უნდა შემოვიტანოთ უცხოური ძირი და დავემატოთ ჩვენი -ი დაბოლოება (პ. მირიანაშვილი); „თუმც რუსული ენა ჩვენთვის ის ძლიერი იარაღია, ურომლისილია(ც ევროპულის მეცნიერების მიღება არ შეგვიძლია, მაგრამ რუსულმა ენამ კი მაინც გზა-კვალი შეუშალა ჩვენს გრამატიკას, ჩვენი ენის ნორმალურ სრდას“ (ნ. ურბნელი); უცხო სიტყვები ხაჭიროების შემთხვევაში „უნდა შეითვისოს ენამ... მაგრამ სიფრთხლით, წინმხედველობით, გარნევით, რომ სიგონჯე და უმსგავსოება არა შემოგვეპაროს რა“ (დომ. ყოფიანი).

მითუმეტეს დაუშვებლადია მინეული ჩვენი ენისათვის მიუღებელი გრამატიკული კატეგორიისა და სინტაქსური კონსტრუქციების შემოღება სხვა ენათა გავლენით. „მამრობითად და მდედრობითად სიტყვის დაყოფა ქართულის ენისათვის არას დროს არც ყოფილა და არც არის ხაჭირო... ქართული ენა ამას ვერ ითვისებს“ (დომ. ყოფიანი). სქესების შემოღება ქართულში — „ეს არის უკანსვლა ენის მეცნიერებაში“ (პ. მირიანაშვილი). „უცხოური კულტურისა და ენის ნორმების ბატონობისას ავგილობრივი ენა გადაგვარების გზაზე დგება და გაბატონებული ენის ღონეს დაესხესება აზრის გამოთქმას. მაშინ გაბატონებული ენის პრეფიქსი გადმოღის დამონებული ენის ფსიქიკაში და აზრს თავისებურად გამოათქმევინებს“ (პ. მირიანაშვილი).

21. ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და დახვეწის ერთ-ერთ საშუალებად მინეულ იქნა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა. ილია წუხდა, — „ტერმინების უქონლობა მეტისმეტად აბრკოლებს კაცსაო“, — და ბევრს იღვწოდა ტერმინოლოგიის შესაქმნელად.

²⁴ „ივერია“, 1904, № 35.

„ივერია“ მიესაღმემა ქართულ ენაზე „დაწვებითი ალგებრის“ სახელმძღვანელოს შედგენას, რითაც გზას იკაფავდა მეცნიერული ტერმინოლოგია.

ივ. ახალშენიშვილი აყენებს საკითხს (1901 წ.), რომ ტერმინოლოგიის შესამუშავებლად გამოყენებულ იქნეს ქ.შ.წ.კ.გ. სასოგადოების მდიდარი ფონდები. ამ აზრს მხარს უჭერს „ივერიის“ 1902 წ. № 116-ის მეთაური წერილი.

22. „ივერია“ მივიდა იმ აზრამდე, რომ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები უნდა გადაწყდეს არა პრესაში პაექრებით ან ინდივიდუალური წესით, არამედ სპეციალისტთა თავყრილობაზე მსჯელობის შედეგად.

1886 წ. სარედაქციო წერილში „ივერია“ იწვევბოდა: „სიყენ ვარსიეთ შეგვეკრიბა რამდენადაც შესაძლოა ქართული ენის მკოდნენი და ყველა საცილობელი საგრამატიკო საგნები გაგვეკრეცია. ამას შევედექით კიდევცა“. 1895 წ. „ივერიაში“ კი ეკითხულობთ: „საჭიროა ამ საგანზედ მოლაპარაკება და ამა თუ იმ დადგენილების მიღება“.

ასეთი სოგადთეორიული საკითხები ისმებოდა „ივერიაში“. ვფიქრობთ, საინტერესო სურათს მოგვცემს მათი შედარება „დროება“-„კვალის“ თანამშრომელთა მიერ წამოყენებულ მოსაზრებებთან. ეს მომავლის საქმეა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან

(ნორმალიზაციის პრინციპები გას. „კვალში“)

სალიტერატურო ენა ნორმირებული ენაა. ნორმათა შესამუშავებლად, ზ მართლწერის საველდებულო წესების დასადგენად აუცილებელია მეცნიერული წინამძღვრები, ამოსავალი პრინციპები. ასეთი პრინციპები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა მიღებულ იქნა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკური კომისიის მიერ 1935 წ. (შემუშავდა არს. ნიქობაიას მოხსენების საფუძველზე). გამოქვეყნდა 1936 წ. გამოცემულ წიგნში: „სალიტერატურო ქართულის ნორმები, I“. 1970 წელს გამოცემულ ნორმათა კრებულში²³⁵ ეს პრინციპები უცვლელადაა დატოვებული და დღემდე მათზე დაყრდნობით ხდება სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა. ამ ხანგრძლივ გამოცდას მან იმის წყალობით გაუძლო, რომ სახელმძღვანელო დებულებები შემუშავებულთა არა ერთი პიროვნების მოსაზრებითა და შეხედულებათა მიხედვით, არამედ რამდენიმე თაობის დიდი მეკადინეობით, ქართველი ხალხის უკეთეს შვილთა ნაჯაფისა და ნააზრევის გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ XIX ს-ის შუა წლებიდან აქტიურად იწყება ახალი ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაცია, მისი დახვეწა და სათანადო კალაპოტის მიღება. პრესაში ფართო დისკუსიები იმართება ჯერ ერთი და ერთიანი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად, ხალხურ მეტყველებასთან მის დასახელოებლად, შემდეგ კი მის დასახვეწად, პარალელურ ფორმათაგან გასაწმენდად. ქართულ პრესაში XIX ს-ის II ნახევარში გამართუ-

²³⁵ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

ლი დაეა ძირითადად გრამატიკულ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ კონკრეტულ საკითხთა შესახებ მოჯელობისას თანდათან ნათელი ხდებოდა საყრდენი პრინციპების აუცილებლობა და ნელ-ნელა იკვეთებოდა სოციალურიული მოსასრებანი, ამოსავალი დებულებები. ჯერ კიდევ „კოსკარში“, შემდეგ — „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“, „დროებასა“ და „კვალში“, „თეატრსა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულია მრავალი საინტერესო მოსასრება. ენის თეორეტიკოსთა ბევრი შეხედულება ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ ენის ნორმალისაციისათვის მნიშვნელოვანი სოგი საკითხი სხვადასხვაგვარად ესმოდათ, სხვადასხვაგვარად გაიანზრებოდა ფაქტები... იყო ახრთა ჰიდილი, კამათი, ხშირად საკმაოდ ცხარეც-რამდენიმე საკითხის შესახებ განსხვავებული ახრი კქონდათ ჯერ კიდევ „კოსკრის“ თანამშრომლებსა და „თერგდალეულებს“, შემდეგ ერთი მხრივ. „საქართველოს მოამბესა“ და „ივერის“ თანამშრომლებს, მეორე მხრივ კი — „კვალის“ მოღვაწეებს. სპეციალურ დიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ ეს ორი „ბანაკი“ — ამერლები და იმერლები — მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს.

„ივერელთა“ მიერ წამოყენებული დებულებები ნეენ უკვე მოხილიული გვაქვს²³⁶. ამჯერად ვეკადეთ თავი მოგვეყარა „კვალში“ მოღვაწე პირთა შეხედულებებისათვის, რომლებიც სხვადასხვა გასუთებსა და ჟურნალებშია გაბნეული. შედარება-შეჯერება რომ გაადვილებულიყო, დებულებების სახით წარმოყადგინეთ თითოეული ავტორის ახრი და იქვე ხილუსტისათვის ციტატიც სრულად მოვიყენათ.

„კვალში“ — ხამეცნიერო სადიტერატურო ნახატებიანი გასუთი — გამოდიოდა 1893—1904 წლებში ქ. თბილისში ყოველ კვირა დღეს. 1893—1900 წლებში გასუთის რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი.

„კვალში“ მოღვაწეობდნენ სადიტერატურო ენის თავდადებული მუშაკები: ხილოვან ხუნდაძე, აკაკი წერეთელი, კოტე დოდაშვილი, გიორგი წერეთელი...

როგორც ცნობილია, აკაკიმ, კოტე დოდაშვილმა და გიორგი წერეთელმა „კვალს“ საგანგებოდ დაუმატეს ახალი განყოფილება — „სასწორმეტყველო“, რომელშიც სამსუოსე გამოსქონდათ ნეენს მწერლობაში შემსნეული ენობრივი შეცდომები, მათ შენიშვნებს ხშირად ცხარე კამათი მოსყვებოდა ხოლმე.

²³⁶ დ. ლ. ე. ა. ვ. ა. ახალი ქართული სადიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (ნორმალისაციის პრინციპები „ივერიაში“): ქსკს, წიგნი მეცხრე, თბ. 1989, გვ. 88—137.

„აკადის“ პოზიცია ხალიტერატურო ენის ნორმალიზაციის თაობაზე პირველ რიგში ს. ხუნდაძისა და კ. დოღაშვილის დებულებებში გამოვლავნდა.

I. ხილოვან ხუნდაძე (1860–1928) პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1884) ორმოცი წელი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მშობლიურ ქუთაისში. ხანმოკლე პედაგოგი, დიდად ერედიტებული პიროვნება, ენათმეცნიერული ადგილით დაჯილდოებული დაკვირვებელი მკვლევარი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი თავისი დიდი ავტორიტეტით, პრინციპულობითა და სისპეტაკით დიდ გავლენას ახდენდა ახალგაზრდაობაზე. მის მიერ დადგენილ მართლწერის წესებს იცავდნენ გომნახიაშიც და გამოსცემლობებშიც, ს. ხუნდაძე თავი კაცობდა ყოველგვარ კულტურულ საქმეს ქუთაისში. ხილოვან ხუნდაძის ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ენთუზიაზმით მოღვაწეობდა სკოლების გაეროვნულობისათვის.

საენათმეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეობა ს. ხუნდაძემ დაიწყო ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიის შედგენით²³⁷. მან თავი მოუყარა მამისდურ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყენებულ გრამატიკულ ტერმინებს, ბევრიც ხანმოკლედ თარგმნა და მარჯვედაც მოუხადავა სხვა ენათა მასალებს. მრავალი მისი ტერმინი დღესაც იხმარება.

შემდეგი ნაშრომი ს. ხუნდაძემ ქართული გრამატიკის ერთგულეს ნაწილს — სმნახ — მოუძღვნა²³⁸. გასაოცარი ადგილით მოუკვლევია მას ბევრი საინტერესო ფაქტისთვის. სამწუხაროდ, აქ ამ წიგნზე ვერ შევხერდებით, რადგან წიგნი მიზანია, თავი მოუყარათ ს. ხუნდაძის შეხვედრებებს ხალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ძირითად დებულებათა, ამოხაველ პრინციპთა შესახებ. ხილოვანის გრამატიკულ ნაბრუნებზე არსებობს საინტერესო, ხილოვანი გამოკვლევა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებული არ არის (ხელნაწერი ინახება არს. ნიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში)²³⁹.

ს. ხუნდაძემ ბევრი რამ გააკეთა ქართული ხალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის. ხალიტერატურო ენის იმდროინდელ თეორეტიკოსთა შორის იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო, პრინციპული, თავდადებული და ნაყოფიერი მოღვაწე იყო; შეუპოვრად (სოფჯერ

²³⁷ ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, ქართული სიტყვიერების მოყვარეთაგან შედგენილი და გამოცემული, ქუთაისი, 1887.

²³⁸ ს. ხუნდაძე, ქართული სმნახი, ქუთაისი, 1891.

²³⁹ გულთაძე მადლობას მოუხსენებ დ. კვარციალასს, რომელმაც საშუალება მოძიდა გაცნობილი მის ხელნაწერ ნაშრომს „ს. ხუნდაძის გრამატიკული შრომები“.

საკმაოდ მკაცრად, არაკორექტულადაც კი) იბრძოდა თავისი მრწამსის დახატვად და დახანერგავად. გ. ახელქედიანმა მას უწოდდა „ტიპიური და კლასიკური ნიმუში ხალიტერატურო ენის დამკვიდრებელი“²⁴⁰.

ხ. ხუნდაძემ გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი და მრავალი სტატია (სხვადასხვა ჟურნალებსა თუ გაზეთებში), სადაც კონკრეტულ სადავო საკითხთა მოგვარებასაც (კდილობდა და ხალიტერატურო ენის ნორმალისაც)ის საყრდენ, ამოხავად დებულებებსაც ეძიებდა და აქალობებდა. ნორმალისაც)ის პრინციპებზე მსჯელობდა.

1894 წ. „კეკელი“ (№ 32) დაიბეჭდა ხ. ხუნდაძის წერილი „ახალი თუ ძველი ენა“, რომელიც ხალიტერატურო ენის ნორმალისაც)ის ძირითად პრინციპთა ნამოყალიბების ცდას წარმოადგენს.

1901 წ. ეს პრინციპები უფრო სრულად წარმოსწავა წიგნში „ხალიტერატურო ქართული“, რომლის მიზანი — ხელის შეწყობა ხალიტერატურო ენის დახვეწის საქმისათვის — ნაკარნახევი იყო დიალექტისმეობითა და უცხოენოვანი სიტყვებით ატრელებული და დამძიმებული ხალიტერატურო ენის მდგომარეობით. „ძველათ სვენი მწერლების ენა თითქმის არ ყოფილა ერთმანეთისაგან განსხვავებული. — წერდა ხ. ხუნდაძე, — დღეს კი რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმაა და სიტყვებისა და წინადადებათა სხვადასხვაგვარი წყობილება... სემი შრომის მიზანაც)ის არის, რომ შექმნისდაგვარად გამოვიკვლიო, თუ სვენს მწერლობაში უპირატესობა რა და რა ფორმებს უნდა მივცეს“²⁴¹. ამ უპირატესი ფორმის შემოთავაზებისას იგი ყოველთვის ცდილობდა დაესაბუთებინა, თუ რატომ არის ეს ფორმა უმჯობესი, მისაღები, რისთვისაც, მისივე თქმით, შემდეგ პრინციპებს ემყარებოდა: სადავო ფორმის ხიზარტივე, წარმოების ხისწორე, ისტორიულად გამართლებულობა, კეთილსიმოვანება.

1902 წ. № 161-ში „ივერია“ იქვეყნა, რომ გამოვიდა წიგნი, რომელიც ძირითადად ახალი სხებს უმართებულო, სადავო ფორმებს, რომლებიც სვენს გრამატიკის ჯერ არ ვადავწვევტია. ამ შრომით ხ. ხუნდაძემ დიდი დეაწლი დახლო ქართული გრამატიკის მომავალს (ცნობის ავტორია კ. დოდაშვილი).

ამავე პრინციპებზეა აგებული ხ. ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“, რომელიც პირველად 1904 წ. გამოქვეყნდა, ხელ კი შეიღჯერ გამოიცა და ათეული წლების მანძილზე სახელმძღვანელოდ იხმობებოდა სკოლებში.

²⁴⁰ გ. ა ხ ე ჯ დ ი ა ნ ი, სილოვან ხუნდაძის დამხანერება ხალიტერატურო ქართულის წინაშე ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928, №№ 6-7. გვ. 220-224.

²⁴¹ ხ. ხ ე ნ დ ა ძ ე, ხალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901.

1911 წ. დაიბეჭდა თოთხმეტგვერდიანი წიგნაკი-სახელმძღვანელო „ქართული მართლწერა“ გასკოთ „კოლხიდის“ თანამშრომელთა საეკრავლეებოდ“ (ს. ხუნდაძე ამ გასკოთის რედკოლეჯიის წევრი იყო).

წიგნაკმა ქართული ენის ბევრთ დაინტერესებულთ ფართო სოგადოების ეკრავლეება მითქერო.

1927 წ. გამოვიდა ს. ხუნდაძის წიგნი „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საეკრავლეები“, რომელიც „თავს უკრავდა ხალიტერატურო ენასე ავტორის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგებს. ამდენად, მას შემაჯამებელი ხასიათი აქონდა“²⁴². რეკენსენტები ხამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ს. ხუნდაძემ დიდი ამავი დახლო ხალიტერატურო ქართულს, არავრთი სწორი მოსახრება წარმოადგინა და რომ ავტორის საქმიანი შენიშვნები და ათეული წლების მუშაობით მიღებულთ აღმოსწენები მართლწერის მოწესრიგების საქმეს უსათუოდ დიდ ხამსახურს გაუწევდა. მაგრამ იქვე შენიშნავდნენ, რომ მიუღებლად მიანდათ ს. ხუნდაძის წმინდა ფონეტიკური პრინციპები²⁴³.

დიდი განათლების, გრამატიკული აღდღოხა და ათეული წლების მანძილსე თავდადებულთ მუშაობის წყალობით ს. ხუნდაძემ ამ წიგნში სწორად გადაჭრა ბევრი ხაკოთხი, დაადგინა მრავალი მართებულთ ფორმა (მაგ.: შევიტყვე და არა შევიტყე, გამიბედავს და არა გამიბედნია, მეშინია და არა მეშინიან, ღირსებები და არა ღირსებაები, დავიწყებოდა და არა დავიწყებთო, ახლა და არა ეხლა და სხე). ხაკმარისია კაცი გაეცნოს ამ ნაშრომს, რომ ნათელი გახდეს ს. ხუნდაძის შეხეღულებები, მისი დიდი მუშაობის შედეგები.

ყველა ამ წიგნსა და პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებულ მრავალ წერილში ს. ხუნდაძეს გაცხადებულთ აქვს თავისი მრწამსი ხალიტერატურო ენის ნორმალისაციის ძირითად ხაკოთხებსე, ამოხავალ პრინციპებსე.

ს. ხუნდაძის სოგადთეორიული შეხეღულებები ასეთია:

1. ენა ცველდება: „როგორც ხალხის ცხოვრება, სოციალური წყობილება დროის ბრუნვის მიხეღვით იცვლება, ისე იცვლება ხალხის ენაც“²⁴⁴. „ენა ახლდება, იცვლება, მაგრამ ისე კი, რომ

²⁴² დ. კ ე ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, დახახ. ნაშრომი, გვ. 65-66.

²³ რეკენსენტი დაიბეჭდა: ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, № 11-12 და 1928, № 6-7.

²⁴⁴ ს. ხუნდაძე, ხალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. III.

სადირკველად ანუ სარჩულათ მაინც ძეველია²⁴⁵ (ხა'სგასმა აქაც და შექმდეკაც სემია — ლ. ლ.).

2. სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა ეყრდნობოდეს: „სა'სოგადოთ სამწერლო ენას საყუქსელათ და სადირკველათ ხალხის ენა უნდა ეღვას“²⁴⁶.

3. „ენის სიკეთე თუ სიცუდე ერის აუკარგიანობაზეა დამოკიდებული“²⁴⁷.

4. ენის სიმარტივე ამ ენის ღირსების, მაღალი დონის მაჩვენებელია. რაც უფრო წარმატებულია ენა, მით უფრო მარტივია იგი: „ენის წარმატება სიმარტივეში უნდა გამოსტკეიოდეს. ამის დამამტკიცებელი საბუთი ყოველთვის უნდა ვეძიოთ ცოცხალ ენაში. პროგრესი ყოველთვის სიმარტივისაკენ მიისწრაფვის, ასეთია ცხოვრების და ენის კანონი“²⁴⁸.

5. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სალიტერატურო ენისათვის უწყველო, მიუღებელი ვითარებაა — ენა ჭრულია, დამძიმებულია ნაირგვარი ფორმებით: „არც ერთ ლიტერატურულ ენაში არ არის ფორმების იმისთანა მრავალგვარობა, როგორც დღეს ქართულში არსებობს“²⁴⁹. ეს სიტყვლე გამოიწვია, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის კონსერვატულობამ (ხალხურ ენაში უფრო სწრაფად ხდება ცვლილებები, სალიტერატურო ენა კი მას ვერ მისდევს: „ხალხს ენის ფორმები თანდათან შეუცვლია, მწერალნი კი ამ თანდათანობას არ მიყოლიან: სოგი ძეველს ფორმა'სკ, სოგს კი უახლესი ფორმები შეუთვისებია“)²⁵⁰, მეორე მხრივ კი — სალიტერატურო ენაში სხვადასხვა კუთხის მეტყველებებისათვის გზის გახსნამ: „მეენი მწერალნიც თავის თხ'სუღებებში ხშირათ ხმარობენ... თავისი კუთხის ენას... დღეს რამდენი მწერალიც არის, იმდენი განსხვავებული ფორმაა“²⁵¹.

6. სალიტერატურო ენის მოწესრიგება საშური, გადაუდებელი საქმეა. საამისოდ აუცილებელია ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო კანონების შემუშავება. ეს კანონები უნდა შეიქმნას არა ერთი რომელიმე პიროვნების მოსა'სრებათა მიხედვით, არამედ სალიტერატურო ენის მოღვაწეთა შეთანხმებით. ამისთვის „მეენი მწერლები აუცილებლათ უნდა შეთანხმდნენ და ერთგვარი ფორმე

245 მ ი ს ი ე ე. ახალი თუ ძეველი ენა, „კვალი“, 1894, № 32.

246 მ ი ს ი ე ე. სალიტერატურო ქართული, გვ. 97-98.

247 ი ქ ე ე. გვ. VII.

248 ს ი ლ ო ვ ა ნ. ვიორგისის სიქორთული, „კვალი“, 1894, № 35.

249 ხ. ხ უ ნ დ ა მ ე. სალიტერატურო ქართული, გვ. III.

250 ხ. ხ უ ნ დ ა მ ე. სალიტერატურო ქართული, გვ. III, IV, V.

251 ი ქ ე ე. გვ. III.

ბი ისმარონ, ერთგვარი კანონებით ისეღმძღვანელონ სიტყვების (კვილეუბახა და წინადადებათა წყობილება)“²⁵².

7. მწერალი არ უნდა იფარგლებოდეს თავისი კუთხის მეტყველებით. იგი უნდა ფლობდეს საერთო-სასაუბრო ენას მთლიანად, ყველა კუთხის მეტყველებას, რათა ხელეწიფებოდეს სიტყვებისა და ფორმების შერჩევა: „ქართუელი ლიტერატორი რომელსამც ერთი კუთხის ენით არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ ყურადღებას საქართველოს ყოველი კუთხის ენას უნდა აქცევდეს და იმათგან უსაჭიროესი სიტყვები უნდა გამოკრიფოს და უკეთილსმოვანესი ფორმები ისმაროს“²⁵³.

8. ნორმების შემუშავებისას უნდა დავეყრდნოთ ძველი ენის მონაცემებსა და კლასიკოსთა ენას. ყველა ენა ახლდება, მაგრამ ისე კი, რომ სამხრეკლად ძველი ენა რჩება. ეს სულაც არ გულისხმობს ორიენტაციის აღებას ძველ ენაზე. ახალი სალიტერატურო ენისათვის საორიენტაციოდ არც მხოლოდ ძველი ენა გამოდგება, არც მხოლოდ ახალი. „—უნდა ვიხელმძღვანელოთ ენის უცვლელი კანონებით, ძველი ენის შესწავლით და ძველთა და ახალ სახელოვანთა ენის მკოდნე მწერალთა მაგალითებით“²⁵⁴. მწერალმა ძველსა და ახალს შორის უნდა აირჩიოს ის, რომელიც ენის საზოგადო კანონებს არ ეწინააღმდეგება და თან კეთილსმოვანია: „მწერალი ბრმათ არ უნდა ემორჩილებოდეს არც ძველსა და არც ახალ ფორმებს, არამედ მათ შორის ერთ-ერთი აირჩიოს, რომელიც კეთილსმოვანი იყოს და ენის ზოგად კანონებსაც არ ეწინააღმდეგებოდეს“²⁵⁵.

ამავე აზრს დაბუჯითებით იმეორებს ს. ხუნდაძე სხვა წერილში:

„ენის კანონების კვლევაში არც მარტო ძველი მწერლობის ენით უნდა ვიხელმძღვანელოთ, არც მარტო ხალხური ენით, არამედ ორივე უნდა მივიღოთ მხედველობაში და მრავალ ფორმათა შორის უკეთილსმოვანესი ავირჩიოთ. ამისთვის ცოდნის გარდა საჭიროა კარგი მუხიკალური სმენა და განვითარებული ლიტერატურული გემოვნება“²⁵⁶.

9. მართალია, ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი ქართულია, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს სხვა დიალექტების როლის უგულვებელყოფას: „სადაც ხალხის ცხოვრება უპირველესად

²⁵² ი ქ ვ ე გვ VII.

²⁵³ ი ქ ვ ე

²⁵⁴ ი ქ ვ ე

²⁵⁵ ს. ხუნდაძე. სალიტერატურო ქართული. გვ. VII.

²⁵⁶ მ ი ხ ი ე ე. გასეთ „აქერის“ რედაქციის საყურადღებოდ. „კვალი“, 1894, №44.

განვითარდა, პირველი სეკენი მოღვაწეებიც იქ განხდნენ და სამწერ-
ლო ენის საფუძვლადაც იქაური კილო დადგინდა. ისტორია
მოგვითხრობს, რომ ქართველების ცხოვრება მკვხეთაში დაწვებულა
და „იქიდან შემდეგ... ქართველი ტომები ნელ-ნელა ყოველ მხარეს
გაქრცვლებულა“²⁵⁷. მაგრამ „ქართლმა შექმნა სეკენი კულტურა და
ამიტომ იქაურ ფორმებს უნდა მიესცეთ უპირატესობა... ეს
შემცდარი ახრია. როგორც დედა-მდინარეს აღნიერებს და აძლი-
ერებს სხვადასხვა მხრიდან შიგ მიმდინარე პაწია ნაკადულები, ისე
ამდირებს და ამშვენიერებს დედა-ენას მისი შტოების საუკეთესო
ფორმები, სიტყვები, გამათქმები“²⁵⁸.

10. რადგან სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობს მთე-
ლი ხალხი, მთელი ერი და არა ერთი რომელიმე კუთხე, სალი-
ტერატურო ქართულში წმინდა ქართლურთან ერთად სხვა კუთხის
სიტყვები და ფორმებიც უნდა შევიდეს²⁵⁹.

სალიტერატურო ენაში დიალექტების როლისა და ადგილის
შესახებ ს. ხუნდაძე იმთავითვე საკმაოდ გამოკვეთილ პოზიციას
იჭერს და ერთ მტკიცე ახრს ადგას. ჯერ კიდევ 1886 წ. გამოქვეყნე-
ბულ კრიტიკულ წერილში „ივერია“ და მისი ენა“ ავტორი პრინცი-
პულად აყენებს სალიტერატურო ენაში დიალექტების (კერძოდ,
იმერული დიალექტის) ადგილის საკითხს: „ჩვენ კარგად გვეხმის,
რომ ამერულ კილოს მეტი ადგილი ხტერია და უნდა ეჭიროს სეკენს
ლიტერატურულ ენაში, მინამ იმერულს, მაგრამ იმერული კილო,
იმერული ელემენტი ისე აუცილებელი საჭიროა ჩვენის ლიტე-
რატურული ენისათვის, როგორც თევზისთვის წყალი, ცხოველის-
თვის ძაერი... იმერული კილო ამხუბუქებს სეკენს ენას, აკეკლუცებს
მას და პოეტურ სიღამასხეს აძლევს... სეკენ გეწამს, რომ ცალკე არც
იმერული ვარგა და არც ამერული. ლიტერატურული ენა უნდა
იყოს შემუშავებული სეკენი ქვეყნის ყოველი კუთხის მშვენიერი
ფორმებისა და სიტყვებისაგან — და მხოლოდ მაშინ იქნება იგი
ღამასი, მშვენიერი, კეთილხმოვანი. მაგრამ, ამისათვის საჭიროა
კარგი ინსტინქტი, კარგი გემოვნება“²⁶⁰.

11. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ სალიტერატურო
ენის ნორმათა შემუშავებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა კუთხის

257 მ. ს. ი. ვ. კ. სალიტერატურო ქართული, გვ. VI.

258 მ. ს. ი. ვ. კ. ბ-ნი კლდაის მხველობის გამო, „ივერია“, 1903, № 174, გვ. 2.

259 ხ. ს. უ. ნ. დ. მ. ქართული თუ ქართლური ენა. გაზ. „სახალსო საქსე“, 1920,
№ 856.

260 ხ. ი. ღ. თ. ვ. ნ. გახეთი „ივერია“ და მისი ენა. „ივერია“, 1886, №№ 13, 14.

წარმომადგენელი: „ერთი რომელიმე კუთხის წარმომადგენელს არ შეუძლია ენობრივი ნორმების შექმნა“²⁶¹.

12. დიალექტური ფორმების გამოყენება მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაშია დასაშვები: „ხალხური ენის ფორმები მწერლობაში მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა მწერალი ხალხის ტიპს ალაპარაკებს; წმინდა ლიტერატურულ ენაში კი, როცა მწერალი ამბავს თავისი საკუთარი ენით გადმოგვცემს, ლიტერატურული ენის საწინააღმდეგო ფორმების ხმარება, როგორც განსაკუთრებით ფშაველი მგოსნები ხმარობენ, — დიდი შეცდომაა“²⁶².

13. უცხო სიტყვების შემოტანა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი ბადალი სიტყვა არა გვაქვს ქართულში: „დიდი სიფრთხილე გემართებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანით ჩვენი ენა არ დაეამახინჯოს. მაგრამ აქაც უკიდურესობა არ ვარგა. შეუძლებელია რომელიმე ენაში უცხო სიტყვა არ შევიდეს, მაგრამ ეს სიტყვა უთუოდ იმისთანა ტექნიკური, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე უნდა იყოს, რომლის მსგავსიც ამ ენაში არასოდეს არ ყოფილა. ამისთანა სიტყვების კატეგორიას ეკუთვნის, მაგალითად, რუსული სიტყვა «სამოვარი»“²⁶³.

14. რაც შეეხება უცხო გრამატიკულ კატეგორიას, ასეთი არ უნდა შემოვიტანოთ ენაში: „რუსული ენის გავლენით, 'სოციერთი ჩვენი მწერალი, ვითომდა მღვდრობითი სქესის აღსანიშნავათ, რამდენიმე სიტყვას რუსული დაბოლოებით ხმარობს: ღმერთა, მეფა, ბატონა, ხელმწიფა და სხვ. ქართულ ენაში სქესი არ არსებობს და, მაშასადამე, მის აღსანიშნავათ განსაკუთრებული დაბოლოება ჩვენს ენაში სრულიად შეუფერებელია“²⁶⁴.

15. „როცა რომელიმე სიტყვა უცხო ენიდან შემოგვაქვს, უცხო ენის მართლწერა კი არ დავიცვათ, არამედ — ჩვენი ენისა“ (ეკლესია, გრამატიკა, პროგრამა, კომისია, ანა, იოანე... და არა: ეკკლესია, გრამატიკა, ანა, კომისია...)“²⁶⁵.

16. მისაღები ფორმის შერჩევისას შემდეგ პრინციპებს უნდა ვეყრდნობოდეთ: ფორმის სიმარტივე, წარმოების სისწორე, ისტორიულად გამართლებულობა, გავრცელებულობა, კეთილხმოვანება.

261 მ. ი. ხ. ე. ქართული ენის სწავლება. გ. ს. „კოლხიდა“. 1911, № 9, გვ. 2-3.

262 ს. ხ. უ. ნ. დ. ა. ქ. ქართული მართლწერის და სწორების ძირითადი საკითხები. ქუთაისი, 1927, გვ. 78.

263 ი. ქ. ვ. ვ. 77.

264 ი. ქ. ვ. ვ. 73.

265 ი. ქ. ვ. ვ. 52.

17. რადგან სიმარტივე ენის წარმატებაა („ენის წარმატება სიმარტივეში“ უნდა გამოსტყვიოს²⁶⁶), ამიტომ ენის განვითარებისა და წინსვლისათვის უნდა დავიცვათ გამარტივების პრინციპი:

გავამარტივოთ ძველი ენის მძიმე ფორმები (აღუდეო, განვაგდე... კი არა: აუდეო, გაუაგდე...);

ვებრძოლოთ რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრას. ეს გააადვილებს გამოსაქმას, ე. ი. გააკეთილხმოვნებს კიდევ ენას (მიბრძანე, წავიდნენ, სცდილობს... კი არა: მიბისნე, წავიდენ, ცდილობს...);

წინადადებაში სიტყვები დავაწყოთ მარტივად (მაგ.: „ქვეყნის დიდი საქმე თავგანწირვას ითხოვს“, და არა: „თავგანწირვას ითხოვს დიდი საქმე ქვეყნისა“).

18. სალიტერატურო ენის დასახვეწად ასევე გადამწვევტია კუთილხმოვანების პრინციპის დაცვა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სიტყვა ადვილად გამოსათქმელი და სასიამოვნო მოსასმენი იყოს. „კუთილხმოვანი სიტყვა ის არის, რომელიც გამოსათქმელათ ადვილია და სმენისთვის სასიამოვნო“²⁶⁷. „კუთილხმოვანება ენის სიკეთის პირობათაგანია“²⁶⁸ — წერს ს. ხუნდაძე და ქართული ფონეტიკის მთელ რიგ კანონებს „კუთილხმოვანების“ სამსახურში აქენებს:

„ქართული ენა კუთილხმოვანობისათვის შემდეგ კანონებით ხელმძღვანელობს“²⁶⁹:

1) თანხმოვნის გამოკლება და ამით გამოთქმის გაადვილება (ბ(რ)ძანება, (მ)კვდარი, ცი(ხ)ხარტყელა...);

2) თანხმოვნის ჩართვა (შვეიტყვე, დავაწვე, გაუაძერე, მისცა, სძინავს...);

3) მეტათეზისი (კარიელი, ხენა, კვლა, სხვლა, სურიელი, მადრიელი...);

4) თანხმოვნის შეცვლა (წრეუანდელი, მზგავსი, ბარბაღე, ლერწამი...);

5) ს და შ-ს შენაცვლება (ტაშტი, შკოლა, შინჯვა, ფოშტა, შიმშილი...);

6) მარცვლის შემოკლება (ხალხური ენის -ოვა, -უა > -ვა: ცხოვარი > ცხვარი, საშუალება > საშუალება);

7) ორი ერთგვარი თანხმოვნისათვის გვერდის ავლა (გრამ(მ)ატიკა, ეკ(კ)ლესია, თ(თ)ვე, ჩ(ჩ)ვილი...);

²⁶⁶ ს ი ლ თ ვ ა ნ. გიორგიის ნიქორთელი, „კვალი“, 1894, № 35.

²⁶⁷ შ ი ს ი ე ვ. ნუმი ქართული გრამატიკა, გაზ. „სახალხო განათლება“, 1919.

²⁶⁸ შ ი ს ი ე ვ. სალიტერატურო ქართული, 1901, გვ. 102.

²⁶⁹ ს. ხუნდაძე. ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 48.

8) უცხო სიტყვებში ო-ს გამოთქმა რეზული ა-სგან განსხვავებით (კომიტეტი, ოდესა, მოსკოვი...);

9) ბოლო მარცხელის გასმოვანება (თუ სიტყვის ბოლოს და მეორე სიტყვის დასაწყისში ერთი და იგივე თანხმოვანია. წინა სიტყვას დაერთვის ა: წყალსა სვამს, ხელითა ხოხრის...);

10) ნაცვალსახელებისა და „რომ“ კავშირის იშვიათი გამოყენება („არ უნდა ვისმართ იხინი არსად, სადაც უისათოდ ახრი გასაგები იქნება“);

11) მსახლდერულ-სახლდერულის დაბოლოების გამარტივება (ძველი ფორმები: საქმესა კაცისასა, საქმითა კაცისათა, ან შევამოკლოთ: საქმეს კაცისა, საქმემ კაცისამ, ან წყობა შევცვალოთ: კაცის საქმე, კაცის საქმეს...).

სიღოვან სუნდაძემ ერთოგრაფიას საფუძვლად დაუდგა „ქართლსმოვანობის“ პრინციპი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ სიტყვა ადვილად გამოსათქმელი და სასიამოვნო მოსახმენი იყოს... „ქართლსმოვანობის“ პრინციპს ძირს უმაგრებს შემდეგი ფონეტიკური კანონები: სიტყვის ძირში არ შეიძლება ერთად მოიყაროს თავი ერთგვარი წარმოების ბგერებმა („ერთი ორგანოს სმებმა“); მაგ: ბპ, ბფ, ბძ, ყბ, ყგ, გღ, დტ, დთ... გამონაკლისს წარმოადგენს მ, რომელიც ძირში შეგვსელება სხვა ბაგისმიერ ბგერათა გვერდით („რომელიც უერთდება თავისსავე ორგანოს სმებს“). მაგ: ბამბა, ყოძიყო, ღამპარი, ღამბი...)

12) საზოგადო კანონია, ერთად მხოლოდ მონათესავე ბგერები იყრის თავს.

მონათესავე ბგერებია, ერთი მხრივ, „მაგარი სმები“: ბ, გ, დ, პ, ტ, კ, მეორე მხრივ კი — „რბილი სმები“: ფ, თ, ქ, ც, ყ, ხ, ლ²⁷⁰. ძირეულ სიტყვაში მაგარი თანხმოვანი (ბ, გ, დ, პ, კ, წ) რბილი თანხმოვნის (ფ, თ, ქ, ხ, ც) მეზობლად არასოდეს არ გვხვდება (თკ, გე, ბფ და მსგავსი ბგერათშეერთებანი ძირებში შეუძლებელია). გვხვდება მხოლოდ ასეთი კომბინაციები: მაგართან — მაგარი, რბილთან — რბილი, რაც კეთილხმოვანებას ქმნის (მაგ: ტკბილი, კბილი, ტბა(ღ), დგომბა... მაგრამ: თქმა, ფქვილი, თფილი...).

გამონაკლისია რბილი ბგერა ხ, რომელთან რბილი ბგერაც გვხვდება და მაგარიც (თხელი, ცხელი, ფხალი, ჩხა... მაგრამ ასევე: ხტომა, კოხტა, ტახტი... ხბო, ხხდომა...).

უფრო ადრეც, 1889 წელს, მიუთითებს ავტორი ამ ფაქტზე: ტფილისი ძნელი გამოსათქმელია, რადგან ტ და ფ სხვადასხვა

²⁷⁰ ხ. სუნდაძე ბგერებს ასახიათებს აქუსციკური შიბბეკდილების მსხველით: მაგარი და მსხვილი (ბ, გ, დ, ჯ, კ), მაგარი და წმინდა (პ, კ, ტ, ძ, წ), რბილი და მსხვილი (ფ, თ, ქ, ლ, ყ, ხ, ც), რბილი და წმინდა (მ, ნ, ლ, ზ, ს).

ხასიათის ხმებია: ტ მაგარია და წმინდა, ფ რბილია და მოძისხო, ერთად კი მხოლოდ მონათესავე ასოები იყრის თავს. ეს სა'ხოგადო კანონია. უნდა ვთქვათ და ვწეროთ: რედაქცია, მაგრამ რედაქტორი და ა. შ. ხმები თ, ფ, ქ, ც, ხ, ერთი მხრივ, და დ, ბ, კ, წ, ყ, გ, მეორე მხრივ, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისა არიან და ამათი შეკრთება არ შეიძლება, თორემ კეთილხმოვანებას დაარღვევს²⁷¹.

ამ კანონს არ ემორჩილება სისინა და წმინა ბგერები და აგრეთვე ვ, მ, ლ, ნ, რ, დ, ყ თანხმოვნები — ისინი ერთნაირად იხმირებიან როგორც რბილ, ისე მაგარ ბგერებთან. მაგ: ტყე, ყბა, დღე, ხმა, გმირი... ს. ხუნდაძე გახა'სავს, რომ ამ ფონეტიკურ კანონს (მაგართან — მაგარი, რბილთან — რბილი) მტკიცე საფუძველი აქვს ხალხის გამოთქმაში. „სა'ხოგადოთ სამწერლო ენას ხალხის ენა უნდა ედვას, მაგრამ განსაკუთრებით გამოთქმაში უნდა მიექცეს ყურადღება ხალხის ენას, მეტადრე ქართულში, სადაც სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის. ამიტომ სწორია და უნდა იწერებოდეს: თფილისი, შეცთომა, მხთალი, მოხთა, ერდგული, ქვიტკირი“²⁷².

19. სალიტერატურო ენის განახლებისა და გამდიდრებისათვის, ე. ი. ნორმალისა(კუთისათვის, მართლწერაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფონეტიკურ პრინციპს. არადგან ქართულში სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის, ე. ი. უნდა ვწეროთ ისე, როგორც გამოითქვამს ხალხი... სა'ხოგადოთ სამწერლო ენას საფუძველათ და საძირკველათ ხომ ხალხის ენა უნდა ედვას, მაგრამ განსაკუთრებით გამოთქმაში უნდა მიექცეს ყურადღება ხალხის ენას, მეტადრე ქართულში, სადაც, ვიმეორებ, სიტყვები ისე იწერება, როგორც გამოითქმის“²⁷³, ამიტომ:

ვითარებით ბრუნვასა და ზმნისართებში უნდა ვწეროთ თ (ქვათ, კარგათ...).

(ჟ-სა და ხ-ს მეზობლად უნდა ვწეროთ თ (გამოცთა, წახთუნა...)“²⁷⁴.

ჰ არც ერთ ქართულ ძირში არა გვაქვს, ძნელი გამოსათქმეულია და ხორცმეტია ზმნებშიც (ჰბრძანდები...), არ გამოუთქვამთ და

271 ს. ხუნდაძე ა. მ. შ. ზიბლიცკისა. პირველ-დაწყებით ქართული გრამატიკა, „შეღვენილი არ. ქუთათელისისაგან, „თვერია“, 1889, №№ 12, 14, 15.

272 ს. ხუნდაძე ა. მ. შ. სალიტერატურო ქართული, გვ. 97-98.

273 ი. ქ. შ.

274 თავისი გრამატიკის VII გამოცემაში (1920 წ.) ს. ხუნდაძე დ-ს ხმარობს (თ. ლ. ა. მ. ა. ნ. ა. ლ. ა. ნ. ა. ს. დასახელებული ნაშრომი).

არც უნდა ვწეროთ. ს კი შეიძლება ვიხმაროთ (სთქვა, სტირის, სწუსს, მისკა) საკუთილხმოვნით“²⁷⁵.

ერთ თავის წერილში ხუნდაძე განმარტავს, რომ მის „ქართულ გრამატიკაში“ ოთოფრაფია რამდენადმე განსხვავებულია: ხნისხართებსა და ვითარებით ბრუნვაში დ-ს მაგიერად ხმარობს თ-ს (კარგათ, კაცათ...), ასევე თ-ს ხმარობს დ-ს მაგიერად ც-სა და ხ-სთან (გამოცთა, გადახთა) და ა. შ. იგი მიუთითებს, რომ ეს მართლწერა არ არის ფანტაზიის ნაყოფი და მისი საფუძვლები მოხსენიებული აქვს წიგნში „სალიტერატურო ქართული“²⁷⁶.

პრინციპებში, რომლებიც დღეს სახელმძღვანელოდაა მიღებული, დადგენილია, რომ სალიტერატურო ენის ნორმის შემქმნაგების დროს საკითხი გადაწყდება იმ ფორმის სასარგებლოდ, რომელიც უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში, გრამატიკულად სწორია (დღევანდელი გრამატიკული სისტემით გამართლებულია), წარმოების მიხედვით მარტივია, ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას.

ამ პრინციპების სიახლოვე ს. ხუნდაძის შესაბამის პრინციპებთან აშკარაა. რაც შეეხება კუთილხმოვანებას, რომელიც ს. ხუნდაძისთვის ეველაზე მეარი საბუთი იყო, რომელსაც იგი იყენებდა და თანმიმდევრულად იცავდა, სუბიექტური პრინციპია და ამდენად მისი შეტანა ნორმალისაციის პრინციპებში გაუმართლებელია, რადგან ენის ფაქტების შეფასებისას ხანდო შედეგი შეიძლება მოგვეცეს მხოლოდ ობიექტური ანალიზის მეთოდმა, ენობრივი მეთოდის ახსნამ, და არა პირადი გემოვნების მიხედვით შეფასებამ. კუთილხმოვანება ნორმის დასადგენად უტყუარი საყრდენი ვერ იქნება, რამდენადაც ამა თუ იმ ენობრივ ფაქტს აფასებს იმის მიხედვით, არის თუ არა ბუნებრივი ეს ფაქტი მავანისათვის, ეურს უცხოვდ თუ არ ხვდება, სასიამოვნო მოსასმენია (ეს არის ამ მეთოდის კრიტიკისთვის). მაგრამ ის, რაც ერთისთვის კუთილხმოვანია, მეორეს შეიძლება არაკუთილხმოვნად ეხეწოს (ამას განსაკუთრებით სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები იგრძნობენ). ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ს. ხუნდაძის კუთილხმოვანების პრინციპმა საკმაოდ მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა (არნ. ნიქობაია).

ჟერ კიდევ 1895 წელს პეტრე ჭარაიაამ განაცხადა, მართლწერის პრინციპად კუთილხმოვანების პრინციპი არ გამოდგებაო. ენის განვითარება არ მიიმართება კუთილხმოვანების მოთხოვნილებათა

275 ს. ხუნდაძე. გიორგიის ნიქორთული, „ქალი“, 1894, № 35, გვ. 13-15.

276 ს. ხუნდაძე. მცირე შენიშვნა წემი „ქართული გრამატიკის“ გამო, „თვერია“, 1903, № 137, გვ. 3.

მიხედვით, ის სუბიექტური მეთოდია და არ წარმოადგენს მეცნიერულ ცნებას²⁷⁷.

კეთილხმოვანების პრინციპს წინ აღუდგა პ. მირიანაშვილი²⁷⁸. ხუნდადისებურად გაგებულ კეთილხმოვანებას იწუნებდა ა. შანიძეც და სხვ.

ს. ხუნდაძე ასე იცავდა და ახუსტებდა თავის აზრს: „ღინჯ მსაკამათეს არ შეეძლო ეთქვა, თითქოს მე, ქართული ენის სხვადასხვა ფორმის არსევის დროს, მხოლოდ პირადი გამოცნებით ვხელმძღვანელობდე. მაგრამ იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ ყოველის კულტურულის ერის სალიტერატურო ენაში კეთილხმოვანობას, როგორც მუსიკაში პარმონიას, მკირე ადგილი არ უჭირავს და თუ რომ განვითარებულ მსმენელს კი აქვს ნება რომელიმე მუსიკალური თუ სასიმღერო პანგი პარმონიულაათ ან დისკარმონიულაათ აღიაროს, ენის მკელეუარსაც ვერაეინ დაუშლის, მეცნიერულ დასაბუთებასთან ერთად კეთილხმოვანობაც იმოწმოს“²⁷⁹.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კეთილხმოვანების პრინციპს მომხრეებიც აქაედა. მაგ: აკაკი, გ. წერეთელი (იხ. ქვემოთ), ს. გორგაძე (ერთ-ერთ პრინციპად მიიხეედა), ი. გოგებაშვილიც კი ვაღიარებ ფორმის უპირატელობის ერთ-ერთ საბუთად იმასაც ასახელებს, რომ აღვიარებ უფრო ძნელი გამოსათქმელია, ე. ი. არაკეთილხმოვანი...²⁸⁰

ს. ხუნდაძის მიერ წამოყენებული ფონეტიკური პრინციპის წინააღმდეგ გაილაშქრა იუსტ. აბულაძემ. მისი აზრით, არ არის სწორი ფონეტიკური დაწერილობის პრინციპის განუხრედად, სწორ-ხაზოვნად გატარება. გვაქვს სიტყვები, რომელთა გამოსაქმა და წერა ერთნაირად შეუძლებელია (გქონია — ისმის: ქქონია). გამოსაქმის კანონი სხვა აქვს ენას, წერისა კი — სხვა. მართლწერის წესის დასადაგენად საჭიროა ენობრივი ანალიზის ნატარება. გადამწვეტი როლი უნდა მიენიჭოს არა ხალხის გამოსაქმას, არამედ სიტყვისა თუ აფიქსის წარმომავლობას, წერაში მეცნიერული კანონის მიხედვით უნდა მოეიქცეოთ. მაგ: ვითარებითი ბრუნვის ნიშანი - ად წარმომობილია სად მოქმედების სართისაგან. ქალაქად ← ქალაქ-სად (ქალაქის მიმართ). კაცად ← კაც-სად (კაცის მიმართ) (მღრ.: მიიქცა ქალაქად). ასეეე, თემც ისმის ტკილი, კილი, ტბა...²⁸¹

²⁷⁷ პ. კ ა რ ა ი ა. ქართული ენა და ქართული მართლწერა. „მოამბე“, 1895, № 9.

²⁷⁸ პ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი. „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

²⁷⁹ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 5.

უნდა ვწერთ: ტკბილი, კბილი, ტბა... გამოითქმის: სახტარი, ხეთის... უნდა ვწერთ: საყდარი, ღეთის...²⁸⁰.

ფონეტიკურ პრინციპსაც ძეგლად მხარდამჭერი. მაგ.: პეტრე ჭარაია, რომელმაც კეთილსმოვანების პრინციპის წინააღმდეგ გაილაშქრა, ფონეტიკური პრინციპის მომხრე აღმოხნდა — ენის სიკაცხლის, მისი განვითარების დასტურს იგი სწორედ ბგერათა ცვალებადობაში ხედავს. პ. ჭარაიას აზრით, სხვაობა ერთი სიტყვის დაწერილობაში იქიდან წარმოდგება, რომ მართლწერის საკითხებში სხვადასხვა გზას ადგანან, მაგალითად, „იეკერია“ ისტორიულ პრინციპს იცავს (იცავენ იმ დაწერილობას, რომელიც გვხვდება საღეთო და ხაერო ძეგლებში), „იკალი“ კი ფონეტიკურ ორთოგრაფიას მოხდევს — წერენ ისე, როგორც გამოითქმის თანამედროვე სახალხო და ხალიტერატურო ენაში. პ. ჭარაია მხარს უჭერს „იკალის“ პოზიციას: ძველად იწერებოდა: მწუხარედ, პირველად, ტკბილად... დღეს დ აღარ იხმის, გეაქვს თ. დ-ს აღდგენა შეუძლებელია, უნდა ვწერთ თ. ასევე ვერ დაუტბურედებით თვე სიტყვის ძველ მართლწერას თთვე. ასე რომ, ძველი ფორმების შენარჩუნებაზე ყიქრი უშედეგია.

ესეც კია, რომ პ. ჭარაიას აზრით, ისტორიული მართლწერის დაცვას „სოფ შემოხვევაში თავის მნიშვნელობა აქვს“²⁸¹.

ცნობილია ს. ხუნდაძისა და ა. შანიძის პაექრობა. ამაზე აქ აღარ შევხერდებით.

ამ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ს. ხუნდაძის დიდ ღვაწლს ხელაუღრენ და აფასებდნენ მისი თანამედროვენი. იუხტ. აბუღლაძე აღნიშნავს რა ქართული გრამატიკული ლიტერატურის ხილარიბეს, წერს: „ამისთანა მდგომარეობაში სწორედ გაჭირვების ტალკეხია ისეთი კეთილსინდისიერი შრომა, როგორიც არის ს. ხუნდაძის „ხალიტერატურო ქართული“... ავტორი ცდილობს გაამარტივოს და გააკეთილხმოვანოს ხალიტერატურო ენა, ამისთვის გვაწვდის საბუთებს“²⁸².

ს. ხუნდაძის წიგნს მადიდ შეფასებას აძლევს ა. ხახანაშვილი: „ჩვენ დიდათ ვაფასებთ ს. ხუნდაძის ღირსეულ შრომას და თით-

²⁸⁰ ი უ ს ტ. ა ბ უ ღ ა ძ ე. ბიბლიოგრაფია, ხალიტერატურო ქართული (სიღ. ხუნდაძის გამოკვლევა, ქუთაისი, 1901), „სოფ საური“, 1902, № 6.

²⁸¹ პ. ჭ ა რ ა ი ა. ქართული ხალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა, „შოამბე“, 1895, № 9.

²⁸² ი უ ს ტ. ა ბ უ ღ ა ძ ე. ხალიტერატურო ქართული (სიღოვან სუნდაძის გამოკვლევა, ქუთაისი, 1902), „სოფ საური“, 1902, № 6.

ქმის ყოველს მის სტრიქონს ქვეშ ხელს მოვაწერთ თანხმობის ნიშნათ²⁰.

გარდა უამრავი სადაყო ფაქტის განხილვისა და მისაღები ვარიანტების დადგენისა, ს. ხუნდაძემ სოციალდემოკრატიული ხასიათის მრავალი საინტერესო მოსახრება გამოთქვა სალიტერატურო ენის ნორმალისაცხასთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბა ნორმალისაცხის პრინციპები, ბევრ შემთხვევაში მართებული პოზიცია შეარჩია და თავდადებით იბრძოდა ამ დიდი ეროვნული საქმისათვის.

ტრადიციული შეხედულებების (ანტონ I და სხვ.) საწინააღმდეგოდ, ს. ხუნდაძეც ენის ცვალებადობას აღიარებს; უერთდება მოსახრებას, რომ სალიტერატურო ენამ ორიენტაცია ხელის მეტყველებასზე უნდა აიღოს; ხედავს მჭიდრო კავშირს ენისა და მისი მყლობელი ერის მდგომარეობას შორის; სალიტერატურო ენის მიმე ვითარებიდან გამოსხაველს ყველასთვის საყვალდებულო მართლწერის წესების შემუშავებაში, კანონების დადგენაში სახელმწიფოებრივ დონეზე; თვლის, რომ ნორმების შემუშავებისას უნდა დავეყრდნოთ ძველი ენის მონაცემებს, კლასიკოსთა ენას და საღსურ მეტყველებას; ცდილობს, რომ სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს საქართველოს ყველა კუთხის, ყველა დიალექტის მონაცემები; ნორმების შემუშავებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა კუთხის წარმომადგენელი; მისი აზრით, დიალექტური მსხალის განუკითხავად შემოტანა დაუმკლებელია; დიალექტისმების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში; უცხო სიტყვების შემოტანა სოგჯერ აუცილებელია (თუ ბადალი სიტყვა არ გაანია ქართულს), მაგრამ უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოტანა არამც და არამც არ შეიძლება; უცხო სიტყვებში სვენი ენის მართლწერის წესები უნდა დავიცვათ; სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად ამოსავალია შემდეგი პრინციპები: ფორმის სიმარტივე, წარმოების სისწორე, ისტორიული გამართლებულობა, გაერცვლებულობა და კეთილხმოვანება; ორთოგრაფიას საფუძვლად უნდა დაელოს კეთილხმოვანება, ფონეტიკური პრინციპი.

II. სალიტერატურო ენის ნორმალისაცხისათვის მოღვაწეობისას ს. ხუნდაძეს მხარში უდგა მეტად ნიჭიერი, ერუდირებული ენათმეცნიერი, ენების მკოდნე, სერიოზული მკვლევარი კოტე დოდაშვილი (დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1919 წ. მოღვაწეობდა XIX ს-ის 80-იან და XX ს-ის 10-იან წლებში). მისი კვლევის საგანი იყო ქართული ენის გრამატიკული წყობა და ქარ-

²⁰ ა. ხ ა ს ა ნ ა შ ვ ი დ ი, სალიტერატურო ქართული, სილოვან სუნდაძის გამოკვლევა, ქუთაისი, 1901, „კვალთ“, 1902, № 18.

თელი ლექსთწიგობა²⁸⁴. კ. დოდაშვილი თავის მოღვაწეობაში დიდ ავგილს უიმობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის საკითხებს. მისი შრომების ნაწილი ცალკე წიგნად გამოვიდა 1914 წ.

კ. დოდაშვილმა ჯერ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა სალიტერატურო ენის სადავო საკითხებს, შემდეგ კი „კეალის“ პოლიციუბის ნათელსაყოფად 1894 წ. № 39-ში წარმოადგინა პრინციპები, რელაქციის მოსახრებანი ენის ნორმალისაციასთან დაკავშირებით²⁸⁵.

აქ ნამოყალიბებულია გარკვეული თეაღსახრისი შემდეგ სადავო საკითხთა შესახებ: სტირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია; განიღვენოს თუ არა სეღმეტი ახლები; მიეინით თუ არა სალიტერატურო ენის ბახისად ხაღხის მეტეველება; სწორთა თუ არა სალიტერატურო ენაში დახაველური დიაღექტების გამოეენება; შეიძლება თუ არა ახალი სალიტერატურო ენა შეიქმნას ძველი და თანამედროვე ქართუღის შეჯკარებით და სხე.

კ. დოდაშვიღის მიერ წარმოდგენიღ პრინციპებში აშკარად იგრძნობა აეტორის ენათმეცნიერული განათლება, ქართული გრამატიკის დრმა ცოდნა, ნორმალისაციის საკითხების ნათელი ხეღვა.

„ათ რა პროგრამით აპირებს „კეალის“ რელაქცია მეშაობახ სალიტერატურო ენის შემეშეეებისათვის“, — აცხადებს კ. დოდაშვილი და წარმოადგენს პრინციპებს, რომლებიც 9 პუნქტისაგან შეღგება:

1. თანამედროვე სასაუბრო სახაღხო ენის გამოეენება სალიტერატურო ენის საყრდენად; „ლიტერატურაში ბატონობღეს წეენი თანადროული სასაუბრო ენა, ნამღვიღი ქართული და არა შერეული“;

2. ძველი და ახალი ენის შერეებით მიღებული მექანიკური ენის განღვენა: „განიღვენოს ის მეხანიკური ენა, რომელიც შექმნეს სოგაერთმა მწერღებმა ძვეღისა და ახალი ფორმების ერთი ერთმანეთში არეებით“;

3. წერისა და კითხვის თანხეღრმა, ორთოგრაფიისათვის გვერღის აღღა: „აშორღეს ქართულ ენას ორთოგრაფია, ანუ არ მოხღეს განსხეაეება წერასა და კითხეას შორის“;

²⁸⁴ კ. დოდაშვიღის საენათმეცნიერო ნაშრომები ვრცღად აქეს მიმოხიღული არნ. სიქობაღას სასეღობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომღის მ უ რ მ ა ნ ს ხ ე ს ი შ ე ი ლ ს. ხეღნაწერი ინახება ინსტიტუტის არქივში.

²⁸⁵ კ. დოდაშვიღი, ბ-ნს იაკობ ხაშონიღს, „კეალი“, 1894, № 39, გე. 10.

4. ზედმეტი ბგერების განდევნა: „განიდევნოს სიტყვებიდან ის ზედმეტი ბგერები, რომელნიც არაერთად ახალ კილოს არ ამდგურენ სიტყვების დედა-აზრს და ამიტომ ენისათვის გამოთქმაში შეადგენენ მერ საწაღებულს“;

5. პარალელური დიალექტური ფორმებისაგან უფრო კანონიერი, ქართული ენის ბუნებას მისადაგებული ფორმების შერჩევა: „შესაძლებელია საქართველოს სოფიურთ კუთხეში იხმარებოდეს რომელიმე დამახინჯებული ფორმები (პროვინციალიზმები), მაგრამ მათი შეტანა სალიტერატურო ენაში მოუხერხებელია, რადგანაც დანარჩენ კუთხეებში იხმარება კანონიერი ფორმები, ქართული ენის ბუნება-ხასიათზე ზედგამოჭრილი“;

6. გურია-იმერეთ-სამეგრელოში შემორჩენილი ბუნებრივი ქართული სიტყვების გამოყენება: „სასურველია შეწყნარება და შეთვისება იმ ბუნებრივ ივერიულ ენათა სიტყვებისა, რომელნიც გაფანტულ არიან გურია-იმერეთ-სამეგრელოში. ხოლო მათ მაგიერ ქართულ-კახეთში გაბატონებულია სიტყვები: სპარსული, თათრული, სომხური და რუსული“;

7. ხალხის მეტყველებაში შემოკლებული სიტყვების მიღება სალიტერატურო ენაში: „მიღება სალიტერატურო ენაში სოფიურთ სიტყვებისა იმ სახით, რა სახითაც იგინი შეუმოკლებია ხალხს თავის გამოთქმაში, თუ ეს შეუმოკლება არ იწვევს ცნებათა არეუას“;

8. ზმნაში ასახული სიტყვების (ზნაცვალსახელების) ამოღება წინადადებიდან: „გამოტოვება სასოგადოთ წინადადებიდან იმ სიტყვებისა, რომელთა აღმნიშვნელი ზმნებს აქვთ ხოლმე წართული“;

9. უღვლილების გამარტივება: „შემოკლება რთული უღვლებისა ისე, როგორც ამას მოითხოვს ხალხის გენიოსობა — (геній народа)“.

სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში გვხვდება კ. დოდაშვილის სოფი სხვა შეხედულებაც სოგადპრინციპულ საკითხთა შესახებ. მაგ.:

1. ენას თავისი კანონები აქვს. თავს მოხვეულ კანონს ენა არ მიიღებს: „ყოველი ენა, თვით დაბადლ ფორმაციაში მყოფიც კი, თავის ასაკში მოსული ბრძენია და არა ბაღლი და მაგრე ადვილად არ დაჰნებდება კრიჭის ასაკრავათ ძალად მაცხონებებს“²⁸⁶.

2. არ არსებობს გრამატიკული კანონი გამოწაკლისის გარეშე: „ენაში არ არსებობს რაიმე სწორთქმა, რომელსაც არ აქონდეს გამოხაკლები“²⁸⁷.

²⁸⁶ კ. დ. ა. შ. ე. დ. ი. საგრამატიკო კლასიკა. „კვადი“, 1894, № 37.

²⁸⁷ ი. ქ. ე.

3. ენის გრამატიკული აგებულება მყარია, ნაკლებად ემორჩილება ცვლილებებს, მაშინ, როცა სხვა მხარე ენისა (ლექსიკა, სოცჯერ ფორმანტები(კ კი...)) უცხო ენათა გავლენით ან სოცჯერ თვით ენაში მომსდარი პროცესების შედეგად (შემოკლება, ფონეტიკური ცვლილებები...) შეიძლება სახეს იცვლიდეს:

„რომელიმე ენა შეიძლება მრავალ საეკუნეთა განმავლობაში გაირყენას სხვადასხვა ენებიდან შემოტანილი სიტყვებით, აგრეთვე შეიძლება მან შეითვისოს უცხო ენების რომელიმე შემადგენელი ელემენტები... აგრეთვე შესაძლებელია, მის საკუთარმა შემადგენელმა ელემენტებმა იცვალოს სახე ან უბრალო შემოკლებით, ან ფონეტიკური გადაგვარებით, ხოლო ამ ენის ფორმების ანატომიური წეს-წყობილება, ანუ, სასოგადოდ რომ ესთქვათ, ენის გრამატიკა, უხსოვარ დროიდან დაყოლილი და დაკანონებული ამ ენასთან, შეუძლებელი და საუკუნო იქმნება ყოველთვის, ვიდრე რაიმე უღუთო ძალა არ შემუხრავს და წაღვიკავს იმ ერს, რომელიც ღაპარაკობს ამ ენასზე“²⁸⁸.

4. ორთოგრაფია ქართულში არ არსებობს: „ჩვენი წერა-კითხვის ერთად-ერთი ბუნდოვნება ისაა, რომ ორთოგრაფია ჩვენში არც არსებობს და არც გაგონილა. ამითი ცვიფრდებიან უცხოელები“²⁸⁹.

5. ქართულისთვის ბუნებრივი არ არის ორი ერთგვარი თანხმონის თავმოყრა: „ქართული ენა ერთდება ორ თანაბარ თანხმოვანთა შესყედრას სიტყვებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყარე თანაბარი თანხმოვანი აძლევს მთელს სიტყვას რაიმე განსხვავებულ მნიშვნელობას. მაგ: გაყდიდ-ღები, წვრილმან-ნი...“²⁹⁰.

III. აკაკი წერეთელი. ახალი სალიტერატურო ქართულის წარმატება ორგანულადაა დაკავშირებული ილიასა და აკაკის სახელებთან. ეს ორი უდიდესი პიროვნება თავიანთი მოღვაწეობითა და მრწამსით თავდადებით იღვწოდა და უძევებოდა ბრძოლას ქართველი ერის, მისი ენის საკეთილდღეოდ, ამ ენის ღირსების დასაცავად, უფლებების აღსადგენად, მის დასახეწად...

აკაკი თავისი შეხედულებებით არაფრით არ ჩამორჩებოდა იმდროინდელი ენათმეცნიერული აზროვნების დონეს. მის ნაწერებში გვხვდება მსჯელობა ენის რაობის, მისი ისტორიული ხასიათის, ენის შინაგანი კანონების ხელშეუხებლობის შესახებ, ქართველი ერის, მისი ენისა და მწერლობის სიძველის, ძველი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწილობის თაობაზე, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საყვეხურების, ახალი სალიტერატურო

²⁸⁸ ქ დ ო დ ა შ ე ი ლ ი. საგრამატიკო კლასიკა. „კლასიკი“, 1894, № 37.

²⁸⁹ ი ქ ვ ე

²⁹⁰ ი ქ ვ ე

ქართულის სამოქალაქოებისა და იმჟამინდელი მდგომარეობის, სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში მწერლობისა და თეატრის როლის შესახებ...

გულმხურვალედ მსჯელობდა და კამათობდა აკაკი სალიტერატურო ენის საჭირობორატო საკითხებზე, ეძიებდა უფრო მარჯვე ლექსიკურ ერთეულებს, დიქციონარს იკავდა ცოცხალ ენაში ხმარებულ სიტყვებს, გარკვეულ შემთხვევაში მხარს უჭერდა დიალექტურ პარალელისმებსაც, როგორც ენის სიმდიდრის ერთ-ერთ ნიშანს.

აკაკი თავდაუსოგაყად იბრძოდა დახვეწილი და მდიდარი სალიტერატურო ენისათვის. იბრძოდა თავისი მხატვრული შემოქმედებით. მახვილი პუბლიცისტიკით, ქართულ თეატრში დაუღალავი მოღვაწეობით... იბრძოდა იმ რწმენით, რომ სალიტერატურო ენა თავისი მორგანიზებული უნარით, თავისი ერთიანობითა და სიმდიდრით ერის ერთობას, მის შეკავშირებას შეუწყობდა ხელს.

აკაკი გა'ს. „კეალის“ ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო. მაგრამ გარდა ორიოდე საკითხისა, იგი თავისი შეხედულებებით იმავე პოზიციებზე იდგა, რომლებზეც იღია, დავით ყიფიანი, გრ. ყიფიანი და სხვები.

ამის ნათელსაყოფად შევეცდებით მუსკეზად სამოქალაქოობით აკაკის მრავალ წერილში გაბნეული სოგადთეორული შეხედულებები სალიტერატურო ენის ნორმალისაციის შესახებ, რათა გაადვილდეს სხვა ავტორთა შეხედულებებთან შედარება. აკაკის ასრით:

1. „ენა... ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღია“²⁹¹.

2. ენა ისტორიული მოვლენაა, ცვალებადია, ადამიანის განვითარებას თან მიაყვება და ამიტომაც თანდათან იცვება და მდიდრდება, ახალი ძეგლს ადარა ჰკავს და დღეუანდელისაგან მომავალი უნდა განსხვავდეს, უნდა გაიზარდოს“²⁹².

3. ენას თავისი განვითარების კანონები აქვს, გარედან რისამე თავზე მოხვევა შეუძლებელია: „ამ კანონების გადახევეა ჟინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება“²⁹³.

4. ქართული ენა (ისევე, როგორც ქართველი ხალხი) ძველისძველია: „სათავე ქართველობის და ქართული ენის ჯერ არა აქვს

²⁹¹ ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი. ნაღლი, „თემა“, 1911, № 12; თ.ს. ხრ. კრებ. XIV, 1961, გვ. 312.

²⁹² ი ქ ვ ე

²⁹³ ი ქ ვ ე

ისტორიის გამოკვეთილი, მაგრამ ნიშნებს კი ძალიან შორს მივეკარათ²⁹⁴.

5. ძველისძველია ქართული დამწერლობაც (მხედრული უფრო ძველია, სუცური — უფრო ახალი)²⁹⁵: „აქამდე გამორკვეული არ არის, როდის არის შემოსლებული ქართული მწერლობა — ქრისტიანობის დროს თუ წინათვე, კერპობისას. მართალია, ისტორიული ზღაპარი გამოსგვეყვამს, რომ სომხის ტერტერამ, მესროპმა, გამოუგონა ქართველებს ანბანიო, მაგრამ ეს დამაჯერებელი არ არის“²⁹⁶.

6. ძველი ქართული სალიტერატურო ენა დახვეწილი, სრულყოფილი ენაა: „ძველი ქართული ენა ისე კარგათ არის ძველთაგანვე შემუშავებული, შეესებუელი, რომ მისი ზედმოწევნიო ცოდნა ძნელია“²⁹⁷. „აიღეთ ეცხო ენებიდან ნათარგმნი წიგნები ხაერო თუ საღეთო-სასულიერო და მაშინ დარწმუნდებით, თუ რამდენად სრულია და შემუშავებული ქართული ენა“²⁹⁸.

7. შუა საუკუნეებში სანიმუშოდ დახვეწილი იყო არა მხოლოდ სალიტერატურო, არამედ ასევე სასაუბრო ქართული ენაც, ხალხის მეტყველება. რუსთაველი ამ საერთო-სახალხო ენას იყენებდა: „შეათე საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა დამთავრებული იყო არა მარტო ქაღალდზე, ხალხშიც კი სასუბროდ... რუსთაველს ენა კი არ შეეკმნია, მან მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტრ ნაკლებოდ, რადგანაც... რუსთაველის დროს ქართული ენა გავმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი ერიც“²⁹⁹.

8. ენისა და ერის ასეთი სიძლიერე, სიმტკიცე, ერთიანობა შეპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერით, სიმტკიცით, ერთიანობით. ხოლო შემდეგ საქართველოს ავტულობის დროს, „მონგოლებმა რომ მესრი გააველეს საქართველოს და თათრობამ ნაწილ-ნაწილ დაჰყო, მაშინ ენაც დაკნინდა, მთელი ერის ენა იმდენად დაიყო, რომ ერთ კუთხეს მეორის ენა ეწოთირებოდა“³⁰⁰.

9. მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ბრძოლა ერთი და ერთიანი სალიტერატურო ენისათვის. „შედარებით ადვილად გადა-

²⁹⁴ ა კ ა კ ი, ნაღუღი, „თეზი“, 1911, № 12; თს.ხ. სრ. კრებ. XIV, გვ. 489—490.

²⁹⁵ როგორც ა. შანიძე წერს, ეს აზრი გამოთქმული აქვს ილია თქრომჯუღელიშვილის (ა. შ ა ნ ი ძ ე, სალიტერატურო ქართულის საპირბოროტო საკითხები, თბ., 1979, გვ. 195).

²⁹⁶ ა კ ა კ ი, მოსხენება, წაკითხული 30 მარტს ს. აბაშელის საღამოსზე, „თეზი“, 1913, თს.ხ. ტ. XI, გვ. 542.

²⁹⁷ ა კ ა კ ი, არ ცოდნა არ ცოდეთაო, „ეკვლი“, 1894, № 30, თს.ხ. XIII, გვ. 36.

²⁹⁸ შ ი ს ი ე ზ, შენიშვნა, „ეკვლი“, 1890, № 6; თს.ხ. XIII, გვ. 36.

²⁹⁹ ი ქ ე ზ, გვ. 340.

³⁰⁰ ა კ ა კ ი, შენიშვნა, „ეკვლი“, 1890, № 6, თს.ხ. XIII, გვ. 340.

წყდა საკითხი, რომ სალიტერატურო ენა ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უმაღლეს დადგა სხვა საკითხი — რომელი უნდა იყოს ეს ერთი ენა, რა ენით ვწეროთ — ძველით თუ ახლით. საქმე ვერ გადაწყდა, ხანამ არ გაიმარჯვა თერგდალეულთა აზრმა: უნდა ვწეროთ ხალხის ენით, და ასე „ხელ-ხელა ქართულ მწერლობაში ახალმა ენამ დაიჭირა ადგილი“³⁰¹.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, აკაკიმ საკმაოდ სწორად და ნათლად წარმოადგინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითადი საფეხურები. მაგრამ მისთვის მთავარი მაინც იყო იმდროინდელი სალიტერატურო ენის საყვალავო მდგომარეობა, რაც გამოიწვია, ერთი მხრივ, დამსკრობთა მიერ ქართული ენის სამოქმედო ასპარეზისა და უფლებების შეზღუდვამ, მეორე მხრივ, ენის დემოკრატიზაციის პროცესის არასწორად გაგებამ. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, მოხვევა დიალექტისმების უხვად შემოჭრა სალიტერატურო ენაში.

10. ლექსიკის სიუხვე ენის სიმდიდრეა; მდიდარია ქართული, რადგან მას „დიდი ხიტყვის კონა აქვს“³⁰².

11. აუცილებელია სხვადასხვა კუთხეში შენახული ლექსიკის შეკრება და ამით სალიტერატურო ენის გამდიდრება. ძველ მწერლობასთან ერთად ხალხური მეტყველება სალიტერატურო ენის ლექსიკური მარაგის დაუშრეტელი წყაროა. „სხვადასხვა მხარეებში ბევრი მისთანა ხიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა აღგილებში, რომ მათი გამოიქვნა და მით წვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭიროა“³⁰³.

„სოგ კუთხეში დამსკრობთა ენის ზეგავლენით ქართული ხიტყვები იკარგებოდა, სხვაგან კი რსებოდა. „ჩვენი ვალია, რომ ის ხიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნჯეში და არა გაუდევნოთ მხოლოდ მისთვის, რომ იმ ლექსს ქალაქში... არ ხმარობენო“³⁰⁴.

12. ამ სიტყვების შეკრების ერთ-ერთი კარგი საშუალება არის ხალხური ზემირსიტყვიერების შეკრება, „მაგრამ ისე კი უნდა ნაქწეროთ, როგორც თვითონ ხალხი ამბობს“³⁰⁵.

13. სხვადასხვა დიალექტში არსებული ლექსიკური პარალელისმი (რთველი)სიხვედრი ყველა ერთგვარად კანონიერია და არ

301 ა კ ა კ ი, ნაღული, „თემი“, 1911, № 12, თხ.ხ. XIV, 1961, გვ. 389.

302 მ ი ს ი ე ე, შენიშვნა, „კეალი“, 1890, № 6; თხ.ხ. ტ. XIII, გვ. 36.

303 მ ი ს ი ე ე, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, „აკაკის კრებულო“, 1899, № 2, თხ.ხ. ტ. XII, გვ. 436.

304 ა კ ა კ ი, ენების განამართლება, „დროება“, 1894, № 452; თხ.ხ. ტ. IX, გვ. III.

305 ა კ ა კ ი, შენიშვნა, „კეალი“, 1890, № 6.

შეიძლება რომელიმე მათგანს უარგონი ეუწოდოთ და ამით სალიტერატურო ენაში შემოსასხელელი გზა გადაეუჭრათ და სალიტერატურო ენის ხინონისებით გამდიდრებასაც ხელი შეეუწყოს³⁰⁶.

14. რაც შეეხება დიალექტურ გრამატიკულ ფორმებს (მაგ.: ნაუსოცაყის, გაუსუნგებ, შუეკიდიოთ ცკეს, ჯიღარიენ, წაეასსი...), მათი შემოტანა სალიტერატურო ენაში დაუშვებელია, რადგან იხინი არაღვეენ ენის კანონებს: „ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მსარეებში, პროვინციებში გადაეცხინჯებით, ხელმისაქედები კი არა, გასადვენია“³⁰⁷.

15. ასევე უმართებულა უცხო ენის სიტყვებისა და გამოთქმების შემოტანა სალიტერატურო ენაში, თუ ეს აუცილებელი არ არის.

16. არ არის გამართლებული სალიტერატურო ენისათვის საყრდენად ერთი რომელიმე დიალექტის გამოცხადება და მასზე ორიენტაციის აღება. სალიტერატურო ენა მთელი ქართველი ხალხის ენაა, ის საერთოა მთელი საქართველოსათვის, ამიტომ ყველა კილოს თანაბარი უფლება გააჩნია და სორმების შეუქმავების დროს ერთ რომელიმე კუთხეს არ უნდა მიეცეს უპირატესობა: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მოღიანი საქართველოს ენა მარტო მას დაეკისონიდიოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი“³⁰⁸. არ შეიძლება ქართლურს ეოველთვის მიეცეს უპირატესობა, რადგან სხვა კუთხეებში სოგჯერ შენახულია უკეთესი ქართული სიტყვა (მაგ.: ქართლურში ისმარება უცხო ენიდან შემოსხელი სიტყვა „ქქა“, იმერეთში კი ცოცხალია ქართული „შუქა“; „არტაშანი“ სომხურია, მკერელში შემონახულია ქართული „ხერკალი“ და სხვ.).

არც ქართლურ უმართებულო ფორმებს უნდა დაეუჭიროთ მხარი (როგორიცაა, მაგ.: ეღვეენ, უთაოდ, წაახი და სხვ.).

აკაკის მსჯელობა უარგონებისა და ფიქვ დიალექტის შესახებ სულაც არ ნიშნავს ქართლურის წინააღმდეგ გაღაშქრებას ან იმერელის პრიორიტეტისათვის ბრძოლას. აკაკი ცდილობს ყველა კუთხის ინტერესი თანაბრად დაიცვას. აცხადებს რა, რომ ყველა დიალექტის ღვექსიკური მასალა თანაბარი უფლებისაა, თანაბრად საინტერესო და გამოსადეგი სალიტერატურო ენისათვის, ამით იგი კუთხური დაპირისპირების წინააღმდეგ იბრძვის.

306 მ ი ს ი ე ვ. ენების განმარტლება. „დროება“, 1894; თსხ. ტ. IX, გვ. 111.

307 მ ი ს ი ე ვ. კრებულო, 1899, II, გვ. 101.

308 მ ი ს ი ე ვ. ნადულა, „თემი“, 1911, № 12; თსხ. ტ. XIV, გვ. 393.

საკესებით სამართლიანად აფასებს აკაკის ამ პოზიციას კ. დანელია: „ეს «შენსემიანობის», კუთხურობის საწინააღმდეგოდ მიმართული პრინციპული მნიშვნელობის დებულება იყო“³⁰⁹.

17. ქართული ენის სიწმინდისა და ღირსების შეღახვაში დანაშაული მიუძღვით ქართველ მწერლებს. მწერლისათვის აუცილებელია ძველი ქართული ენის ცოდნა, ძველი ლიტერატურის კითხვა, ასევე ხალხის სიტყვა-პასუხისათვის ყურის მიგდება, ენის სახითაც დაკვირვება, მისი გრამატიკული კანონების შესწავლა³¹⁰. მწერლად არ ნათვლება ის, ვინც არ იცის თავისი ენა: „კოქმის მწერალი მისთანა თავხედსა და მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა, არც განვითარებულია და არც თავის ქვეყანასა და ხალხს იცნობს? — რასაკვირველია, არა!“³¹¹.

მწერლობა მოვალეა იბრძოდოს სალიტერატურო ენის საკეთილდღეოდ. ამისთვის მწერალს ევალება მოიაროს საქართველოს ყველა კუთხე, ყური მიუგდოს ყოველი კუთხის მცხოვრებთა ღაპარაკს, ამოკრიბოს აქა-იქ გაბნეული ლექსიკური მარგალიტები. ასევე გამოიყოს, გამოაცავდეს ქართულისათვის მიუღებელი უცხო სიტყვები³¹².

18. ქართული სალიტერატურო ენის მაღალი დონისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქართველ მთარგმნელებსაც. ქართული ენის შესწავლა-დაკნინების გამო ახალგაზრდობამ აღარ იცის რიგიანად თავისი მშობლიური ენა, აღარ არიან ქართული ენის ღრმად მკოდნე ლიტერატორები. ენის უცოდინარობის გამო მთარგმნელები თითქმის აღარ გეჟავს³¹³.

ძველი მთარგმნელები, კარგად ყვლობდნენ რა დედაენას, თავიანთ თარგმანებში მარჯვედ იყენებდნენ ქართული ენის სიმდიდრეს, მისი ლექსიკის სიუხვეს და მაღალი დონის თარგმანებს ქმნიდნენ. ვინც რიგიანად იცის ქართული ენა, მისი ლექსიკა, თარგმანი არ გაუჭირდება. მთარგმნელმა ასევე სუემიწეუნით უნდა იცოდეს ის ენა, რომლიდანაც თარგმნის ისე, რომ წერილმანაც რამ არ უნდა გამოეპაროს. თავის საკეთარ ენაში... რაღა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს და, ამის გარდა, კიდევ ნიჭითაც თანაბარი დედნის დამწერისა³¹⁴.

³⁰⁹ კ. დანელია, აკაკი წერეთლის ნაწარვე ქართული სალიტერატურო ენის იხორბის საკითხებზე „ცისკარი“, № 4, 1991, გვ. 114.

³¹⁰ აკაკი, უბრალო საუბარი, „აკაკის კრებული“, 1886, § 6, თხ. ბ. XIII, გვ. 344.

³¹¹ იქვე, გვ. 342.

³¹² მ. ხ. ი. გ. ნაღელი, „თემი“, 1911, № 12; თხ. ბ. XII, გვ. 390.

³¹³ აკაკი, „შენსემიანობა“, „კვლი“, 1893, № 6; თხ. ბ. XIII, 1961, გვ. 36.

³¹⁴ მ. ხ. ი. გ. ბიბლოზრაფიული „შენსემიანობა“, „აკაკის კრებული“, 1889, № 2; თხ. ბ. XI, გვ. 591.

19. ქართული სალიტერატურო ენის ინტერესების დაცვა ეკისრება ქართულ თეატრსაც. სცენიდან კარგი ქართული უნდა ისმოდეს და არა ბახახსახური. „დღეს ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე დედაენა განსაცდელშია წაყარდნილი“, — წუხდა აკაკი და მსახიობებს ასე მიმართავდა: „მე თქვენგან მოვითხოვ შემდეგს: გამტკიცებულ-გასპეტაკებულ ქართულ ენას და არა ნიქსორთულს“³¹⁵. ქართველ დრამატურგთა ქართულიც არ მოსწონდა აკაკის. — ორიგინალური პიესები ნიქსორთული ენით არის დაწერილი³¹⁶.

გამოსავალი შეიძლება იყოს სპეციალური სკოლისა თუ დრამატული კურსების დაარსება, სადაც თავისუფლად ახწავლიან დედაენას, სხვადასხვა სელსუნებას, სამშობლოს ისტორიას, ლიტერატურას³¹⁷.

20. აკაკი მხარს უჭერდა კეთილხმოვანების პრინციპს: „კეთილხმოვანება დიდ საქმეს სწადის ქართულ ენაში. ხშირად კეთილხმოვანება გრამატიკას ეწინააღმდეგება და არღვევს ფორმებს. მაგ.: -ურ (აფხა'სური, კახური), სადაც ყუქეში არის რ, -ულ-ად გადადის იმიტომ, რომ კეთილხმოვანება მოითხოვს, რომ ერთ სიტყვაში ორი ერთი და იგივე ასო არ განმეორდეს (მეგრ-ულ-ი, იმერ-ულ-ი...)“.

კეთილხმოვანებით ხსნის აკაკი თავის ფორმაში ერთი ს-ს ხმარებას: „თავის დღეში (არ დაივიწყებს)... უნდა თავისს იყოსო, ე.ი. ორი სანით უნდა დაიწეროსო... მართალია! ეს ჩვენც კარგათ ვიცით. მაგრამ ერთი ს კეთილხმოვანებისათვის არის გამოტოვებული, რომ „სსს“-ი არ გამოგვივიდეს და ეურში არ გვისისინოსო“³¹⁸.

IV. გა'ს. „კეკელი“ პირველი რედაქტორი გიორგი წერეთელი (1842—1900) მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში: იღია ჭაუჭავაძესთან, სერგეი მესხსა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად მე-19 ს-ის მეორე ნახევრის პრესისა და პუბლიცისტიკის შექმნა-განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ბურჯი, დამფუძნებელი და რედაქტორი გა'სეთებისა და ჟურნალებისა: „დროება“ (1866), „კეკელი“ (1893), „სახოფლო გა'სეთი“ (1868), „კრებული“ (1871)³¹⁹... ახალი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში გ. წერეთე-

³¹⁵ მ ი ს ი ე ვ. მცირე რამ შენიშვნა (დაწერილია 1908—1914 წლებს შორის). თხ.ს., ტ. XI, გვ. 591.

³¹⁶ მ ი ს ი ე ვ. ქართული თეატრი. „ივერია“, 1904, № III; თხ.ს., ტ. XIV, გვ. 232.

³¹⁷ ი ქ ე ვ. გვ. 240.

³¹⁸ ა კ ა კ ი. არცოდნა არცოდნააო. „კეკელი“, 1894, № 30; თხ.ს., ტ. XIII, გვ. 146.

³¹⁹ „კრებულის“ პირველ რედაქტორად გ. წერეთელს მიათვლებენ: ზ. ქიტიანიძე, არნ. ჯორჯაძე, გ. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე, ე. კორჭინაშვილი, შ. რადიანი, დ. გამყარაძე, ი. მახარაძე, ი. ზოცვაძე... მაგრამ ადლ. კალანდაძე ამტკიცებს.

ლი იმთავითვე „შეიღთა“ პოზიციებზე დადგა. 1863 წ. მან მკაფიოდ გამოხატა თავისი თვალსაზრისი ძველის, კონსერვატიულის წინააღმდეგ, როდესაც შტატიკულ განაცხადა: სასოგადოებაში აღორძინებული ახალი სული ახალ სიტყვას და ახალ საქმეს მოითხოვს. ჟურნალი „ცისკარი“ მოვალეა, მხარი აუბას ამ სიახლეს, დაძლიოს მოძველებული შეხედულებები და ძველი ენობრივი ნორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიღუპება³²⁰.

ბ. წერეთელს აინტერესებდა მშობლიური ენის მრავალი ასპექტი (ქართული ენის წარმოშობა, ქართული ანბანის გენეზისი, დიალექტების მიმართება სალიტერატურო ენასთან, გრამატიკა, პალეოგრაფია...), მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციისა და ნორმალისაციის საკითხი აწუხებდა და ეს ბუნებრივიკაა — სალიტერატურო ენის ნორმები, საერთო, ყველასათვის სავალდებულო წესები ჯერ კიდევ დადგენილი და დაკანონებული რომ არ იყო, ამას ყველაზე მწვავედ ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწე გრძნობდა.

ბ. წერეთელი მოითხოვდა, რომ პერიოდულ გამოცემებში წერილები ხალხისათვის გასაგები ენით, ხალხური ენით ყოფილიყო დაწერილი. რედაქტორის განცხადებაში გახ. „დროების“ 1866 წ. №1-ში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ „სტატიები... შედგენილნი იქნებიან ადვილ-გასაგონი ენით“³²¹. „დროების“ გამოცემის შესამე წლის დასაწყისში კი იგი შენიშნავდა, რომ ამ ორი წლის მანძილზე ქართული სასოგადოება თანაგრძნობას არ აკლებდა გახეთს, მხოლოდ ცოტა უკმაყოფილებას გამოხატავდა („ცოტაოდნათ დრტვინავდა“) დიალექტისმების გამო: „თუ გამოერეოდა იმერული დექსთა-თხზვა, ეს ქართულებს ენათირებოდათ და თუ ქართლური დექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ენათირებოდათ“. ეს ბ. წერეთელს იმის მანევენებლად მიაჩნია, რომ საერთო ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას ჯერ კიდევ ბევრი დრო და ძალისხმევა სჭირდებოდა³²².

ამიტომ იგი, როგორც რედაქტორი, დაუდალავად მუშაობდა თავისი გახეთების ენის დასახვეწად. შემთხვევითი როდია ნიკო

რომ ამ ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი ნიკო ნიკოლაძე არისო. იხ. მისი „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, III, 1985, გვ. 343-349.

³²⁰ ბ. წერეთელი, „ცისკარს“ რედაქტირებდა, „საქართველოს მოამბე“, 1863, № 5.

³²¹ ბ. წერეთელი, განცხადება გახ. „დროების“ გამოცემასზე, 1866 წ. „დროება“, 1866, № 1. აგრეთვე თს. სრ. კრება, ტ. I, 1931, გვ. 386.

³²² იქვე.

ნიკოლაძის შეფასება: „გ. წერეთელის განავითარა გაზეთის ლიტერატურული იარაღი — ენა და სტილი“³²³.

მაგრამ ამ მაღალი შეფასების გვერდით გ. წერეთელს მხატვრული ნაწარმოებების ენასა და სტილს უწუნებენ. იხსენებენ რა გრ. ორბელიანის მკაცრ კრიტიკას გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ ენასა და სტილის გამო, კიდევ ერთხელ შენიშნავენ, რომ „ნაწარმოები დამძიმებულია დიალექტიკისმებითა და ბარბარისმებით, უმართებულო სტილისტურ-სინტაქსური გამოხატულებით...“. ამ ნაწარმოებს „ისე, როგორც საერთოდ გ. წერეთლის მხატვრულ ნაწერებს, უდავოდ აკლია მხატვრული დამუშავება, ენობრივ-სტილისტური დახვეწა, მას ნაჩქარევი შრომის დავი აღლევია“³²⁴.

მართლაც, ის ტიტანური შრომა რომ არა, გ. წერეთელი, უდავოა, მეტს იმუშავებდა თავის მხატვრულ თხზულებათა ენასა და სტილზე. მაგრამ მისი ენის თავისებურებანი მარტო ნაჩქარეობით არ უნდა იყოს შეპირობებული. კაცს, რომელიც ამდენს სრულავდა და იღვწოდა ხალიტერატურო ენისათვის, თავდადებით მუშაობდა ქურნალისტიკაში, იმდროინდელი ქართული პერიოდიკის ერთ-ერთი მეთაური იყო, არ შეიძლება ბუნებრივად ასეთი მეტყველება აქნონდა და ხიქარის გამო მის ნაწერებში ამ ბუნებრივ მეტყველებას ენისა თავი. აქ შწერლის შესუღუღლებსაც უნდა ედოს წილი. იგი, წინააღმდეგ ფსევდოკლასიციზმისა, ლიტერატურის მთავარ დანიშნულებას ხედავს ხალხის სამსახურში, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში³²⁵. ამიტომ, ბუნებრივია, ეცდებოდა, მისი ნაწერების ენა ასეღოს ყოფილიყო ხალხის ენასთან.

ნატურალიზმამდე მიყვანა პერსონაჟებისა თუ ავტორის ენისა შესაძლოა ასევე შემთხვევითი არ იყოს.

მაგრამ ამასე მსჯელობა აქ შორს წაგვიყვანდა.

ამჯერად წყნათვის საინტერესოა გ. წერეთლის თეორიული შეხედულებანი სალიტერატურო ენის უნიფიცირების პრინციპულ საკითხებზე. მისი აზრით:

1. ენა ადამიანის ნააზრვეის, მისი აზრის გამოხატვის საშუალებება: „სოფლის დასაბამიდგან რაც აზრი ჰქუეას მოუქცია, ენა არის იმის წარმომთქმელი და იმის გადმომცემი ერთი შთამომავლობიდან მეორე შთამომავლობამდე“³²⁶.

³²³ ნ. ნ. ი. კ. ლ. ა. მ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875.

³²⁴ ა. ლ. კ. ა. ლ. ა. ნ. დ. ა. მ. კ. ქართული ქურნალისტიკის ისტორია, III, თბილისი, 1985, გვ. 526.

³²⁵ ა. ლ. კ. ა. ლ. ა. ნ. დ. ა. მ. კ. ქართული ქურნალისტიკის ისტორია, III, თბილისი, 1985, გვ. 526.

³²⁶ გ. წერეთელი, უნიონისის ქულისანი და იმისი საუბარი მკითხველებთან, „დროება“, 1868, № 20. აგრეთვე ის.ხ. სრ. კრებ. I, 1931, გვ. 228.

2. ენა ხალხისაგან განუყოფელია, ხალხის განვითარებას, მისი აზროვნების დონეს ასახავს. ყველა ხალხს თავისი ენა აქვს. „ეს ენა არის მისი მიუცვლადი საკუთრება, სული და ჭკუა-გონება. ენა არის ხალხის სულიერი ნაყოფი, იმის ჭკუა-გონების გამოშხარტებული. და ვიდრე ეს ხალხი სცხოვრობს, როგორც ჭკუა-გონების წარმოქმნა არ შეიძლება, ისე არც ენის წარმოქმნა შეიძლება.“³²⁷

3. ენა ისტორიულად ცვალებადია. იგი ბუნების კანონების შესაბამისად იცვლება, იზრდება, ზოგჯერ კვდება კიდევც.

4. ენის ზრდას შეაპირობებს, ერთი მხრივ, „დიალექტური განახლება“ (ე. ი. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა სხვადასხვა კლასში. მაგ.: იმერული „ქაზახი“ და ქართლური „გლეხი“) და, მეორე მხრივ, ბგერათა ცვლილება, მაგ.: -ში თანდებული ადრე დამოუკიდებელი სიტყვა იყო: შიგან და აღნიშნავდა „შეაღლაგობას“, შემდეგ ყორობა იცვალა, დაკარგა დამოუკიდებლობა და მნიშვნელობაც და სხვა სიტყვას მიეკუთვნა³²⁸.

5. სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ცოცხალ ხალხურ მეტყველებასთან მის კავშირზე. იგი დიალექტებისაგან განუწყვეტლივ იღებს ახალ სიტყვებს, გამოთქმებს, სიტყვათწარმოებას.

6. ძველი ქართული ენა „ძალიან შემუშავებული ენაა“, მაგრამ დღეს ამ ენით აღარაფერ სარგებლობს, რადგან ის არ ემყარებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, ჯავახეთის ცოცხალ მეტყველებას და დროთა განმავლობაში ხალხისთვის ძნელი გასაგები გახდა. ე. ი. დახვეწილი ძველი ქართული სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებას მოსწყდა და სიცოცხლის უნარი დაკარგა.

7. ახლა იქმნება ახალი ენა, რომელშიც ყველა კუთხის („მას-რის“) მეტყველება იქნება შერთული — ქართლისადაც, კახეთისადაც, იმერეთისადაც... ეს ენა ყველას ესმის და სქარათაც იზრდება³²⁹.

8. „როდისაც ეს ახალი ენა ლიტერატურულად კარგად შემუშავდება, ის არასოდეს არ უნდა დავაცილოთ ჩვენს სათემო ენებს, კილოებს ანუ დიალექტებს („ენა-ცულებს“), თუ რომ გვინდა, მუდამ ცოცხალი ლიტერატურული ენა გქონდეს და ისე არ მოკვდეს, როგორც ძველი სალიტერატურო ენა მოკვდა“³³⁰.

327 ი ქ ვ შ

328 გ ო რ ი ს ე ლ ი. ყივლილოჯიური განხილვა ქართულის ენისა. „კრებული“. 1872. № 7.

329 ი ქ ვ შ

330 ი ქ ვ შ

9. ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლურ დიალექტებსაც, რადგან ცოცხალ მეტყველებაში საერთოდ და სოფიურთ კეთხეში კერძოდ — რაჭაში, კლოდასა და ზემო იმერეთში — „კველაზე უფრო წმინდათ შენახულა ქართული ენა და იგი უნდა შეიქმნეს ცხოველი ბუნებითი წყარო ნუენი სალიტერატურო ენისა“³³¹.

10. საღისის მეტყველებაზე დაყრდნობა დიალექტიკოსებს, პარალელურ ფორმებს აქვს სალიტერატურო ენაში. საჭიროა ქართული სალიტერატურო ენის დასვეწა, რაც ხანგრძლივი, შრომატევადი პროცესია.

„საზოგადო, ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა, რამდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მოუცილებლად საჭიროა სალიტერატურო ახპარესზე, რომ ენა დადგეს, თავისი შესაფერისი ლიტერატურული ფორმა მიიღოს“³³².

11. უცხოური ლექსიკის შემოტანა გარდაუვალაია. ახალი აზრებისა და მეცნიერების მოთხოვნისათა შესაბამისად უცხოური სიტყვები სოფჯერ უთარგმნელადაც შეიძლება შემოიერთანოს, სოფჯერ კი ქართულ ნიადაგზე უნდა შეექმნათ შესაბამისი სიტყვა, მაგრამ განუთხზავად, დიდი რაოდენობით უცხო სიტყვებით ენის აჭრელება მიუღებელია. ახალ სიტყვათა უკუთ ასათვისებლად საჭიროა ლექსიკონის შედგენა³³³.

12. გ. წერეთელი შეხებია სალიტერატურო ენის ნორმალისზაციის ბევრ კონკრეტულ საკითხს, ახე, მაგ.: ა) უმართებულაა ორმაგი მრავლობითის ფორმები (ქარებები, კაცებთა, ქალებთა...), რომელთა სიმარებას „კვალიც“ ვერ უკლის გვერდსო; ბ) არ ვარგა ფორმები: ეხლა, გეთაყვა, შეიშენვეს, შეუძლიან... მართებულაია: ახლა, გეთაყვანე, შეიშნობს, შეუძლია...; გ) მართებულაია: დის, ცდილობს, ცხოვრებს, წერს... ფორმები და არა სდის, სცდილობს, სცხოვრებს..., რადგანაც სახელსმნაში ს არ არის: დენა, ცდა, ცხოვრება³³⁴.

გ. წერეთელი, როგორც რედაქტორი, „კვალის“ წამყვანი თანამშრომლების შეხედელებებს იზიარებს. მაგ.: ეთანხმება აკაკის აზრს ა დ ვ ი ა რ ე ბ ფორმის მართებულობის შესახებ; მსარს უტკერს სილ. ხუნდაის ბრძილას პ, ს თავხართების წინააღმდეგ და

331 მ ი ს ი ე უ „კვალის“ ფოსტა, „კვალი“, 1894, № 50.

332 „განცხადება „დროების“ გამოცემაზე 1868 წელსში“, „დროება“, 1868, № 1. აგრეთვე: თხს. სრ. კრებ. ტ. 1, გვ. 389.

333 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ძველი წლის ნაყოფი და ახალი წლის კორექტი, „დროება“, 1867, № 3.

334 მ ი ს ი ე უ. მცირე შენიშვნა, „კვალი“, 1894, № 43, გვ. 6-7.

„კვალში“ მათ არ ხმარობს³³⁵. იზიარებს კეთილხმოვანების პრინციპს, ასე, მაგ.: უმართებულოდ მიიჩნია სცდილობენ, სცხოვრობენ... ყორმები, რადგან ორი ერთგვაროვანი ბგერის თავმოყრა კეთილხმოვანების პრინციპს არ მიესადაგება³³⁶. ასევე, მისი აზრით, ლექსიკონში შესატანი ტერმინის თარგმანი „მოკლე უნდა იყოს და მკაფიოდ არ უნდა გამოითქმოდეს... მოკლე, ენახსნილი გამოთქმა უნდა „ქონდესო“, ან: თარგმნილი ტერმინი „მუნჯი გამოსათქმელია და არ არის კარგი გასაგონიო“ და სხვ.³³⁷.

„სემოთქმელიდან აშკარაა, რომ გ. წერეთლის შეხედულებები და დებულებები სემოგანხილულ ავტორებთან შედარებით არსებით სხვაობას არ გვინიყენებს. მისი აზრით, ენა ადამიანის ნააზრუვის გადმოცემის საშუალებაა. იგი ისტორიულად ცვალებადია, ხალხისგან განუყოფელია, მისი მეობის არსებითი ნაწილია. ძველი ქართული დახვეწილი („ძალიან შემუშავებული“) ენაა, მაგრამ, რადგან ცოცხალ სასაუბრო ენას, ხალხურ მეტყველებას მოსწყდა, ხმარებიდანაც გამოვიდა. ახალი ენა ეველა დიადლექთან მკიდრად უნდა იყოს დაკავშირებული, არ უნდა დასცილდეს ხალხურ მეტყველებას — ისაა მისი სასიცოცხლო წყარო... დიადლექტიკების განუკითხავად, უხვად შემოტანა სალიტერატურო ენაში არ შეიძლება. ასევე ფრთხილად და სომიერად უნდა შემოვიტანოთ უცხოური ლექსიკა. დღის წესრიგში დგას თანამედროვე სალიტერატურო ენის დახვეწის, პარალელურ ფორმათაგან განთავისუფლების საკითხი, მაგრამ ეს ხანგრძლივი, შრომატევადი საქმეა, რამდენიმე ათეული წლის სამუშაოა...

* * *

წარმოყვადგინეთ რა, ერთი მხრივ, „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“, ხოლო, მეორე მხრივ, „კვალში“ მოღვაწეთა ძირითადი მოსაზრებანი სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ამოსაკვად დებულებათა შესახებ, ამით ყვადეთ მკითხველისთვის მიგვეცა საშუალება ერთად თავმოყრილ მოსაზრებათა თვალის გადვენებისა, შედარებისა და ამის დანახვისაც, რომ ე. წ. „ორ

³³⁵ მ ი ხ ი ე ე „კვალის“ ყოსტა, „კვალ“, 1894, № 50.

³³⁶ მ ა ს ა კ ე ა ლ ი (ტ. წ ე რ ე თ ე ლ ი). კრიტიკული შენიშვნები, „კვალ“, 1898, № 23.

³³⁷ გ. წერეთლის შეხედულებებს ქართული ენის საკითხთა შესახებ ვრცლად განიხილავს ე. ნ ი კ ი ლ ა ი შ ე თ ლ ი წერხლში: „გოთრგი წერეთელი და ქართული ენის საკითხები“, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V. თბილისი, 1981, გვ. 182–193.

ბანაკს“ შორის დაპირისპირება არც ისე ღრმა და ყოველისმომცველი ყოფილა.

როგორც ცნობილია, „ივერიასა“ და „კვალს“ შორის დავის მიზეზი გახდა ერთი კერძო საკითხი, სასულდობრ, აღვიარებ — ვაღიარებ ფორმათაგან უფრო სწორი, მართებული ფორმის დადგენა. იყო კამათი აგრეთვე სხვა კონკრეტულ თუ თეორიულ საკითხთა თაობაზეც. მაგალითად: 1. როგორი უნდა იყოს დასავლური დიალექტების ადგილი და როლი ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებაში; 2. რამდენად მისაღებია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციისათვის კეთილხმოვანების პრინციპი...

პირველ საკითხზე წინააღმდეგობა არც ისე შორს წასულა. დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის, რაზიკაშვილების, ა. ყაზბეგის დიდებულმა თხზულებებმა უდავო გახადა დიალექტების მნიშვნელობა სალიტერატურო ენისათვის, დიალექტური მასალის უფლებებიცა და მისი გამოყენების ფარგლებიც. „ივერიის“ ბევრმა მოღვაწემ სიმართლეს თვალეში შეხედა და ამ აზრს მიემხრო. ი. გოგუბაშვილი წერდა, დასავლურ დიალექტებს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სალიტერატურო ენის ფორმირებაში. 1911 წ. ჟურნალ „განათლებაში“ (№ 8, გვ. 569) გრ. ყიფშიძე წერს: სალიტერატურო ენაში „სხვა პროვინციის კილოებსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟის დასახასიათებლად, ლექსიკის გასამდიდრებლად, ენის ისტორიისთვის“. პ. მირიანაშვილიც კი, რომელიც თავგამოდებით იცავდა აღმოსავლური დიალექტების პრიორიტეტს, 1919 წ. (გაზ. „სახალხო საქმე“) განაცხადებს: „უნდა ვწეროთ, როგორც ილაპარაკება ქართულში და გაუამდიდროთ იმ გურულ-იმერული სიტყვებით, რომლებიც დედა-ქართლში აღარ დარჩენილა“ და იქვე ამბობს: „ქარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთში და ზემო იმერეთში“.

რაც შეეხება კეთილხმოვანების პრინციპს, ცნობილია, რომ ის სუბიექტური პრინციპია და მოულოდნელიც არ იყო, რომ მიუღებლად მიიხნიეს იგი „ივერიელებმაც“ და „არაივერიელებმაც“.

პ. ჭარბიამ 1895 წ. განაცხადა, მართლწერის პრინციპად კეთილხმოვანების პრინციპი არ გამოდგება³³⁸. გრ. ყიფშიძის აზრითაც, კეთილხმოვანება სუბიექტური კრიტერიუმია და საბუთად არ გამოდგება³³⁹. პ. მირიანაშვილი საკმაოდ მწარედ შენიშნავდა: „იმერელი გრამატიკოსები ცდილობენ იმერული მეტყველების გაბატო-

³³⁸ პ. ჭ ა რ ბ ი ა, ქართული ენა და ქართული მართლწერა, „მოამბე“, 1895, № 9.

³³⁹ გრ. ყ ი ფ შ ი ძ ე, ზიბლოზრაცია, „ქართული მწერლობა“, კერნ. „განათლება“, 1911, № 8.

ნებას სალიტერატურო ენაში და კეთილხმოვანების მოტივით თავს ეხსმისან სწორ ფორმებს. ის, რასაც იმერული ავტორები კეთილხმოვანებას უწოდებენ (ცთა, თათფირი...), ამერულად ჩოფნიფს უდრი-სი³⁴⁰.

(ცაბა უფრო გვიან სერგი გარგაძე ასეთ შეფასებას იძლევა: სილ. ხუნდაძის პრინციპები „იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საკმაოდ ფართოდ განსრავილი, მაგრამ... ეიწრო სუბიექტური ხასიათის პრინციპებსე დამყარებული პროექტი სამწერლო ქართუ-ლის მოწესრიგებისა“³⁴¹).

კეთილხმოვანების პრინციპს სუბიექტურ პრინციპად მიიხევენ გამოსიქნილი ქართველი ენათმეცნიერები (ა. შანიძე, არნ. ჩიქობა-ვა...): „კეთილხმოვანება“, უკეთ ვთქვათ, სიტყვების ბგერითი სახე უაღრესად ანგარიშგასაწვეია პოეტური სტილის თვალსაზრისით, მაგრამ მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას შეუძლე-ბელია მით ვისხელმსიღვანელოთ. ყოველ პირს კეთილხმოვანად ის მი-აჩნია, რომლის ხმარებასაც თვითონ არის მიხევეული“ („თანამედრო-ვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული“, თბილისი, 1970, გვ. 2). ამრიგად, საერთო აზრია, რომ კეთილხმო-ვანების პრინციპი ნორმათა დასადგენად უვარგისია.

აის თუ იმ კონკრეტულ თუ თეორიულ საკითხსე განსხვევებუ-ლი აზრი ხშირად აქონდათ არა მარტო ამ ორი „დაპირისპირებუ-ლი ბანაკის“ წარმომადგენლებს, არამედ ერთი და იმავე ბანაკის წარმომადგენლებსაც. ასე, მაგ., იღვა საკითხი, თუ რომელია უფრო მისადები სალიტერატურო ენისათვის: უკვე სახმარად გამოიყ-ნებული გენიალური, სოციალური, ადმინისტრაციული, თუ: გენია-ლი, სოციალი, ადმინისტრაციე (პ. მირიანაშვილი). ან: გენიოსებუ-რი, სოციალებური, ადმინისტრატებური, დემოკრატებური (ილია); ან კიდევ: ახალი ქართული სალიტერატურო ენის შესდგომი განვითარების საწინდარს სხვადასხვეაგვარად ხედავდნენ „ივერიის“ მოდელაქნი: ალ. ნანყიშვილის აზრით, ენის წინხელა შესადლებელია ძველისა და ახალი ენის შეერთებით, შეკავშირებით. ამ შესხედლებას წინ აღუდგა ნ ურბნელი (ხიზანიშვილი): ძველისა და ახლის ბრძოლაა იმის მიხეხი, რომ აქამდე ხეენს მწერლებს საერთო ლიტერატურული კილი არა აქეთო... „ივერიაში“ აზრთა სხვეობა იყო ქართული სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტის შესახებაც: გრ. ყიფშიძე, ნ. ურბნელი, ალ. ხახანაშვილი და სხვები

340 პ. მირიანაშვილი. „სახელსი საქმე“, 1919, № 695.

341 ს. გორგაძე. ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიდან. კურნ. „ქნათობი“, 1929, № 5-6.

ქართლურ კელოს მიიხვედნენ ასეთად, პ. მირიანაშვილი კი ცდილობდა, მესხურისათვის მიენიჭებინა პრიორიტეტი...

ასე რომ, ახრთა სხვაობა, საკამათო საკითხი არა მარტო „ორ ბანაკს შორის“, არამედ თითოეულ ბანაკშიც ბევრი იყო და დავაც (ზოგჯერ ცხარეც) ბევრჯერ გამართულა. უფრო საგულისხმო ფაქტია, რომ ამ ბანაკთა წარმომადგენლებს შორის საერთო მეტი იყო. თითქმის ყველა პრინციპულ საკითხში ეს მოღვაწენი ერთი აზრისანი იყვნენ. ასე, მაგალითად: ორივე ბანაკი მტკიცედ აღიარებდა, რომ:

1. ენა ისტორიული ხასიათის მოვლენაა, ცვალებადია (ილია, დავ. ყიფიანი, ვაჟა-ფშაველა, პ. მირიანაშვილი, აღ. ნანყიშვილი, აკაკი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

2. ენა ერის არსებითი ნიშანია (ილია, დავ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...);

3. ენას აქვს თავისი შინაგანი კანონები და გარედან ვერაფერს მოახვევ თავს (ნ. ხიზანიშვილი, აკაკი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

4. სალიტერატურო ენა ერის შემაკავშირებელი ძალაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის უნიფიცირებას, სადაცო ყორმათა მოწესრიგებას, დახვეწას (დავ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე...);

5. ახალი სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა ემყარებოდეს, ახლოს უნდა იყოს სახალხო მეტყველებასთან (ილია, დავ. ყიფიანი, დიმ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, აღ. ნანყიშვილი, ს. ხუნდაძე, აკაკი, გ. წერეთელი...);

6. ცოცხალი მეტყველება მუდმივი უშრეტი წყაროა სალიტერატურო ენის გასამდიდრებლად (ვაჟა, აკაკი, პ. მირიანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, გ. წერეთელი...);

7. მარჯვე კუთხური სიტყვები და გამოთქმები უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში (ი. გოგებაშვილი, ვაჟა, აკაკი...);

8. დიალექტური მეტყველების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟთა ენაში (პ. მირიანაშვილი, ვაჟა, ს. ხუნდაძე...);

9. ახალი სალიტერატურო ენა ჭრელია, დამძიმებულია დიალექტისმივით. უცხო სიტყვებით (გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

10. სალიტერატურო ენის უნიფიცირებას სჭირდება ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო ნორმების შემუშავება (გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...);

11. ნორმების შემუშავებისას დაუშვებელია რომელიმე კუთხის მეტყველებისათვის უპირატესობის მინიჭება (დავ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე...);

12. ძველი ქართული მდიდარი, დახვეწილი, მაღალი დონის ენაა (ილია, დიმ. ყოყიანი, ი. გოგებაშვილი, აკაკი...);

13. უცხო სიტყვა შეიძლება შემოვიტანოთ, თუ ბადალი სიტყვა არა გვაქვს (დავ. ყოყიანი, პ. მირიანაშვილი, გრ. ყოყშიძე...), მაგრამ დაუშვებელია უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოტანა ენაში;

14. უცხო სიტყვის მართლწერა უნდა დაექვემდებაროს ქართული მართლწერის წესებს (პ. მირიანაშვილი, ს. ხუნდაძე...);

15. ქართული ანბანი სრულყოფილია — ასოსა და ბგერას შორის სრული შესაბამისობაა (ილია, დიმ. ყოყიანი, ს. ხუნდაძე...);

16. მართლწერა (ორთოგრაფია), როგორც გრამატიკის დარგი, ქართულში არ არსებობს (პ. მირიანაშვილი, ს. ხუნდაძე...);

17. სალიტერატურო ენის დამკვიდრებაში, გამდიდრებასა და დაცვაში დიდი როლი ენიჭება მწერლობას (ილია, ვაჟა, პ. მირიანაშვილი, აკაკი...);

18. სალიტერატურო ენის საკითხთა ერთპიროვნულად გადაწყვეტა შეუძლებელია (ილია), სასურველია ენის მცოდნე პირთა შეკრება და ამ კრებაზე ყველასათვის საგაღდებულო წესების დადგენა (ილია, გრ. ყოყშიძე, ს. ხუნდაძე...) და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვინდა ხაზი გაუუსყუათ, რომ ქართულ პერიოდიკაში გამდიდრი ფართო მსჯელობა სალიტერატურო ენის საკითხებზე წარმოუვიდგება, როგორც ქართული გრამატიკული ასრის დუქილის პროცხი, ქართული ინტელექტუალური ერთობლივი ბრძოლა ისეთი დიდი ეროვნული საქმისათვის, როგორც იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება, დახვეწა-წარმისრება, სრულყოფა. „ივერიელთა“ და „კაქაღელთა“ კამათი — ეს იყო კამათი რამდენიმე საკითხის შესახებ, დავა განსხვავებული შეხედულებების გამო (სოფჯერ ცოტა გამწვავებულიც, რასაც ხელს უწყობდა ს. ხუნდაძისათვის წვეული მკაცრი, დაუსოგავი, ხანდახან არაკორექტული ტონი) და არა გათიშულობა, პრინციპული დაპირისპირება. ეს იყო ძიება ჭეშმარიტებისა, ამ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზებისა. ცხადია, ამ ძიებასა და ფიქრში სხვადასხვა ასრი იბადებოდა, ამ ასრთა აწონ-დაწონა, შეფასება (ხანდახან მკაცრიც), სოფჯერ შეჯახებაც კი ბუნებრივ მოვლენად უნდა წაითვალოს. ისიც ბუნებრივია, რომ ხშირად რამდენიმე მოღვაწის ასრი თუ შეხედულება უახლოვდებოდა და ერთსეულიად კიდევ ერთმანეთს.

შეუძლებელია ღრმა, პრინციპულ დაპირისპირებას ვხედავდეთ მათ შორის, რადგან ქართული ერის კეთილდღეობისთვის თავდადებული მოღვაწენი ერთი შეგნებით იღვწოდნენ: ენის ერთობა ერის ერთობაა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის (წარმოშობის ისტორიიდან

(„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“)

ახალი ქართული სალიტერატურო ენის გახალსებების პროცესს, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელდა, ბუნებრივად მოჰყვა სალიტერატურო ენაში დიალექტური მასალის შექრა და პარალელურ ფორმათა განხეხვა. მაშინვე დაიხევა სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საკითხიც (რომელია სწორი, როგორ ვწეროთ: წაყიდუნ თუ წაყიდნუნ, კარგად თუ კარგათ, აღვიარებ თუ ვაღიარებ, წითელ ვარდის თუ წითელი ვარდის...).

საქმეს ართულებდა უცხოენოვანი ლექსიკის უხედად შემოსვლაც.

დაიწყო ზრუნვა და ბრძოლა სალიტერატურო ენის დასახვეწად, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ სალიტერატურო ენაში შექმნილი სიჭრელის დაძლევა, ყველასთვის საყვარელად ერთიანი ნორმების დაწესება არ მოხერხდებოდა არც პრესის ფურცლებზე გამწვინი პოლემიკით, არც ახალ-ახალი გრამატიკების შექმნით და არც ერთი რომელიმე პირის მიერ შემუშავებული მართლწერის წესებით. თანდათან ჩამოყალიბდა აზრი, რომ საჭიროა „ენის მკვლევანი“ შეიკრიბონ, იმსჯელონ ამ სადავო საკითხებზე და მიადწონ რაიმე შეთანხმებას. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სურვილი, პრაქტიკულად კი ასეთი ღონისძიების თავის დამდგმელი არავინ

* გვერდობით ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში დაცულ მასალებს, რომელიც XIX ს-ის ქართული პრესიდან ამოკრბეს განყოფილების თანამშრომლებმა (შ. აფრიალონიძემ, თ. გვერდწითელმა, თ. ზურაბიშვილმა, ვ. კალანდოძემ, ე. კალაძემ, ა. კახიძემ, შ. ტაბიძემ, შ. შინგიაშვილმა და ნ. ცხიტიშვილმა), გ. კორღანიას და საზოგადოების არქივებს.

ჩანდა. ისევე ი. ჭავჭავაძემ გადაღვა ეს ნაბიჯი 80-იან წლებში³⁴². ილიას განუწრახავს საორტოყოფა საკითხთა ერთი რიგის განხილვა-გადაჭრა „ენის მცოდნეთა“ ერთიანი ძალებით და სათანადო სომეხობაც მოუღია: 1886 წლის 8 მარტს მოუწვევია თათბირი, დაუგზავნია უწყებები, რათა მოწვეულ პირთ ამ საკითხებზე წინასწარი დაყოქრების საშუალება აქონოდათ³⁴³.

დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ცალი ამ უწყებისა, აღმოჩენილი პ. უმიაკაშვილის არქივში, გამოსაქვეყნა ა. შანიძემ 1939 წ.³⁴⁴

თათბირზე სამსჯელობოდ ილიას გამოუტანია შემდეგი საკითხები:

1. ცოდვილი პირისა, ცოდვილის პირისა თუ ცოდვილ პირისა? (მსახლერულ-სახლერულის შეთანხმება ბრუნვაში); 2. კაცად თუ კაცათ? 3. რადის ვიხმაროთ პ? 4. ჰ-ს და ხ-ს შეუძლიათ თუ არა ერთმანეთის მაგიერობა გასწონ? 5. ძველებური თუ ძველური, გონილური თუ გენიური, გენიოსური თუ გენიოსებური? 6. კაცური/კაცებური, ლუთიური/ლუთაებური ერთნაირი მნიშვნელობისაა? 7. რა ნაწილაკი (მოვიდა რა) უნდა ვიხმაროთ თუ არა და რა შემთხვევაში? 8. -ებ-იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეობას შემახსენებელი რადის უნდა ვიხმაროთ მრავლობითში, ან: აუცილებელია თუ არა შემახსენებელი ვიხმაროთ მრავლობითში, როცა ქვემდებარეს აქვს დაბოლოება -ნი. 9. წინადადების აგებისას ხმნური ყორმებია უფრო ბუნებრივი ქართულისათვის თუ სახელური?

სამწუხაროდ, არ შემოგვრჩენია ცნობა, როგორ წარიმართა ეს თათბირი, რა ხასიათის მსჯელობა გაიმართა, ვინ მიიღო მონაწილეობა, რა გადაწყდა ამ საკითხების შესახებ. მაგრამ მკვლევართა დაკვირვებით, ამ თათბირის კვალი უნდა ეტყობოდეს „ივერიასაც“ და ილიას ენასაც. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ -ღნენ დაბოლოების, მსახლერულ-სახლერულის სრული დაბოლოების (თავისის თითუბის), ჰ/ხ-ს ხმარების წესები 1886 წლიდან „ივერიასა“ და ილიას ნაწერებში იმდენად მყარია, რომ შეიძლება ვიფიქროთ, ეს საკითხები თათბირზე გადაწყდა და მოწესრიგდა³⁴⁵.

დაკომენტურად არ ჩანს, რომ მსგავსი თათბირი სხვაც ნაეტარებინოს ილიას, მაგრამ ალბათ ეს ერთი თათბირიც კი (თუ იგი

³⁴² 1884 წ. 24 მარტის ნომერში „ივერია“ წერდა: „ჩვენ ვარნიეთ შეგვეკრიბნა, რაოდენადაც შესაძლია, ქართული ენის მცოდნენი და ყველა საცილობელი საგრამატიკო საგნები ვაგვერკეთა. ამას შევეუღოთ კიდევ“.

³⁴³ წელი მისაწვევი ბარათზე აღნიშნული არ არის, დაადგინა ა. შანიძემ.

³⁴⁴ ეს ბარათი განსუორებით სრულად დაბეჭდა ს. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე მ. თხ. მთხ: ასო წლის წინათ, კ. „დროშა“. 1986, № 4, და დედაენის მესვეური, ვახ. „კომუნისტო“, 1987, 7 თანვარი.

³⁴⁵ ს. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე მ. დედაენის მესვეური, „კომუნისტო“, 1987, 7 თანვარი.

ნატარდა) განამტკიცებდა იმ აზრს, რომ ენის საჯიბროლოცო ხაკითხები სპეკიალისტთა შუქრებაზე გადაწვევტილიყო, სადაყო ხაკითხების თაობაზე ერთიანი აზრი შუქრეშავებუელიყო და რამდენიმე ყორმიდან ერთი დაკანონებუელიყო სალიტერატურო ენაში სახმარად. შავრამ არც ცხრაახთან წლებში მოხერხებულა ახეთი შუქრება, არაეინ ჩანდა ამ საქმის გამსლილი. ენის საკითხებზე ზრუნვა და მხეჯლობა იხეე ინდივიდუალური წეხით მიმდინარეობდა. საბეინიეროდ, XX ს-ის ათიანი წლებისათვის ამ დიდ ერთენულ საქმეს გამიუენდა ქომავი და ენის საკითხების განხილუკას ხისტე შატური, ორგანიხებული ხასიათი მიეკა. ეს იყო „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“.

1915 წელს შურნალი „განათლება“ იუწეებოდა: „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ გამკეობამ ერთი ყროდ საჯირო საქმის მოგვარება იკისრა — ეს საგანი გასდაეთ ხაერთო მართლწერის დამკარება ჩეენს მწერლობაში და გამორკეევა სხეუდასხევა საგრამტიკო წეხებისა³⁴⁶.

ეს საზოგადოება შუქმნა „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ ბაზაზე, რომელიც 1907 წელს სამოაყალიბეს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა იურიდაული ფაკულტეტის სტუდენტის გიორგი შორდანიას ინიციატიეთა და თაკიმკლომარეობით. უნივერსიტეტის რექტორის ნებართეთ 1909 წ. 24 ნოემბერს წრეს ი. ჰაეკავაისის სახელი მიენიკა. წრის მიხნი იყო გაეცხო ქართული კულტურა რეხი ინტელიტენციისათვის. იკითხებოდა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების (აღ. ხახანაშვილი, ა. ვორში, ე. ყორიე, პ. საკელისი, აღ. ჯავახიშვილი და სხე.) მოსხენებები ქართული კულტურის სხეადასხევა სეყროდან (ქართული საღხის ისტორია, მწერლობა, მეხიკა, ადათ-ხეეეულებები, სადაათო სამართალი და სხე.), მართაეენენ ხაიუბიდეო სხდომებს, ქართულ საღამოებს, რომლებშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ რეხელი ხელოენების მოღვაწეებიც (აღ. სეშბათაშვილი-იეეინი, ღ. სობინოვი, ე. კანალიეი). 1908 წ. 23 აბრიღს გასეეთმა „ამირანმა“ გ. შორდანიას მოკლე ინფორმაციით საქართველოს აუწეა მოსკოვის უნივერსიტეტში „ქართული კულტურის მოყვარულთა წრის“ დაარსება. 1912 წ., უნივერსიტეტის დამთაერების შუედეგ, ამ წრის წეერები დაბრუნდნენ საქართველოში და იმაეე წელს თბიღისში დააარსეს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“³⁴⁷.

³⁴⁶ შურნ. „განათლება“, 1915, № 8-9, გეე. 71-72.

³⁴⁷ ქეესთი ეხმართ შუქოკლებას: ქემ საზ-ბა. საზ-ბის მუწაობის შუქსახებ იხ. ღ. გ. ო. დ. ე. ი. ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების

ინიციატივა ამ საზოგადოების დაარსებისა ეკუთვნის გ. ჟორდანიას. მანვე შეადგინა წესდების პროექტი, რომელსაც გ. ჟორდანიას გარდა ხელი მოაწერა ექვსმა პირმა: მიხეილ ლონგინოსის ძე კახესაძემ, ლეონიდე ალექსანდრეს ძე გაბაშვილმა, სილოვან გრიგოლის ძე გაბუნიაშვილმა, ქეთევან გიორგის ასულმა ჯავახიშვილმა, მიხეილ ვახტანგის ძე მანაბელმა, ვახილ გრიგოლის ძე კარბელაშვილმა. ეს პირნი ითვლებიან ქმ საზ-ბის დამფუძნებელ წევრებად.

წესდების პროექტი 1912 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში დასამტკიცებლად წარედგინა თბილისის გუბერნატორს. 29 ოქტომბერს ქმ საზ-ბა დამტკიცებულ და ჩარიცხულ იქნა ნებადართულ საზოგადოებათა სიაში. მეორე დღეს, 30 ოქტომბერს, დაიწყო საზოგადოების მოქმედება პირველი დამფუძნებელი კრებით, რომელიც გაიმართა მის. მანაბლის ბინაზე. აირჩიეს საბჭო: გ. ჟორდანიას (თავმჯდომარე), დ. კახრადე (მდივანი), სილ. გაბუნია (თავმჯდომარის ამხანაგი), დ. წითლანაძე, რ. გაბაშვილი, ვ. კარბელაშვილი (ხაზინადარი). კრებამ მიიღო წესდება.

ქმ საზ-ბა მკაცრულ-მოპულარული ხასიათის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია იყო, რომელშიც სულ მალე გაერთიანდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

თავდაპირველად საზ-ბაში იყო 12 წევრი (აქედან 7 დამაარსებელი). 1917 წელს — 318, 1927 წელს კი — 609. პყავდათ საპატიო წევრები: აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მ. ჯანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ე. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიას, მის. მანაბელი, ალ. ცაგარელი, ეკ. სარაჯიშვილი, მ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ეკ. გაბაშვილი, ალ. ვიფშიძე, ეპისკ. კირიონი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, მარჯორი ჟორდროსი, აკად. ეს. მღვდრი, პროფ. მაქს. კოვალუკსკი, კონსტ. ბაღმონტი, ალ. სუმბათაშვილ-თუქანი, ა. იაბღოსიქინა, ე. გოგოლაძე, ს. თუბანი, ეს. აქსიონოვი, პროფ. ალ. ხახანაშვილი, მ. გორკი, პროფ. ფ. ოსტროვგრადოვი, ე. მარჯანიშვილი და სხვ.

როგორც წესდებაში წერია, საზოგადოება მიზნად ისახავდა „ყოველმხრივ შეესწავლა ქართული კულტურა (სახელდობრ: ენა, მწერლობა, საზოგადოებრივობა, სამართალი, ეთნოგრაფია) და გაეცნო იგი რუსეთის საზოგადოებისათვის.“³⁴⁸

საზ-ბის საქმიანობას წარმართავდა გამკვობა (საბჭო) და ხერათო კრება. გ. ჟორდანიასა და საზ-ბის საბჭოს მუშაობას ახახი-

მოდუწუბობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1970, № 1; მ ი ს ი ვ ე. მახაღები ქმ საზ-ბის ისტორიისათვის, „სახსტორიო მთაბმე“, 1973, № 27-28; ნ. თ ა რ ხ ნ ი შ- ე ი ლ ი. საზოგადოებრივი საქმიანობის უახგარო სიყვარულით, ხამუცნიერო-სახიფორმაციო ბიულეტენი, № 47-48, 1985.

³⁴⁸ ქმ საზ-ბის წესდება, §1, 1912, 29. X.

თუბდა იმეითი აკურატულობა, კვალიფიკაციობა, უდიდესი პასუხისმგებლობა, ხანაქებო სიხუნტე, საქმის სიყვარული, უანგარო თავდადება, წესრიგიანობა, საზოგადოებას არ აქონდა თავისი ბინა, რაც დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა. სხვათაგანსა და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ისინი თხოულობდნენ სოფლმე ხან სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო დარბაზის, ხან ქართულ კლუბს, ხანაც — სუბალამეიდების სახლს ან მის, მანადლის ბინას... თქმებში ხშირად შეხვედრებოთ საზბის მადლობას, დარბაზის დათმობისათვის რომ უსციანი ამ დარბაზის მუკლობელს.

1921 წ. საზბას მიენიჭა ავ. ხასანაშვილის სახელი.

1912–1928 წლებში ქემ საზბამ დიდი მამულიშვილური საქმეები აკეთა: იკითხებოდა მეჯნიურულ-პოპულარული მოხსენებები საქართველოს წარსულიდან, ქართული კულტურის ისტორიიდან, ქართველი ხელის ადამ-წყველებების, ადამობრივი სამართლის, ქართული დიტერატურის, მუხიკის შესახებ, იმართებოდა ქართული კულტურის გამოსწვნილ მოღვაწეთა თუბილეები, ხელოვნების საღამოები, ასევე, შეხვედრები თვალსაჩინო რეს მეჯნიურებსა და კულტურის მოღვაწეებთან, აწუბდნენ მატერიალური კულტურის ნიმუშთა გამოფენებს (თბილისში, მოსკოვსა და ლენინგრადში), სელს უწუბდნენ ქართული სიმღერების გუნდების წამოყვლიბებას, საოპერო კულტურის განვითარებას (აქ წაითხა პ. მირიანაშვილიმა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო, ზ. ყვლიაშვილიმა კოშეასრულა ნაწვეებები ოპერადან), მეურვეობდნენ ქართულ დასს და სრუნავდნენ თეატრის აშენებასე, კრებდნენ საღუქსიკონო მსახლას, ხელხურ სიმღერებს, ნიშნავდნენ პრემიებს, სკვიდნენ წიგნებს და ბროშურებს, დასმარებას უწვედნენ ხელმოკლე მწერლებს, ააგეს მწერადთა დასახეენებელი სახლი წადვერში...

ასეო საზოგადოებას არ შეიძლებოდა ეურადლების გარეშე დარწმუნოდა ქართველი ხელის მყობის უტყუარი ნიშანი — ქართული ენა. მათ მიშნად დაისახეს სკოლასა და დაწესებულებებიდან განდევნილი ქართული ენის რილისა და აეტორიტეტის გაზრდა, მისი ყუნქციების განმტკიცება, მისი დახვეწისა და მონოლითურობისათვის ბრძოლა. საზოგადოების კრებებზე ისმენდნენ მოხუნებებს ქართული საღიტერატურო ენის საჭირბოროტო საკითხებზე, საოცარი სიყვარულითა და გულისხმირებით, საერთოდ მოული თავისი საქმიანობით ქართველ ხელს დედაენის სიყვარულს, მასზე სრუნვის სურვილს უღვივებდნენ.

საზოგადოების მუშაობის მოკლე ანგარიშში (1916 წ.) ეკითხულობთ: „საზოგადოების კრებებს არა მარტო წმინდა სამეჯნიურო მნიშენელობა აქეთ, მათი დანიშნულება ისიც არის, რომ პრაქტიკულად შეანვიონ ნენი საზოგადოება ქართულ ღაპარაკს, ქართულ

აწროვნებას“³⁴⁹. ხოლო საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე (1912 წ. 30 ოქტომბერი) მიღებულ გადაწყვეტილებაში წერია: „1. საზოგადოების კრების ოქმებიც უთუოდ ქართულად უნდა იწერებოდეს. 2. ყოველგვარი კრებები ქართულად უნდა იწარმოებოდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით კრებაზე არაქართულები იქნებიან მოწვეულნი. 3. საზოგადოების სახელით მიწერ-მოწერა ქართულად იწარმოებოდეს“³⁵⁰.

ქმ საზ-ბამ შეძლო მოენახა პრაქტიკული გზა ქართული მართლწერის საკონსერვატორ საკითხების გასარკვევად და მოსაგვარებლად. 1914 წ. 22 იანვარს საბჭოს კრებაზე გადაწყდა: „ისტორიისა და ენის ყოველმხრივ გამოსაკვლევად სისტემატური ღუქციების მართვა“³⁵¹. ხოლო იმავე წლის 7 თებერვალს უკვე კონკრეტული ღონისძიება დაიწყო. საბჭოს კრების ოქმში წერია: „გამოირკვა, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია ორის მოხსენების გამართვა: მ. ჯანაშიელი — საინგილოს შესახებ და პ. მირიანაშვილი — ქართული გრამატიკის საკითხთა მოწესრიგებაზე“³⁵². ასე დაიწყო მუშაობა ენის საკითხებზე.

1915–16 წ.წ. საზოგადოების კრებებზე, რომელსაც ხშირად ასევე მეტი კაცო ესწრებოდა, ძალზე აქტიურად განიხილებოდა სალიტერატურო ქართულის სადავო საკითხები. „ენის მკვლევართან“ ერთად საქმეში ჩაება ფართო საზოგადოებაც. ქართული გრამატიკისა და ლიტერატურის საჩაქებო ცოდნას იხენდა საზოგადოების თავმჯდომარე გ. ჟორდანიას.

საზ-ბის კრების ოქმები ქვეყნდებოდა პრესაში („კლდე“, „საქართველო“, „განათლება“, „სახალხო ფურცელი“...).

ქურნალ-გასუთებში გამოქვეყნებულ ვრცელ ინფორმაციებში დაწვრილებითაა გადმოცემული კრებებზე გამართული მსჯელობა. არქივში დაცული ოქმები კი ასეთი სრული არ არის. საზოგადოების არქივში დაცულია ერთი დიდი წიგნი, რომელშიც შეტანილია გამტკობისა (საბჭოს) და საერთო კრებების ყველა ოქმი. აქვე მოთავსებულია საგრამატიკო კომისიისა და კერძო თათბირების პირველი კრების ოქმები, ასევე წევრთა სიები. ამ წიგნში ოქმები გადაიწერიათ 1914 წ. 30. XII-ის საბჭოს კრების დადგენილებით: „წარსული ოქმები გადაიწეროს ერთ წიგნში“. (იმავე გვერდზე

³⁴⁹ საქ. ცხსა, ფ. 2094, საქმე № 10, გვ. 2 ოხ. აგრეთვე: ლ. გ. ო. დ. ე. რ. ი. პ. მახალკმა ქმ საზ-ბის ისტორიისათვის. „სახსტორიო მთაბჭ“, 1973, № 27–28, გვ. 271.

³⁵⁰ ლ. გ. ო. დ. ე. რ. ი. პ. დახს. ნაშრ., გვ. 277.

³⁵¹ საქ. ცხსა, ფ. 2094, საქმე № 10, გვ. 66 V.

³⁵² ოქმ. გვ. 67.

სქოლიოში შენიშვნა: „ეს წიგნი გადაწერილია თანახმად მოქვანილი დადგენილებისა“). ეს ოქმები მოკლეა. მაგ., 1915 წ. 15 იანუარის კრების ოქმში წერია: „გაიმართა საუბარი ქართული მართლწერის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა მიიღეს პ. მირიანაშვილმა, ს. დადიანმა, ს. გორგაძემ, მ. ვას. კარბელაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ა. ჭიჭინაძემ, ე. ბარნოქმა“, ხოლო რა საკითხებს ეხებოდა ეს საუბარი, არ ნახს. ამდენად, პრესაში გამოქვეყნებულ მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გაზეთებისათვის ამ მასალებს, როგორც ნახს, იღია ბაკურაძე წერდა. 1915 წ. 8. V-ის საერთო კრების ოქმში ასეთ ცნობას ეხვდებით: „კრებამ მადლობა გადაუხადა სამი კრების მდივანს ილ. ბაკურაძეს მშვენიერი ოქმების შედგენისათვის... აგრეთვე ადგილობრივ გაზეთების რედაქციებს კრებების ანგარიშების ბეჭდვისათვის და დააყვალა საბჭოს, სთხოვოს რედაქციებს შემდეგი ოქმები უფრო ვრცლად ბეჭდონ (განსაკუთრებით მოხსენებები და კამათი) და, თუ მოსახერხებელია, განსაკუთრებული განყოფილება გაიხსნოს გაზეთში ან ჟურნალში საგრაზმაციო საკითხების მოწესრიგების საქმის სისტემატური სამსახურისათვის“³⁵³. სასოგადოებას კარგად ესმოდა ამ ოქმების მნიშვნელობა. 1916 წ. 2 აპრილის კრებაზე საგანგებოდ განუხილავთ ოქმების გაუმჯობესების საკითხი. გამოთქმულა აზრი, რომ „ამ ოქმებს დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება წყენი სასოგადოების ცხოვრებაში. სასოგადოებაში იკითხება სოფელურ ფრთად საგულისხმო მოხსენებანი, რომელთაც მნიშვნელობა ექნებოდათ წყენი სასოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში“³⁵⁴.

ამ ვრცელი ოქმებისა და სხვა მასალების გამოქვეყნებით ფართო სასოგადოებას საშუალება ეძლეოდა თვალთ ყდევნებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციისათვის.

ეფექტობთ, არც დღევანდელი სასოგადოებისათვის იქნება ინტერესს მოკლებული, როგორ იდგაჟდა ფეხს ეს დიდი ეროვნული საქმე, რა საკითხები ისმოდა ამ სამოცდაათი წლის წინათ ქკმ საზბისა და საგრაზმაციო წრის კრებებზე, ვინ მონაწილეობდა ამ საკითხების განხილვაში, როგორ წარიმართებოდა მსჯელობა, რა გადაწყვეტილებას იღებდა კრება, ან რა ახალი საკითხები, იდეები და აზრები იბადებოდა საკითხთა განხილვისას, რა დონეზე იყო ქართული ენათმეცნიერული აზროვნება მე-20 ს-ის ათიან წლებში და სხვ. ინტერესს მოკლებული არც იმ ქართველ მოღვაწეთა

³⁵³ საქ. ცხსა. ფ. 2094, ხ. № 10, გვ. 15 V.

³⁵⁴ იქვე, გვ. 33 V.

გახსენება იქნება, რომელნიც ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის საქმისთვის იღვწოდნენ. ესენი იყვნენ: პ. მირიანაშვილი, ს. გორგაძე, ივ. მაჭავარიანი, გრ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, ალ. ჭიჭინაძე, ივ. რატიშვილი, ლ. ბოცვაძე, მის. ყიფიანი, მ. კელენჯერიძე, ს. დადიანი...

ყოველივე ამის წარმოსახენად უკეთეს საშუალებად მიგვიანია ქქმ საზბბის კრებების მასალების გაცნობა. ნიმუშისათვის გადმოუცემო რამდენიმე კრების შინაარს.

ქქმ საზბბის კრება, რომელიც პირველად მიუძღვნა მთლიანად მართლწერის საკითხებს, ნატარდა 1915 წ. 15 იანვარს. მსჯელობა ძირითადად ორგანიზაციული და პრინციპული ხასიათისა იყო: ზოგის აზრით, ამ საკითხზე ღაპარაკი ნაადრევი იყო საჭირო ძაღების უქონლობის გამო (ს. გორგაძე). ზოგს სადაეო საკითხთა გადაწყვეტაში უფლებამოსილად მიანდა მხოლოდ სპეციალისტთა კრება (ს. დადიანი); სხვანი ყიქრობდნენ, დიდი ყრილობაში გრამატკის წესების დადგენა შეუძლებელია, ეს საკაბინეტო საქმეაო (პ. მირიანაშვილი).

შემთავაზებული იყო კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ თათბირის მოწვევა, რომელზედაც მეცნიერები შეთანხმდებოდნენ გარკვეულ საკითხებზე და შემდეგ უკვე ამის მიხედვით იმოქმედებდნენ სკოლაზე და მწერლობაზე (ა. ჭიჭინაძე).

ერთხმად აღინიშნებოდა სიჭრელე და ანარქია წერასა და ღაპარაკში, რომლის აღსაკვეთად, ი. იმელაშვილის აზრით, საუკეთესო საშუალება იქნებოდა მართლწერის დექსიკონის შედგენა (ე. ი. წამოყენებულ იქნა ორთოგრაფიული დექსიკონის შედგენის იდეა), მაგრამ, ვინაიდან მართლწერა მართლმეტყველებაზე და მოკიდებული, ჯერ საჭიროდ იქნა მიხნეული სწორი ღაპარაკის სწავლება (დ. კარიჭაშვილი). დაისვა ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი და მოხმობილ იქნა ძველი ქართულის ვითარება, როცა ერთიან სალიტერატურო ენას ასახრდობდა ერთი (ქართლის) სკოლა, რომლის ნორმებსაც ემორჩილებოდა ენა. აღინიშნა იმის საჭიროება, რომ ქართველ მწერლებს შეესწავლათ ეს კლასიკური ენა (პ. მირიანაშვილი). სადაეო საკითხების გადაწყვეტაში ძველ ქართველს მიეცა უპირატესობა (ე. კარბელაშვილი)³⁵⁵.

ათი დღის შემდეგ, 1915 წ. 25 იანვარს „მართლწერის საკითხებზე ბაასის გასაგრძელებლად“ კელავე იმუშავა საერთო

³⁵⁵ ამ მნიშვნელოვანი კრების შესახებ ცნობები გამოაქვეყნეს: ჟურნალმა „კლდე“ (1915, № 2) და გახუთმა „ახახალხო ფერცულმა“ (1915, № 187).

კრებამ³⁶. ეს კრება უფრო კონკრეტულ საკითხებს შეეხო. ს. გორგაძემ ითხოვა წინასწარ ორი საკითხის გარკვევა: 1. უფლებამოსილია თუ არა ეს კრება საბოლოოდ გადაწყვიტოს წამოყენებული საკითხები, თუ ასეთი გადაწყვეტა მიენდობა სპეციალისტთა ყრილობას. 2. არის თუ არა განსხვავება სალიტერატურო ენასა და მართლწერას შორის, არსებობს თუ არა მართლწერა, როგორც გრამატიკის განსაკუთრებული დარგი.

პირველი საკითხის გარშემო სხვადასხვაგვარი აზრი გამოთქვა: მ. ყოფიანის შეხედულებით, ეს საკითხი საბოლოოდ მეცნიერთა ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს. პ. მირიანაშვილმა, პირიქით, მეცნიერთა ყრილობა არ მიიხნია ავტორიტეტულად — ქართული სტილის მეცნიერნი არა გვეყვხე. იე. რატიშვილის აზრით, თუკმა მეცნიერთა მონაწილეობა აუცილებელია, მაგრამ მანამდე სკოლა და მწერლობა ვერ დაიცვლიან და საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. გრ. ყოყშიძემ შეუქმლებლად მიიხნია ენის საკითხების გადაწყვეტა კენჭისყრით. მისი აზრით, აჯობებდა კარგი მწერლების ნაწარმოებებიდან მაგალითების ამოკრება და მათზე დაყრდნობა. დ. ბოცვაძის აზრით კი, მეცნიერული გრამატიკის შექმნამდე საჭირო იყო საზოგადო წესების შემუშავება, რათა სახელმძღვანელოები ერთგვარი ენით ყოფილიყო დაწერილი.

მსჯელობის შედეგად კრება იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ 1. ამთავითვე შესდგომოდნენ ქართულ მართლწერაზე საუბარს. 2. საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად მოეწვიათ ქართული ენის სპეციალისტთა ყრილობა. 3. ყრილობის მოსაწვევად საზოგადოების საბჭოსთან შექმნილიყო სპეციალური „საგრამატიკო კომისია“.

მეორე საკითხზე — „არსებობს თუ არა მართლწერა, როგორც გრამატიკის ნაწილი“ — აზრი ძირითადად ორად გაყოფილა: პ. მირიანაშვილი და დ. კარიჭაშვილი უარყოფდნენ ქართულში ორთოგრაფიის არსებობას. მ. ჯანაშვილმა კრებას შეახსენა მ. ბროსეს აზრი, რომ ქართული დიდად განვითარებული ენაა და სულმოწყენით გადმოხკეპს ყველა ბგერასო. საწინააღმდეგო აზრს ადგა ს. გორგაძე, რომელიც მაგალითების მოხმობით ასაბუთებდა ორთოგრაფიის არსებობას (ღაპარაკსა და წერას შორის სხვაობაა ძველ ქართულშიც და თანამედროვეშიც). პრინციპულად ამჟვე აზრს იცავდნენ: გრ. ყოყშიძე, მის. ყოფიანი, იე. ელიაშვილი (მისი აზრით ქართული მართლწერის სიმარტივე მოსვენებითია), ალ. ჭიჭინაძე, ქრ. ციციქიშვილი.

³⁶ გაზეთი „სახალხო ფურცელი“ 1915 წ. 28 იანუარის ნომერში აღქვენებს ცნობას ამ კრების შესახებაც.

კრება იმ აზრს დაადგა, რომ „ქართული მართლწერა იგივე მართლმეტყველება არ არის, ქართული ორთოგრაფია ცალკე არსებობს, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული დარგი გრამატიკოსა“³⁵⁷.

კრებამ მოიწონა ივ. მაჭავარიანის წინადადება: კრების ოქმები იბეჭდებოდას გასეუებშიც და ცალკე ფურცლებადაც. ეს უკანასკნელი დაეგზავნოს სპეციალისტებს, რომლებიც ვერ შეიძლებენ კრებაზე დასწრებას, მაგრამ შეუძლიათ წერილობით მონაწილეობის მიღება.

1915 წ. 28 თებერვალს საერთო კრებაზე ს. გორგაძემ წაითხა მოხსენება: „რა გზით შეიძლება ქართული მართლწერის მოწესრიგება“. მომხსენებელს სავალდებულოდ მიაჩნია სამი პრინციპის დაცვა: 1. ხალიტერატურო ენის ბაზისი ფონეტიკაა. 2. როცა თვით ფონეტიკა გამოურკვეველია, უნდა ვეცადოთ არ შევასუსტოთ კავშირი თანამედროვე ფონეტიკისა და კანონზომიერი ფორმებისა. 3. თუ ახალ ფორმებს ძველ ქართულში არა აქვთ ანალოგია, უპირატესობა უნდა მიეცეს ამერულ ფორმებს.

ივ. მაჭავარიანის წინადადებით, კრებამ გადაწყვიტა, რომ საბჭო შესდგომოდა წინასწარ მუშაობას პრაქტიკულად სახმარებელი ქართული ლექსიკონის შესადგენად და სათანადო მოხსენება წარედგინა უახლოესი საჯარო კრებისათვის.

კრებამ დააყალბა საბჭოს: „ქართული გრამატიკის სადავო ვითარების გამოსარკვევად“ შეედგინა კომისია (სპეციალისტებისაგან). ეს კომისია შეიმუშავებდა გეგმას და ეცდებოდა საქმეში წაუბა ქართული ენის ყველა სპეციალისტი.

საბჭომ ოპერატიულად შეასრულა კრების დავალება. 1915 წ. 9 მარტის სხდომაზე შეიქმნა ორი კომისია: „საგრამატიკო“ (ივ. მაჭავარიანი, პ. მირიანაშვილი, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე, თ. ჟორდანი, გრ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი, შემდეგ, 1915 წ. 2. IV. დამატებით მოწვეულ იქნენ: ე. ბარნოვი, მ. ყიფიანი, ივ. რატიშვილი) და „სალექსიკონო“ (იპ. ვართაგავა, იუსტ. აბულიძე, კ. ყიფიანი, დ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი)³⁵⁸.

1915 წ. 11 აპრილის საერთო კრებას პ. მირიანაშვილმა უკვე წარუდგინა ლექსიკონის შედგენის გეგმა და სანიმუშო კითხვითი ფურცელი სათანადო მასალის შესაგროვებლად. დიდი კამათის შემდეგ კრება დაეთანხმა პ. მირიანაშვილის დებულებებს და საბ-

³⁵⁷ ქკმ საზღვის კრების ოქმი, ცხსა ფ. 2094, საქმე № 10, გვ. 10–11. იხ. აგრეთვე ლ. გ. ო. დ. ე. ო. მ. ო. ს. პუბლიკაცია: მასალები ქკმ საზღვის ობტორისათვის, „საისტორიო მუშაობა“, 1973, № 27–28.

³⁵⁸ საქ. ცხსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 76.

კოს დაავადდა მათი პრაქტიკულად განსორციელება, „საჭირო თანხის ხაზოვნულად ყოველი ღონისძიების გამოსახვა და აუცილებელი ხარჯის გაწვევა, მაგ., კითხვითი ფურცლების დაბეჭდვა-გასაფრკვლებლად“³⁵⁹.

პ. მირიანაშვილის მიერ კრებაზე განსახილველად წარმოდგენილი გეგმა არქივში არ ჩანს (მას ზეპირად მოუხსენებია კრებისათვის). შეიძლება ამ გეგმის წერა დაწყებული იყოს № 29 საქმეში მე-17 გვერდად ნაკურბულ კითხვით ფურცელზე (საქმე № 29-ში თავმოყრილია ოქმების ამონაწერები მართალწერის საკითხების შესახებ). მომდევნო მე-18 ფურცლად წართულია (მოცისყვრო ქაღალდზე) „საჭირობორცო საგრამატიკო საკითხები“, სადაც აშკარად იცნობა პ. მირიანაშვილი.

სრულად გადმოვეცემთ ამ ფურცლებს:

„მასალა ქართული ლექსიკონისათვის: 1. სოფელი, თემი. 2. სასლი (მოწური, ხისა, ქვითკირის), კარმიდამო. 3. სახელობა, ნათესაობა, მეზობლობა. 4. შინაური საქონელი, ცხოველ-ფრინველები, მათი მსოფლა. 5. ნადირ-მხეცეები, ნადირობა. 6. სენა-თესვა, ბაღი, ბოსტანი, სეხილი, ბოსტნეული. 7. მიწა, წყალი (მოწის ცხოველია თხუნელა და სხვ. წყლის ცხოველი თევზი და სხვ., წყალმოწიერი: გველი და სხვ.). 8. ტყე, ველ-მინდორი, ტყის ნაყ-ხილი, ან მინდორის ხილი, მსაღუეული. 9. მთა, კლდე, ქვა, მადნეული. 10. ზეპირსიტყვაობა, ისტორია, სარწმუნოება. 11. ბუნების მოვლენა, ზეცა, სამყარო. 12. იარაღი, ხელისნობა“.

შემდეგ შემდგენელს დაუწვია ერთგვარი ინსტრუქციის წერა, მაგრამ მხოლოდ ოთხი მეხლი დაუწერია. დაუსყამს მე-5 ნომერი და შეუწკეუბია. ტექსტი ასეთია: „შენიშვნა: 1. როცა რამდენსამე სოფელს საერთო სახელი ექნეს, მაშინ თემის აღსანიშნავად ის სახელი უნდა იქნეს მოხსენებული სოფლის შემდეგ. 2. სიტყვა ნაწერილი უნდა იქნეს მარტივი მარტივად და რთული რთულ სიტყვად. ფრაზის ნაწერა შეუძლებელია, სიტყვის მნიშვნელობის ახსნა ყოველად საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საერთოდ გაყრცელებული არ არის ან საერთოსგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. 3. როცა ნაწერილი სიტყვა ქართულია, უნდა მიეწეროს მეგრულ-ჭანურ-სეანურ-აფხაზური თარგმანი, თუ ნაწერილი მეგრული, ჭანი, სეანი ან აფხაზია, აგრეთვე რუსული ან სხვა ენის, თუ იცის, თანაბარი სიტყვა. 4. როცა სიტყვა უნდა ნაწეროს ადგილობრივის ენით მეგრულ, ჭანურ, სეანურ ან აფხაზურად, მაშინ სიტყვის ნაწერმა უნდა მიეწეროს ჯერ მისი ქართული გამოთქმა, მერე

³⁵⁹ საერთო კრების ოქმი, ცხსა, ფ. 2094, ხ. 310, გვ. 13.

ქართული თარგმანიც, აგრეთვე თუ იცის, რუსული ან სხვა ენის თარგმანი...³⁶⁰

18 გვერდად ნაკერებულ სხვაგვარ ფურცელზე ჩამოწერილია:

„საჭირბოროტო საგრამატიკო საკითხები: 1. პრეფიქსი სა და სუფიქსი ურ (ყინქრით მონაწერი: „უცხო სიტყ. ხმარების დროს“). 2. ნაცვალსახელთა ხმარება. 3. თანდებულები უ და თვნიერ. 4. კავშირები რომ, სად, რათა. 5. შემასმენელთა სართები ო, მეთქი, თქო. 6. მიმართებითი კილო უღელდებულისა. 7. დამოკიდებითი კილო. 8. ადგილის გარემოების და სმნათა პრეფიქსების ურთიერთობა. 9. კავშირები თუმცა, რათგანაც და მათი ურთიერთობა უმთავრეს წინადადებასთან. 10. მხართველობა სმნებისა. 11. დროთა მიმდევრობა“³⁶¹.

ამავე კრებაზე პ. მირიანაშვილს მოხსენებაც წაუკითხავს თუ მასზე „თავსართი სა და დაბოლოება ური“ (ეს სათაური ემთხვევა სემიოსივენიდ „საჭირბოროტო საგრამატიკო საკითხებში“ შეტანილ პირველ საკითხს). სამწუხაროდ, ამ მოკლე ოქმში არ ჩანს, რა აზრს ავითარებდა მომხსენებელი და რა საკითხს ეხებოდნენ მოკამათენი.

ქმ საზ-ბის საბჭოსა და „საგრამატიკო კომისიის“ გადაწყვეტილებით, საგრამატიკო კრებებისათვის უნდა მომზადებულიყო დასაბუთებული მოხსენება³⁶². სწორედ ასეთი მოხსენება წარუდგინა კრებას ქამა მელიტონ კელენჯერიძემ 1915 წ. 6 და 7 მაისს. ვინაიდან მოხსენება ვრცელი იყო, ორ ნაწილად იქნა წაკითხული: 1. „ქართული მართლწერა ჩვენს მწერლობაში“ (6 მაისს). 2. „ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები“ (7 მაისს).

მოხსენებაში ქართული სალიტერატურო ენის მდგომარეობა მე-19 ს-ის მწერადთა მასალების მიხედვით იყო განხილული. მოხსენების დაწყებამდე პ. მირიანაშვილს განუცხადებია, რომ ავტორებზე დამკარებით მსჯელობა სახიფათო იყო, რადგანაც მათ ქართული სკოლა არ გაველოთ. დასაყრდენი უნდა ყოფილიყო მდიდარი ძეგლი მწერლობა და ქართული ენის დედა-მარღვი — ქართლის დიალექტი.

მოხსენებაში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

³⁶⁰ ცხსა, ფ. 2094, ს. № 29, გვ. 17.

³⁶¹ ცხსა, ფ. 2094, ს. № 29, გვ. 18.

³⁶² არქივში დაცულია „საგრამატიკო კომისიის პირველი კრების ოქმი“ (ცხსა, ფ. 2094, ს. № 10, გვ. 79), რომელშიც ნათქვამია, რომ მსჯელობის შედეგად კომისია მივიდა იმ აზრამდე, რომ ყველაზე უმჯობესია საკითხებს საჯარო კრებებზე განხილვა, თუ არა იმ პირობით, რომ კრების ოქმი ვრცელად დაიწეროს ხოლმე და თვითარეული კრებისათვის მოხსენება მზადდებოდაც წინდაწინვე.

1. -დ/-თ-ს გაუმოხანობა; 2. -ება/-ობა დაბოლოებათა აღრევა (მონობა, დიდებულობა... და არა მონება, დიდებულება...); 3. პირის ნიშანთა არასწორი ხმარება (სტყორცნეს, სჯობს... და არა ტყორცნეს, ჯობს... 4. მიზეხისა და მიწნის აღმნიშვნელი კითხვითი სიტყვების აღრევა (ასე რისთვის = რად ღონდები); 5. ბრუნვითა შეუთანხმებლობა (ყოველსავე ქართველს და არა ყოველივე ქართველს); 6. მსახლერელის სრულ და შეკვეცილ სახეობათა აღრევა (კრელს წინდებს, ჭრულ წინდებს); 7. არასწორი ფორმების შერწყვა (ეხელმძღვანელობ „ვეფხისტყაოსნით“ და არა... „ვეფხისტყაოსანს“); 8. დროის გარემოებითი წინადადების უხეირო შემოკლება (რა შინ მოველ, დედა იწვა); 9. ორთოგრაფია (საღმთო და არა სამღთო, სისხლის სათხევეად და არა სისხლის სათხეველად, მახე და ბადეა და არა მასე და ბადია...); -აჲ/-ამ დაბოლოებათა აღრევა: შესევეს/მალაშს, „სხმით გარდასვლითის“ უკანონოდ ხმარება: გამეგრძელებინა და არა გამეგრძელება და სხვ.).

მსჯელობაში მონაწილეობა მიუღია: ალ. ჭიჭინაძეს, ს. გორგაძეს, გ. იმნაიშვილს, მ. ყიფიანს, ლ. ბოცვაძეს, დ. კარიჭაშვილს. მათ სოფ. საკითხში მხარი დაუჭერიათ მომხსენებლისათვის, სოფი საკითხის შესახებ კი განსხვავებული აზრი გამოთქმულა. მაგალითად: 1. დ-ს თ-დ ქცევა კეთილსმოკანების შედეგია (ალ. ჭიჭინაძე); 2. -ება/-ობა „ვეფხისტყაოსანშიც“ მერყეობს. ჯერ-ჯერობით ამ საკითხის გადაწყვეტა ნაადრევეა (პ. მირიანაშვილი); 3. „შემოსქმედებით“ ბრუნვის წინ ნათესაობითი იხმარება: ავის თვალთ (პ. მირიანაშვილი); 4. ერთ არსებითთან რამდენიმე მსახლერელის ბრუნებისას უკანასკნელი მსახლერელი შეკვეცილი სახით იხმარება (ერთ საქათმეს) (ლ. ბოცვაძე); 5. წინადადება „რა შინ მოველ, დედა იწვა“ შემოკლებული არ არის (დ. კარიჭაშვილი. მომხსენებელი დაეთანხმა); 6. გამეკეთებინა ენებითის ფორმაა და ასევე უნდა დარჩეს (ს. გორგაძე); 7. სწორია „თანამედროვე“ და არა „თანამედროე“ (ს. გორგაძე) და სხვ.

მ. კელენჯერიძის მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმო ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოების, კერძოდ, ს. ხუნდაძის, პ. კეიჯარიძის, მ. ჯანაშვილის გრამატიკების განხილვას. მომხსენებელი ეკამათება გრამატიკების ავტორებს სოფი გრამატიკული საკითხის გამო, უწუნებს სოფ ტერმინს, ეხება სადავო საკითხებს (აღვიარებ/ ვაღვიარებ, -დენ/-დნენ...).

მომხსენებელმა საგანგებოდ განიხილა ივ. ჯავახიშვილის ენა და გამოთქვა შენიშვნები.

ქართული ენის გადაგვარების თავიდან ასაცლილებლად მ. კელენჯერიძეს საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებლად მიაჩნია: 1. ეროვნული სკოლისა და დისციპლინის შექმნა. 2. დროგამოშუებით ქარ-

თული ენის მასწავლებელთა კრება და ანკეტირება. 3. სპეციალური ჟურნალის დაარსება, რომელშიც განხილული იქნება ქართული გრამატიკის საკითხები. 4. საერთო გრამატიკის შედგენა და ხმარება. 5. დაკვირვება და სიყრთხილე წერა-ლაპარაკის დროს.

შესამე დღეს, 8 მაისს, გ. ჟორდანიას მოთხოვნით, კამათი წარიმართა საკითხების მიხედვით. იმსჯელეს: 1. -დენ/დენ დაბოლოებათა შესახებ (ლ. ბოცვაძე, ქრ. ციციშვილი, მ. შალამბერიძე, პ. მირიანაშვილი, ალ. ჭიჭინაძე, გ. იმნაიშვილი). 2. მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების შესახებ (-იდგან/-ითგან) (პ. მირიანაშვილი, ალ. ჭიჭინაძე, გ. იმნაიშვილი). 3. „განვითარებითი ბრუნვის“ სახელწოდების, ფუნქციებისა და დაბოლოების (-დ/-თ) შესახებ. 4. წევან/წევანან ფორმათა შესახებ (პ. მირიანაშვილი, გ. იმნაიშვილი).

ს. დადიანმა პრინციპული საკითხი — ენის კანონთა საკითხი — დააყენა. ენის საფუძვლიანი ცოდნისა და სწორად წერის წყაროდ სამი რამ მიაჩნიათ: ძველი ქართული მწერლობა, ცოცხალი ენა და ფონეტიკა. მაგრამ აქაც ყველგან სიჭრელაა, არ არის ერთფეროვნება, ერთგვარობა წერის დროს. ასევეა ცოცხალ ენაში, კანონი ნორმაა. ის ასახავს იმას, რაც რამდენჯერმე განმეორებულია „მოიმეცით მე კანონი, რომ მის მიხედვით ვიხელმძღვანელო“.

მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმის მიმხევას ურევე საფუძვლად შეცდომად თვლიან ალ. ჭიჭინაძე და, განსაკუთრებით, ილია ნაკაშიძე: „შესადლოა ესა თუ ის ფორმა ძველ მწერლობაში ან ცოცხალ ენაში მოიძებნებოდეს, მაგრამ შემოქმედის შესაღწევა არ შეიძლება: თუ ის რაიმე ახალ ფორმას, კანონს შექმნის, მიღებულ უნდა იქნეს. აგრეთვე შეიძლება ჩვენი სამშობლოს რომელსამე კუთხეში ახალი — სრულიად არყოფილი ფორმა შეიქმნას, ამგვარ რამეს ყველგან გ'სა უნდა მიეცეს“.

1916 წ. 8 იანვარს საერთო კრებაზე სტუდენტმა მიხეილ ხერხეულიძემ წაითხა მოხსენება „ქართული მართლმეტყველება და წერა“. გახეთ „საქართველოს“ 1917 წლის 28 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა მ. ხერხეულიძის ეს ნაშრომი რედაქციის შენიშვნით, რომ ავტორმა ეს დებულებანი ქკმ საზ-ბის საჯარო კრებას გააცნო.

მართლმეტყველებას და მართლწერას 'სოფი მიჯნავდა, 'სოფი აიგივებდა. მ. ხერხეულიძე ამ უკანასკნელ აზრს ემიხრობოდა. „სიტყვა „მართლწერას“ ვაკუთუნებ აზრს: მართლმეტყველება, მართლად წერა, დაწერა ისე, როგორც ვლაპარაკობთ“.

იგი ი'სიარებს პ. მირიანაშვილის დებულებას: სწორია და უნდა ვიხმაროთ „თებერვლის 19-ს“ და არა „19 თებერვალს“; ჭარბად არ უნდა ვიხმაროთ ნაცვალსახელები... ეკამათება ს. გორგაძეს პ-/ს-ს ხმარების წესების გამო.

არასწორად მიაჩნია: 1. ორმაგი უარყოფა: არაფერს არ ვაკეთებ, რუსულის მიბაძვად თვლის. 2. ვერ და არ ნაწილაკთა აღრევა (ვერ მოვალ — არ მოვალ). 3. „მღვდრობითი სქესის ფორმების“ ხსარება (მეფა, მთავრინა...); 4. სიტყვების აღრევა: რამდენი რამოდენი, მქონე/მექონი. 5. კავშირების (რომელიც, რომელსაც, რომა...) ხშირად ხსარება. 6. ფორმები: პასუხს კითხვაზე აძლეეს, ხელს პირობაზე აწერს (სწორია: კითხვას, პირობას...).

1916 წ. 24 იანვარს გამგეობის სხდომაზე გადაწყდა, რომ 30 იანვარს საჯარო კრებაზე გამართულიყო კამათი ქართული მართლწერის სადავო საკითხების გამოსარკვევად. საუბარს საფუძვლად უნდა დასდებოდა პ. მირიანაშვილის წიგნაკი „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს“³⁶³.

მართლაც, 1916 წ. 30 იანვარს პ. მირიანაშვილმა საერთო კრებაზე წაიკითხა მოხსენება ქართული მართლწერის თაობაზე. მოხსენება იმდენად საყურადღებოდ მიიჩნია 150-კაცოანმა კრებამ, რომ მსურველუე ტაშით დააჯილდოვეს მომხსენებელი და სთხოვეს, სხვა დროსაც დაძბრეკებოდა ამ საკითხს. კამათში მონაწილეობა მიიღო 16 კაცი (გ. იმნაიშვილმა, მ. ხერხეულიძემ, ივ. სიხარულიძემ, მელანიამ, დ. კარიჭაშვილმა, დ. ჯაშმა, გრ. ბურჭულაძემ და სხვ.).

პ. მირიანაშვილმა მოხსენებაში სხვათა შორის თქვა: „აღდეს უცხო სკოლაში აღზრდილი წვენი ინტელიტენცია სხვაგვარად ყოქრობს, ლაპარაკობს და სხვაგვარად წერს. ოქროპირად წოდებული წვენი მთელაწე გრამატიკის სრულს უცოდინრობას იწყნსო“³⁶⁴. ამ განცხადებას პრესაში კამათი გამოუწვევია.

1916 წ. 15 მარტს პ. მირიანაშვილს კიდევ ერთი მოხსენება წაუკითხავს შემდეგი სათაურით: „იღია და აკაკი ნუთუ მართლა მდაბიური ენის შემოქმედნი იყვნენ“. მან მაგალითებით სცადა დამტკიცება, რომ „იღია და აკაკი არ იყვნენ მდაბიო ენის შემქმნელები, რომ მათი წინაპრებიც მდაბიო ენით სწერდნენ“. ცხარე კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ „ვერ დაარღვიეს ბ-ნ პ. მირიანაშვილის დებულებებით“, — გვაუწყებს ოქმი.

1916 წ. 23. II-ს საერთო კრებამ, მოიხსინა რა იპ. ვართაგაეას მოხსენება თემაზე: „სოფელი და სოფლები სოფ. მტკალობლიშვილის მოთხრობებში“, ერთხმად მიიღო მომხსენებლის წინადადება, რომ „იქმ საზ-ბა დაუყოვნებლიუე შეუდგეს ქართველ კლასიკოსთა ნაწერებიდან თანამედროვე მწერლობაში უხმარებელ სიტყვების და ფრაზების ამოკრეფას და ამოკრეფილი მასალის პატარ-პატარა

³⁶³ ცხსა. ყ. 2094. გვ. 100.

³⁶⁴ იქმ. გვ. 29.

წიგნაკებად გამოცემას³⁶⁵; კრებამ გამგეობას დააველა პირველსავე კრებაზე პრაქტიკული ზომების დასახევა და ნება მისცა ამისთვის საჭირო თანხების გაღებისა.

მეორე დღეს, 24 იანვარს, გამგეობის კრებამ განიხილა ეს საკითხი. სახელმძღვანელოდ მიიღო კრების გადაწყვეტილება იმ დამატებით, რომ კლასიკოსთა ენის შესწავლასთან ერთად შესწავლილ უნდა იქნეს ხალხური ენაც. „გადაწყდა შემდეგ მწერალთა ნაწერებიდან უხმარებელ, მწერლობაში ჯერ კიდევ ნეოლოგიზმებად დარსენილი სიტყვების და ყრა'ხების (რამდენადაც ეს საჭიროა სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად) ამოკრება: ს. მგალობლიშვილი (დაეველა ი. ვართაგაყას), დ. კლდიაშვილი (დაეველა ქ. აშირუჯიბისას), დ. მანხანელი (დაეველა გ. ჩხეიძეს), ნ. ლომოური (დაეველა...)“.

გ. ჟორდანიას დაეველა ხალხური სიტყვების შეკრება, ხოლო ი. როსტომიშვილს — ლექსიკონიდან ამოკრება უხმარი სიტყვებისა.

საჭირო შემთხვევაში სიტყვების ამომკრებს შეიძლებოდა დანიშნულა პინორარი: დაბეჭდილ სტრიქონში 1 კაპიტალიც, 0,5 (ან ნაკლებ) სტრიქონში 0,5 კმდე.

ა. მირიანაშვილს, ვ. ბარნოეს და საერთოდ ყველა მასწავლებელს ეთხოვა საქმეში ნაებათ ქართველი მოსწავლეები — შეიძლებოდადაკვარად სავალდებულო შრომად წაეთედლად შესაფერი ნაშრომი.

1915–16 წლებში სასოგადოების მიერ ნატარებელი მუშაობის შედეგად მომზადდა ნიადაგი და გადაწყდა ენის საკითხების გადასატრულად მეცნიერთა ყრილობის ნატარება და ამ ყრილობის მოსამზადებლად „საგრამატიკო ფონდის“ დაარსება. გამგეობა ყოველგვარ სახსარს ეძებდა ამ ფონდის შესაქმნელად. თავმჯდომარეს საერთო კრებისათვის მოუხსენებია, რომ „დეპუტატთა საკრებულომ გადაწყვიტა 1915 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილ იქნეს ქ. საზღვისათვის 600 მანეთი. კრებამ დაადგინა მადლობა მოახსენოს დეპუტატთა საკრებულოს, როგორც ამ ფულის გადაღებისთვის. ისე დარბაზის მუქთად დათმობისთვის და, ამასთანავე, დააველა საბჭოს შეამდგომლობა დეპუტატთა საკრებულოს წინაშე იმის გამო, რომ ამ 600 მანეთის გარეშე მისცეს საზღვის გრამატიკული ფონდის შესადგენად (ვალკე თანხა. ასეთივე თხოვნით საბჭომ უნდა მიმართოს კერძო პირთ და დაწესებულებათ“. სასოგადოების საბჭოს 1915 წ. 16 მაისის კრების ოქმში დაცულია ცნობა, რომ საბჭომ გადაწყვიტა მის მიერ გამოცემული წიგნაკის

³⁶⁵ საქ. ცხსა. ყ 2094, ს. № 101, გვ. 25.

შემოსავლის 30%-ის მოსმარება ამ ფონდის დახარხებლად. საბჭოს დამსახურება იყო იხიცი, რომ საგრამატიკო ფონდის შექმნაში დიდი ენათუხიასმით ნაებნენ როგორც კერძო პირები, ისე სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სათაყვანის-ნაურო დეპუტატთა საკრებულო და სხვ. მაგრამ 1917 წ. ურილობის მოწვევა ვერ მოხერხდა.

1918 წლიდან სასოგადოებას ჩამოსცილდა ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა და ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის ხელში გადავიდა. ამჟამე წლიდან სასოგადოებამ ახალი სახელწოდება — „საქართველოს კულტურისა და შრომის კავშირი“ — და ახალი წესდება მიიღო. ამ საკითხზე თავის მოხსენებაში 1918 წ. 6. II-ს გ. ჟორდანიას ამბობს: „ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ქართულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა (მათ შორის ქკმ საზ-ბამ) უარი უნდა სთქვან წმინდა მეცნიერული ხასიათის მუშაობაზე. მოვლის თავისი ძალ-ღონით უნდა ნაებნენ პრაქტიკულ საქმიანობაში სამშობლოს ასაღორძინებლად... საჭიროა მიტოვებულ იქნას წმინდა მეცნიერული საქმიანობა და დარჩეს მხოლოდ პრაქტიკული საკულტურო მოღვაწეობა... გარდა ამისა, საზ-ბამ უნდა იკისროს ისეთი ფუნქციები, რომლებიც დღემდე არ შედიოდნენ მისი მოქმედების სფეროში, როგორიც არის პრაქტიკული საქმიანობა, საქართველოში ნიუთეური კულტურის აყვავებისათვის სრუნვა...“³⁶⁶.

მენშევიკების მმართველობის პერიოდში (1918—20 წ.წ.) სასოგადოება ვეღარ ახერხებს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რადგანაც მას უხდება ბრძოლა არსებობისათვის. ამიტომ სრუნავენი გახსნან სამხატვრო სახელსახეობები, წიგნის მაღაზიები, საკანცელარიო ნიუთების მაღაზიები... — იქამდეც კი, რომ ცდილობენ სასურსათო კომიტეტისაგან მიიღონ ნებართვა, რომ „მცხეთაში მოაწყონ ფქვილის საეპტრო არა მაღალ ფასებში“ (1918. 6. III. კერძო თათბირის ოქმი).

მაგრამ ამ მძიმე ვითარებაშიც კი გ. ჟორდანიას ცდილობს მთლად უკურადღებოდ არ დატოვოს ენის საკითხები. როგორც კერძო თათბირის ოქმიდან ჩანს (1918. 28. II), მას ქართული ენის შემსწავლელი კურსების საკითხიც დაუხეიამს, მაგრამ ნაადრევად იქნა მინწყული გ. ჟორდანიას ეს აზრი. 1918 წ. 5 ივნისის გამგეობის კრებაზე განმეორებით იქნა განხილული ეს საკითხი და გადაწყდა: საკითხის მოგვარება დაევალოს კავშირის წევრს გ. ტატიშვილს.

1919 წ. 26 აგვისტოს კულტურისა და შრომის კავშირის გამგეობის კრებაზე ერთ-ერთ საკითხად განუხილავთ კირიონ კათალი-

³⁶⁶ ცხსა. ფ. 2094. ს. № 10, გვ. 55—60.

კოსის ფონდის დაარსების საკითხი. გამოუტანიათ დადგენილება: „ეთხოვოს ანნისხატის სამრევლო საბჭოს ხსენებულ მიწისთვის შეგროვილი ყული გადასცეს კულტურის და შრომის კავშირს, რათა ეს უკანასკნელი გაუძღვეს ფონდის შეგროვების და გამგეობის საქმეს“³⁶⁷.

გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან, საზოგადოებას დაუბრუნდა თავისი პირვანდელი სახელწოდებაც და წესდებაც და გააგრძელა მუშაობა კულტურის ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში. კელაგაც ბევრი რამ იყო განზრახული, მაგრამ ასეთი საქმიანობა დაეკისრა შესაბამის საბჭოთა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ქკმ საზ-ბა უყურეკციოდ დარჩა და 1928 წ. შეწყვიტა კიდევც არსებობა.

უყვიქრობთ, მოყვანილი მასალებიდანაც უნდა გამოიწინილიყო ის დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა, რაც ქკმ საზ-ბამ გასწია სალიტერატურო ენის ნორმალისაციის საკითხთა მოხაწესრიგებულად. ქართული სალიტერატურო ენის სადავო საკითხებზე მუშაობას სისტემატური, ორგანიზებული ხასიათი მიეკვა. სწორ გ'სა'სუ დადგა სალიტერატურო ენის ნორმალისაციის საქმე. საზ-ბა სწორად წარმართაყდა, თანდათან სრულყოყდა, მეკნიერულ სახეს აღლუყდა ამ მუშაობას; წარმოაწინდა სალიტერატურო ენის სირთულეებს, თავს უყრიდა სადავო საკითხებს, რომელთა შესახებ მსჯელობის საშუალება ეძლეოდა ყველა დაინტერესებულ პირს.

სადავო ყორმათაგან უყრო მართებულის შესარწმეყად მიწანშეწონილად იქნა მინწეული დაჰყრდობოდწენ ლიტერატურულ მასალას, ამოკრებილს გამოიწინილ მწერალთა თხ'სულებებიდან. ასევე აღთარებულ იქნა ძეული ქართულის მონაცემთა დიდი რული ნორმათა დადგენაში. ყოყეღიყე ეს კი სწორ პოსიცია'სუ დგომას ნიშნავს.

საჯარო კრებებ'სუ დაისევა ბევრი გადაყდებული საკითხი. საყუძეული ნაყეარა მრავალ წამოწყებას, როგორიც იყო: ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა, „საგრაამატიკო“ და „საღექსიკონო“ კომისიების შექმნა, საღექსიკონო მასაღის ამოწერა და შეკრება, ისეთი ენობრივი ნორმების შემუშაყება, რომელთაც კანონის ძალა ექნებოდათ, ენის მცოდწეთა ყრიღობის მოწყევა, ყრიღობის ნასატარებლად „საგრაამატიკო ფონდის“ შექმნა და სხე.

ყართო აყდიტორიაში წაკითხულ იქნა საგანგებოდ მომ'სადებული 10 მოხსენება სალიტერატურო ენის მოხაგვარებული საკითხების შესახებ და განხიღულ იქნა მრავალი სადავო საკითხი, როგორც წმინდა ორთოგრაფიული, ისე მორფოლოგიურ-სინტაქსური

³⁶⁷ ცხსა, ყ. 2094, ს. № 63, გე. 6.

ვინენთ, ენერგია კი ცოტა გვიქვს; უმჯობესია შეესწავლოთ ჩვენი მოქმედების ფარგლები, რათა იგი ნაყოფიერი იყოსო.

ი.პ. ვართაგაიას აზრს მხარი დაუჭირა სპ. ბერიშვილმა. მათ აზრს წინ აღუდგა ივ. რატიშვილი. საზოგადოება ახალი შექმნილია და ნოეთიერად ჯერ მოუდონიერებელი. ქართული კულტურა მრავალმხრივია (ეროვნული მუსიკა, არქიტექტურა, მხატვრობა, ისტორია, ლიტერატურა). ეს საზოგადოება მიზნად ვერ დაისახეს ექვლა ამ დარგის მეცნიერულ გამოკვლევას. სპეციალური კვლევა-ძიება კი არა, მათი პოპულარიზაცია და ფართო მასებში მისაღმი ხივეარულისა და ინტერესის გაღვიძება არის საზ-ბის მიზანიო.

თავის მხრივ გ. ჟორდანიაც განმარტავს, რომ საზოგადოების ამოცანაა ფართო მასებში ინტერესისა და ხივეარულის გაღვიძება ჩვენი კულტურისადმი. ამ მიზანს საზ-ბამ მთლიანად მიადწია. არც ერთი კრება რომელიმე სხვა საზოგადოებაში „არ მიმდინარებდა ისე ცოცხლად და მრავალრიცხოვნად“, როგორც ქკმ საზ-ბაში. არსად სხვა ქართულ დაწესებულებებსა და კრებებში არ იყო დაცული მტკიცედ წესიერება, როგორც ჩვენს საზოგადოებაში. რაც შეეხება წამოწვებულ საქმეთა დაბოლოებას: „ჩვენ მოვიდეთ ხელი საგრამატიკო საკითხებს, მაგრამ ჩვენი მიზანი არ იყო და არც შეგვეძლო მისი დაბოლოება, ჩვენ აღვიდით ამ საკითხებისადმი ფართო ინტერესი და ზოგიერთმა პირმა უკვე მოაკიდა ხელი მის დასრულებასო“³⁷⁰.

საზოგადოებამ არა მხოლოდ ამ მიზნის მიღწევა, არამედ გაცილებით მეტი შეძლო. მისი მოღვაწეობის შედეგად სალიტერატურო ენის ხიროულები გახდა არა ცალკეული პირის ან გაზუთის მსჯელობისა და დასკვნების, არამედ სპეციალისტთა კვლევისა და განსჯის საგანი. გასაკვირი არ არის, რომ ამ მუშაობას, როგორც ყოველ ახალ საქმეს, აქონდა ხარვეზებიც, მაგრამ ეს არაა მთავარი. მნიშვნელოვანია ორგანიზებული, სისტემატური მუშაობის დაწყება და ენის საკითხთა შესწავლა-განხილვა სპეციალისტთა მიერ, მეცნიერულ საფუძველზე დამყარება ამ დიდი საქმისა.

ქკმ საზ-ბისა და გ. ჟორდანიას მუშაობის შესახებ პ. მირიანაშვილი 1934 წლის 13 ოქტომბერს იგონებს: „ძალიან დიდია ქკმ საზ-ბის როლი ქართული მართლწერის საკითხების გარკვევისა და პოპულარიზაციის დარგში. საზ-ბა რეუოლუციამდე, მის შემდეგაც დიდი ეურადღებით ეკიდებოდა ამ საქმეს; სწარმოებდა საგნის საზოგადოებათა დაარსებულ სპეციალურ წრეში შესწავლა, აგრეთვე უფრო მნიშვნელოვან საკითხების საჯაროდ, საზოგადოებრივ კრებაზე განხილვა, საქმეში ნაბძელ ოქნენ საგნის საუკეთესო

³⁷⁰ ცხსა, ფ. 2094, ხ. № 10, გვ. 111 V.

მკოდნენი. ეს საებრები საფუძვლად დაედო ქართული მართლწერის დარგში რამდენიმე ხერითსულ გამოკვლევას³⁷¹.

ხოლო შ. დადიანი 1934 წ. 10 ნოემბერს წერდა: „ქმ სასოგადოებაში თავის დროსე ისეთი პოპულარობა მოიპოვა და ისეთი დიდი როლი ითამაშა, რომ თავის მორალური მნიშვნელობით გაუტოლდა იმ დროის ქართულ დიდ სასოგადოებრივ დაწესებულებებს, როგორც „წერაკითხვის სასოგადოება“ იყო“³⁷².

ყველაფერი ეს საზნის თავმჯდომარის გ. ჟორდანიას დამსახურება იყო.

ი. ვართაგავა ასე ახასიათებს გ. ჟორდანიას: „ვის არ ახსოვს ქართული კულტურის მოყვარულთა სასოგადოება და მისი აღგზნებული, გატაცებული, ენერგიით აღსავსე თავმჯდომარე გიორგი ჟორდანიას... იგი იყო განხორციელებული ენერგია, შეუწერებელი მოძრაობა, სიმკვირცხლე. მას ემარჯებოდა ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობა. მასში ჩქუყდა პრაქტიკული ნიჭი“³⁷³.

გ. ქუჩიშვილი, რომელიც ქართული კულტურის მოყვარულთა სასოგადოების საქმის მწარმოებლად მიიწვია ერთხანს გ. ჟორდანიამ, იგონებს: „მე ყოველთვის მაკვირებდა პატივცემული გიორგი ჟორდანიას თავდაუსოგაგი მოღვაწეობა კულტურის ფონსე. არ თაკილობდა არავითარ შავ სამუშაოსაც, თღონდ წინ წაეწია სასოგადო საქმე.

გიორგი ჟორდანიას, როგორც მოწინავე იღებების მატარებელი ადამიანი, მოურიდებელი მამსილებული და მებრძოლი იყო სვენი ცხოვრების ყოველგვარი უკუღმართობისა, გადაგვარებული ქართველი ინტელიტენციისა და რუსიფიკატორებისა, რისთვისაც არა ერთი და არი უსიამოვნება რგებია „ჯიღლიდ“. გიორგი ჟორდანიას დიდ მსრუნეველობას ინერდა სვენი ღარიბი მწერლებისადმი და მისი თაოსნობით თვითმკრობელობის დროს სახელაოვან საბაეშეო პოეტს შიო მღვიმელს გადაეხადა იუბილე, რომლის შემოსაკვლითაც დიდხანს უსრუნეველყოფილი იქნა პოეტის თჯახის.

არც მე და პოეტ ნოე მხიკვაძეს მოგეკლებია გიორგის მორალური და ნიფთიერი დახმარება ამა თუ იმ სახით“³⁷⁴.

³⁷¹ ცხსა, უ. 1813, საქ. № 378, ყურ. 1-3. მოგეყავს დ. გ. თღონდის პუბლიკაციის მისეღვით, იხ. მისი, მასალები „ქმ საზნის“ ისტორიისათვის, „საისტორიო მოამბე“, 1873, № 27-28, გე. 352.

³⁷² იქმე, გე. 352.

³⁷³ მოგეყავს ნ. თარხნიშვილის წერილიდან: „სასოგადოებრივი საქმიანობის უანგარო ხიყვარულით“, სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, 1985, № 47-48, გე. 140.

³⁷⁴ იქმე, გე. 141.

ქართული კულტურის მოქვარულთა საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელის გ. ჟორდანიას წვლილი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმეში უდავოდ მნიშვნელოვანია და სათანადო დაფასების ღირსიცაა.

ივანე ბიბინიძის და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები

ჩვენმა კრებულმა დაკარგა დამაარსებელი და რედაქტორი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე გიგინეიშვილი. ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია მთელი ქართული მეცნიერებისათვის. ქართველოლოგიას მიაკლდა დიდად ერუდირებული და ფართოდ განსწავლული ენათმეცნიერი, ქართული ენის ნიჭიერი მკვლევარი, დიალექტოლოგი და ლექსიკოგრაფი, რუსთაველოლოგი და ტექსტოლოგი, ქართული ლინგვისტიკისტიკის შესანიშნავი წარმომადგენელი, ბრწყინვალე ლექტორი და დიდი მამულიშვილი.

მრავალმხრივი იყო ივანე გიგინეიშვილის მეცნიერული ინტერესები და ფართო — მისი კვლევის სფერო: ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საკითხი, მისი განვითარების ტენდენციები, სალიტერატურო ენის მიმართება დიალექტებთან და საერთო-სახალხო ენასთან, მწერლის როლი და ადგილი სალიტერატურო ენის ისტორიაში, თანამედროვე სალიტერატურო ენის უნიფიკაცია, მისი სიწმინდისა და მონოლითურობის დაცვა, ქართული ენის გრამატიკისა და ქართული დიალექტოლოგიის აქტუალური პრობლემები, ლექსიკოლოგია და ტექსტოლოგია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებს ახსოვთ, რამდენს ფიქრობდა ბ-ნი ივანე საკვლევი საკითხის შესახებ, ამოწმებდა, ეძიებდა, საილუსტრაციო მასალას თუ საბუთიანობას კიდევ და კიდევ აღიერებდა, ამღიდრებდა და შემდეგ კი თითქოს ერთი ამოსუნთქვით წერდა. მის ყოველ ნაშრომში მსჯელობა ჩამოკვეთილია, საბუთიანობა — მეარი, დამოაჯერებელი, ილუსტრაციები — უხვი და მარჯვე, დასკვნები — სარწმუნო, ხტილი — დინჯი, ნათე-

ლი და მომხიბლავი. ამის საფუძველი იყო მკვლევარის დიდი ერუ-
დიცია, ფართო განათლება და ფაქიზი ენობრივი აღწერა, მან
ბრწყინვალედ იცოდა ძველი და ახალი ქართული ენა და ლიტერა-
ტურა, ხალხური ხეობრივობა, ცოცხალი სასაუბრო ენა, ქარ-
თული ენის დიალექტები.

ივანე გიგინეიშვილის მეცნიერული ნაღვაწის შეფასება მომავ-
ლის საქმეა. სეენ აქ გვინდა მხოლოდ იმ პრობლემებს შევეხეთ,
რომლებიც მისთვის იყო არა მხოლოდ მეცნიერული კვლევის ობი-
ექტი. არამედ მოქალაქეობრივი სრუნვის საგანიც. ესენია: ახალი
ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების, სალიტერატურო ენის
და მწერლის ურთიერთმიმართების, სალიტერატურო ენის ნორ-
მალის/საციის საკითხები... ამ პრობლემათა კვლევა მისთვის
სისხლხორცეული საქმე იყო.

ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის საკითხების, ამ ენის
ისტორიის კვლევა, ფილოლოგიური სამუშაოების მადალ ღონეზე
შესრულება შეუძლებელია ცოცხალი მეტყველების, დიალექტების
კარგი ცოდნის გარეშე.

ივ. გიგინეიშვილი ქართული დიალექტების დიდი მცოდნე იყო.
მისი პირველი ნაშრომი, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა, სწო-
რედ დიალექტოლოგიას ეხებოდა („ანგარიში სასაფუძვლო მივლი-
ნებისა ქართლური კილოს შესასწავლად სურამის მდამოებში“,
ენიშკის მთაბჭე, 1938, IV). შემდეგ წლებში მან ბევრი იმუშავა სეუ-
ნი ენის დიალექტებზე: ქართლურზე, ფშაურზე, გუდამაყურულზე,
კახურზე, თიანურზე... დიდი რუქებით მოპოვებულ ძვირფას
დიალექტურ მასალას და მის ანალიზს მეცნიერი განსაკუთრებული
პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ძნელად გადაწყვეტდა ხოლმე მათ
გამოქვეყნებას. მის პირად არქივში ინახება ძვირფასი მასალა,
ოთხი ათეული წლის წინ ნაწერილი ქართლსა თუ კახეთში, ფშაუ-
ში, გუდამაყარში, კახეთსა თუ თიანეთში. ამ მასალის მხოლოდ
ერთი ნაწილი გამოქვეყნდა „ქართული დიალექტოლოგიის“ I
ტომში, რომლის ერთ-ერთი შემდგენელთაგანი ივ. გიგინეიშვილი-
ცაა. მასვე ეკუთვნის ამავე წიგნში სოფი დიალექტის (სახელდობრ,
ფშაურის, კახურის, გუდამაყურელის, გურულის) მიმოხილვა და
ლექსიკონი. მისივე შედგენილია ქართლურის ლექსიკონიც.

ივ. გიგინეიშვილი მისთვის სეუელი გულისხმობებით ეკიდებო-
და სხვათა მიერ მოპოვებულ სანდო და საინტერესო დიალექტურ
მასალასაც. კერძოდ, მას გამოსაცემად მზად აქონდა შესანიშნავი
დიალექტური ტექსტები.

დიალექტების ასეთი საფუძვლიანი ცოდნა ხელს უწყობდა
მკვლევარს, რომ დაკვირვებოდა ახალი სალიტერატურო ენის წამო-
ყალიბების პროცესს და ამ ენის კავშირს ცოცხალ მეტყველებას-

თან — დიალექტებთან თუ საერთო-სახალხო ენასთან. სპეციალური სტატია მოუძღვნა მან საერთო-სახალხო ენის, დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთმიმართების საკითხს („ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხები“, იბეროულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952). აქ ნათლადაა გამოკვეთილი საერთო-სახალხო ენის რაობა, მისი მიმართება სალიტერატურო ენასთან, ერთი მხრივ, და დიალექტებთან, მეორე მხრივ. ამ სტატიაში ვითხულობთ: „საერთო-სახალხო ენა იქმნება იმისაგან, რაც საერთოა... დიალექტებს შორის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ... ეს ის ენაა, რომელიც ხალხის ხელში თანდათანობით იხვეწება, იწმინდება საუკუნეთა განმავლობაში, თავისუფლდება დიალექტური ფორმებისაგან, სოფჯურ ლიტერატურული ენის გავლენასაც განიცდის, მაგრამ მაინც ამ ენას უპირისპირდება, როგორც ხალხური, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ეს ის ენაა, რომელიც ხალხური პოეზიის ეპიკოსურ რწეულ, დახვეწილ ნიმუშებშია წარმოდგენილი. ეს არის ენა საყოველთაოდ გავრცელებული ხალხური ლექსებისა, ანდასებისა, გამოსვლებისა... ასეთ ქმნილებებშია წარმოდგენილი ის ენა, რომლის სახითაც საერთო-სახალხო ენა რეალურ ოდენობად გვევლინება, ოდენობად, რომელიც უპირისპირდება ადგილობრივ დიალექტებს“³⁷⁵.

საერთო-სახალხო ენის სალიტერატურო ენასთან მიმართების მეტად საყურადღებო საკითხს მკვლევარი იხილავს ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების საკითხთან ერთად.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამის შესასებ ნვენს მეცნიერებაში ორგვარი შეხედულება არსებობს: ერთი XIX საუკუნეს თვლის დასაწყისად (XII–XVIII საუკუნეები ან ძველ ქართულში შეაქვთ, ან ცალკე პერიოდად გამოყოფენ საშუალო ქართულის სახელით), მეორეს კი მიაჩნია, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა XII ს-დან იწყება და ძველი ქართულის ბუნებრივი გაგრძელებაა, ქართლური და კახური დიალექტების საფუძველზე მისი გადაბრუნების ნაყოფია. ამ ენის ფორმირება XVIII საუკუნეში დასრულდა.

ივ. გიგინეიშვილი ამ უკანასკნელ მოსაზრებას ოხიარებდა და მას ეყრდნობოდა.

საერთო-სახალხო ენის სალიტერატურო ენასთან მიმართებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საკითხს რამდენიმე ნაშრომში ეხება მკვლევარი. ამ ნაშრომთაგან ერთი

³⁷⁵ ი ვ გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხები, იბეროულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, გვ 507.

(„ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თავისებურებანი საბჭოთა ეპოქაში“) გამოქვეყნდა 1973 წ. საკავშირო ორგანოში³⁷⁶, ხოლო მკორე — ე. თოფურიასთან თანაავტორობით („ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საკითხისათვის“) — საკავშირო აკადემიისა და ამიერკავკასიის აკადემიების სასოგალოებრივ მუცნიერებათა გაერთიანებული სესიის შრომებში, რომლებიც ბაქოში გამოიცა 1957 წელს³⁷⁷.

ამავე საკითხს ეძღვნება სხვა სტატიებიც: „ი. ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ (თსუ შრომები, № 69, 1958), „სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის“ (საიუბილეო კრებული, თსუ, 1959), „დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 40, 1955), „ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხები“ (იკე, III, 1952), „რუსუდანიანი“ (გამოკლევა წიგნში „რუსუდანიანი“, თბილისი, 1957), Основные вопросы языка и критики текста поэмы „Вепхисткаосани“ (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1975).

მკელვარის შეხედულებები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

საერთო-სახალხო ენა, რომელიც ბატონობდა დიალექტებსე და იმორნიდებდა მათ, მწერლობის წარმოშობამდეც უნდა ყოფილიყო (იკე, III, 500).

სამწერლობო ენის არსებობა კი დამწერლობის წარმოშობიდან იწყება, ე. ი. V ს-სე გაცილებით უფრო ადრე, ქრისტიანობამდეც ეპოქაში.

მწერლობა ერთი რომელიმე კილოს საფუძველსე წარმოიშობოდა (მასში აისახებოდა ამ კილოს ძირითადი, ყველაზე მკვეთარი თავისებურებანი), შემდეგში კი სალიტერატურო ენა დიალექტისმუბისაგან თანდათან იცხრილებოდა და უახლოვდებოდა საერთო-სახალხო ენას (იკე, III, 498).

საერთო-სახალხო ენა და სამწერლობო ენა იმთავითვე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ შემდეგ, ისტორიის მანძილსე, სხვადასხვა ეპოქაში ისინი მეტ-ნაკლებად შორდებოდნენ ან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

³⁷⁶ И. М. Гигиненшвили, М. Н. Чабашвили, Р. Б. Гамбашидзе.

Особенности развития грузинского литературного языка в советское время: Закономерности развития литературных языков народов СССР в советскую эпоху — Внутроструктурное развитие старописьменных языков. М., 1973. გვ. 322–350.

³⁷⁷ В. Т. Топурия, И. М. Гигиненшвили, К вопросу о формировании грузинского литературного языка: Труды объединенной научной сессии Академии наук закавказских республик по общественным наукам, Баку, 1957.

V-X საუკუნეებში შკაცრად უნიფიცირებული ნორმების მქონე ძველი ქართული ენა საეკლესიო მწერლობის ენა გახდა და საეკლესიო სტილის მთხოვნებს მიესადაგა. ასეთი სალიტერატურო ენა ასე თუ ისე უნდა დაშორებოდა საერთო-სახალხო ენას (იკვ. III, 523). მოუხედავად მტკიცე, მყარი ნორმებისა, ამ ხანის სალიტერატურო ენაში მაინც შეაღწია ცოცხალი ენის ნაკადმა: შეიქმნევა სხვა დიალექტების კვალიც. ამას ხელს უწყობდა ლიტერატურული ცენტრების არსებობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ენაში თანდათან გროვდებოდა ახალი ელემენტები.

XII საუკუნეში ამას დაემატა, ერთი მხრივ, პოლიტიკური და კულტურული ცენტრის გადმონაცვლება დასავლეთ საქართველოდან თბილისში (სალიტერატურო ენა აქაური მოწინავე საზოგადოების შეტყვევებას დაემყარა) და, მეორე მხრივ, მდიდარი საერო მწერლობის აღორძინება და განვითარება. შავთელის, ნახრუხადის, მისე ხონელის ნაწარმოებებში, „ვისრამიანში“, აგრეთვე დაეით აღმაშენებლის, თამარისა და ღაშა-გიორგის ისტორიკოსთა თხზულებებში დასაბამი ეძლევა ახალქართულ სალიტერატურო ენას, რომელიც უგულბეზღყოფს რიგ მკედარ ფორმას, რომელსაც ძველი ქართული ხელოვნურად ინარჩუნებდა და ორიენტაციას სასაუბრო ენაზე იღებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს ერთბაშად იწყნს თავს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის უწვეულო ახალი ფორმები. ეს ფორმები სასაუბრო ენაში არსებობდა, მაგრამ სალიტერატურო ენა მანამდე მათ კარს უხშობდა. ყველაზე აშკარად, ყველაზე რელიეფურად ეს პროცესი „ვეფხისტყაოსანში“ აისახა. ახალი სალიტერატურო ენის გამოსევა სარბიელზე რუსთაველის სახელთანაა დაკავშირებული.

სალიტერატურო ენა თანდათან ისევე უახლოვდება ცოცხალ სასაუბრო მეტყვევებას. ძველი ქართული სალიტერატურო ენა საეკლესიო მწერლობას შერნა და დიდხანს იარსება, როგორც სამწერლო ენის საეკლესიო სტილი.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესი 700 წელიწადს გაგრძელდა იმ ძნელბედობის გამო, რომელსაც საქართველო განიცდიდა XIII-XVIII საუკუნეებში. ქვეყნის ფეოდალურ დაქსაქსელობასთან ერთად ამ პროცესს აბრკოლებდა აგრეთვე ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძლიერი ტრადიციები, ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლების დიდი გაყვანა.

ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა იმავე „ვეფხისტყაოსანმა“, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეს მისწვდა; მისი აფორიზმები ანდასებდად გადიოდა ხალხში, მისი ენა მისაბამი ნიმუში იყო XVI-XVII სს-ის

მწერლობისათვის. ამით მან ხელი შეუწყო სალიტერატურო მეტყვე-
ლების გაგრძელებას მთელ ქართველ ხალხში და საერთო-
სახალხო ენის დამკვიდრებასა და განმტკიცებას საქართველოს
ყველა კუთხეში (იკვ, III, 504).

XIII-XV საუკუნეებიდან მოღწეული მწირო მასალის მიხედვით
ჭირს მსჯელობა ამ პერიოდის სალიტერატურო ენისა და მისი
საერთო-სახალხო ენასთან მიმართების შესახებ.

XVI-XVIII საუკუნეები კი მდიდარია ორიგინალური თუ ნა-
თარგმნი თხზულებებით, მაგრამ ამ პერიოდის სალიტერატურო ენა
ნარკვია: ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ქართულის ბევრი
ფორმა, მძლავრ ნაკადადაა შემოჭრილი დიალექტური ფორმები,
ბევრია უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები, რადგან ამ პერიოდში
ბევრი რამ ითარგმნებოდა, განსაკუთრებით სპარსულიდან.

მკვლევარს ეჭვადღების გარეშე არც ის რჩება, რომ ქართულ
სალიტერატურო ენაზე ყოველთვის ახდენდა გავლენას ლიტერატუ-
რულ ძეგლთა თარგმანები: ქრისტიანობის გავრცელებას საქართვე-
ლოში თან ახლდა სასულიერო ლიტერატურის თარგმნა ბერძნუ-
ლიდან, რის შედეგადაც სვენს ენაში უხეად შემოდიოდა ბერძნული
ლექსიკა, ფრაზეოლოგია და სხვ. არაბთა ბატონობას თან მოჰყვა
არაბული ლექსიკის შემოჭრა ქართულ ენაში. საერო ლიტე-
რატურის განვითარების შედეგად (XI-XII სს.) მჭიდრო კავშირი
დამყარდა სპარსულ ლიტერატურასთან და ქართულში ბევრი სპარ-
სული სიტყვა შემოვიდა. XVI-XVIII სს-ში სპარსული პოეზიით
გაბრძანება იმდენად დიდი იყო, რომ ანტისპარსული რეაქციაც კი
გამოიწვია (ცნობილია არჩილის პურისტული ტენდენცია).

ძველი სალიტერატურო ენის მკაცრი ნორმები დაირღვა, ახა-
ლი ნორმები ძნელად მკვიდრდება. სალიტერატურო ენა არ არის
ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ნორმალისებული, მისი მო-
წოდითურობა შერყეულია. მკაცრად უნიფიცირებული ფორმების
ნაკლებად გავიქვს ფორმათა სიმრავლე და მრავალფეროვნება. სალი-
ტერატურო ენას მოაკლდა ის დახვეწილობა, რაც ძველი ქართუ-
ლისთვის იყო ნიშანდობლივი. სალიტერატურო ენაში მისი დამა-
ხასიათებელი ძრითადი ნიშანი შესუსტდა და იგი დიალექტს დაუ-
ახლოვდა³⁷⁸.

ამ ხანის ზოგ ძეგლში (მაგ., „რუსუდანიანში“) ფართოდაა ასა-
ხული იმ კუთხის ლექსიკა და მორფოლოგიური თავისებურებანი,
სადაც შექმნილია ეს ძეგლი.

³⁷⁸ ი. ე. გ. ი. გ. ი. ე. შ. ე. დ. ი. ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული
სალიტერატურო ენა. თსუ შრომები, № 69, 1958.

ივ. გივინიშვილი შესანიშნავად იცნობდა ამ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებს და მათ ენას. პოეზიის ენის შესახებ იგი წერს: „იმდროინდელი ქართული პოეზიის ძეგლთა ენის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ მასში ასახულია ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რღვევისა და ამ ენის გადაშლავების პროცესი... სამწერლობო ენა... აღარ არის მკაცრად ჩამოყალიბებული ერთიანი ნორმების მქონე, შესუსტებულია მისი მაუნიციციცირებული ძალა, თვალსაჩინოა დიალექტებიდან მომდინარე მოვლენების უპირატესი მნიშვნელობა“³⁷⁹.

დიალექტიზმები იმდროინდელი სალიტერატურო ენის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. დავით გურამიშვილის ენისადმი მიძღვნილ წერილში ვკითხულობთ: „ქართულისა და კახურისათვის დამახასიათებელმა დიალექტურმა მოვლენებმა ფართო გასაქანი პოვა სალიტერატურო ენაში, მაგრამ XVII—XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ეს მოვლენები არ წარმოადგენენ დიალექტიზმებს. ამგვარი დიალექტური მოვლენები მაშინდელი სალიტერატურო ენის ისეთსავე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, როგორსაც ძველი ქართული სალიტერატურო ენისაგან შემორჩენილი ფორმები“³⁸⁰.

ე. ი. საერთო-სახალხო ენის დამაქვემდებარებელი ძალა შესუსტებულია. მძლავრობს ტენდენცია, რომ სალიტერატურო ენამ რომელიმე დიალექტის ფორმები გაიმეოროს.

ეს უარყოფითი მოვლენა როდია. ეს იყო სალიტერატურო ენის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოების პროცესის, სალიტერატურო ენის გახალსებების პროცესის ბუნებრივი შედეგი. მაგრამ მაინც სალიტერატურო ენის განვითარება ამ გზით ვერ წავიდოდა. ქართული ენა მონოლითურობას დაკარგავდა. აღარ გვექნებოდა ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენა. აღნიშნული პროცესი უნდა დასრულებულიყო, სალიტერატურო ენა უნდა დახვეწილიყო და მისი მაუნიციციცირებული ძალა აღდგენილიყო. მართლაც, ბუნებრივად იზინა თავი საწინააღმდეგო ტენდენციამ — შექმნილიყო დიალექტური ფორმებისაგან მაქსიმალურად თავისუფალი სალიტერატურო ენა, შემუშავებულია მას ერთიანი მტკიცე ნორმები. ამ მიზნით ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ძველი ლიტერატურული მექანიკური ენა, ე. ი. ერთ-

³⁷⁹ ი. გ. გ. ი. ნ. ი. შ. ი. ლ. ი., XVI—XVII სს. ქართული პოეზიის ძეგლთა ლექსიკონის აგებულებისათვის („დავითიანის“ ლექსიკონის მაგალითზე); II რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1980.

³⁸⁰ ი. გ. გ. ი. ნ. ი. შ. ი. ლ. ი., დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, „ლიტ. გაზ.“, 1955, № 40.

გვარი არქაიზაცია იქნა მიხნეული ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად. ეს არ ნიშნავდა ძველი ქართულის აღდგენას თავის უფლებებში — ამოსავალი უნდა ყოფილიყო XVI–XVII საუკუნეთა საერო ძეგლების ენა, რომელიც უნდა გაწმენდილიყო დიალექტური ფორმებისაგან³⁸¹.

ამ ტენდენციის აშკარა გამოჩენად მკვლევარს სულხან-საბა ორბელიანის ენა მიაჩნია. სწორედ იმ პოზიციიდან აფასებს იგი საბას როლს წვენი სალიტერატურო ენის ისტორიაში.³⁸²

საინტერესოა მკვლევარის ახრი სალიტერატურო ენის ისტორიაში დიდი მწერლის როლის შესახებ. იე. გიგინეიშვილი წერს: „არიან დიდი მწერლები, რომელთა მნიშვნელობა დაუფასებელია არა მარტო ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ ეროვნული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისითაც. ასეთი მწერლების სახელებთან, წყეულებრივ, დაკავშირებულია რადიკალური მობრუნება ეროვნული სალიტერატურო ენის განვითარებაში. ერთი ასეთი მობრუნება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მე-12 ს-ში მოხდა, როცა ახალი სალიტერატურო ენა გამოვიდა მწერლობის სარბიელზე. ეს მობრუნება რუსთაველის გენიალურ სახელთანაა დაკავშირებული; მეორე მობრუნება მე-19 ს-ის სამოციან წლებში მოხდა და მეორე დიდ სახელს — ილია ჭავჭავაძის სახელს — უკავშირდება. მესამე ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ წამოქნა და წამოყალიბება არსებითად მე-17 ს. ბოლოს და მე-18 წ-ში დამთავრდა და ...ეს უმთავრესად სულხან-საბა ორბელიანის სახელთანაა დაკავშირებული“³⁸³.

ასე გადაიფაჩა ახალი ქართული სალიტერატურო ენის წამოყალიბების პრობლემას მწერლის როლისა და ადგილის პრობლემა.

ბუნებრივია, რომ იე. გიგინეიშვილის მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეთმობა მწერლისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობის კვლევას, მწერლის როლისა და ადგილის, მწერლის ენის თავისებურებათა საკითხების კვლევას. ამ პრობლემასთან თავს იყრის მერტად საინტერესო გამოკვლევები:

1) სტატიები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ენის ანალიზს ეძღვნება;

2) სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის (თსუ საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959);

³⁸¹ ი. გ. გ. ი. შ. ე. ლ. ი. სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, თსუ საიუბილეო კრებული, 1959. გვ. 31.

³⁸² იქვე.

³⁸³ იქვე.

3) დავით გუერამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა („ლიტ. გაზ.“, 1955, № 40);

4) ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა (თსუ შრ., 69, 1958);

5) ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა საკითხისათვის (ხელნაწერი);

6) „ბახტრიონის“ ენობრივი თავისებურებანი (წიგნში „კაქა-ფშაველას ბახტრიონი“, თბ., 1972);

7) სოჯი დაკვირვება გალაქტიონ ტაბიძის ენაზე (მოხსენება მეცნიერებათა აკადემიის სასოფალოებრივი განყოფილების 33-ე სესიისაზე, 1953);

8) „რუსუდანიანი“ (წიგნში „რუსუდანიანი“, 1957);

9) XVII ს. პირველი ნახევრის ქართული სალიტერატურო ენა და ვახტანგ მეექვსე... (კრებ. „ქართული სიტყვის ეულტურის საკითხები“, წ. 5, თბ., 1983).

საბას ენისადმი მიძღვნილ გამოკვლევებაში საბას როლი ასეა წარმოდგენილი:

საბას ენა არ არის ძველი ქართული სალიტერატურო ენა. ის XVI–XVII საუკუნეების მწერალთა ენის შემდგომ განვითარებას, მის უფრო მაღალ ეტაპს წარმოადგენს, მაგრამ ისევე დროს საბა მკვეთრად ემიჯნება ამ ხანის მხატვრული ლიტერატურის ენას, რომელიც ან ხელოვნური ფორმებით იყო დატვირთული, ან დიალექტისებრით. საბამ დაძლია ერთი(ცა და მეორეც და ხელოვნურობის აცილებითა და დიალექტისებრის მინიმუმამდე დაყვანით მთავრად ლიტერატურულად დამუშავებული ენის ბრწყინვალე ნიმუში, დაუბრუნა ენას მონოლითურობა. რაც შეეხება არქაისაციას, რომელსაც საბა მიმართავდა გარკვეულ შემთხვევებში, როგორც ივ. გიგინეიშვილი განმარტავს, ის საბას ინდივიდუალური სტილის ნიშან-თვისება, მისი სტილებრივი ხერხი კი არ არის, არამედ ამსახველია სალიტერატურო ენის განვითარების იმ საფეხურისა, როდესაც აუცილებელი გახდა გახასხულები, რომ სალიტერატურო ენა სხვა ენობრივი თვისებაა, ვიდრე ცოცხალი სასაუბრო ენა ან დიალექტი. არქაისაცია საბასთვის დიალექტური მეტყველებისაგან, ყოველდღიური სასაუბრო მეტყველებისაგან გამოიჯანსაღება და, ამდენად, სალიტერატურო ენის მონოლითურობისათვის ბრძოლის ხერხი და არა ძველი ქართულისაკენ მიბრუნება. ასეთი გამოიჯანსაღება კი იმდროინდელ სალიტერატურო ენაში დიდი იყო.

ესაა საბას დამსახურება სალიტერატურო ენის ისტორიაში.

საბას ენის თავისებურება კი, მკვლევარის აზრით, იმაშია, რომ მან უკუაგლო პიოსტაქსური წყობა წინადადებისა; როული და-

ქვემდებარებული წინადადებები მის თხზულებებში „მოგ'საურობა კეროპაში“ და „სიბრძნე სიცრუისა“ თითქმის სრულიად არ გვეხვება. მთელი თხზულება ან როული შეკავშირებული წინადადებითაა გამართული, ან შერწყმულით, ან კიდევ — მარტივით. ამასთანავე, საბა შეგნებულად მოკლე წინადადებებს იყენებს, გაურბის წინადადების დამძიმებას მეორეხარისხოვანი წევრებით. ეს უკვე საბას ენის თავისებურებაა, რამდენადაც ძველი ქართული კლასიკური წყობის ენა ძირითადად.

საბას ენა ახალ ეტაპს წარმოადგენს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, როცა დასრულდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და შესაძლებელი გახდა ენის სიწმინდესე, მის დახვეწასე, მის მონოლითურობასე ფიქრი³⁸⁴.

საბას გვერდით უდგას დავით გურამიშვილი. ივ. გიგინეიშვილი წერს: „უმაღლეს საფეხურს... ქართული სალიტერატურო ენის გახალსებების, ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების პროცესში უკრ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“, ხოლო უმაღლეს გურამიშვილის პოეზია წარმოადგენს. დავით გურამიშვილის ენა მარტივია და სადა, მაქსიმალურად დაახლოებული საერთო-სახალხო ენას, უაღრესად ხალხური და მწიგნობრულობისაგან თავისუფალი. ქართულ ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება მეორე მწერალი, რომლის ენა ასე ახლოს იყოს ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან“³⁸⁵.

როც შეეხება ვახტანგ VI-ს, იგი არ მისდევს საბას კვალს, მიხი პოეზიის ენა XVII საუკუნის ქართული მწერლობის ენის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ ვახტანგის დაუღალავმა მოღვაწეობამ (საქართველოს ისტორია, ქართული სამართალი...) ხელი შეუწყო სპეციალურ სტილთა განვითარებას და ამით ქართული სალიტერატურო ენის მოქმედების არის გაფართოებას.

ამრიგად, XVIII საუკუნეში სალიტერატურო ენა ძალზე დაუახლოვდა ცოცხალ სასაუბრო ენას. მეფისა და კათალიკოსის კანცულარიიდან გამოსული დოკუმენტების ენაც კი მარტივი და ნათელია. საბასა და გურამიშვილის ენა ახალი ქართული სალიტერატურო ენაა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, XVIII ს. ბოლოს ხელოვნურად შეაფერხეს წყნე სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარება — ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიამ სალიტერატურო ენა

³⁸⁴ ი. გ. გ. ი. ნ. ე. შ. ე. დ. ი. სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, ვ. 42.

³⁸⁵ ი. გ. გ. ი. ნ. ე. შ. ე. დ. ი. დავით გურამიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, „ლიტ. გაზ.“, 1955, № 40.

კელავ დააშორა საერთო-სახალხო ენას, ცოცხალ მეტყველებას და მხოლოდ 100 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა.

ივ. გიგინეიშვილმა სპეციალურ ნაშრომში ერთხელ კიდევ გამოკვეთა ილია ჭავჭავაძის ფასდაუდებელი ღვაწლი უფლებაწართმეული ახალი ქართული სალიტერატურო ენის თავის უფლებებში აღდგენის დიდ ეროვნულ საქმეში. ერთხელ კიდევ გახაზა, რომ ილია ჭავჭავაძემ თეორიულად დაასაბუთა და მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დაამყარა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების კანონზომიერება, სწორი მიმართულება მისცა ახალი სალიტერატურო ენის განვითარებას, განახორციელა ქართული ორთოგრაფიის რეფორმა. ილია სრუნავდა ენის ნორმალიზაციის საკითხებზე, დიდ მუშაობას ეწეოდა ქართული ტერმინოლოგიის შესაქმნელად, შექმნა ქართული პუბლიცისტიკური სტილი (რითაც ქართულმა სალიტერატურო ენამ შეიძინა ახალი მნიშვნელოვანი ფუნქცია), თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტიკურ ნაწარმოებებში მოგვცა ახალი ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუშები. „ილიამ არათუ დაკარგული უფლებები აღუდგინა ახალ ქართულ სალიტერატურო ენას, არამედ ახალ მადალ საფეხურზე აიყვანა იგი. ქართველ ერს ეს ქართული ენა შეაყვარა, ქართველს ქართული ენით სიამაყე აგრძნობინა“³⁸⁶.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბევრი არსებითად გადაწყვეტა ილიას, აკაკის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და სხვათა მოდერნიზაციამ, „საქართველოს მოამბემ“ და „ივერიამ“, სადაც ილიამ დანერგა ახალი ორთოგრაფიული ნორმები.

სალიტერატურო ენა დაემყარა სახალხო ენას. სალიტერატურო ენა ძალზე დაუახლოვდა საერთო-სახალხო ენას. დაიწყო ახალი ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქონდა XIX ს-ის პერიოდულ გამოცემებს, ახალი თაობის გამოსვლას XX ს-ის დასაწყისში (მათ თავისი სიტყვა თქვეს პუბლიცისტიკურ კრიტიკაში) და მსოფლიო შედეგების თარგმნას ქართულ ენაზე.

XIX ს-ის მეორე ნახევარში ერთიანი საერთო-სახალხო ენა ქართულ ეროვნულ ენად იქცა. სალიტერატურო ენა სავსებით ემთხვევა საერთო-სახალხო ენას.

საბჭოთა ეპოქაში ქართულმა სალიტერატურო ენამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. გაყვართოვდა მისი მოხმარების

³⁸⁶ ი. ვ. გ. ი. ნ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ შრ., 69, 1958.

არე... იგი სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული, საერთო-ეროვნულ სალიტერატურო ენაზე სრუნვა სახელმწიფომ იკისრა.

ასეა წარმოდგენილი ივ. გიგინეიშვილის შრომებში საკითხი საერთო-სახალხო ენისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობისა ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესში.

* * *

საბა ორბელიანისა და ილიას ენის შესახებ მსჯელობისას ივ. გიგინეიშვილი მჭიდროდ უკავშირებს იმ პრობლემებს, რომლებიც მწერლის ენის შესწავლასთან, მწერლის ენის თავისებურებათა წარმოსენასთან დაკავშირებით დგება (ამ პრობლემას იგი სხვაგანაც უბრუნდება).

მკვლევარი საჭიროდ თელის პირველ რიგში გამოიყენოს ცნებები „სალიტერატურო ენა“ და „მხატვრული ლიტერატურის ენა“³⁸⁷.

„სალიტერატურო ენის გამოყენების არე სცილდება მხატვრული ლიტერატურის ფარგლებს“³⁸⁸. მხატვრული ლიტერატურის ენა საერთო ეროვნული სალიტერატურო ენის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამავე დროს მასზე მეტია, რადგან შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის (მაგ.: არქაიზმებს, დიალექტიზმებს, ნეოლოგიზმებს).

იგივე აზრი ერთ-ერთ თეზისში ასეა ფორმულირებული: „ცნება სალიტერატურო ენისა არ არის ლიტერატურის ცნების იდენტური. მხატვრული ლიტერატურა სალიტერატურო ენას გამოიყენებს ძირითადად, მაგრამ მისი ნორმები ყოველთვის საყვებით არ ემთხვევა სალიტერატურო ენის ნორმებს“³⁸⁹.

„მწერლის ენა, მისი ენობრივი თავისებურებანი, — წერს მკვლევარი — ერთი მხრით, საერთო სალიტერატურო ენის ფაქტს წარმოადგენს, მეორე მხრით კი... მხატვრული ენის ნიმუშია“³⁹⁰. მწერლის ენის შესწავლისას საჭიროა ამ ორი რიგის მოვლენის

³⁸⁷ დასახელებულ გამოკვლევებში ივ. გიგინეიშვილი ხშირად ტერმინებს: „ლიტერატურის ენა“ და „სალიტერატურო ენა“. შემდეგ მან ეს ტერმინი შეცვალა: „მხატვრული ლიტერატურის ენით“. მეტი სიცხადისათვის მსჯელობაში წყენ ამ უკანასკნელ ტერმინებს ვიყენებთ.

³⁸⁸ ი. ვ. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ე. ი. ლ. ი. ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, თსუ სამეცნიერო სეხის თეზისები, 1951, გვ. 21.

³⁸⁹ ი. ვ. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ე. ი. ლ. ი. ერთიანი ქართული... გვ. 21.

³⁹⁰ ი. ვ. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ე. ი. ლ. ი. სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, გვ. 29.

მკვლევარს გამოუქვეყნებელი დარჩა ამ პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე ნაშრომი:

1) საშუალო ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი: „ამირან-დარეჯანიანისა“ და „შანაშაშის“ მიხედვით.

2) XI–XVIII საუკუნეების (საშუალო) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა. ა) პროზაულ მხატვრულ თხზულებათა მიხედვით („ეპიგრამანი“, „შანაშაშ“); ბ) მორფოლოგიური თავისებურებანი.

3) საშუალო ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი: „რუსუდანიანის“, „სიბრძნე სიცრუისას“, „ქილილა და დამიანასა“ და „თიმსარიანის“ მიხედვით.

4) საშუალო ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი: თეიმურაზ I-ის, არჩილის, თეიმურაზ II-ის, დავით გურამიშვილისა და ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ენა.

ამ გამოკვლევებში წარმოდგენილი უხვი მასალა და ნათელი მხჯელობა ცხადყოფს, თუ კერძოდ რა ხასიათის ცვლილებები ხდება ამ ეპოქის სალიტერატურო ენაში, როგორია ეს ენა. აშკარა ხდება, რომ ამ პერიოდის სალიტერატურო ენა ნარევი შედგენილობისაა: 1) საკმაოდ ფართოდაა ფეხმოკიდებული ახალი ქართული-სებური ფორმები (დარღვეულია სახელთა ბრუნების ძველი ნორმები, თანდებული შერწყმულია ფუძესთან, ზმნისწინები გამარტყვებულია, მრავლობითის -ებ-იანი წარმოებაა გაბატონებული, ასპექტის გამოხატვა ახალია, S₃ პირის -ეს ნიშანი შეცვლილია -ნ, -ენ-ით, წ-, ს-, პირის ნიშანთა ხმარება აღრეულია და სხვ.); 2) ძველი ქართული სალიტერატურო ენის მორფოლოგიის ბევრი ფაქტი განაგრძობს არსებობას (მოთხრობითისა და წოდებითის დაბოლოება, ვნებითი გვარის ზმნების -ი-ს დაბოლოება, ხოლმეობითის ფორმები, ადამიანის საკუთარ სახელთა მოთხრობითისა და წოდებითის ფორმები და სხვ.); 3) მძლავრ ნაკადადაა შემოჭრილი დიალექტური ფორმები (ზმნისწინების ცვლა: მო→მა, შე→შა; -იერ აფიქსის ნაცვლად -იარ-ის გამოყენება; ნაწინათესაობითარი ვითარებითის ფორმები...).

როც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მას სალიტერატურო ენის ისტორიაშიც ისევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ლიტერატურის ისტორიაში.

ივ. გიგინეიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო წლები უძღვნა ამ დიდებული პოემის ენისა და ტექსტის შესწავლას, მისი ლექსიკის, მისი სიტყვაწარმოების, სინტაქსური თავისებურებების, წინადადების აგებულების, სიტყვათა რიგის, ტერმინებისა თუ სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლას.

არნ. ნიქობაძე წერს: „ძველი ქართული ლექსიკონი და მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის შეგუება ამ ახალ დიალექტურ სინამდვილესთან, სალიტერატურო ქართულის გადაყვანა ახალ ლიანდაგზე, ესაა პროცესი ახალი სალიტერატურო ენის წამოყალიბებისა... „ვეფხისტყაოსნის“ დაწერისას ეს პროცესი კარგა ხნის დაწეული იყო“. „ამ პროცესის ფონზე უნდა იქნეს განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ენა“³⁹⁸.

სწორედ ამ ფონზე სწავლობდა ივ. გიგინეიშვილი პოემის ენას. რუსთაველოლოგიის დიდი შენაძენია მისი მონოგრაფია, რომელშიც მადიდებელ მეცნიერულ დონეზე არის განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისა და ენის საკითხები³⁹⁹.

ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ გამოკვლევაში, რომელიც ეძღვნება ზმნის ანალიზს „ვეფხისტყაოსანში“, ძველ და ახალ ქართულთან მიმართებაში წარმონეწილია და შეფასებული ის არქაული ფორმებიცა და სიახლენიც, რაც პოემაში გვხვდება. ამ ანალიზის შედეგად ივ. გიგინეიშვილი ასეთ დასკვნამდე მოსულა: ნათლად ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენა ძალიან დაშორებულია ძველ ქართულ სალიტერატურო ენას. პრინციპულად ეს ენა ახალი სალიტერატურო ქართულია. რა თქმა უნდა, ძველი ქართულის საკმაოდ მსგავსი გაკლუნა „ვეფხისტყაოსნის“ ენას ამხნევია, მაგრამ სისტემა ძველი აღარ არის. ძველი ფორმები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში არქაიზმების, როგორც ლიტერატურული ხერხის, გამოვლენა უფროა, ვიდრე გრამატიკული სისტემის ორგანული ნაწილი⁴⁰⁰.

და ასე, XI–XVIII საუკუნეების ლიტერატურული ძეგლების შესწავლის შედეგად ასეთი ვითარება გვაქვს: მიუხედავად ამ მწკრავლთა ენას შორის არსებული არაერთი სხვაობისა, ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვის თვალსაზრისით ეს ძეგლები მეტწილად ერთგვარ სურათს გვიჩვენებენ: ყველგან საბოლოოდ დარღვეულია ძველი ქართულის ენობრივი ნორმები და ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებია დამკვიდრებული. თუმცა აქა-იქ ძველი ფორმებიც გვხვდება, მაგრამ არც ერთი ძველი ფორმა თანმიმდევრულად გატარებული არაა, სისტემას არც ერთი მათგანი არ ქმნის და მათ ხმარებას ხელაწიურების, სუბიექტი მწიგნობრულობის ბეჭედი აზის⁴⁰¹.

³⁹⁸ ა. ნიქობაძე ა. დიალექტისმები „ვეფხისტყაოსანში“. ენისკის მთაბე, III, 1938, გვ. 227.

³⁹⁹ ი. ვ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975.

⁴⁰⁰ ი. ვ. გიგინეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები (ხელნაწერი).

⁴⁰¹ ი. ვ. გიგინეიშვილი, თეიმურაზ I-ის, არშილის, თეიმურაზ II-ის... ენა (ხელნაწერი).

„დასახელბეული ლიტერატურული ძეგლების ენის შესწავლამ ასე თუ ისე ნათელი გახადა ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე თანდათანობით გადახედვის პროცესი“, ნათელი გახადა, რომ „ენა, საშუალო ქართულის სახელწოდებით რომაა ცნობილი, შეიძლება ითქვას, არაა ისეთივე დამოუკიდებელი ერთეული, როგორც იყო ძველი ქართული, ან როგორც არის ახალი სალიტერატურო ქართული... საშუალო ქართულის შესწავლით... ჩვენს წინაშე იშლება ახალი სალიტერატურო ქართულის დასაბამი, მისი წარმოშობის სათავეები“⁴⁰².

ენათმეცნიერების ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიაზე (1952 წ. ივნისი) წარმოადგინდა იყო თუ გიგინეიშვილის, ა. კიხიას და ა. მარტიროსოვის კოლექტიური მოხსენება თემაზე: „ქართული ლიტერატურული ენის განვითარების პერიოდიზაციისათვის“. მოხსენება ემყარებოდა მხატვრული ძეგლებისა და ისტორიული წყაროების ენობრივ ანალიზს.

ამ მოხსენების თეზისებში წერია: „საკითხი დგას ე. წ. საშუალო ქართულის ადგილის შესახებ: განმკეთუნება იგი ძველ ქართულს, ახალ ქართულს, თუ ისეთივე (ვალკე ერთეულია, როგორც ძველი და ახალი ქართული.

...XII–XVIII საუკუნეების მხატვრული (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი) ძეგლებისა და ისტორიული წყაროების შესწავლამ ნათელიყო, რომ ამ ხანის ქართული სამწერლობო ენა ძველი ქართულის გაგრძელებას წარმოადგენს და აღმოხაველეთ საქართველოს ბარის კილოების (ქართლურისა და კახურის) საფუძველზე მისი გადამუშავების შედეგია“⁴⁰³.

უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებულ შრომაში მეცნიერი წერს: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ორი პერიოდი გაირჩევა: ძველი ქართული სალიტერატურო ენის პერიოდი (მწერლობის დასაბამიდან XI საუკუნის ბოლომდე) და ახალი სალიტერატურო ენის პერიოდი (XII საუკუნიდან დღემდე)“⁴⁰⁴.

⁴⁰² ი. გ. გიგინეიშვილი, XI–XVIII (საშუალო) ქართულის თავისებურებათა მიმოხილვა... ხელნაწერი, გვ. 9.

⁴⁰³ ი. გ. გიგინეიშვილი, ა. კიხიას და ა. მარტიროსოვის ქართული ლიტერატურული ენის განვითარების პერიოდიზაციისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესიის თეზისები, 1952 წ., ივნისი, გვ. 9.

⁴⁰⁴ И. М. Гигинешвили, М. Н. Чабашвили, Р. Б. Гамбашидзе, Особенности развития грузинского литературного языка в советское время: критический анализ „Закономерности развития литературных языков народов СССР в советскую эпоху“, М., 1973 г., с. 323.

ივ. გიგინეიშვილის შრომებიდან ნათელი ხდება, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას შეუძლია სიცხადე შეიტანოს ქართული ლიტერატურისა თუ კულტურის ისტორიის ბევრ საკითხში, დაადგინოს ან შეამაგროს ზოგი აღიარებული დებულება. ერთი მაგალითი: როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლთაგან უძველესია იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“. თხზულების მხატვრულ-ლიტერატურული ანალიზისა და ენობრივი მხარის გათვალისწინების შედეგად სპეციალისტები ასკვნიან, რომ ეს არ შეიძლება იყოს ქართულად შექმნილი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები. ეს საყოველთაოდ მიღებული აზრი ერთხელ კიდევ დადასტურებულია და შემაგრებული ივ. გიგინეიშვილის მიერ, ოღონდ სხვა ასპექტით.

უნიფიცირებული ნორმების მქონე ძველი ქართული სალიტერატურო ენა V-X საუკუნეების სასულიერო მწერლობის ენა იყო. ის დაშორებული იყო ცოცხალი სასაუბრო მეტყველებსაგან. ამას ადასტურებს აქა-იქ გამოსჩენილი „ახალი“ ფორმები. ეს „ფორმები ძალაუვნებურად გაიპარებოდნენ ხოლმე ძველ ძეგლებში ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან და მათ ბევრი რამ შეუძლიათ გვითხრან მაშინდელი ცოცხალი სასაუბრო ენის აგებულებაზე. მეორე მხრით, ეს ფაქტი თვით ძველი სალიტერატურო ენის დიდ ხნიერებასა და ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიციის არსებობაზე მიგვითითებს სრულიად უპიკელოდ. სალიტერატურო ენას, რომელიც ასე დაშორებული იყო ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას და რომელსაც ასე მტკიცე ნორმები ჰქონდა, განსხვავებული ცოცხალი სასაუბრო მეტყველებსაგან, ათეული საუკუნის ტრადიცია უნდა ჰქონოდა“⁴⁰⁵.

როგორც უკვე მრავალგზის აღინიშნა, „ახალი სალიტერატურო ენის საბოლოოდ ჩამოყალიბებას შეიდას“ მეტი წელი დასჭირდა, მისი ჩამოყალიბება მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი და ეს ენაც კი არ იყო ისეთი სრულყოფილი ნორმების მქონე ლიტერატურული ენა, როგორც ძველი ქართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ენის ნორმალისაცვისა და სრულყოფისათვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული გაცილებით მეტად ხელსაყრელი გარემოება და პირობები არსებობდა, ვიდრე ძველ საქართველოში, თუ ახალი სალიტერატურო ენის

⁴⁰⁵ ი. გ. გიგინეიშვილი, „ეფესოსტეოსის“ ენის საკითხები... ხელნაწერი, გვ. 56, ხაზი ჩვენია (დ. ლ.).

საბოლოოდ ჩამოყალიბებას ამდენი დრო დასჭირდა, ცხადია, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი საუკუნე უნდა დასჭირებოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და სრულქმნას, ვიდრე ის იმ დონეზე ავიდოდა, როგორც სალიტერატურო ენა, რა დონეზეც დგას „შუშანიკის წამების“ ან ოთხთავისა და ბიბლიის ქართული თარგმანების ენა“⁴⁰⁶.

იგივე ახრი სხვაგანაცაა გამოთქმული: „ენა ქართული სალიტერატურო ენის უძველესი ნიმუშებისა, რომელთაც წყნარად მოუღწევიათ, იმდენად ჩამოყალიბებული და თავისთავადი სახის მქონეა, ისეა აღჭურვილი დიდად განვითარებული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, რომ სრულიად უმჭკველია — ამ ენას ჩამოყალიბების, თანდათან დახვეწისა და განვითარების ხანგრძლივი გზა უნდა გაეკლო. ასე განვითარებული და უნიფიცირებული სალიტერატურო ენა მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში შეიძლება შექმნილიყო“.

ამიტომ სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირება დაწყებულია V ს-სე გაცილებით უფრო (შესაძლოა ათი საუკუნით) ადრე.

* * *

დიდია იქნა გიგინეიშვილის როლი ჩვენი სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საშეილშიშეილო საქმეში. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმალისაციისა და ქართული მეტყველების კულტურის საკითხების კვლევა და მოვლა მისი მოღვაწეობის ერთი ძირითადი სფერო იყო.

„ერთი და იმავე გრამატიკული დანიშნულების მქონე რამდენიმე პარალელური ფორმისაგან ერთის არჩევა... სალიტერატურო ენას უფრო მოქნილს, უფრო მონოლითურს ხდის, მის გამოყენებას, მოხმარებას აადვილებს, მოსახლეობის უფართოეს ფენებში მის გაურკვევლებასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს. რაც უფრო მდიდარია სალიტერატურო ენა, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მის გონიერულ ნორმალისაციასო“, — წერდა ივ. გიგინეიშვილი⁴⁰⁷.

⁴⁰⁶ იქვე, გვ. 57. ხაზი წვეწია (ლ. ლ.).

⁴⁰⁷ ი ვ გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თოფურიას დეაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში, იკვ. XXII, გვ. 284.

როგორც არნ. ნიქობაძე აღნიშნავს, ნორმის გამოიმუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს⁴⁰⁸.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის წინაპირობას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიის შესწავლა, მისი განვითარების ყველა ეტაპის გათვალისწინება შეადგენს, — წერდა ივ. გიგინეიშვილი⁴⁰⁹ და ბუნებრივია, რომ მისი ხანგრძლივი და ღრმა დაკვირვებანი სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე ორგანულად ერწყმოდა ახალი სალიტერატურო ქართულის ნორმალისაცის დიდ ეროვნულ საქმეს.

სალიტერატურო ენა ნორმირებული ენაა, მას მოვლა-პატრონობა სჭირდება. იგი ერთიანი, მონოლითური უნდა იყოს, აქონდეს მტკიცე წესები, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება ამ ენის მომსარებელთათვის.

ქართული ენის ნორმალისაცის საკითხები, როგორც ჩანს, ადრეიდანვე იხმოდა. ძველ საქართველოში სანიმუშოდ მოუველიათ ამ საკითხებისათვის. სალიტერატურო ენის ნორმები ურყევად, მტკიცედ ტარდებოდა, „ძველს საქართველოში სალიტერატურო ენის მოვლა, მის სრულყოფა-განვითარებაზე ზრუნვა მაღალ დონეზე იდგა. ის მემკვიდრეობა, რომელიც ძველმა საქართველომ დაგვიტოვა, ამ მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ სალიტერატურო ენის განვითარებისათვის ზრუნვა ნიქონს წინაპრებს პირველი რიგის საქმედ მიაჩნდათ“⁴¹⁰. მაგრამ შუა საუკუნეებიდან ძველი ქართულის მონოლითურობა ირღვევა, ძველის გვერდით ნიქდება ახალი ფორმები, გზას იკაფავს დიალექტისნიები, თარგმანების გზით შემოდის უცხო ლექსიკა. ყოველივე ამის გამო ამ პერიოდის ენა ნარევია, რამაც „ის შედეგი მიიტანა, რომ კარგა ხნის განმავლობაში ქართული სალიტერატურო ენა აღარ იყო ძველი სალიტერატურო ენის მსგავსად მკაცრად უნიფიცირებული ნორმების მქონე ენა. მისთვის ნაირგვარი მორფოლოგიური თუ სიტყვაწარმოებითი ვარიანტების არსებობაა დამახასიათებელი, რაც ენის სინტაქსურ წყაროებშიც იწყვედა ნაირგვარობას“.

მაგრამ ენის მოვლა-პატრონობა, მის სიწმინდეზე ზრუნვა არც ამ პერიოდში მიუტოვებიათ.

⁴⁰⁸ არნ. ნიქობაძე ა, სალიტერატურო ენა და ნორმა, კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეორე, 1979, გვ. 15.

⁴⁰⁹ ი. ვ. გ. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა (ხელნაწერი), გვ. 17.

⁴¹⁰ ი. ვ. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული სალიტერატურო ენის... გვ. 17.

XVIII ს-ში უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც უფრო დახვეწილია, ვიდრე წინა, XVI-XVII საუკუნეების ენა და ცოცხალ მეტყველებასთანაც უფრო ახლოს არის. მაგრამ ამას შემდეგ მოჰყვა გაბატონება ანტონის უკიდურესად ხელოვნური სტილისა და ორთოგრაფიული წესებისა, რომლებსაც „საყრდენი არ მქონდა არც ინტელიგენციის ენაში, არც ხალხის მეტყველებაში. ის არ ემყარებოდა ენის ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური აღნაგობის შესწავლას“.

მე-19 საუკუნეში იღია წაკვავადისა და მისი თანამებრძოლების — აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და სხვათა მოღვაწეობის შედეგად გაიმართა ანტონის მიერ გამრუდებული ხაზი სალიტერატურო ენის განვითარებისა. ახალი სალიტერატურო ენა კვლავ ხალხის მეტყველებას — აღმოსავლურ დიალექტებს დაეყრდნო, მაგრამ, იმავე დროს, მის განვითარებასა და სრულყოფაში მონაწილეობდნენ ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტის წარმომადგენლები. ილიას მეთაურობით განახლდა და განვითარდა ქართული პროზა, შეიქმნა ქართული პუბლიცისტიკა და ჟურნალისტიკა (შესაბამისი სტილით), რამაც გამოიწვია, ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციებისა და, მეორე მხრივ, მისი მომხმარებელი წრის გაფართოება. ამან (და სალიტერატურო ენაში სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელთა მონაწილეობამაც) ხელი შეუწყო პარალელური ფორმების გაჩენას, რამაც მოამრავლა სადავო საკითხები, ცხადი გახდა, რომ სალიტერატურო ენაში მოსაგვარებელია და გადასაჭრელი მრავალი ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სხვა საკითხი. ე. ი. სალიტერატურო ენის თანდათანობითმა გამდიდრებამ ნორმების მოწესრიგების საჭიროება გამოიწვია.

სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოგვარებით ერთი პირველთაგანი ი. ჭავჭავაძე დაინტერესდა, სუსტად შემოფარგლა ასეთ საკითხთა წრე და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა. პრაქტიკულად გატარდა სერიოზული ორთოგრაფიული რეფორმა — სალიტერატურო ენამ იღია ჭავჭავაძის მაგალითისამებრ ხელი აიღო ძველი ასოების ხმარებაზე. გაცხოველდა ინტერესი სალიტერატურო ენის ნორმატული საკითხების მიმართ, პერიოდულ პრესაში მრავალი საყურადღებო სტატია გამოჩნდა (დავით ყიფიანის, პ. ჯარაიას, ს. ხუნდაძის, ი. გოგებაშვილის, გრ. ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ა. ხახანაშვილის, გ. წერეთლის, კ. დოდაშვილის, ა. ქუთათელაძის, პ. მირიანაშვილის, თ. სახოკიას, გ. ყოფშიძის, ს. გორგაძის და სხვ.). მათში ნორმების დადგენისა და ნორმათა პრინციპების შემუშავების ცდები იყო წარმოდგენილი.

სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოგვარების ცდებს ვხვდებით იმდროინდელ სასკოლო გრამატიკებშიც.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დამდეგს ამ მიუშაობას უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა.

მას შემდეგ, რაც ქართული სალიტერატურო ენა საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა და ეს დიდმნიშვნელოვანი აქტი წაიწერა ჩვენს კონსტიტუციაში, ეროვნული გახდა სკოლა, სახელმწიფო აპარატი, სამართლის წარმოება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, დაარსდა ქართული უმაღლესი სასწავლებლები. თბილისის უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტექნიკურ და სამედიცინო ინსტიტუტებში სწავლება (და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც) ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ყოველივე ამან ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციათა კიდევ მეტად გამდიდრება-გაფართოება გამოიწვია. პირველ რიგში სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საკითხი უნდა გადაჭრილიყო, რათა ქართულ ენაზე ამტკიცებულიყო მეცნიერების ყველა დარგი. 1922-25 წლებში განათლების სახალხო კომისარიატთან არსებობდა ცენტრალური სატერმინოლოგიო საბჭო (თაქმჯდომარე იყ. ჯავახიშვილი), რომელმაც გარკვეული მუშაობა წაატარა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენისა და სალიტერატურო ენის სადავო საკითხების უნიფიკაციის ხაზით. 1925 წ. სახკომსაბჭოსთან დაარსდა სატერმინოლოგიო კომისია. მოგვიანებით ეს კომისია გარდაიქმნა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებად. მას დაეკისრა სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციის საქმე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოგვარებულიყო ქართული სამეცნიერო ენის ლექსიკის საკითხი.

1920 წლის მაისში თბილისში უნდა მოწვეულიყო ენის მკვლევართა ყრილობა სალიტერატურო ენის სავალდებულო ნორმების განსახილველად და დასადგენად. წინასწარი მუშაობა დაკისრებული ჰქონდა საორგანიზაციო კომისიას (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, დ. უსნაძე...). კომისიამ გამოაქვეყნა მოსაგვარებელი საკითხების სია. 1921 წელს კი გამოიცა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მსდებულები სასწავლო კომიტეტის მიერ)“. აქ წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები სალიტერატურო ქართულის არაერთ სადავო საკითხზე.

30-იან წლებში ენისა და ტერმინოლოგიის კომისიამ (რომელიც განათლების სახალხო კომისარიატთან არსებობდა) და სახელმწიფო გამომცემლობამ რედაქციების მუშაკთათვის მოაწივეს ქურს-

კონფერენცია, სადაც ენის სპეციალისტებმა (გ. ახელუდინმა, ა. შანიძემ, ა. ნიქობაგამ, ვ. თოფურიამ, ს. ჯანაშიამ, ს. ყაუხჩიშვილმა), წაითხეს მოხსენებების ციკლი ნაკეთებად საერთო სათაურით: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“.

როგორც ივ. გიგინეიშვილი მოგვითხრობს, აქ ჩამოთვლილ სამუშაოთა მთელი სიმძიმე თბილისის უნივერსიტეტის მუშაკებს აწევთ მხრებს. ამ მუშაკთა შორის ძირითადი ადგილი ეკირათ უნივერსიტეტის პირველ კურსდამთავრებულებს — ა. ნიქობაგას, ს. ჯანაშიას და ვ. თოფურიას.

1936 წ. განათლების კომისარიატის მიერ გამოყოფილი კომისიის სახელით გამოქვეყნდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ ერთი ნაკვეთი, რომელშიც წარმოდგენილია სალიტერატურო ენის რამდენიმე ძირითადი სადავო საკითხის გადაწყვეტა.

ამ ნორმათა გაურკვევლობასა და დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილმა „სასკოლო ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა“, რომელიც სამჯერ გამოიცა (1941, 1946 და 1949 წწ.).

1946—1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან მუშაობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია ჯერ აკად. ს. ჯანაშიას, შემდეგ აკად. ა. შანიძის თავმჯდომარეობით. კომისიის სწავლული მდივანი იყო ივ. გიგინეიშვილი. მასდასა ნორმათა პროექტისათვის ამზადებდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ნორმათა საკითხი საენათმეცნიერო კულევა-ძიების განუერყვლ ნაწილად იქცა.

ცოტა მოგვიანებით საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისია“, რომელშიც შედიან სპეციალისტი ენათმეცნიერები, მწერალთა კავშირის, ლიტერატურისა და პრესის მუშაკთა წარმომადგენლები.

ივ. გიგინეიშვილი იყო ამ კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, მისი აქტიური და შემოქმედი წევრი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ივ. გიგინეიშვილი დაარსების დღიდან (1954) ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილ სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილებას (ამჟამად „მეტყველების კულტურის განყოფილება“), რომელიც ამ კომისიის სამეცნიერო აპარატს წარმოადგენს და რომელსაც დაეკისრა სადავო საკითხების შესწავლა და ნორმათა პროექტების შედგენა.

„ქართული ენის ნორმათა დადგენის საქმე საბოლოოდ დადგა მყარ საფუძველზე, რადგანაც იგი გახდა საერთოდ საენათმეცნიერ-

რო კვლევადიებისა და, კერძოდ, ქართული ენის შესწავლის მიზნით წარმოებული მუშაობის ორგანიზებული და მყარი ნაწილი⁴¹.

განყოფილების საკმაოდ რთულ სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას ივ. გიგინეიშვილი წარმართაუდა მისთვის ნეკუელი მეცნიერული სიღინჯით და დიდი პრინციპულობით. ამას ერთუფადა საოცარო სიყვარული ამ დიდი ეროვნული საქმის მიმართ.

განყოფილება და მისი ხელმძღვანელი მტკიცედ იცავდნენ იმ პრინციპებს, რაც შემუშავდა და მიღებულ იქნა თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად (სახელმწიფო კომისიის წევრის არნ. ნიქობავას მოხსენების თანახმად)⁴².

ამ პრინციპებზე დაყრდნობით შედგა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველი კრებული (1970), რომლის გამოსაცემად ივ. გიგინეიშვილმა, როგორც რედაქტორმა, ძალზე დიდი შრომა გასწია. ამ კრებულში გათვალისწინებულია წინათ არსებული კომისიების ნამუშევარი. ნორმები მიღებულია ცნობილი ენათმეცნიერების — ა. შანიძის, გ. ასვლედიანის, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიას, არნ. ნიქობავას და სხვათა, აგრეთვე განყოფილების თანამშრომლების მოხსენებათა საფუძველზე. თითოეულ სტატიაში წარმოდგენილია საკითხის წარმოშობის ისტორია, სათანადო დასაბუთება და საილუსტრაციო მასალა.

ამ კრებულში შესულ ნორმათაგან ათი მიღებულია ივანე გიგინეიშვილის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე.

აქ გადაჭრილია ბევრი საჭირობორიტო და სადაყო საკითხი, როგორცაა: II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშან ჰ-ს და ს-ს გამოყენების საკითხი, რიცხვითი სასკვლების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები (ოცდამეშვიდე თუ მეოცდამეშვიდე? თუთხმეტი, თხუთმეტი თუ ხუთმეტი? ასპირველი თუ ასმეერთე? მესამოცე წლები თუ სამოციანი წლები? ორ მილიონმა კაცმა თუ ორმა მილიონმა კაცმა?), პრეკურბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები (ანთავისუფლებს, ანსხვაგებს, ანვითარებს, ანცვიფრებს, ანსახიერებს, აღშფოთებს... თუ ათავისუფლებს, ასხვაგებს, ავითარებს, აცვიფრებს, ასახიერებს, აშფოთებს...?), აღამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული სიონელეები (ეთერიმ თუ ეთერმა...), ეინის ნართვისა და დაკარგვის წესები, კომპოზიტების მართლწერის საკითხი.

⁴¹ ი. გ. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ე. ი. ლ. ი. ვ. თოფურიას ლეაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში, იკვ. XXII, გვ. 288.

⁴² თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

არანაკლებ საინტერესოა ივანე გიგინეიშვილის თეორიული ხასიათის სტატიები ენის ნორმალისაჯიის საკითხებზე, დაწერილი მისთვის ნეუელი სიკხადითა და მყარი საბუთიანობით.

ბოლო წლებში მწვავედ დაისვა უცხოურ პირთა ქართულად გადმოცემის საკითხი. პრესაში დისკუსიაც კი გაიმართა ამ საკითხის ირგვლივ. 1972 წ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ I წიგნში გამოქვეყნდა ივ. გიგინეიშვილის წერილი „უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემისათვის“, რომელშიც მეცნიერული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები უცხოურ პირთა სახელების გადმოცემისა.

1982 წ. დისკუსია კვლავ განახლდა ამავე საკითხზე. სამწუხაროდ, ჩანს, დისკუსიის ხელახლა წამომწყებნი სათანადოდ ვერ ჩასწავლობიან ამ წერილის დებულებებს და ისიც არ გაუთვალისწინებიათ, რომ ამ პრინციპთა საფუძველზე არის გამართული ნეკნი ენციკლოპედიის 5 ტომი.

ივანე გიგინეიშვილის რედაქტორობით მომზადდა კრებულის „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ 5 წიგნი. კრებულში ქვეყნდება სტატიები და ნარკვევები ქართული ენის მართლწერის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, ტერმინოლოგიის, მორფოლოგია-სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხებზე, რომლებიც მოწესრიგებას მოითხოვს. იბეჭდება მიმოხილვები გასუთების, ჟურნალების, სახელმძღვანელოთა ენის სიწმინდის საკითხებზე.

კრებულს ასეთი სახე განყოფილების ხელმძღვანელმა მისცა. კრებულში მონაწილე მკვლევართ კი ასეთი ამოცანა დაუსახა: წერილები და გამოკვლევები უნდა ასახაყდეს ქართული საბჭოთა ენათმეცნიერების მაღალ დონეს, ამასთან, უნდა იყოს ნორმატიული ხასიათისა, საკითხები უნდა გადაიჭრას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით, ნორმათა დამკვიდრებას უნდა უწყობდეს ხელსო.

ივ. გიგინეიშვილი დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა ამ კრებულის შედგენა-რედაქტორობას. მისი დრმა რწმენით, კრებული მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისა და მონოლითურობის დაცვას და ქართული მეტყველების კულტურის მაღალი დონისათვის ბრძოლის მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დადგომას.

დაუღალაყად იღუწოდა ივ. გიგინეიშვილი სალიტერატურო ენის ნორმების არა მარტო დადგენისათვის, არამედ აგრეთვე ამ ნორმათა ხელხში გაყრცელებისათვის, დანერგვისათვის და სალიტერატურო ქართულის სიწმინდის დაცვისათვის. იგი, რამდენადაც ეს საქმე ეროვნული მნიშვნელობის საქმედ მიანინდა, სისტემატიურად

კითხულობდა ლექციებს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთათვის, გამომცემლობის თანამშრომელთათვის, პედაგოგებისათვის განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ უნივერსიტეტში... ხელმძღვანელობდა რადიოგადაცემათა ციკლს, რომელიც ემსახურება დადგენილ ნორმათა პოპულარიზაციას, სადავო საკითხების განმარტებას, რთული გრამატიკული საკითხების ფართო აუდიტორიისათვის გასაგებად მიწოდებას...

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დანერგვის საქმეში დიდ როლს ასრულებს ივ. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას მიერ შედგენილი ქართული ენის ერცველი ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც 1968 წ. გამოვიდა.

ეს წიგნი ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთა სამაგიდლო წიგნად იქცა. მისი ფარგლები შორს სცლილება წმინდა ორთოგრაფიული ლექსიკონის ფარგლებს, რამდენადაც ის მიხნად იხსახავს არა მხოლოდ სიტყვათა მართლწერის, ე. ი. წმინდა ორთოგრაფიული საკითხების გარკვევასა და სვენებას (ასეთი საკითხები ქართულში არცთუ ისე მწვავეა), არამედ, იმავე დროს, წარმოადგენს ერთგვარ საცნობარო წიგნს ქართული ენის მორფოლოგიურ ფორმათა მართლხმარების შესახებაც. მასში წარმოდგენილია მდიდარი მასალა ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკისადაც, მაგ.: ეროვნული და საერთაშორისო სინონიმები, მოძველებული სიტყვები და მათი შემცვლელი თანამედროვე ერთეულები, იშვიათად — სინტაგმებიც კი.

საინტერესოა ლექსიკონის აგებულებაც: სალექსიკონო სტატი-აში ხშირად სწორი და არასწორი ფორმები ერთადაა მოცემული საგანგებო აღნიშვნის დართვით, რაც მკითხველს ამახვილებინებს ყურადღებას არა მარტო სწორ ფორმებზე, არამედ შესაძლო შეცდომებზეც, სოფჯერ პარალელურად დასაშვებ ვარიანტთაგან მითითებულია უმჯობესი ვარიანტი და ა. შ.

ამჟამად გამომცემლობა „განათლებაში“ იბეჭდება ამ ლექსიკონის ახალი, შევსებული გამოცემა, რომელიც მთამსადა ივ. გიგინეიშვილმა.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციასთან ერთად ივ. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შედგა და საბოლოო რედაქცია გაიარა საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულმა ლექსიკონმა, რომელსაც აღბათ მალე მიიღებს ქართველი სასოფადოებრიობა.

იმავე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციასთან ერთად ივ. გიგინეიშვილმა, როგორც მეტყველების კულტურის განყოფილების გამგემ, მთამსადა მასალა უცხო პირთა და

გეოგრაფიულ სახელთა ქართულად გადმოცემის მოსაწესრიგებლად და შესაბამისი ორთოგრაფიული ცნობების გადმოსაცემად.

ივ. გიგინეიშვილი სწავლობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისააციის ისტორიას. მას დარჩა ხელნაწერი შრომა „ივანე კერესელიძის „ცისკარი“ ქართული სალიტერატურო ენის საკითხების შესახებ“. თავის გამოკვლევებსა თუ წერილებში იგი წარმოაჩენდა მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მოღვაწეთა როლს სალიტერატურო ენის სადავო საკითხების გამოვლენასა და მოგვარებაში.

მრავალ სტატიასა თუ საჯარო გამოსვლაში (ამ გამოსვლების ტექსტები დაცულია) მან საგანგებოდ აღნიშნა ნეუნი დიდი ენათმეცნიერების — არნ. ნიქობაგას, ს. ჯანაშიას და ვ. თოფურიას დამსახურება ამ დიდ ეროვნულ საქმეში, გახაზა, რომ სალიტერატურო ენის ნორმებისათვის ბრძოლის საკითხი ობიექტურ მეცნიერულ საფუძველზე დააყენა არნ. ნიქობაგას მიერ შემუშავებულმა პრინციპებმა. ვ. თოფურიას ამავის შესახებ იგი ვრცლად მსჯელობს საგანგებო წერილში: „ვ. თოფურიას ღვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში“⁴¹³.

ივ. გიგინეიშვილი ფართო საკონსულტაციო მუშაობას ეწეოდა. მას ამომწურავი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაუცია უამრავ შეკითხვაზე, რომლებსაც ენათმეცნიერების ინსტიტუტი იღებდა სალიტერატურო ენის საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთა თუ დაწესებულებებისაგან.

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ბიბლიოთეკის დირექტორი საქმიანობა, რომელსაც ივ. გიგინეიშვილი უძღვეოდა, სალიტერატურო ენის ნორმათა მეორე კრებულის მომზადებას ემსახურებოდა. კრებულში სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხების შეტანა ივარაუდება. ეს საქმიანობა რთული უბანია. სტილის სფეროში კანონზომიერების დადგენა, ნორმის დაწესება გარკვეულ სიმკვლეებს შეიცავს. მოუხედავად ამისა, აუცილებელია ამ კანონზომიერებათა მიკვლევა, დადგენა. ამის შესახებ ივ. გიგინეიშვილი წერდა: „შესაძლოა ორთოგრაფიული საკითხებიც მოგვარებული იყოს, მორფოლოგიურ-სინტაქსური ნორმებიც დადგენილ-დაკანონებული და დაცული. მაგრამ სალიტერატურო ენამ მაინც ვერ შეასრულოს ჯეროვნად თავისი ფუნქციები, თუ სათანადო ყურადღება არ მიექცა ენის სტილისტიკურ მხარეს... ესაა ყველაზე საჭირობო-ტო საკითხი დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში და

⁴¹³ იხ. იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXII, თბ., 1980.

ჯეროვნად მისი მოგვარება არაერთ სიმნელესთანაა დაკავშირებული⁴⁴.

განყოფილების გამგის ხელმძღვანელობით განყოფილებაში მუშაველებოდა სტილისტიკის საკითხები. ზოგი მათგანი გამოქვეყნდა ლენინს კრებულში, ზოგზე კი გრძელდება მუშაობა.

დაწვებული იყო მუშაობა პრაქტიკული სტილისტიკის სახელმძღვანელოს შესადგენად ნორმატიული სახისათვის გამოთქმათა ლექსიკონითურთ. საამისოდ შეისწავლებოდა შეხიტიკების ფუნქციები, შესიტყვებაში შემავალ სიტყვათა შეხამება მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამ ლექსიკონისათვის განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადდა მასალა (500-მდე სიტყვა-სტატია). ივ. გიგინეიშვილმა შეიმუშავა და განყოფილებას გააცნო ლექსიკონში შესატანი სიტყვა-სტატიის რამდენიმე ნიმუში, განყოფილების ხელმძღვანელმა განიხილა თანამშრომლების მიერ მომზადებული მასალიდან რამდენიმე ნიმუში, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი მასალის რედაქტირება ვეღარ მოასწრო.

განყოფილებას ხევა პრობლემებიც კქონდა: შეისწავლებოდა თანამედროვე ხალიტურატურო ენის განვითარების ტენდენციები, თანამედროვე მწერალთა ენა, ლენინს პრესის, რადიოს, ტელევიზიის, სახკოლო სახელმძღვანელოების ენა. ამ მუშაობის შედეგებიც თანდათანობით აისახებოდა განყოფილების კრებულში. მთელ ამ საქმიანობას განყოფილების ხელმძღვანელი წარმართავდა.

სამწუხაროდ, ქართული ხალიტურატურო ენის ნორმალიზაციის ფრიად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს მოაკლდა დიდი სპეკიალისტი, ხალასი ენათმეცნიერული ნიჭითა და ადღოთი დაჯილდოებული მკვლევარის, შესანიშნავი ორგანიზატორის თვალი და ხელი. იგი ამ საქმის დიდი მკოდნე იყო... და მუშაობდა იგი დიდი ენათუხიანშით, მეცნიერული სიღინჯით, გატაცებითა და საოცარი სერიოზულობით, იკვლევდა ფაქისად და დრმად...

მნელია მოკლე სტატიაში სრულად აღწერო მისი მოღვაწეობის თუნდაც ეს ერთი მხარე.

⁴⁴ ი. ვ. გ. ი. გ. ი. ვ. ი. ლ. ი. ქართული ხალიტურატურო ენის ნორმალიზაციის თანამედროვე მღვთმარეობა (ხელნაწერი), გვ. 18.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან

(სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიები)

ბევრი რამ თქმულა იმის შესახებ, თუ რა მისივე მდგომარეობაში აღმოჩნდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული სალიტერატურო ენა XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, და იმის შესახებაც, თუ ერთი საუკუნის შემდეგ, ურთულეს პოლიტიკურ პირობებში, როგორ იბრძოდა XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციამ მშობლიური ენის წართმეული უფლებების დასაბრუნებლად, მის დასახევენად, მიწოდითურობის აღსადგენად. ეს მისივე პროცესი დიდხანს გაგრძელდა. ქართული ენათმეცნიერული ასრია ეძიებდა გზებს, საშუალებებს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვევდა წინ და დიდა ძიებისა და ძაღისხმევის შედეგად ეს გზაც გამოინდა: XX ს-ის 20-30-იან წლებში ასეთი გამოსავალი მოინახა: მიზანშეწონილად იქნა მინჩეული, რომ სპეციალისტთა საერთო ძაღებით განხილულიყო სალიტერატურო ენაში არსებული სადაეო საკითხები და დადგენილიყო მისაღები, მართებული ფორმები, როგორც ნორმებზე სალიტერატურო ენისა, მეტიც, ე.წ. კულტურულ რევილუციასთან დაკავშირებით 30-იან წლებში სალიტერატურო ენის მართებულია გზით განვითარება სახელმწიფო საქმედ იქნა აღიარებული.

1935 წელს შეიქმნა და დღემდე მუშაობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისია (ამჟამად — საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მედნივი სახელმწიფო კომისიის სახით), სადაც ხდებოდა (და ხდება დღესაც) ენობრივ ნორმათა განხილვა და დამტკიცება.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ თვალი გაგვედუნებინა მთელი ამ პროცესისათვის: რა უძლოდა წინ ნორმათა დამდგენ

ნი კომისიის შექმნას, როგორ განხდა და დაიხვეწა იღვა ასეთი კომისიისა და როგორ შექმნადა საამისო ნიადაგი; ვეცადეთ მოკლედ აღვკვეთოთ ის ფაქტები, რომელთაც საბირკველი წაუყარეს ნორმათა კომისიის შექმნას, — იქნებოდა ეს მცირე წრეები, სხვადასხვა საზოგადოებები (მაგ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, საქანთმეცნიერო საზოგადოება...), სხვადასხვა დონის სატერმინოლოგიო კომისია-კომიტეტები, მწერალთა ყრილობები თუ ცალკეულ პირთა ცვა და მოწოდებები...; დასასრულ, მოთხრობილია, თუ როგორ შეიქმნა და მოღვაწეობს ეს კომისია თავისი არსებობის ამ 65 წლის მანძილზე, როგორია მისი მიზნები და ამოცანები. ამასთანავე, მოკლედ აღწერილია ისიც, თუ როგორ გაფართოვდა ამ კომისიის მუშაობის შედეგად (რა თქმა უნდა, დიდი საზოგადოებრივი ძვრების ფონზე) თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციები და მისი მოქმედების არე, დაიხვეწა და გამდიდრდა ენა]...

* * *

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხი მთელი ხომწვაყით დაიხვა XIX ს. შუა წლებში. უურნად „ცისკარში“ [რომელიც სამი სტილის თეორიას იყენებდა], გამოითქვა სოგი მოსაზრება ისეთ პრობლემურ საკითხთა შესახებ, როგორიცაა: სამი ენის (თუ სტილის) ნაკვლად ერთი ენის აუცილებლობა (ლ. არდაზიანი, ივ. კერესელიძე, დიმ. ყიფიანი, პლ. იოსელიანი), ამ ენის დაახლოება ხალხის სასაუბრო ენასთან (ალ. ორბელიანი, დიმ. ბაქრაძე, ლ. არდაზიანი), სალიტერატურო ენის დახვეწა (ი. ღორთქიფანიძე, ლ. არდაზიანი)... ეს იყო სალი, პროგრესული, მაგრამ ძნელად განსახორციელებელი აზრები. მათი და სოგი სხვა პრობლემისათვის სრუენვა და ბრძოლა ახალ თაობას ხედა წილად.

ცნობილია, რომ 60-იანი წლების დამდეგს საქართველოში ახლად დაბრუნებულმა „თერგდალეულებმა“ თავის უპირველეს მიზნად დაისახეს დამოუკიდებლობის დაბრუნება სამშობლოსათვის და იმთავითვე გაანადგეს ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობისათვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა იყო ეროვნული ენის საკითხი, რაც გულისხმობდა თავის უყვლებებში აღდგენას ქართული ენისას, რომელიც ვარიზმის გამარჯსებელი პოლიტიკის შედეგად უყვლებაყრილი და დაძაბუნებული იყო, ხოლო უცხოენოვანი მასალის მოძალებით, არქაიზმებით, დიალექტიზმებით,

ბარბაროსებით — აჭრელებული და დამძიმებული. უნდა აღდგენილიყო და დამკვიდრებულიყო ერთი და ერთიანი, დახვეწილი, შექსებულ-გამდიდრებული სალიტერატურო ენა, გაფართოებულიყო მისი მოქმედების ასპარეზი.

ამ ურთულესი ამოცანის გადასაჭრელად დიდი ძალისხმევა დასჭირდა ახალი თაობის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც სხვათაგან გამოარჩევდა არა მარტო ძლიერი ინტელექტი, ფართო განათლება, უდიდესი პატრიოტიზმი და პრინციპულობა, არამედ აგრეთვე ამ საქმისათვის ეგზოტიკური აუცილებელი „უდიდესი მოქალაქეობრივი გამბედაობა და დემოკრატიული რადიკალიზმი“ (არნ. ნიქობაია). მან ჯერ კიდევ პეტერბურგიდან გამოგზავნილ ცნობილ წერილში რეკაზ ერისთავის მიერ შესრულებული თარგმანის შესახებ შეძლო წამოყენებინა და დაეკვა ერთი, ხალხის მეტყველებასთან დაახლოებული სალიტერატურო ენის იდეა და პრაქტიკულად გადაეჭრა ქართული ანბანის გამარტივების პრობლემაც, რომელიც დავით ჩუბინაშვილმა წამოაყენა თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონს წამსვარებულ „ქართულ დრამმატიკაში“ (1846 წ.)⁴⁵. კრიტიკის ქარცეცხლმა ვერ შეაშინა ილია... ისე რომ, ერთი სალიტერატურო ენის საკითხი შედარებით მალე და აღვიდად მოგვარდა — ილიას „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ დაინერგა ხალხის ენასთან მიახლოებული სადა, მოჭინილი სალიტერატურო ენა. აქ ე.წ. „სუდმეტი ასოებიც“ აღარ იხმარებოდა.

ყოველი რთული და მწვავე იყო მყორე — ერთიანი სალიტერატურული ენის პრობლემა, რომლის გადასაჭრელად ილია და მისი თანამშრომლები შექმნილი ინტელიგენცია მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდნენ. აუცილებელი იყო გაღარიბებული ენის შევსება-გამდიდრება ხალხში გაბნეული ძარღვიანი სიტყვებითა და ყრახელოვანობით, ძველი ქართული და ინტერნაციონალური ტერმინებით. რათა მეცნიერების ყველა დარგს შესძლებოდა მათი გამოყენება, საშური იყო ენის დახვეწა, განათავისუფლება ბარბაროსებისაგან, არქაოსიმებისაგან, დიალექტისმებისაგან (ენის დემოკრატიზაციას ხომ ბუნებრივად მოჰყვა დიალექტური მასალის უხვად შემოჭრა სალიტერატურო ენაში). არანაკლებ საშური იყო ლექსიკონის, გრამატიკის შექმნა, სკოლებში ქართული ენის სწავლების მოგვარება და სხვა მრავალი.

⁴⁵ ილიას უახლოესმა თანამშრომელმა დავით ყოფიანმა პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას (1857-1860) საჯარო ლექციებზე წაიკითხა სალიტერატურო ენის გახალსურებისა და ფუნქციონალური ასოების შესახებ (იხ. ა. ლ. კ. ა. ლ. ა. ნ. დ. ა. მ. ე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, 1989, გვ. 23).

ქართულ პრესაში ფართო მსჯელობა გაიმართა ენის სიწმინდის საკითხებზე. ამ საქმესაც ილიამ მოსცა ბიძგი პეტრე შირიანაშვილის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი წერილის პასუხში 'სუესართავ სახელთა მაწარმოებლების შესახებ'⁴¹⁶.

ამ მსჯელობისას თავდაპირველად ეურადღების ცენტრში მოექცა ენაში უხვად დაგროვილი პარალელური ფორმები. გასარკვევი იყო, რომელი ფორმა უნდა მისწველიყო სალიტერატურო ენისათვის მისაღებად: აღვიარებ თუ ვღვიარებ, წავითენ თუ წავითანენ, სეები და სა თუ სეები და სანან, კეთილ და კაცის თუ კეთილი და კაცის, მეხიკალური და სასწავლებელი თუ სამეხიკო და სასწავლებელი...

ასეთ კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობისას (რაც მე-19 ს-ის ბოლომდე გრძელდებოდა) წამოიჭრებოდა ხოლმე 'სოციალური' საკითხების გარკვევის საჭიროება; გროვდებოდა საეურადღებო მოსაზრებები, მნიშვნელოვანი შეხედულებები, ყალიბდებოდა დებულებები. გზას იკვლევდა მართებული თვალსაზრისი სალიტერატურო ენის ნორმულიზაციის ცალკეულ საკითხთა შესახებ, თანდათან იკვეთებოდა პრობლემური საკითხებიც, კერძოდ: ორთოგრაფიის ხასიათი და ადგილი ქართულში (სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია?), რა უნდა იყოს საყრდენი ენის ფორმათა შემუშავებისას? სალიტერატურო ენისა და დიალექტების მიმართების საკითხი: უცხოენოვანი ლექსიკის შემოტანისა და მისი ქართულად გადმოცემის პრინციპები, ქართული ენის ლექსიკონის შედგენის, გრამატიკის შექმნისა და სხვა საკითხები. მეორე მხრივ, არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამოიწველი გრამატიკული და ნორმატიული საკითხები.

ცხარე დისკუსიებმა მალე აშკარა გახადა, რომ პრესის ფურცლებზე გაშლილი პაექრობით შეუძლებელი იყო გადაჭრა სადავო საკითხებისა (როგორც კონკრეტული ისე 'სოციალური'). ენადასათვის მისაღები დასკვნების მიღწევა, მით უფრო — მათი დამკვიდრება, ისიც ნათელი შეიქნა, რომ ეს არ იყო ერთი ან ორი პირის გადასაწყვეტი საკითხები.

ჯერ კიდევ „ცისკარში“ გაიელვა აზრმა, რომ, „ეინც გამოსეწინით იციან ქართული ენა, ხანდისხან შეიყარონ ქართული სიტყვიერების განსჯისა და მისი წარმატებისათვის“⁴¹⁷. 1860 წ. გამოთქმულ ამ აზრს ერთგვარად ეხმარებოდა 1886 წ. ჯერ ილიას სიტყვები:

⁴¹⁶ ა. შ ი რ ი ა შ ვ ი ლ ი მოითხოვდა უცხოური 'სუესართავები გვეხმარა ისე, როგორც ძირეულ ენაშია (გენიალი, სოციალი...), ილია კი ქართული - ებურთი მაწარმოებლით გაფორმებას ამჯობინებდა (ემებური, სოციალებური...).

⁴¹⁷ ა ლ. ჯ ა მ ბ ა კ უ რ - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, 1860, № 6, გვ. 104.

„ჩვენ ვარსიეთ შეგვეკრიბა რამდენადაც შესაძლოა ქართული ენის მცოდნენი და ექველა საცილობელი საგრამატიკო საგნები გაგვერკვიოთ“⁴¹⁸, შემდეგ კი ილიას პრაქტიკული ნაბიჯიც: „ივერისი“ ყოველდღიურ გახეთად გადაკეთებამ მის წინაშე კიდევ უფრო მწვავედ დააყენა საორტოფო საკითხთა განხილვა-გადაწყვეტისა და სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავების პრობლემა, რომლის გადაჭრის ერთადერთ გზას იგი ენის მცოდნეთა ერთიან ძალის-სიყუარულში ხედავდა. 1886 წ. 8 მარტს მან მოიწვია კიდევ კრება, რომელსეუდაც განსახილველად წარმოადგენილი იყო ცხრა საკითხი, კერძოდ, როგორ უნდა იხმარებოდეს:

1. ცოდაყოლ პირისა, ცოდავილი პირისა თუ ცოდავილის პირისა; ადა კაცმა თუ ადამა კაცმა; ადადი წყალობით თუ ადადის წყალო-ბით;

2. კაცად, უკანონოდ თუ კაცად, უკანონოდ;

3. მიყდა თუ მიკადა, შეყოლით თუ პშეყოლით — რა შემთხვევაშია აუცილებელი პ? რის ნიშანია ის — მოქმედის პირისა, თუთ მოქმედებისა თუ მოქმედების მიმართულებისა (კალ-კალკე, თუ ექველა ამისა ერთად)?

4. ხეურ, ხეურს, ძეურ, ძეურს ფორმებში პ და ს ერთნაირად შესაწყნარებელია? თუ შეიძლება ან რა შემთხვევაში შეიძლება, რომ ერთმა მყორის მაგიერობა გასწოოს?

5. ხედ-შესრულის (= ხედსართავის დ. დ.) დაბოლოება: „ელ-ი“, „ურ-ი“, „ელ-ი“, „ებურ-ი“ ერთნაირად შესაწყნარებელია თუ არა (მით უფრო უცხო სიტყვებში): სხვაჯნურთ თუ სხვაჯნებურთ; ძველურთ თუ ძველებურთ; გენიურთ, გენიალურთ, გენიოსურთ თუ გენიოსებურთ?

6. კაცურთ, ღვთიურთ, ყმურთ და კაცებურთ, ღვთაებურთ, ყმებურთ ერთნაირი მნიშვნელობის არიან თუ სხვადასხვისა, რაშია სხვაობა?

7. საჭირთა თუ არა ნაწილაკი რე (მივერე რე, მოვიდა)? აღსადგენია თუ არა ძველი სახე: მე-რე-ვიდა = მოვიდა რა?

8. თუ ქვემდებარე -ებ-იან ან ნ-არიან მრავლობითშია, როდის უნდა შეუთანხმდეს შემასმენელი?

9. რა განსხვავებაა ქართული ენისა და რუსული ენის წინადადებთა შორის?

დაკომენტურად ცნობილი არ არის, ნატარდა თუ არა ეს სხდომა, ან რა გავრძელება პქონდა ამ წამოწყებას⁴¹⁹. ერთი კია,

⁴¹⁸ „ივერისის ფოსტა“, „ივერია“, 1886 წ. № 64.

⁴¹⁹ დაწერილებით ის. ა. შ ა ნ ი ძ ე. ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამყობრებისათვის (წინაში: ილია ჭავჭავაძე, საუბი-

იხილავდა რა მრავალ სადავო საკითხს, თედო სახოკია კოლექტიური სახელმძღვანელოს შედგენაში ხედავდა გამოსავალს: „ქართული ენის მკვლევანი შეიკრიბონ, ერთობლივი და შეთანხმებული მუშაობით ერთი კარგი სახელმძღვანელო. (ეტიმოლოგია და სინტაქსი) შეუდგინონ ქართველ ერსო“⁴²⁴.

პეტრე მირიანაშვილის წიგნის რეცენზენტი წერს: „საჭიროა ქართველმა მეცნიერებმა, ჟურნალ-გაზეთების მესვეურებმა და დავსებულებათა გამგეობამ მიაქციოს ამ საკითხს ყურადღება, ითავონ საქმე და მოაწესრიგონ დღევანდელი... წერა-ლაპარაკი ისეთის კანონის შემოღებით, რომელიც ყველასათვის სავალდებულო უნდა იქცესო“⁴²⁵.

ილიას ეს კრება იყო პირველი ცდა ხალიტერატურო ენის სადავო საკითხთა განხილვისა ენის მკვლევართა თავყრილობაზე და ამდენად პირველ ნორმათა კომისიას თუ ასეთი კომისიის მანასახს წარმოადგენდა. სწორი იყო ამ კომისიის მუშაობის წესი: განსახილველ საკითხებს წინასწარ აცნობდნენ კომისიის წევრებს, რომ გულდასმით გაეცნობის, მოეფიქრებინა და აწონ-დაწონის საშუალება მიეძინათ.

ხალიტერატურო ენის დასახეწად ილიას გვერდით იბრძოდნენ შესანიშნავი ინტელიგენტები: აკაკი, ვაჟა, დავით ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, პ. უშიკაშვილი, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ა. ნაჩიშვილი და სხვ. (ხალიტერატურო ენის ბედი მათზე იყო მიხედობლი, სახელმწიფო ამ საქმეში არ ერეოდა). ქართველი ინტელიგენცია იღვწოდა დედაენის ყველა საჭირობო პრობლემის გადასაჭრელად. განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა სამეცნიერო ტერმინოლოგიის საკითხმა, როგორც ხაპასუხო რეაქციამ რუსი მოხელეების ცდაზე — ქართული სახელმძღვანელოების უქონლობისა და ტერმინოლოგიის სიღარიბის საბაბით ემტკიცებინათ, ქართულ ენაზე სწავლება შეუძლებელიაო.

მიუხედავად ამ შესანიშნავი თაობის ტიტანური შრომისა, XIX საუკუნე ისე გაივლია, რომ ქართული ხალიტერატურო ენის მონოლითურობის აღდგენა არ მოხერხდა (ს. ჯანაშია).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართველი ენათმეცნიერები და პედაგოგები: პ. ჭარბია, ს. ხუნდაძე, ს. გორგაძე... მათ თავიანთი ლინგვისტური აღლოს წყალობით

⁴²⁴ თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, ქართული ენა, „სახალხო გაზეთი“, 1911, №№ 339-48.

⁴²⁵ ბიბლიოგრაფია. „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს“, ქართული გრამატიკის წესები, პ ე ტ რ ე შ ი რ ი ა შ ე ი ლ ი ს მიერ პირველად გამოცემული, თბ., 1914, 31 გვ: ჟურნალი „განათლება“, 1914.

საინტერესო დებულებები წამოაყალიბეს, მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვანი გარდატეხის მიღწევა ძნელი იყო. ნორმალისაციის საკითხებზე მუშაობა კვლავ ინდივიდუალური წესით მიმდინარეობდა. ეს კი საქმეს დიდად წინ ვერ წახლევდა. მაგრამ გარკვეული (და მნიშვნელოვანი) ნაბიჯი წინ მაინც გადაიდგა. კერძოდ, სპეციალისტები უკვე კონკრეტული სადავო საკითხების გარკვევით ან (კიდევ უფრო დებულებების წამოყალიბებით) კი აღარ კმაყოფილდებიან, არამედ იწყებენ ნორმათა შესამუშავებლად საჭირო დებულებათა მთელი სისტემის შექმნას, რადგან უკვე წამოყალიბდა აზრი, რომ პირველ რიგში აუცილებელია არა პარალელურ ფორმათაგან მართებული სერნეჟა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ ხაერთო საერდენის, ხაერთო ამოსავლის მოძებნა, პრინციპთა სისტემის შექმნა. ცნობილია რამდენიმე სპეციალისტის (მაგ., სილ. ხუნდაძისა, გრ. ყიფშიძისა, სიმ. ვაჩნაძისა, სერგი გორგაძისა და სხვ.) (კდა ასეთი პრინციპების წამოსაყალიბებლად.

ყველაფერი ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მიზნამდე ჯერ ძალიან შორს იყო. სხვადასხვა ავტორის აზრები უნდა შეჯერებულიყო, ხაერთო აზრი უნდა შემუშავებულიყო, რაღაც საერთო ამოსავალი, სოციალი პრინციპი მონახულიყო, რომ მასზე დაყრდნობით მიღებული ნორმა დაკანონებულიყო და ყველასათვის საყალბებულიოდ გამოცხადებულიყო და დანერგილიყო. სხვაგვარად სალიტერატურო ენაში ანარქიის დაძლევა და ერთსახეობის დამკვიდრება შეუძლებელი იყო. იმაქმად კომისიის სამუშაოდ ან ყრილობის მოსაწვევად საჭირო სათანადო პირობები ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო. სპეციალისტები იძულებულნი იყვნენ მცირე წრეში მაინც განეხილათ სადავო საკითხები თუ შემუშავებული პრინციპები. იმართებოდა მსჯელობა და ეს წრეებიც ნორმების შემუშავებულ თავყრილობას წარმოადგენდა, ნორმების კომისიას ემსგავსებოდა.

ასე, მაგალითად, 1899—1900 წლების განმავლობაში, სამთრობით სილოვან ხუნდაძე თავის გამოკვლევას — „სალიტერატურო ქართულს“ — კითხულობდა ქართული ენის მოყვარულთა მცირე წრეში, ქუთაისში. იგი წერს: „კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდი და ბევრი დრო მოვანდომეთ სადავო საკითხების გამოცხადებას. პირველ სხლამასზე შემდეგი წინადადება მივეცი ხსენებულ კრებას: დაუსხდეთ საქართველოს ორივე მხრიდან ქართული ენის მკოდნე პირები, მოვახდინოთ მათი კრება სადამე, დავაავალოთ შეიმუშავონ ქართული ენის სადავო ფორმები და, რასაც ისინი დაადგენენ, ვიმართო-მეთქი. ნემი წინადადების დედააზრი ყველას მოეწონა, მაგრამ მისი პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებლათ ვერ

დაინახეს და ამიტომ კერძო წრეში დავიწყე ამ ნაშრომის კითხვა⁴²⁶.

გარკვეული როლი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიაში შეასრულა ასეთივე მეცნიერთა მცირე წრემ (ივ. ჯაფარიშვილი, იოს. ყოფშიძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროვიკა, იესტ. აბულაძე), რომელმაც 1915 წ. სექტემბრის პირველ რიცხვებში რამდენიმე სხდომაზე განიხილა ცნობილი ენათმეცნიერისა და ისტორიკოსის სერგი გორგაძის მოხსენება სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპთა შესახებ და გ'ია დაულოცა მას (თბილეს მოხსენება უფრო სრული სახით იმავე წლის 20. X-ს მოხსენდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ (განხილეს 21. X-ს და 5. XII-ს), ხოლო 1916 წ. 3-4 იანუარს — ქუთაისის საისტორიო საზოგადოების კრებასაც. მოხსენების მთავარი დებულებები, რომლებიც ყველგან მოწონებულ იქნა, მალე გამოქვეყნდა (კალკე წიგნაკად: ს. გორგაძე, „ქართული მართლწერა“ (ქუთაისი, 1916, გვ. 3-61). წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „სალიტერატურო ენაში მართლწერის წესებში არსებული ანარქია უბიძგებს ავტორს ეს თავისი პროექტი საზოგადოების სამსჯავროდ გამოიტანოს ჭეშმარიტების გამოსარკვევად და არსებული ანარქიის (ყოტაიდანად მაინც) შესასუსტებლად და შესანერგებლად. პრინციპთა შორის შინაგანი კავშირი და განსახლურული თანმიმდევრობაა: ყოველი შექმდევი პრინციპი წინას აუცილებელ დაბოლოებას და შესამსღვარს წარმოადგენს“. ამ პრინციპების ძირითადი ასრი მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცვათ:

1. ქართული მართლწერა არ არის წმინდა ფონეტიკური.
2. პარალელურ ფორმათაგან სალიტერატურო ენაში უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი. ერთსახეობა აუცილებელია ენის მონოლითურობისათვის.
3. შერწყმისას უნდა გამოირიცხოს „მკედარი“ ფორმები, დარჩეს ცოცხალი ფორმა.
4. მკედრად წაითვლება ის ფორმები, რომლებიც ძირითად დიალექტებში (ქართლ-კახურსა და იმერულ-გურულში) აღარ იხმარება.
5. ცოცხალ პარალელურ ფორმათაგან კი იმას მიეცემა უპირატესობა, რომელიც გენეტიკურად ახლოსაა ძველ მკედარ ფორმასთან.
6. თუ გაძნელდა ფონეტიკურ-დიალექტურ პარალელურ ფორმათა შორის უმჯობესის შერჩევა, უპირატესობა უნდა მიეცეს მორფოლოგიურად სწორ ფორმას.

⁴²⁶ ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. სალიტერატურო ქართული. ქუთაისი, 1901. გვ. VIII.

ამ მთავარ პრინციპთა შორის მოქმედებს ორი დანარჩენი პრინციპი:

7. კეთილხმოვანების პრინციპი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სქენისათვის უფრო ხასიაშოვნო და გამოთქმისათვის უფრო ადვილ ფორმებს (შემდგომში ს. გორგაძემ უარყო ეს პრინციპი).

8. სახინტაქსო-ლოგიკური პრინციპი, რომელიც მითხილეს ხინტაქსური წესების მკაცრად დაცვას.

სურვი გორგაძის პრინციპები იმ პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ხისტემაში მოყვანილი დებულებები ენის ნორმალისაციის შესახებ, თუმცა ს. დანელიამ უსაყვედურა მას სირთულისა და ევროპული ენების ორთოგრაფიულ ხისტემაზე დაყრდნობის გამო. ამ და სხვა ავტორთა პრინციპზე მსჯელობა აქ შორს წაგვიყვანდა. აქ გაეისხენებო მხოლოდ იოსებ ყიფშიძის (რომლის შეხედულებებიც ახლოს იყო ს. გორგაძის პრინციპებთან) ძირითად დებულებას: „ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად არ კმარა ერთი რომელიმე (ფონეტიკურ, გრამატიკულ თუ ისტორიულ) პრინციპზე დაყრდნობა, საჭიროა საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა.“

იმავე ათიან წლებში, გარდა მცირე წრეებისა, იქმნება ეროვნულ ფასიულობებზე მზრუნველი სასოგადოებები, რომლებიც აქტიურად ებმებოდნენ სალიტერატურო ენის მოწესრიგების საქმეშიც. ასე, მაგ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოგადოების („ქ. შ. წ.-კ. გ. სას-ბა“) ქუთაისის განყოფილების სხდომაზე 1911 წლის 11 იანვარს გამართულა მსჯელობა ერთიანი მართლწერის შესახებ. გრიგოლ გველესიანის წინადადებით გამგეობას გადაუწყვეტია ლინგვისტთა კრების მოწვევა და ამის შესახებ მთავარი გამგეობისათვის სათანადო მოხსენების წარდგენა.

მართლაც, 1912 წლის 21 მარტს ქ. შ. წ.-კ. გ. სასოგადოების სხდომას (თავმჯდომარე გ. ყაზბეგი) ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელმა სამსონ ყიფიანმა მოახსენა, რომ მას დაველებული აქვს აღძრას ერთიანი მართლწერის საკითხი და წარმოადგინა ქუთაისის განყოფილების მიერ შემუშავებული ასეთი გეგმა: მთავარმა გამგეობამ იკისროს ხელმძღვანელობა და არა უგვიანეს მიმდინარე წლის ზაფხულისა, ჩაატაროს ლინგვისტთა კრება თბილისში; კრების შემადგენლობა შეარჩიოს ქართული ენის, ხალხისა და ქვეყნის ზედმოწვევით მცოდნე პირთა შორის. პირველმა კრებამ უნდა გაარკვიოს ის სოგადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედება შემდეგ კრებათა მუშაობას, კერძოდ:

1. რას უნდა ეჭვარებოდეს ენის ფორმათა დამუშავება — ხალხის მეტყველებას, ძველ მწერლობას, თანამედროვე კლასიკოსებს, აკადემიურ, თეორიულ კვლევა-ძიებას თუ ყველას ერთად;

2. რა პრინციპები მივიღოთ ენის გამშვენიერებისა და გამარტივებისათვის;

3. რა გზას დავადგეთ უცხო სიტყვებისა და სამეცნიერო ტერმინების გადმოღება-შემუშავებისათვის;

4. საჭიროა თუ არა ბეჭდურ სიტყვაში ასომთავრული და სხე. მათი ახრით, იმ სოფადი პრინციპების მიხედვით, რომელთაც კრება მიიღებს სახელმძღვანელოთ, უნდა გარდაწყდეს ყველა სადავო საკითხი გრამატიკისა და მართლწერისა. იმავე პირველ კრებას უნდა აერხნია მკორე კომისია სალიტერატურო ქართულის სახელმძღვანელოს შესადგენად კომისიის მიერ მიღებულ პრინციპულ თუ პრაქტიკულ დირექტივათა მიხედვით. ეს პროექტი მსჯელობის საგნად უნდა ქცეულიყო მომდევნო კრებებზე...⁴²⁷

თავმჯდომარემ მოიწონა ქუთაისის განყოფილების ინიციატივა, მაგრამ მისი გადაწყვეტა საერთო კრებაზე შეუძლებლად მიიჩნია — გამგეობა დაწერილებით გამოიკვლევს მას და მოახსენებს კრებას. იმავე სხდომას მიხ. ნასიძემ მოახსენა, რომ ამავე საკითხის აღივრა მისთვის დაგალებული აქონდა ქ.მ.წ.-კ.გ. სასოფადოების ბაქოს განყოფილებას, ოღონდ იქ მიანნდათ, რომ სალიტერატურო ენის შემუშავება უნდა დაკისრებოდა ერთ ან ორ კაცს, და არა მთელ კრებას, რადგან ეს საკაბინეტო შრომაა!⁴²⁸

ყოველივე ეს ნორმათა პრინციპების ძიება-ჩამოყალიბების რეალური ცდა იყო.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპთა პრობლემა „ქართული კულტურის მოყვარულთა სასოფადოების“ ყურადღების ცენტრშიც მოექცა (ეს იყო მეცნიერულ-პოპულარული ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, დაარსდა 1912 წ. თბილისში, მოსკოვის უნივერსიტეტში, ქართველ სტუდენტთა მიერ 1907 წელს შექმნილი წრის ბაზაზე. დამაარსებელი და თავმჯდომარე გიორგი თედოს ძე უორდანი. სასოფადოება მიზნად ისახავდა ქართული კულტურის ყოველმხრივ შესწავლასა და პოპულარიზაციას)⁴²⁹.

⁴²⁷ ქ. მ. წ.-კ. გ. საზბის სხდომის ოქმი, ეურნ. „განათლება“, 1913 წ. № 2-ის დამატებაში, გვ. 17-22.

⁴²⁸ იქვე.

⁴²⁹ დაწერილებით იხ. ქსკს, VIII, 1988, გვ. 6-26; ახვეჯ დ. გ. ო. დ. ე. რ. ი. ა. ე. „მასალები ქ.მ.წ.-კ.გ. სასოფადოების ისტორიისათვის“; „სახსტორიო მოამბე“, 1973, № 27-28.

1915 წლის № 8-9-ში ჟურნ. „განათლება“ იქვეყნებოდა: „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ ერთი ფრიად საჭირო საქმის მოგვარება იკისრა, — ეს საგანი გახლავთ საერთო მართლწერის დამკარება წყენს მწერლობაში და გარკვევა სხვადასხვა საგრამატიკო წესებისა...

საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. ასეთივე ენთუზიაზმით წაება ამ მუშაობაში მთელი მოწინავე ინტელიტანცია. განსაკუთრებით ინტენსიური საქმიანობა მიმდინარეობდა 1915-1916 წლებში. კრებებზე წამოიჭრა პრინციპული თუ ორგანიზაციული ხასიათის ბევრი საკითხი. ასე, მაგ.: უფლებამოსილია თუ არა საზოგადოების კრება, საბოლოოდ გადაჭრას სადავო საკითხები, თუ ეს უნდა მიენდოს სპეციალისტთა ყრილობას? შესაძლებელია თუ არა გრამატიკული საკითხების დადგენა დიდ ყრილობაზე, თუ ეს საკაბინეტო საქმეა? ენაში ანარქიის აღსაკვეთად აუცილებელია თუ არა კანონების შემუშავება, ნორმის დადგენა, თუ ერთი რომელიმე ფორმის დაკანონება შემოქმედისა და ცოცხალი მეტყველების შესწავლა იქნება? რა უნდა იყოს საყრდენი, ამოსავალი სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად — ცოცხალი მეტყველება, ძველი ქართული ენა, ფონეტიკა, თუ ყველა ერთად? სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია? არის თუ არა განსხვავება სალიტერატურო ენასა და მართლწერას შორის?

სგ. დადიანმა საერთო კრებაზე პრინციპულად დააყენა საკითხი ენის კანონთა შესახებ: „კანონი ნორმაა, ის ასახავს იმას, რაც რამდენჯერმე განმეორებულა. მომეცით მე კანონი, რომ მის მიხედვით ვიხელმძღვანელო“.

ამ საკითხთა შესახებ საზოგადოების საჯარო კრებებზე საინტერესო მსჯელობა იმართებოდა ხოლმე და სოფჯერ გარკვეულ დასკვნებამდეც მიდიოდნენ. მაგალითად, გადაწყდა, რომ „ქართული მართლწერა იგივე მართლმეტყველება არ არის, ქართული ორთოგრაფია ცალკე არსებობს, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული დარგი გრამატიკისა“⁴³⁰.

ფართო საზოგადოებას შეეძლო თვალი მიეღვენებინა, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმალისაციისათვის, რამდენადაც საინტერესოდ დაწერილი ვრცელი ოქმები (მდივანი — ილია ბაკურაძე) სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ პრესაში („საქართველო“, „განათლება“, „სახალხო ფურცელი“, „კლდე“).

საზოგადოების საჯარო კრებებზე დაისვა ლექსიკონების შედგენის საკითხიც. მაგ., იოსებ იმედაშვილმა აღნიშნა უცხო სიტ-

⁴³⁰ ცხსა, ფ. 2094, ხ. № 10, გვ. 79.

ეკათა ღექსიკონის შედგენის აუცილებლობა, პ. მირიანაშვილმა მართლწერის ღექსიკონისა, მეღიტონ კელენჯერიძემ — სამეცნიერო-საგარამატოკო ტერმინოლოგიის შემუშავებისა და ა.შ.

ორი წლის მანძილზე „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საჯარო კრებებზე მოისმინეს სალიტერატურო ენის ნორმალისაცვისადმი მიძღვნილი ათი მოხსენება: რა გზით შეიძლება მართლწერის მოწესრიგება? ქართული სმნის მართლწერის საკითხები (ს. გორგაძე); ქართული მართლწერა სვენს მწერლობაში; ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები (მელ. კელენჯერიძე); ქართული მართლმეცნიერება და წერა (მიხ. ხერხეულიძე); ქართული მართლწერის საკითხები; თავსართი ლ და ბოლოსართი უღ; ილია და აკაკი მართლაც მდაბიურის ენის შემოქმედნი იყვნენ? ღექსიკონის გეგმა და კითხვითი ფურცელი (პ. მირიანაშვილი); სოფელი და სოფლებები სოფ. მგალობლიშვილის მოთხრობებში (იპ. ვართაგავა); ერთი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი მთელი საქართველოსათვის (ივ. როსტომაშვილი).

იპოლიტე ვართაგავას მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ დაუყოვნებლივ ამოეკრიბათ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან თანამედროვე მწერლობაში უხმარებელი სიტყვები და ფრაზები. მეორე ღღეს კი გამგეობამ დაადგინა, რომ ამ თავალსახრისით დამუშავებულყო ხალხური სკიპრისიტეციერების ნიმუშებიც. ამრიგად, საყუქველი ნაეკარა ხაიღუსტრა-ციო ფონდის შექმნას.

ენის საკითხებზე მოხსენებათა განხილვა ასე მომდინარეობდა: მეცნიერულ ღონესე მომსახდებული, დასაბუთებული მოხსენება ჯერ იკითხებოდა საეციალოური წრის ან გამგეობის ხხლომასზე, შემდეგ ამ მოხსენებას მოისმენდა და განხილავდა საზოგადოების საჯარო კრება, რომელსაც ხშირად 100—150 კაცი ესწრებოდა. იმართებოდა ფართო მსჯელობა, საკითხი საბოლოოდ უნდა გადაეწვეიტა საეციალისტთა ერთლობას, რომელიც 1917 წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ ერთლობის მოწვევა ვერ მოხერხდა. 1918 წელს კი ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელში გადავიდა. ამავე წლიდან საზოგადოებამ ახალი სახელწოდება („საქართველოს კულტურისა და შრომის კავშირი“) და წესდება მიიღო. მენშევიკების შემოსვლის დროს საზოგადოებას უხდებოდა ბრძოლა არსებობისათვის, მაგრამ მაინც ცდილობდა სოგი რამის გაკეთებას.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ ღიდი რელი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაცვის პრობლემის უკვე გამოკვეთასა და მის სწორ გზასე დაეყენებაში. საზოგადოების მოღვაწეობის შედეგად სალიტერატურო ენის

ხადავო საკითხებზე მუშაობას სისტემატური, ორგანიზებული ხასიათი მიეკავ. სალიტერატურო ენის სირთულეები გახდა არა ცალკეული პირის ან გაზეთის მსჯელობის, არამედ სპეციალისტთა კვლევისა და განსჯის, ენის საკითხთა ფართო წრეში განხილვის საგანი.

შეუნელებელი მზრუნველობითა და დაუცხრომელი მუშაობით „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ გამოაფხიხლა საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრიობის ყურადღება გაამახვილა ენის პრობლემებზე. განსაკუთრებულია საზოგადოების დეაწლი ქართული ენის როლისა და ავტორიტეტის გაზრდის, მისი ფუნქციების გაფართოება-განმტკიცების, სალიტერატურო ენის დახვეწისა და მონოლითურობისათვის ბრძოლაში.

საზოგადოებას თავის მოვალეობად მიაჩნდა, რომ ქართველი საზოგადოება შესწევდა ქართულად ღაპარაკსა და აზროვნებას. საზოგადოების ყოველგვარი კრებები, კრების ოქმები, მიწერ-მიწერა მხოლოდ ქართულად წარმოებდა; განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სკოლებში ქართული ენის დაცვას; აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ქართული პრესის სათავეში ყოფილიყვნენ ქართული ენის კარგად მცოდნენი, რომ უურნალ-გაზეთების რედაქციებს ჰყოლოდათ სტილისტები...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი მუშაობის ხასიათით, სერიოზულობითა და დონით ეს საზოგადოება ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიას უტოლდება, მისი წინამორბედი.

ყოველივე ამის შედეგად ამ დიდი ეროვნული პრობლემის მოგვარება, მიუხედავად სირთულეებისა, XX ს-ის დასაწყისიდან, 10-20-იან წლებში, თანდათან რეალური ხდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართულ მეცნიერებაში მოღვაწეობა დაიწყო ფრიად ნიჭიერმა, კარგად განსწავლულმა თაობამ (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, იოს. ყიფშიძე, დ. უსნაძე, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, იუსტ. აბულაძე, ს. ჯანაშია, არნ. ნიქოზაია, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჟორდანიას და სხვ.). ამავე დროს ქვეყანაში დიდი ძვრები ხდებოდა.

* * *

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე წამოყენებულ იქნა კავშირში შემავალ ერთა კულტურული აღორძინების დოზუნგი. ამა თუ იმ ერის კულტურას ფორმა ნაცონანალური უნდა აქონოდა, ხოლო შინაარსი — ინტერნაციონალუ-

რი. მაგრამ ამ ღოსუნგს აქონდა მეორე მხარეც. ი. სტალინი წერდა: „უნდა აეკავდეს ერთ ქვეყანაში ნაციონალური კულტურა (და ენები) პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში იმ მიზნით, რომ მომზადდეს პირობები მათი გაქრობისა და ერთ საერთო სოციალისტურ კულტურად (ან ერთ საერთო ვრად) შეერთებისა მთელს მსოფლიოში სოციალისმის გამარჯვების პერიოდში“⁴³¹.

ვინაიდან სალიტერატურო ენა კულტურის პროდუქტივია და მისი შექმნაში განვითარების საშუალებაა, ცხადია, ფორმით ნაციონალური კულტურის შექმნის უპირველესი პირობა იყო ნაციონალურ ენათა უწყვეტების აღდგენა, მისი გამოყენება ცხოვრების ყველა სფეროში. 1921 წ. ქართული გამოცხადდა სახელმწიფო ენად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართულ ენაზე იმუშავებდა ყველა დაწესებულება... მაგრამ ეს საკმაოდ რთული პროცესი იყო. ხანგრძლივად დევნილი და შევიწროებული, თითქმის ხმარებიდან ამოღებული ქართული ენა საჭიროებდა დახვეწას, გამდიდრებას ლექსიკით, პირველ რიგში სამეცნიერო ტერმინოლოგიით შექცებას. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მდგომარეობა კი რთული იყო. 1925 წ. გ. ახვლედიანი წერდა: „ქართველ ერს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეექმნა თავისი ტერმინოლოგია, რადგანაც... ასისა და მეტი წლის განმავლობაში სამეცნიერო აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ენად იგი გამოყენებული არ იყო და აქედან ცხადია, თუ რატომ არ ხდებოდა თანდათან ნორმალური სპეციალისაცია ქართული ენის ლექსიკისა“⁴³².

ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციები, მისი გამოყენების არე ერთბაშად დიდად გაიზარდა ე. წ. კულტურული რევოლუციის შედეგად. სალიტერატურო ენა შეიქმნა, გამდიდრდა, ამასთან, მომრავლდა პარალელური ფორმები და სადავო საკითხებიც. მათი მოწესრიგება გადაუდებელ საქმედ იქცა.

ქართველი ინტელიგენცია გრძნობდა ამას და თავდადებით იღვწოდა ენის დასახვეწად, გასამართავად. მაგრამ ცალკეულ პირთა თუ საზოგადოებათა ძალები საკმარის არ იყო ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად. საჭირო მუშაობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ.

ვინაიდან სალიტერატურო ენა სახელმწიფო ენა იყო საქართველოსათვის (მასზე სრუნევა ვეალებოდა სახელმწიფოს), მისი უნიფიკაციისათვის სათანადო ღონისძიებთა სრულყოფილი გან-

⁴³¹ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. ღენინისმის საკითხები (გვ. 590). ემიწმებთ ვ. თოფურთას პუბლიკაციის მიხედვით.

⁴³² გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი. წინახტევაობა წიგნისა: ღ. ცაგარელი, სამხედრო-ტექნიკური ტერმინოლოგია, ტყილისი, 1925. გვ. IV.

ხორციელება მხოლოდ ხასელმწიფოს ხელმძღვანელობას თუ შუქს-
ლო.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც 30-იან წლებ-
ში დაინტერესდა სალიტერატურო ენის პრობლემებით, შექმნა სა-
განგებო კომისიის შექმნა და სათანადო ნორმათა პრინციპების
შემუშავებაც (1935).

1950-იან წლებში კიდევ უფრო ორგანიზებულად წარმოებდა
სისტემატური მუშაობა. 1953 წ. შეიქმნა მედნიეი ხასელმწიფო
კომისია, რომელსაც სალიტერატურო ენის უნიფიცირებისათვის
კანონის ძალის მქონე ნორმები უნდა დაედგინა. კომისიას თავმ-
ჯდომარეობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (ამ ხაზით კომი-
სიას ხსეადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გ. ჯავახიშვილი, ს.
პატარიძე, დ. ქართველიშვილი, თ. ნერქეშია, ნ. ჭითანავა). კომისია
წარმომადგენლობითი ხასიათისა იყო. მის შემადგენლობაში იყვნენ
სადირექტიუო ორგანოების, ქართული მწერლობის, სამეცნიერო
დაწესებულებათა წარმომადგენლები, პრესის მუშაკები, ქართული
ენის სპეციალისტები.

თუქვა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის ათიან წლებში ქართვე-
ლი ინტელიტენცია თავგამოდებით შრომობდა ქართულ ხასელ-
მძღვანელობათა და სათანადო ტერმინოლოგიათა შესაქმნელად, ჯერ
კიდევ მაინც ბევრი რამ იყო საჭირო ეროვნულ ხასწავლებელთა
ქართული ხასელმძღვანელობებით უსრუენველსაყოფად. მდგომარეო-
ბას კიდევ უფრო ართულებდა ის ხომელები, რომლებიც პოლი-
ტიკურ-სოციალურმა ძერებმა მოიტანა ენაში: უხვი უცხოენოვანი
მასალა, თარგმანები, ოფიციალური ქაღალდები და სხვ. სალიტერ-
ატურო ენის დაუხვეწაობა დიდ სირთულეს უქმნიდა მეცნიერებს,
მწერლებს, მთარგმნელებს, პედაგოგებს, ჟურნალისტებს...

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ქართული ენა ოფიცია-
ლურად აღდგა თავის უფლებებში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა
უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა სალიტერატურო ენის
აღორძინებას (თუნდაც მოსკოვის კურსის შესაბამისად!). სალი-
ტერატურო ენის შესახებ მხჯელობდნენ ცაკის პლენუმებზე,
მწერალთა კავშირის ყრილობებზე, პრესაში... განსაკუთრებული ყუ-
რადღება ექცეოდა გახეთის, რომელსაც ყველაზე მეტი მკითხველი
პყავდა. ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში საება ყვართო ხასოგა-
დობრიობა. ინტელიტენცია თავდაუსოგაყად იბრძოდა სკოლისა და
დაწესებულებათა გაეროვნელებისათვის⁴³³.

⁴³³ უფრო დაწვრილებით ის. დ. შ ა ლ ე ა შ ვ ი ლ ი, ქართული
სალიტერატურო ენის ლექსიკის განუთარება საბჭოთა პერიოდში, თბ., 1986, გვ. 295
და შხდ.

1918 წ. ივნისის მეორე ნახევარში მიუშაობა დაიწყო ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციამ, რომლის წევრებიც იყვნენ: ეახოსი კაკაბაძე (თავმჯდომარე), გიორგი გელეჯანიშვილი (მოადგილე), ირაკლი მკვლდიშვილი, დავით ბერიკაშვილი (მდივანი). 1919 წელს მათ შეუერთდა მეორე ჯგუფი: რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები (რომლებიც მანამდე მოღვაწეობდნენ დიდი ჯიხაიშის სკოლაში და ერთი წლით ადრე დაიწყოთ ქართული სახელმძღვანელოებისათვის ტერმინოლოგიის შემუშავება), ივ. ბერიძე, მიხ. შალამბერიძე⁴³⁴.

სატერმინო სექციამ შეადგინა და გამოსცა „ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვიარი)“, პირველი წიგნი (რუსულ-ქართული ნაწილი) — 1920 წელს, მეორე წიგნი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ნაწილები) — 1921 წელს. ლექსიკონის შედგენასე შეუნელებელი ენათუხიასმით იღვაწა იმდროინდელმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ. მათ მიერ შემუშავებული ტერმინი ბევრი დამკვიდრდა ქართულ ენაში (წნევა, ძრავა, სინჯარა, ხსნარი, წნეხი, ნათურა...), მაგრამ ლექსიკონის ძირითადი პრინციპი არ იქნა მოწინებელი, რადგან სრულიად უგულებელყოფდა ინტერნაციონალურ ტერმინებს და მათ ცვლიდა მოგონილი ან ქართული ძირებიდან ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვებით (მაგ.: მონოპოლია — ხოლოუყვლება, ბენზინი — ბიჭვინი, კომპლექტი — ხავსი...). ასეთი უკიდურესი პერიზმი, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო.

მოუხედავად ამ ნაკლისა, ეს ლექსიკონი, როგორც აღნიშნავენ, მნიშვნელოვანი წამოწევა იყო: ითქვა პირველი ქართული ტექნიკური სიტყვა, დასაბამი მიეცა ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას. რაც შეეხება ლექსიკონის პრინციპს, ვუკ. ბერიძე მას ასე განმარტავენ: „ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რუპკია, როგორც პასუხი თვითმკვრივბელური გამარუხებელი პოლიტიკისა“⁴³⁵.

ინტელიგენციის საზულისხმო ცდებმა, რომ სალიტერატურო ენის სადავო საკითხები გადაეჭრათ საჯარო შეკრებებზე (წ.კ. გ. სას-ბა, ქართ. კულტ. მოყვ. სას-ბა...) ძირითად მიზანს მაინც ვერ მიაღწია საფხებით გარკვეული მიხუხის გამო: არ არსებობდა საყოველთაოდ მიღებული, ყველასათვის სავალდებულო მეცნიერული წანამსღერები, რომელთაც ყველა ერთგვარად გამოითყენებდა. მეორეცაა და, ამ საქმეს აკლდა მსრუენეული, რომელსაც ხელეწიფე-

⁴³⁴ რ. დ. ა. მ. ბ. ა. შ. ი. ძ. პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ნამოყალიბებაში, ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981, გვ. 155.

⁴³⁵ ვ. უ. კ. ბ. ე. რ. ი. ძ. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952, № 7, გვ. 30.

ბოლა შექმნილებული წესის ყველახათვის სავალდებულოდ გამოცხადება, დაკანონება. ასეთ ხელმძღვანელობას სთხოვდა სილ. ხუნდაძე იქამინდელ მთავრობას განცხადებაში, რომლითაც 1919 წ. ოქტომბერში მიმართა განათლების კომისარს. აღუწერდა რა ქართული სალიტერატურო ენის მიმე მღვთმარეობას, არწმუნებდა მას, რომ ერთადერთი გამოსავალია მთავრობის ინიციატივა, მისი განკარგულებით უნდა დაკანონდეს ლიტერატურული ფორმები. იქვე კომისარს იმასაც სთხოვდა, რომ გაეცა განკარგულება ენის მკვლევ პირთაგან კომისიის დაუყოვნებლივ შედგენის შესახებ, რათა ამ კომისიის მოკლე ხანში შექმნილებინა სავალდებულო ფორმები. ს. ხუნდაძისავე თხოვნით, საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო გაზ. „სახალხო საქმე“ 1919 წლის 25 ნოემბრის ნომერში (№ 658, გვ. 1) გამოაქვეყნა ეს განცხადება⁴³⁶.

სოც მოღვაწეს საგვსოდ ეწვეებოდა მთავრობის თაოსნობის ეფექტურობა⁴³⁷, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა მესხვე მიიღო დადგენილება, რომ სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა გადასაჭრელად 1920 წ. 24 მაისს, დილის 10 საათზე, გამართულიყო ენის მკვლევთა კონფერენცია. წინასწარი სამუშაოები დაეკისრა „საორგანიზაციო კომისიას“, რომელიც დაკომპლექტდა უნივერსიტეტის საეკეთხო ძალებით (ა. შანიძე, გ. ახეულდიანი, კ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ვუბერძე). კომისიის უნდა შექმნილებინა სადავო საკითხთა მოწესრიგების სარეკომენდაციო წესები. ეს დასკვნები მოხსენებოდა კონფერენციას, იქ მიღებული გადაწყვეტილებები კი — სასწავლო კომიტეტს, რომელიც საბოლოო ხანქციას მისცემდა მართებულ ფორმებს. ხოლო ამ ფორმებს გამოაქვეყნებდა და სავალდებულოდ გამოაცხადებდა განათლების სახალხო კომისარიატი.

„საორგანიზაციო კომისიამ“ დაუყოვნებლივ დაიწყო მუშაობა. პირველ ყოვლისა, მან გამოაქვეყნა მოსაგვარებელი საკითხების სია. სხდომები სისტემატურად იმართებოდა 1920 წ. 4 აპრილიდან 1921 წ. 16 აპრილამდე. სხდომების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ხოლმე დ. უსნაძეც.

ამ მუშაობის შედეგად განათლების კომიტეტმა 1921 წ. გამოსცა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (პრექტა ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, შექმნილებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო

436 ს ი დ. ხ უ ნ დ ა ძ ე. სახალხო განათლების კომისარს ხილოვან სუნდაძის მოხსენება. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 25. XI, № 633.

437 კ. მ ი თ ი ა ნ ა შ ვ ი დ ი, სხვე ქართული ენის საკითხი და ხილოვან სუნდაძე. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 3. XII, № 635.

კომიტეტის მიერ, ტყ., 1921, 54 გვ.) აქ პირველ რიგში მოკლედ იყო წარმოდგენილი კომისიის მიერ მიღებული პრინციპები: 1. ფორმათა ერთსახეობა (უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებლად იყო მისწეული პარალელური ფორმების დაშვება); 2. ფორმის ხიკაცხოსიუნარიანობა („კოცხად“ ფორმათა უპირატესობა „მკედარ“ ფორმებთან შედარებით); 3. გაფრკვლვებულიობა (ერთი ფორმის რამდენიმე ვარიანტს შორის უპირატესობა ენიჭებოდა საუბარსა და მწერლობაში უფრო გაფრკვლვებულ ფორმებს); 4. ფორმის ხიხეკლვ (ისტორიულად სწორ ფორმასთან კავშირი და სიახლოვე).

ამრიგად, სალიტერატურო ენაში აუცილებელი ერთსახეობის დახადგენად უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ფორმას, რომელიც უფრო ახალთა, უფრო გაფრკვლვებულითა, გამართლებულითა ისტორიულად და ცოცხალთა, ხმარებაშია.

ამავე წიგნაკში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები სალიტერატურო ქართულის კონკრეტულ სადავო საკითხებზე, რომლებიც წლების მანძილზე განიხილებოდა პრესაში თუ ცალკეულ ავტორთა წერილებსა და ნაშრომებში. ასე, მაგ.: ძველი ასოებისა და ასომთავრულების საკითხი, ორმაგი მრავლობითი (ძმ-ან-ებ-ი, კარებ-ებ-ი...), სოგი ფანეტიკური და მორფოლოგიურ-ხინტაკისური საკითხი (მწვანილი და არა მწვანილი; დაო, ძმაო და არა დავო, ძმავო; თვითეული და არა თითოეული; მშია და არა მშიან; ხელნაწერი და არა ხელთნაწერი, ცოდვა და არა ცოდო; თამაშობდენ და არა თამაშობდენ, კივის და არა კივა, დასდგომოდა და არა დასდგომიყო, გწერდა(თ) (თქვენ ის) და არა გწერდა, კეთილისა და ბრძენი კაცის და არა კეთილისა და ბრძენ კაცის, ურმის კარგი თვალი და არა კარგი ურმის თვალი და სხვ.).

კომისიის რეკომენდაციები (და სოგი პრინციპი) ყველამ არ გაიზიარა. განსაკუთრებით ცხარედ კამათობდა ს. ხუნდაძე. კომისიის ყველა წევრიც არ ეთანხმებოდა სოგ გადაწყვეტილებას. მიუხედავად ყველაფრისა, კომისიის მოღვაწეობა იმ ეტაპისათვის მაინც დიდად ფასეული იყო. ეს იყო სახელმწიფოს მიერ შექმნილი პირველი კომისია სპეციალისტთა მონაწილეობით, რომელმაც შეძლო პრინციპებისა და რეკომენდაციების შემუშავება გარკვეულ მეცნიერულ დონეზე.

როგორც ამ წიგნაკის ბოლოსიტყვაობა გვაუწყებს, „კონფერენციისათვის მომზადდა რამდენიმე მოხსენებაც: 1. ა. შანიძისა, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ სმნებში: პროექტი ორთოგრაფიული რეფორმისათვის (1920 წ., გვ. 180—182. ეს მონაკვეთი ცალკე წიგნაკადაც გამოიცა. ლ. ლ.); 2. გ. ახვლედიანისა, ყრუ medicine ქარ-

თულში, ტფილისი, 1920; 3. ს. გორგაძისა, ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1850–1920), რომელიც 1920 წლის საფხვლიდან დამზადებულია დასაბუქდად. მზადდება სხვა მოხსენებებშიც“.

1923 წ. 1 მარტის ნომერში გა“ს. „კომუნისტი“ იუწყებოდა: „სახლწავლო კომიტეტისაგან გამოყოფილმა სპეციალისტთა კომისიამ თავიანთი მუშაობა უკვე დაასრულა, შემუშავებული მასალები დაბეჭდა და ახლო მომავალში მოაწვევს კონგრესს, რომელიც საბოლოოდ დაამკარებს ყველასათვის სავალდებულო ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს“⁴³⁸. მაგრამ რაღაც სხვა(ც იყო საჭირო ყრილობისა თუ კონგრესისათვის სათანადო ნიდაგის შესამზადებლად. მწვავედ იგრძნობოდა აუცილებლობა, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას უფრო გეგმა“სომიერი ხასიათი მისცემოდა.

1921 წლის 1 ნოემბერს, მთავრობის დადგენილებით, განათლების სახალხო კომისარიატთან („განსახკომთან“) დაარსდა უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“ (თავმჯდომარე — განათლების კომისარი დავით კანდელაკი, თავმჯდომარის ამსანაგი — ივანე ჯავახიშვილი, მდივანი — მიხეილ ზანდუკელი. საბჭოს მუშაობას ყაქტობრივ წარმართავდა ივ. ჯავახიშვილი). საბჭოს მთავარი მიზანი იყო განათლებისა და სალიტერატურო ენის საკითხებზე სრულყოფილი განათლების სისტემის უპირველეს პრობლემას წარმოადგენდა სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების შექმნა, რისთვისაც აუცილებელი იყო ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შედგენა. ივ. ჯავახიშვილს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა სალიტერატურო ენის მოწესრიგების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნდა. მისი რწმენით, ეს იქნებოდა ქართული ენის განვითარების ყველაზე მძლავრი იარაღი. იგი ერთ მთლიანობაში ხედავდა ტერმინოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და სალიტერატურო ენის მოწესრიგების დიდ მნიშვნელობას. ამიტომ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში სამთავალიბა ტერმინთა შემუშავებული კომისია, რომელიც ტერმინოლოგიური და ნორმატიული საკითხების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო.

ივ. ჯავახიშვილის დიდი ძალისხმევით შეგროვილი დიდძალი ტერმინოლოგიური მასალისა და დიდი ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებით, აგრეთვე სპეციალისტთა თავდადებული მუშაობით მოკლე ხანში (1921–28 წლებში) საბჭომ რამდენიმე დარგის ტერმინოლოგია გამოსცა და ბევრიც გამოსაცემად მოამზადა.

⁴³⁸ მოგვიან ლ. შალვაშვილის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 329.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაცვისათვის ბრძოლაში საიმედო დახმარებას წარმოადგენდა გ. ახვლედიანის ინიციატივით 1923 წლის 18 თებერვალს დაარსებული „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ (დამფუძნებელი წევრები: გ. ახვლედიანი, ქ. კეკელიძე, ს. გორგაძე, ვუკ. ბერიძე, ბენ. ნიქობაძე, ვ. თოფურია, დიმ. მგელაძე, მაკ. ხუბუა, სტ. ნიხეჯელი, ლ. მელიქსეთ-ბეგი). საზოგადოების წევრებად ჩაირიცხნენ ის პირებიც, რომელნიც შემთხვევით ვერ დაესწრნენ ამ სხდომას (ივ. ჯავახიშვილი, დ. უსნაძე, ი. აბულაძე, ა. შანიძე, მ. ჯანაშვილი, ს. ჯანაშია, ს. იორდანიშვილი). არსებულ იქნა საზოგადოების საბჭო: გიორგი ახვლედიანი (თავმჯდომარე), აკაკი შანიძე (თავმჯდომარის ამხანაგი), ბენედიქტე (არნოლდ) ნიქობაძე (მდივანი), დიმიტრი მგელაძე (მოსდარე), აგრეთვე სარევიზიო კომისია.

საზოგადოებამ გამოსცა კრებული „წელიწადი“ (1923—24 წ.წ.), რომელშიც შევიდა საკმაოდ მაღალკვალიფიციური ნაშრომები. ეს იყო მომავალი ძლიერი ქართული საენათმეცნიერო სკოლის ერთ-ერთი პირველი, ფრიად მნიშვნელოვანი განაცხადი.

1925 წელს სამეცნიერო საბჭო რეორგანიზაციის შედეგად „ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტად“ (1926 წლიდან კომიტეტს „კომისია“ ეწოდა) გადაკეთდა და დაექვემდებარა სახალხო კომისართა საბჭოს (თავრე ვუკ. ბერიძე). მას ევალებოდა ეოლოგიური (თუნდაც ვალკეულ მეცნიერთა მიერ შედგენილი) ტერმინოლოგიის განხილვა და გამოსაცემად მომზადება.

კომიტეტი ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციის საქმესაც ნაყოფიერად ემსახურებოდა. ამიტომ მას მოიხსენიებენ აგრეთვე, როგორც „ენისა და ტერმინოლოგიის კომისიას“.

1926 წელს კი საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა (ცაქმა) შექმნა „მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტი“ (თავმჯდომარე ფ. მახარაძე), სადაც მოხდებოდა „ცენტრალური სამეცნიერო კომისიის“ მიერ შემუშავებული მასალის საბოლოოდ დადასტურება (ცხოვრებაში გასატარებლად. ასე რომ, სადავო საკითხების მოგვარება, სალიტერატურო ენის ნორმალისაცვისათვის სრულყოფილად დასრულებული სამეცნიერო საბჭოს ეკისრებოდა (1921 წლიდან), შემდეგ (გ. ი. 1925 წლიდან) — ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიას, 1926 წლიდან კი — მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტს.

მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტი ყურადღებას უთმობდა ენის კულტურის საკითხებსაც, როგორცაა ენაში უხვად შემოსული ნასესხები და ხელოვნური ლექსიკის მოწესრიგება, გახუთისა და თარგმანების ენის დახვეწა, ენის სიწმინდის დაცვა, სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავება და სხვ.

„კაკიანი“ ასეთი ორგანიზაციის დაარსება იყო რუსეთში მიმდინარე პროცესების გამოძახილი, ხაზგასმით მშობლიურ სალიტერატურო ენაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის „ზრუნვისათვის“.

1926 წლის ოქტომბერში „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას“ და უნივერსიტეტის სათანადო კათედრას სატერმინოლოგიო კომიტეტის სხდომის დადგენილებით დაეკავალათ დაქსქარებით მასალების მომზადება სალიტერატურო ენის ნორმების დასადგენად (იმამე შინაარსის მეხელი მეორდება კომიტეტის 1929 წლის დადგენილებაშიც).

ინტერესი სალიტერატურო ენის საკითხებისადმი დღითი დღე ცხოველდებადა: მათ მოგვარებაზე მსჯელობენ ენის სპეციალისტები, მწერლები, ჟურნალისტები, პედაგოგები...

1926 წელს მწერალთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში პავლე ინგოროვებამ აღნიშნა, რომ: 1) ქართულ მხატვრულ სიტყვასთან დაკავშირებული პრობლემები ჯერ შეუსწავლელია. საჭიროა დაარსდეს ქართული სიტყვის ინსტიტუტი. საქმის გასადგომად მწერალთა კავშირს სათანადო ძალები მოეპოვება; 2) ამ ინსტიტუტმა უნდა იზრუნოს სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. სალიტერატურო ენის ნორმები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, გამოცემებსა და პრესაში ენა მახინჯდება; 3) აუცილებელია ქართული აკადემიური ლექსიკონის გამოცემა როგორც მწერლების, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით⁴³⁹.

ამ გამოსვლის საფუძველზე მწერალთა ყრილობას მიუღია რეზოლუცია:

1. ვინაიდან ქართული მხატვრული სიტყვის პრობლემები დაუმუშავებელი და შეუსწავლელია, მწერალთა კავშირთან დაარსდეს ქართული სიტყვის ინსტიტუტი, რომელსაც დაეკავლება იზრუნოს აგრეთვე ქართული ენის გაწმინდისათვის და, კერძოდ, ყურადღება მიაქციოს ენის სისტემატურად დამახინჯების ფაქტებს, რომლებიც გეხედება ქართულ პრესასა და ქართულ გამოცემებში.

2. ამავ მიზნით საჭიროდ იქნეს მინიჭებული მწერალთა კავშირის წარმომადგენლის მიწვევა უმაღლეს სამეცნიერო საბჭოში.

3. ყრილობა საჭიროდ მიიხსენეს მწერალთა კავშირის ინიციატივით და უახლოესი (უშუალო) მონაწილეობით შეიქმნას სპეციალური კომისია ქართული აკადემიური ლექსიკონის დასამუშავებლად და გამოსაცემად⁴⁴⁰.

⁴³⁹ „ქართული მწერლობა“, ტყ. 1926, № 1, გვ. 9-14.

⁴⁴⁰ იქვე, გვ. 101-106.

1928 წლის მარტში სრულიად საქართველოს მწერალთა II ყრილობაზე მკვეთრად წინ წამოწეული იყო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ღონისძიებებს, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას, თარგმნილი ლიტერატურის ენას... საჭიროდ იქნა მიჩნეული, ერთი მხრივ, სატერმინოლოგიო კომისიის შექმნა, მეორე მხრივ კი — მართლწერის კომისიისა (თბილისის უნივერსიტეტთან ერთად). მწერალთა ყრილობამ დააგეგმა ქართულ მწერალთა ფედერაციის საბჭოს, რომ უნივერსიტეტთან შეთანხმებით მოეწყო ქართული მართლწერის შემსუშავებელი კონფერენცია.

საკვიადაღისტები კი კვლავ დამოუკიდებლად მუშაობენ... 1929 წ. ქურნად „ქართულ მწერლობაში“ (№ 3, გვ. 80-87; № 4, გვ. 68-82) გამოქვეყნდა სერგი გორგაძისეული პრინციპები. ეს ნაშრომი ს. გორგაძეს თავის წინა ნაშრომთა ერთგვარ დასკვნად და კომპენდიუმად მიაჩნია (იხ. მისი: „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“. „მნათობი“, 1925, № 1, № 3; 1926, №№ 5-6; „ქართული მართლწერა“, ქუთაისი, 1916; „სალიტერატურო ქართულისათვის“, ტყ., 1921).

ავტორი სამართლიანად აცხადებს, რომ სალიტერატურო ენის სადავო ფორმათა მოწესრიგების საქმეში მთავარია არა კონკრეტული მაგალითების სიმრავლე, არამედ ის ძირითადი პრინციპები, რომელთაც უნდა ემყარებოდეს ფორმათა მოწესრიგება.

1932 წ. ქართული ენისა და ტერმინოლოგიის კომისიამ და სახელმწიფო გამომცემლობამ მოაწვეეს კურსკონფერენცია ავტორთა, მთარგმნელთა და რედაქციების მუშაკთათვის. ლექციები წაიკითხეს: ა. შანიძემ, ს. ჯანაშიამ, არნ. ჩიქობავამ, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. იორდანიშვილმა, გ. ახელედიანმა, ვ. თოფურიამ... ეს ლექციები 1932-1934 წლებში ათ ნაკვეთად გამოქვეყნდა ერთი საერთო სათაურით: „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“. მომხსენებლები იხილავდნენ შემდეგ საკითხებს: უცხო სიტყვათა გადმოცემა, კომპოზიტების დაწერილობა, სადავო საკითხები დროთა I და II ჯგუფებში (წავიდნენ თუ წავიდნენ?), დროთა III ჯგუფში (გაუტყვიან თუ გაუტყვიან? ვსობილიყავ თუ ვსობილიყავი?); -ებ-იან მრავლობითში სმნის შეთანხმება რიცხვში (მთები მთანანს თუ მთები მთანანან?) და სხვ. სოფი ავტორი (მაგ., არნ. ჩიქობავა) შემდეგაც აქვეყნებს ასეთ ნაკვეთებს.

აღნიშნული ლექციები საფუძვლად დაედო ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა პირველ კრებულს (1936 წ.).

1932 წელს ქართული ენისა და ტერმინოლოგიის კომისიის სხდომაზე სიმონ ჯანაშიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „რით უნდა ვიხელმძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის

ნორმების დადგენისას“ (პირველად დაიბეჭდა მისი „ნორმების III ტომში, 1959 წ., გვ. 235–252). ეს მოსახელება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოწესრიგების პროცესში.

1932 წელს გამოვიდა პირველი ნაკვეთი ვ. თოფურიას წიგნისა „ქართული ენა“⁴¹, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, პირველად წყნის ხინამდილეში, ლიტერატურული ენა (მაშინ ამ ტერმინსაც სსარობდნენ „სალიტერატურო ენის“ მნიშვნელობით) დახასიათებულია როგორც ნორმირებული მეტყველება. როგორც ივ. გიგინეიშვილი შენიშნავს, ამ ნაშრომში „პირველად მიექცა სრულიად გარკვეული პრინციპული ეკრადღება ნორმას, როგორც სალიტერატურო ენის განმსაზღვრელს მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, და ნორმის ერთიერთობას ენობრივ სისტემასთან“⁴².

ამ წიგნის 23-ე გვერდზე ვკითხულობთ: „... ლიტერატურული ენა ემყარება ტრადიციას... ყოველი ახალი ენობრივი მოვლენა ისინჯება მართლწერა-მეტყველების თვალსაზრისით, უმორჩილებენ ე. წ. გრამატიკულ წესებს, ამორებენ სპეციფიკურ კუთხურს; სოფჯერ სდება ისიც, რომ ტოვებენ მას, რაც შეიძლება კუთხურში დიდი ხანია მოკვდა. აქედან ჩანს ენის კონსერვატიულობა“. აქ ლაკონიურად არის ჩამოყალიბებული სალიტერატურო ენის მართებულ ფორმადათვის სავალდებულო, განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლები: გრამატიკული გამართულობა, ტრადიციულობა, დახვეწილობა (დიალექტური ელემენტებისაგან განთავისუფლება, თემც სოფჯერ შეინარჩუნებს ისეთ დიალექტურ ფორმას, რომელიც დიალექტში უკვე აღარ ისმარება, მკვდარია). ეს ენის კონსერვატიულობის დამადასტურებელია. ახალი ენობრივი ფაქტი (მოვლენა) ენაში დამკვიდრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არღვევს ენის სისტემას — უმორჩილება ენაში არსებულ გრამატიკულ კანონებს, მართლწერა-მეტყველების წესებს, ე.ი. თუ ნორმის შესაბამისია.

ასეთ ვითარებაში, როდესაც ნორმების შესამუშავებლად მსჯულობა და მუშაობა გაცხოველდა, განსხვავებული მოსაზრებაც განნდა. მის. ჯავახიშვილმა ნაადრევად მიიწინა კონფერენციის მოწვევა და ნორმატიული კანონების შემუშავება ენისათვის, რადგან, მისი აზრით, ენაში მიმდინარე პროცესები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ბუნებრივი შედეგია, — კომუნიკაციების გა-

⁴¹ ვ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი I, ტფილისი, 1932, 29 გვ.

⁴² ი. ვ. გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურიას ღვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმისათვის უნიფიკაციის საქმეში, იკვ. XXII, 1980, გვ. 289.

ყვართოება, წიგნისა და გაზეთის ტირაჟის გაზრდა, განათლების ტალღის გაძლიერება და სხვ. ბუნებრივად იწვევს სალიტერატურო ენის უსწრაფეს განვითარებას... დედაქალაქში, რომელიც ქმნის საერთო ენასა და კულტურასაც, თავი მოიყარა ლიტერატურამ, პრესამ, მკვნიერებამ, ხელოვნებამ, სახელმწიფო აპარატმა, სულ ასლახან ყველა კუთხეშიც— საჭიროა მოვიცადოთ, ხანამ ნუგნს ქალაქში თავისიერილი მრავალი კილო გადაიხარშება და ერთ ენობში გამოიჭედება: „უკანასკნელ წლებში უკვე ცხადად კლებულობს ანარქია, ე.ი. კლებულობს სადავო ფაქტების რიცხვი, დუღილი ნელდება და საერთო ქართულიც ეკლიბდება... დღევანდელი ქართული დიდი სისწრაფით პოულობს საჭირო სტატურობას და გარკვეულ ფორმებს, და როცა... ამ თუ იმ ფორმის ცხადი უპირატესობა დამკვიდრდება, კონფერენციამ მაშინ-ღა უნდა დაადასტუროს არსებული ფაქტი“, ისევე როგორც „უცხოულთა აკადემიები ამ თუ იმ სიტყვის ან ფორმას მაშინ დააკანონებენ ხოლმე ქალაქდსუ, როცა ის მტკიცედ მოიკიდებს ფეხს სინამდვილეში... ათიოდუ წელიწადში, შეიძლება უფრო ადრეც, სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდება და კონფერენციის მოწვეუასაც მაშინღა ექნება ახრი და გამართლება“⁴⁴³.

კ. გამსახურდია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას: ქართული ენა ახი წლის განმავლობაში სახელმწიფო ენათა სიდიან გამორიცხული იყო... სტიქიონურად იზრდებოდა... არც მომელელი ჰყავდა, არც — ეკლიბის მიმკვიქში... ნამდვილ ლიტერატურულ ქართულს ნუგნს თეკალწინ ეყრება საძირკველი, ამიტომ ძლიერ საშურია ამ კონფერენციის მოწვევა... დასკენებს ხელისუფლება დააკანონებს და აღდგება ქართული ენის სისადავე და მშუენიერება. დღეს დიდი დუღილი და სრდაა ქართულ ენაში. „ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ეკლიბი უნდა“⁴⁴⁴.

(ვოტა ხნის შემდეგ (1932 წ.) ენისა და ტერმინოლოგიის კომისიის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში („რით უნდა ვიხელმძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას“) ს. ჯანაშია განმარტავს, რომ ეს წმინდა ქართული ამოცანაა, — არსად ასეთი ნორმები არ დაუდგენიათ. ევროპული ენებისათვის ნორმების დადგენის საჭიროება არ არსებობს, იქ საკმარისია დაადასტურონ გაბატონებული ფორმები. ქართულში კი თანამედროვე სალიტერატურო ფორმათა გაბატონება სტიქიურად ხდუ-

443 მ. ი. ხ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. დ. ი. ახალი სალიტერატურო ქართულისათვის, რეული თხზულებანი, VI, 1980, გვ. 131.

444 კ. გ. ა. მ. ხ. ა. ხ. ე. რ. დ. ი. ა. ქართული მართლწერის კონფერენციისათვის, რეული თხზულებანი, გვ. 203.

ბა და გაბატონებული ფორმის ჩვენება ხშირად შეუძლებელიც კია, იმდენად არის დარღვეული ერთსახეობა. ამიტომ ამა თუ იმ რეალური მდგომარეობის დასადასტურებლად ძალზე აქტიურად წარუვა გვიხდება.

რადგან თანამედროვე ქართულ ენაში გაბატონებული ფორმის ჩვენება არ ხერხდება, რაღაც სხვა პრინციპს უნდა დავუყვრდნოთ; „ამ პრინციპს სალიტერატურო ენის ცნების ანალიზი და სალიტერატურო ქართულის ისტორია გამოამჟღავნებს“, — ასეთია ს. ჯანაშიას აზრი⁴⁴⁵.

1933 წლის 10 ივნისს თბილისის უნივერსიტეტში მაშინდელი რექტორის ლევან აღნიაშვილის დიდი ხელშეწყობით დაარსდა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი („ელხი“). ეს იყო საქართველოში პირველი სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტი სახელმწიფოებრივი მასშტაბისა. მისი ორგანიზება მიენდო ცნობილ მეცნიერს, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანს სიმონ ხუნდაძეს, რომელიც „ელხის“ დირექტორადაც დაინიშნა, სწავლულ მდივნად კი — ვ. თოფურია. ს. ხუნდაძის მოულოდნელად გარდაცვალების შემდეგ დირექტორობა დაეკისრა პარტიულ მუშაკს, პუბლიცისტ აკაკი ჭყონიას (1898—1937). „ელხში“ თავდაპირველად ორი სექცია (ენისა და ლიტერატურისა) მუშაობდა. პქონდათ საკუთარი ელექტრონიკური ორგანო — „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (ფაქტობრივი რედაქტორი ვ. ლეონიძე). გამოუცდა ერთადერთი ნომერი (1935 წ.)⁴⁴⁶.

1934 წ. რეორგანიზაციის შედეგად „ელხს“ ეწოდა „მთა რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის (სამეცნიერო-კულევითი) ინსტიტუტი“. აქედან ენის განყოფილება 1936 წ. გადავიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში ნამოყალიბებულ პუმანიტარული პროფილის ახალ სამეცნიერო-კულევით ინსტიტუტში, რომელსაც ეწოდებოდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი (ენიმკ); ლიტერატურის განყოფილებამ კი განაგრძო არსებობა დამოუკიდებელი ინსტიტუტის სახით 1942 წლის აგვისტომდე.

მიუხედავად იმისა, რომ სალიტერატურო ენის პრობლემებზე 20-იან წლებში საკმაოდ აქტიურად მუშაობდა რამდენიმე საკვდილური კომისია („ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისია“, ვაკ-თან არსებული „მთავარი სატერმინოლოგიო კომიტე-

445 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, რით უნდა ვიხელმძღვანელოთ მართლწერისა და სალიტერატურო ენის ნორმების აღდგენისას, შრომები, ტ. III, 1959, გვ. 244.

446 ა ლ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, „ჩვენი ცხოვრების ღამიარო“, გაზ. „კომუნისტი“, 1988, 13. XI.

ტი“, „ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექცია“, აგრეთვე „ელხის“ ენისა და ლიტერატურის სექცია), სალიტერატურო ენის სირთულეების მოგვარება, მისი დახვეწა მიიწვ არ ხერხდებოდა.

1930-იანი წლებისათვის უკვე შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის, მისი მონოლითურობის უსრუნველსაყოფად აუცილებელია ნორმათა შემუშავება. ხელისუფლებამაც გაამახვილა ყურადღება ამ პრობლემაზე და 1933 წ. 4 სექტემბერს სახალხო კომისართა საბჭომ და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღეს საგანგებო დადგენილება „სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის წესის შესახებ“, რომლის მიხედვითაც სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავება ასე უნდა წარმართულიყო: „ელხში“ სადავო საკითხთა დოკუმენტურად შესწავლის შემდეგ ეს საკითხები განიხილებოდა და საყვალდებულო ნორმები დაწესდებოდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში, სადაც ამისათვის შეიქმნებოდა საეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) სახელმწიფო საბჭოს სათანადო სექციის წევრები; ბ) ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის პრეზიდიუმი და ამავე კომისიის ენათმეცნიერი წევრები; გ) მწერალთა კავშირის ორი წარმომადგენელი; დ) თითო წარმომადგენელი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისა, სახელგამისა და გაზ. „კომუნისტიდან“.

ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიის მიერ შემუშავებული მასალაც უნდა განხილულიყო „ელხის“ ენის სექციაში და დახამტკიცებლად წარდგენილი სამეცნიერო საბჭოს.

სამეცნიერო საბჭოს უნდა შეემუშავებინა საკითხთა განხილვის კალენდარული გეგმა იმ ვარაუდით, რომ 1934 წლის 1 იანვრისათვის დამთავრებულიყო ძირითადი საკითხების განხილვა-დამტკიცება. შემუშავებული მასალა საბოლოოდ დახამტკიცებლად წარედგინებოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

1933 წ. 17. XI-ს გაზ. „კომუნისტიში“ გამოქვეყნდა აკ. ჭყონიას მიერ ხელმოწერილი მასალა სათაურით — „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისათვის“, სადაც ჩამოთვლილია თითქმის ყველა მოსაგვარებელი საკითხი, მაგ.: ბალის თუ ბლის, ბელაურათი თუ ბელურით, ორთავენი თუ ორთავე, სდაკას თუ დკას, მწაყრია თუ მწაყრთან, უნახავს თუ უნახია, შეუსვამს თუ შეუსვავს, ფრინავს თუ ფრენს, ნამოსახლევი თუ ნამოსახლები, ბეკრი (მრავალი, ყველა, სოჯი-) მერცხალი თუ მერცხლები; სახლები აშენდა თუ აშენდნენ და სხვა მრავალი.

ასეთი იყო ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც უნდა განეხილა და მოგვარებინა ხეშოთ აღნიშნულ სამეცნიერო საბჭოს.

1934 წლის 5 მაისს მწერალთა სასახლეში გაიმართა დისკუსია სალიტერატურო ენის საკითხებზე. წამოიჭრა ბევრი საკითხი. მწერალთა ერთმა წევრმა (კ. ნადირაძე, ს. კლდიაშვილი, პ. იაშვილი, ბუჩიძე) ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ენა არ არის მხოლოდ გრამატიკული კატეგორია და ამიტომ ენის დასახვეწად სულაც არ ემართა გრამატიკული შეცდომების გახწორება და სწორი ნორმის დადგენა, აუცილებელია სტილის, ფონეტიკური მხარის, მხატვრული სახეებისა და სხვა საკითხების შესახებ მსჯელობაც. მიხ. ჯავახიშვილმა საყრდენი დიალექტის საკითხი დააყენა.

საყურადღებო სიტყვა წარმოთქვა ს. ჯანაშიამ — „ქართული ლიტერატურული ენის საკითხები“ (პირველად გამოქვეყნდა მისი შრომების III ტომში, 1959 წ.). იგი შეეხა ორთოგრაფიის, დიალექტების, კლასიკოსთა ენის, უცხო ენათა გავლენისა და სხვა საკითხებს.

ს. ჯანაშიას ამ ორ გამოსვლაში (1932 წ. და 1934 წ.) ბევრ სხვა დიდად საყურადღებო დებულებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მის მიერ მიღებული საყრდენი, ამოსავალი სალიტერატურო ენის პრინციპთა შესამუშავებლად. ეს საყრდენი სალიტერატურო ენის ცნების ანალიზითა და სალიტერატურო ენის ისტორიაში შეიძლება გამომჟღავნდეს.

შექმდე არნ. ჩიქობავამ კიდევ უფრო დააზუსტა, გააღრმავა ეს დებულება და სალიტერატურო ენის ნორმათა პრინციპების შემუშავებისათვის ძირითად საყრდენად საერთოდ ენის ცნების ანალიზი გამოაცხადა.

* * *

ყოველივე შემოთქმულიდან ჩანს, რომ უკვე შემზადდა ნიადაგი ნორმათა კომისიის შესაქმნელად. 1934 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია ოცდობითი კაცის შემადგენლობით: მ. გოროშენიძე (თავმჯდომარე), ა. თათარაშვილი (მთადგელი), ვ. თაფურია (მდივანი), წევრები: გ. ახელეიანი, ვ. ბერიძე, კ. გამსახურდია, ერმ. გორდელაძე, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, დ. დემეტრაძე, ვ. დონდუა, ა. დედუჩიანი, ვ. ეგნატაშვილი, გ. ლეონიძე, პ. ინგოროვეა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, მ. საყვარელიძე, გ. ქიქოძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, აღ. შანშიაშვილი, არნ. ჩიქობავა, კ. ჭიჭინაძე, ა. ჭუმბაძე, ა. ჭყონია, მ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.

კოტა მოკვიანებით კომისიის ფუნქციებს ახე განმარტავენ: კომისიის დანიშნულებაა, ხელმძღვანელობა გაუწიოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ იგი „ხრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭკმწარბად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც... კულტურის წინხელის იარაღი... ამ მიზნით კომისია შეიმუშავებს ნორმათა დადგენის პრინციპებს, შეისწავლის და აწესრგებს სადავო საკითხებს... განსახლებრავს საჭირო შემთხვევაში დასაშვებ პარალელურ ფორმებს, წყვეტს სოგიერთი მეტად რთული ტერმინის საკითხს, საერთო ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენის ორთოგრაფიული დეკსიკონების, სინონიმთა დეკსიკონების, დამსმარე საშუალებათა დამუშავებას... კონტროლს უწევს ნორმების დანერგვას დაწესებულებებში, სკოლებში, რედაქცია-გამომცემლობებში“ (კომისიის დებულებიდან).

1935 წლის 29 თენისს საქართველოს სსრ კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სპეციალური დადგენილების საფუძველზე მომუშავე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკურმა კომისიამ, დაეკრდნო რა თბილისის უნივერსიტეტის სამუშაო კომისიისა და ენისა და ტერმინოლოგიის კომიტეტის მიერ ნატარებულ მუშაობას, განიხილა და მიიღო სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები (არნ. ნიქობაეას მოხსენების მიხედვით) და ნორმებად დაამტკიცა სპეციალისტთა (ა. შანიძის, ს. ჯანაშიას, გ. ახვლედიანის, არნ. ნიქობაეას, ვ. თოფურიას, ს. ყაუხნიშვილის, ს. იორდანიშვილის) მიერ მომზადებული პროექტები. კომისიის მიერ მიღებული პრინციპებიცა და ნორმებიც შემდეგ დაამტკიცა განსახკომმა. 1936 წ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ეს პრინციპები და პროექტები ცალკე წივნად გამოიცა, როგორც „საველდებული სახელმძღვანელო ეველა სახის საწავლებლების, გამომცემლობებისა და პერიოდული გამოცემებისათვის“ (გვ. VIII)⁴⁴⁷.

წივნში შესულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები და შემდეგი ნორმები:

1. მიმართულებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი: I. მიმართულებითი ბრუნვა; II. წოდებითი ბრუნვა.

2. -მე, -ვე, -ლა, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება.

3. მსახლერელის შეთანხმება სახლერულთან (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?).

447 სალიტერატურო ქართულის ნორმები, I, 1936, 84 გვ.

4. ნანათესაობითარი მსა'ლვრელის შეთანხმება სა'ლვრულთან (წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?).

5. სადაო საკითხები დროთა პირველსა და მეორე ჯგუფებში: I. -დენ თუ -დენ (აშენებდნენ თუ აშენებდენ?); II. -ნენ თუ -ენ? (დაესწრნენ თუ დაესწრენ?).

6. სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის -თ-ს წინ (მათ აქესთ თუ აქეთ?).

7. სადაო საკითხები დროთა მესამე ჯგუფის წარმოებისას: ა) ვშობილვარ თუ შობილვარ? ბ) გა'ეტეხია თუ გაუტეხნია? გაუბე-
დავს თუ გაუბეღია? გ) ვშობილიყავ თუ ვშობილიყიყავ? დ) შევკჳით-
ხებოდი თუ შევკჳითხებიყავ?

8. -ურ და -იურ ბოლოსართთა ხმარებისათვის ნახესხებ სიტყვებში.

9. უცხო სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხები.

10. ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და Ia ჯგუფებიანი სიტყვები ქართულში.

11. ლ და უმახვილო ი-ს შემცველ რუსულ სიტყვათა გადმოცემისათვის ქართულში.

12. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემისათვის ქართულში.

13. ქართული კომპოზიტების დაწერილობისათვის.

1935 წ. 10 ივლისს უნივერსიტეტის რექტორის (კ. ორაგველიძე) ბრძანებით შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია თერამეტი კაცის შემადგენლობით: ა. შანიძე (თავმჯდომარე), ვ. თოფურია (მდივანი), გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, აკ. გაწერელია, ვ. დონღუა, ა. დუღუენავა, ვ. ეგნატაშვილი, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კიკელიძე, ვ. კორტეტიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ს. შანშიაშვილი, არჩ. ნიქობავა, აკ. ჭყონია, მიხ. ჯაგახიშვილი, ს. ჯანაშია.

იმავე ბრძანების მეორე პუნქტის მიხედვით, კომისიის მუშაობის სფეროში შედიოდა დამუშავება „ეველა იმ საკითხისა, რომღუბი(ც) უშუალოდ დაკავშირებულია ქართული ენის ნორმების მოწესრიგებასთან, თვისებებისა და პროექტების შედგენა რესპუბლიკურ კომისიაში წარსადგენად“.

თუ როგორ ინტენსიურად მუშაობდა ეს კომისია, ნანს კომისიის ოქმებიდან, რომღუბი(ც) და(კულია არჩ. ნიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში. სხდომები ჩატარებულა 1936 წ. 10, 16, 22 თებერვალს, 4 მარტს, 4, 8 აპრილს და ა. შ. (თავმჯდომარე — ა. შანიძე, მდივნები: ვ. თოფურია, ს. იორდანიშვილი).

განუხილავთ შემღევი საკითხები: 1. მსა'ლვრელის შეთანხმება სა'ლვრულთან; 2. ნანათესაობითარი მსა'ლვრელის შეთანხმება

სა'სდერულთან; 3. ჰ- და ს- პრეფიქსების ხმარებისათვის 'სმნის ფორმებში; 4. რუსული ლ და მ-ს გადმოცემა ქართულში; 5. ტყლილ ხუ თუ აბილილ; 6. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში...

ბ. ახვლედიანს დაეკვლა წარმოედგინა პროექტი: „გერმანულ-ფრანგული a, o, u-ს და ინგლისური ხმოვნების გადმოცემა ქართულში“.

1936 წ. სატერმინოლოგიო კომისია გარდაიქმნა სამეცნიერო-სატერმინოლოგიო განყოფილებად და შევიდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკის“) შემადგენლობაში, ხოლო 1941 წლიდან (ე. ი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნის პერიოდიდან) იგი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებად იქცა.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის (№ 122) მთართვისა და აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის 1937 წლის 4 თებერვლის დადგენილების საფუძველზე „ენიმკის“ ქართველურ ენათა სექტორთან შეიქმნა სალიტერატურო ქართულისა და ქართული ორთოგრაფიის სამუშაო კომისია პროფ. ა. შანიძის თავმჯდომარეობით და შემდეგ პირთა მონაწილეობით: ბ. ახვლედიანი, ე. ბერიძე, აკ. გვახარია, გაბ. გოგუაძე, ი. გრიშაშვილი, ე. ეგნატაშვილი, მ. ზანდუკელი, ე. თოფურია (მდივანი), პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, მ. ხაყვარელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ს. შანშიაშვილი, არნ. ნიქობაძე, სტ. ნხენკელი, ბ. წერეთელი, აკ. ჯყონია, იუ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.

ბრძანების მეორე პუნქტი მოითხოვს: „კომისიის მუშაობა წარმართოს იმ ვარაუდით, რომ დარწმუნდ ძირითად საკითხთა (იხ. „სალიტერატურო ქართულის ნორმები“, 1, 1936, თანდართული სია) განხილვა დამთავრდეს ა. წ. მაისის 31-ისათვის“.

17 თებერვლიდან იწყება კომისიის სხდომები. № 1 ოქმის მიხედვით, სხდომა უნდა გამართულიყო თვეში ორჯერ 16 და 28 რიცხვებში, სადამოს 9 საათზე.

კომისიაში განსახილველ საკითხთა თეზისები ეგზავნებოდათ წევრებს ორი დღით ადრე. კომისიის მიერ მიღებული დასკვნები არ ქვეყნდებოდა, სანამ მათ არ დაამტკიცებდა განათლების სახალხო კომისარიატი.

საჭირო გამხდარა ქვეკომისიის შექმნა, რომელმაც ინტენსიურად იმუშავა 1937 წ. 23 აპრილიდან მაისის ბოლომდე.

ბუნებრივია, სალიტერატურო ენის ნორმალისაცვიაზე სრუნვა ამ კომისიას დაეკისრებოდა, ხოლო ტერმინოლოგიის კომისია ამიუ-

რიდან მანც მთელ თავის ეურადღებას ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის რთულ, ფრიად ხაშურ საქმეს დაუთმობდა.

ცნობილ მიხეხთა გამო 1937 წელს საჭირო გახდა კომისიის შექცება, რის გამოც „ენიმკის“ დირექტორმა ს. ჯანაშიამ და კომისიის თავმჯდომარემ ა. შანიძემ წერილობით მთახსენეს განათლებების კომისარს, რომ კომისიამ, რომელიც მუშაობდა განათლების სახალხო კომისარიატის მომართვის საფუძველზე, განსილა რამდენიმე მნიშვნელოვანი სადავო საკითხი, დასამტკიცებელ-განსახილველი დარსა ათამდე საკითხი და ორთოგრაფიული ლექსიკონის მასალები. კომისია სთხეს კომისარს ახალი შემადგენლობის დამტკიცებას და აცნობებს, რომ შესადგენლობის შეცვლამდე წვეუტს მუშაობას. „ენიმკის“ დირექტორს განათლების კომისიისათვის უთხოვია აგრეთვე, რომ, თანახმად ვ. თოფურთას განცხადებისა, ორთოგრაფიული ლექსიკონის მასალები ლიტერატურის ინსტიტუტთან გადმოსულოყო „ენიმკის“ განკარგულებაში, რათა დანიქრებით განეხილა ნორმათა კომისიას. ეს მასალები გადაეცა „ენიმკის“ და ამ მასალის საფუძველზე 1941 წ. გამოცა ვ. თოფურთას და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი სასკოლო „ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც ემყარებოდა გამოქვეყნებულ ნორმებს.

საქართველოს სსრ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წ. 17 მასის გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წ. 25 მასის დადგენილებით (№ 139) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან სამოყალიბდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, რომელშიც თავიდანვე შედიოდა თექვსმეტი კაცი: ს. ჯანაშია (თავმჯდომარე), ვ. თოფურთა (მთადგილე), ივ. გიგინეიშვილი (მდივანი), გ. ახელედიანი, ვ. ბერიძე, შ. გამყრელიძე (გახეთ „კომუნისტის“ სტილისტი), ს. იორდანიშვილი, ა. კიკელიძე, ნ. კეცხოველი, ბ. ნანიტაშვილი („კომუნისტის“ რედაქტორი), გ. ქიქოძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, არნ. ხიქობავა, ს. ხიქოვანი, გ. წერეთელი.

ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ ივ. გიგინეიშვილი წუჟრად იქნა კომისიაში შეყვანილი და მდივანდაც დარსა⁴⁴⁸. პირველ ორ თქმს, როგორც მდივანი, ხელს აწერს ვ. თოფურთა, მესამე თქმიდან — ივ. გიგინეიშვილი.

მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, კომისიას დაეკალა:

1. ქართული სალიტერატურო ენის სრდის პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხების შესწავლა და ნორმათა დადგენა.

⁴⁴⁸ ა. შ ა ნ ი ძ ე, მასალები კპ(ბ) ცკ-ის მდივან შადურისათვის: მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი.

2. 1936 წელს გამოქვეყნებული სალიტერატურო ქართულის ნორმების გადასინჯვა და დადასტურება.

3. დიდი ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა და გამოსაცემად მომზადება.

კომისიას შტატი არ ჰყოლია და მის სამუშაო აპარატს წარმოადგენდა ენის ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება, რომელიც საჭირო მასალებს კრებდა ქართველ მწერალთა ნაწერებიდან და აწვდიდა კომისიას.

თავის მესამე სხდომაზე 1946 წლის 1 ივნისს კომისიამ განიხილა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები (მომხსენებლები: ს. ჯანაშია, არნ. ნიქოზაია) და სახელმძღვანელო დებულებებზე მიიღო:

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა ყურდნობოდეც იმ ენას, რომელმაც სამოყალიბებელი სახე მიიღო ილიას, აკაკის, ვაჟას ხელში (რადგანაც ცხოვრება ვითარდება და წინ მიდის, ენის განვითარება და წინსვლააც მისი თანმხლებია, ილიასა და აკაკის ენა ამ შემთხვევაში ამოსაყალიბია, საორიენტაციოა).

2. სალიტერატურო ენა დაახლოებული უნდა იყოს ხალხურ ენასთან (რაც ოდნავედაც არ ნიშნავს მის გაიგივებას ე. წ. გლეხურ ენასთან: ცოცხალი მეტყველების განვითარების ტენდენციები ასახვას უნდა პოულობდეს სალიტერატურო ენაში).

3. ანგარიში უნდა გაეწიოს ენის განვითარების ტენდენციებს (თუ საით მიდის იგი და რა სახეს იღებს. უპირატესობა ეკუთვნის კონსერვატივულ და სახმარად ადვილ ფორმებს).

4. დიალექტები (აღმოსავლურიცა და დასავლურიც) ერთნაირ მონაწილეობას იღებენ ლექსიკის სფეროში, ფორმების მიმართ კი ამოსაყალიბია სალიტერატურო ენა. „ენის იდიომატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი ეროვნულ-ხალხური უნდა იყოს, ამდენად ბუნებრივია „სხეები დგას“ და არა „ხეები დგანან“.

5. დაძლეულ უნდა იქნეს არქაიზმები.

6. უნდა აღიკვეთოს ინდივიდუალური წესით სიტყვათმთხვევალობა⁴⁴⁹.

ივ. გიგინეიშვილი წერს: „ამ კომისიის მნიშვნელობა სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის საქმეში უსათუოდ დიდია. პირველად ამ კომისიის მუშაობის დროს გახდა ნორმების საკითხი მკაცრიერული კვლევა-ძიების განუყრელი ნაწილი წყენში.

რამდენადაც სათანადო ენობრივ მასალას, საკვლევადობურ მასალას ამზადებდა... ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის დირექტორი ვ. თოფურია⁴⁵⁰.

⁴⁴⁹ ა. შ ა ნ ი ძ ე. იქვე.

სამი წლის (1946—48) მანძილზე კომისია საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდა, ნატარდა 40 სხდომა. განხილულ იქნა 38 სადავო საკითხი, რომელთა უმეტესი ნაწილისათვის ნორმის დასადგენად შექმნილად პროექტები, სახელდობრ:

1. ქართული პუნქტუაციის პრინციპები;
2. სიტყვების პრაქტიკული დამარცვლა და გადატანა;
3. სიტყვაში ვ ბგერის შენახვის, ნართეისა და დაკარგვის წესები;
4. შერწყმული დანართის მართლწერა (სახლ-მუზეუმი);
5. მათემატიკური გამოთქმა: სათვლელზე ნაწილეთ რას თუ რა?
6. ქართულად გამოქვეყნებულ ბრიანებულებებში გვარების გაწყობა ქართული ანბანის შესაბამისად;
7. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე *cs, ps, ct, pt* კომპლექსიან სიტყვათა გადმოცემა ქართულში;
8. *ჟ, იო, ზ-ს* შემცველი რუსული და რუსულის გ'ით შემოსული სიტყვების გადმოცემა ქართულში.
9. რუსული უმახვილო *ი-ს* გადმოცემა ქართულში რუსულიდან ან რუსულის გ'ით ნასესხებ სიტყვებში (კონტროლი, კონსერვია, მაგარამ: კანტორა, პამიდორი...);
10. -მა-სე დასრულებული ბერძნულ სიტყვათაგან 'ხელსართავის წარ- მოება -ურ სუფიქსით ქართულში (დრამა — დრამატული თუ დრამული, დრამის, სადრამო...);
11. ბუხჰალტერისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა მართლწერა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შექმნილებული პროექტები ნორმებად დასამტკიცებლად სტამბური წესით დაბეჭდილი წარედგინათ მინისტრთა საბჭოსათვის.

1948 წლის ბოლოს კომისიის მუშაობა შეწყდა.

1952 წლის 23 თებერვალს ნატარდა ერთი საგანგებო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ა. შანიძე (თაემჯდომარე), ვ. ბერიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. გამყრელიძე, ივ. გიგინეიშვილი (მდივანი), ვ. უნაჩაშვილი, ვ. თოფურია, კ. კეკელიძე, არნ. ნიქობაძე, გ. წერეთელი⁴⁵¹.

მთისმინეს ნ. ბერძენიშვილის მოხსენება „ქართულ საკუთარ (აღამიანთა) სახელთა ფორმები“.

⁴⁵⁰ იხ. თანამედროვე ქართული ხალიგრატიკური ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

⁴⁵¹ სხდომის ოქმი დაცულია მეტყველების კულტურის განყოფილების არქივში, ხ. ჯანაშიას კომისიის ოქმების შეკრებაში (№ 2 საქადალდე).

საკითხი ასე წარმოშობილა: საქართველოს სსრ კპ(ბ) ცკ-ში დასმულა საკითხი, რომ დაძლეულიყო სიჭრელე, რომელიც ბაუშეთათვის სახელების დარქმევისას არსებობს, და ერთგვარი ნორმები შემუშავებულიყო იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ნაწერას აწარმოებენ. სახელთა სიის შედგენა დაეკალა ისტორიის ინსტიტუტს. გათვალისწინებულ იქნა დიდიძალი მასალა: საისტორიო თხზულებები, საბუთები, მხატვრული ლიტერატურა, ფოლკლორული მასალები... სიებში (მოწონებულშიცა და დაწუნებულშიც) შეტანილია საქუთრიე ქართული წარმოშობის ხალხური სახელები, უცხო (უმთავრესად ბერძნულ-ებრაული) სახელები, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის საშუალებით დამკვიდრდა ჩვენში და გაქართულდა, აღმოსავლური წარმოშობის გაქართველებული სახელები, ქრისტიანური წარმოშობის სახელები.

კომისიის სხდომამ აუცილებლად მიიხნია პრინციპების შემუშავება, რისთვისაც არსებულ იქნა კომისია: ნ. ბერძენიშვილი (თავმჯდომარე), შ. გამყრელიძე, ვ. ყვანატაშვილი, ვ. თოფურია, გ. წერეთელი. შემუშავებული პრინციპების მიხედვით გაკხრილავდნენ სიას და ასე წარუდგენდა ნორმათა დამდგენ კომისიას დახამტიკიცებლად⁴⁵².

1953 წლიდან ნორმათა დამდგენი კომისიის საქმიანობის გაძლოდა მინისტრთა საბჭოს დაუკავშირდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდამიეი სახელმწიფო კომისია“. ამით ქართული სალიტერატურო ენის, როგორც სახელმწიფო ენის, შემდგომი დახვეწა-სრულყოფა და უნიფიცირება ორგანიზაციულად კიდევ უფრო მაღალ დონეზე დგება, სისტემატურ ხახიათს იღებს. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სალიტერატურო ორგანოების (კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, სამეცნიერო დაწესებულებების, მწერლობის წარმომადგენლები, პრესის მუშაკები, ქართული ენის საეკიადისტები... კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (სხეადასხეა დროს: გივი ჯავახიშვილი, სურაბ პატარიძე, დიმიტრი ქართველიშვილი, თთარ ნერქე'სია, ნოდარ ჭითანავა), შემდეგ — საქართველოს პრეზიდენტი: 1991 წელს — სეიად გამსახურდია,

⁴⁵² სახელების სარეკომენდაციო სიის შედგენასე მუშაობა გაგრძელდა, პრინციპები ნამოყალიბდა, დაიხვეწა და ეს სია პრინციპებთან ერთად გამოქვეყნდა როგორც „ქართული ენის ორთოგრაფიული დექსიონის“ პირველ გამოცემაში (1968), ისე „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ კრებულში (1970).

1995 წლიდან დღემდე — ელზარდ შევარდნაძე). 1953 წელს შექმნილი კომისიის შემადგენლობა ასეთი იყო:

1. გ. ჯაფარიშვილი (კომისიის თავმჯდომარე) — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

2. დ. მჭედლიშვილი — საქ. სსრ კპ(ბ) ცკ-ის მდივანი;

3. ი. აბაშიძე — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;

4. გ. ასულაუდიანი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

5. აღ. ბარამიძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასოფლოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგე;

6. ნ. ბერძენიშვილი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენციკლოპედიკონსტრუქციის გამგე;

7. შ. გამყრელიძე — გა.ს. „კომუნისტის“ მთავარი სტილისტი;

8. ივ. გიგინეიშვილი (კომისიის მდივანი) — ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილების გამგე;

9. ი. გრიშაშვილი — მწერალი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

10. ე. თოფურია — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

11. გ. ლეონიძე — მწერალი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

12. ქ. ლომთათიძე (თავმჯდომარის მოადგილე) — ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

13. ა. შანიძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

14. არნ. ნიქობაძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

15. გ. წერეთელი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

დროთა განმავლობაში კომისიას გამოაკლდნენ გარდაცვლილი წევრები: ნ. ბერძენიშვილი, ე. თოფურია, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე. 1970 წ. დასაწყისში კომისიის შემადგენლობა შეივსო. თავმჯდომარის მოადგილეებად დაინიშნენ ე. სირაძე (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ვლ. ყაზნეიძე (ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი); კომისიის შემადგენლობაში დამატებით შეეყვანილ იყვნენ: გრ. აბაშიძე (მწერალთა კავშირის პირველი მდივანი), მის. გოგინიაშვილი (ცკ-ის მდივანი შესაბამის დარგში), თ. ლაშქარაშვილი (განათლების მინისტრი), გ. შალამბერიძე (ასალი ქართული ენის კათედრის პროფესორი), შ. ძიძიგური (თსუ

ახალი ქართული ენის კათედრის გამგე), გ. ჯიბლაძე (უმადლეხი განათლების მინისტრი). რამდენიმე ხნის შემდეგ კომისიიდან ამოირიცხა კიდევ ორი გარდაცვლილი წევრი: გ. ახვლედიანი და გ. წერეთელი. აგრეთვე (გარკვეული მოხესით) გ. შალამბერიძე. ამ ცვლილებათა შედეგად კომისიის შემადგენლობა ასეთი გახდა: გ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ვ. ხორაძე (მოადგილე), ვლ. ყანწვიძე (მოადგილე), ივ. გიგინეიშვილი (მდივანი), გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, შ. გამყრელიძე, მ. გოგინაიშვილი, თ. ღამქარაიშვილი, ქ. ლომთათიძე, დ. მკვლდიშვილი, ა. შანიძე, არნ. ნიქობაძე, შ. ძიძიგური, გ. ჯიბლაძე.

ცვლილება შემდეგაც მოხდა: მიღებული წესის თანახმად, ვ. ხორაძე დარჩა კომისიის წევრად როგორც ვკ-ის მდივანი, ხოლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობა დაეკისრა ითარ წერქუნიას (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს).

სამთავრობო კომისიის მოვალეობაში პირველ ყოვლისა შედიოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში შემუშავებული პროექტების განხილვა, დამტკიცება და სავალდებულო ნორმებად გამოცხადება. ამასთანავე, ცხადია, საჭირო იყო შექმნილიყო მუშა კომისია, რომელიც სადავო საკითხებს გამოაველენდა, შეისწავლიდა, სათანადო ნორმის პროექტს შეიმუშავებდა. ამიტომ იმავე 1953 წ. 9 აპრილს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავებული კომისია“ ასეთი შემადგენლობით: ივ. გიგინეიშვილი (თავმჯდომარე), ივ. ქავთარაძე (მდივანი), გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ი. გრიშაშვილი, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, ი. მისაშვილი, ა. შანიძე, არნ. ნიქობაძე.

ამ კომისიას დაეკავია: 1. ადრე შემუშავებული ნორმების გადახილვა; 2. სახელმწიფო კომისიისათვის დასამტკიცებლად წარდგენა ნორმების პროექტებისა და სადავო ტერმინებისა; 3. ნორმებისათვის საჭირო მასალის ხისტემატურად შემუშავება; 4. სადავო საკითხების შესასწავლად ჯგუფის შექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

მაგრამ მალე „ხემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე“⁴⁵³ ეს კომისია გაუქმდა და მის ნაცვლად ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სამთავრობო კომისიის სამუშაო აპარატი — სამეცნიერო ბაზა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის

⁴⁵³ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი № 9, 1953, 9.IV. მეცნიერებათა აკადემიის არქივი.

ნორმათა განყოფილება“ (ხელმძღვანელი — ივ. გიგინეიშვილი)⁴⁵⁴. განყოფილებას დაეკალა მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის საორგოფო საკითხთა გამოყენება, რისთვისაც ის სისტემატურად შეისწავლიდა ბეჭდვით პროდუქციას — ქართულ პრესას, სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურას, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებს...

სადავო საკითხთა მეცნიერული შესწავლა პირველ რიგში გულისხმობს: (1) საკითხის წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვას (როგორ, როდის და რატომ განჩნდა ეს საკითხი, ე.ი. როგორია მისი ისტორია); (2) ამ კონკრეტულ შემთხვევაში ენის განვითარების ტენდენციის დადგენას; (3) პარალელურ სადავო ფორმათაგან სალიტერატურო ენისათვის უფრო მართებული, მისაღები ფორმის მიკვლევასა და მის დასამკვიდრებლად სათანადო ნორმის პროექტის შემუშავებას, (4) მთელი ამ ენობრივი ანალიზისა და მდებრული დასკვნის მეცნიერულ დასაბუთებას.

განყოფილებაში შემუშავებულ ნორმის პროექტს იხილაეს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მას დასამტკიცებლად წარუდგენს ნორმათა დამდგენ სახელმწიფო კომისიას.

რაც შეეხება 1953 წელს შექმნილ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას (თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი), მან მუშაობა დაიწყო ცოტა მოგვიანებით, 1954 წლის 4 ოქტომბრიდან.

კომისიის დანიშნულება-მოვალეობა ასე იქნა განსაზღვრული: „გაეწიოს ხელმძღვანელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მიზნით, რომ ქართული სალიტერატურო ენა იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჯეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც კულტურის წინსვლის იარაღი. ამისათვის კომისია იხილაეს სადავო საკითხთა შესახებ მეცნიერულად დამუშავებულ ნორმათა პროექტებს. მოწონების შემთხვევაში ამტკიცებს მათ ნორმებად, განსაზღვრავს საჭიროებისამებრ დასაშვებ პარალელურ ფორმებს (ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებით), იხილაეს სოფი მეტად რთული ტერმინის საკითხს, აგრეთვე კერძო პირის მიერ წამოყენებულ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან წინადადებებს (ასე გაიხილაეს, მაგ., ა. შანიძის წინადადება მთავრული ასოების გამოყენების შესახებ)“.

⁴⁵⁴ იქვე, ხსენების ოქმი № 15, 1953, 18. VI. 1966 წლიდან განყოფილებას ეწოდა: „ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება“.

ნების შესახებ, ასევე გა'ს. „თბილისში“ გამოქვეყნებული განცხადებებისათვის გარკვეული წესის დადგენის შესახებ... პროფესორების თ. წერეთლის, გ. ჟვანიასა და ს. ყურცვლიძის განცხადება ტერმინების „უმაღლესი საბჭოს“ და „უმაღლესი სასამართლოს“ ნაცვლად „უზენაესი საბჭოსა“ და „უზენაესი სასამართლოს“ ხმარების შესახებ; კომისიამ განიხილა და დაადგინა სახელწოდება „სახალხო დემოკრატთა (დემოკრატების) საბჭო“ და ა.შ. კომისია „საერთო ხელმძღვანელობას უწევს ქართული ენის ორთოგრაფიული და სინონიმთა ლექსიკონების, ტაბულებისა თუ სხვა დამხმარე საშუალებათა დამუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენასა და დახვეწას; კონტროლს უწევს დადგენილი ნორმების დანერგვას სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებში, რედაქცია-გამომცემლობებში“⁴⁵⁵.

რაც შეეხება ნორმათა დადგენის პრინციპებს, ეს პრინციპები, არნ. ჩიქობავას მოხსენების მიხედვით შემუშავებული და 1935 წ. დამტკიცებული ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის მიერ, 1954 წლის 4 ოქტომბერს კომისიის პირველ სხდომაზე კიდევ ერთხელ განიხილეს და გარკვეული მსჯელობის შემდეგ მიიღეს.

არნ. ჩიქობავამ სხდომას გააცნო ნორმათა პრინციპების დასადგენად აუცილებლად გასათვალისწინებელი დებულებები:

1. სალიტერატურო ენის განვითარება არის პროცესი;

2. ვინაიდან სალიტერატურო ენის მართებული გზით განვითარება სახელმწიფოებრივი საკითხია, ამ პროცესს ხელმძღვანელობს სახელმწიფო (წინათ სალიტერატურო ენის ნორმათა საკითხს სამეცნიერო წრეები ამუშავებდნენ, მთავრობა ამის შესახებ დადგენილებას არ იღებდა);

3. სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და ერთიანი;

4. ეს ენა უნდა იყოს ხალხური (საორიენტაციოდ გამოიყენება ქართლური და კახური კილოები);

5. სალიტერატურო ენა ახლა კი არ იქმნება, არამედ იგი ითვისებს იმას, რაც მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად შექმნილია, ამდენად აუცილებლად გასათვალისწინებელია ქართული ენის ტრადიციულობა;

6. სალიტერატურო ენა ცვალებადია. აქედან გამომდინარე, ნორმის დადგენისას საყრდენია ისტორიკოსების პრინციპი;

⁴⁵⁵ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და უახლოესი ამოცანები, თბილისი, 1981, 15 გვ.

7. დიდი როლი ენიჭება ენის განვითარების ტენდენციას (მო-
დავე ფორმათაგან მიიღება ის, რომელსაც მხარს უჭერს განვითარების ტენდენცია;

8. ძირითადი პრინციპების მიხედვით, პარალელურ, მოცილვე ფორმათაგან უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც გამართლებულა ქართული ენის თანამედროვე გრამატიკული სისტემით, უფრო გაპრეცედენტულია, უფრო შეესაბამება ქართული ენის განვითარების ტენდენციებს, წარმოების მხრივ უფრო მარტივია და აზრობრივად — უფრო ნათელი.

ვინაიდან ნორმას ვუდგენთ ობიექტურ სინამდვილეს — ცოცხალ ენას, მეთლი უსათუოდ უნდა იქონიოს ობიექტური ანალიზის მეთლი (ეს დებულება მკვეთრად უპირისპირდება უფრო ადრე ნორმათა დასადგენად გამოყენებულ „კეთილხმოვანების პრინციპს“, რომელიც თავისი ბუნებით სუბიექტურია).

შემდეგ სხდომაზე კომისიამ დაამტკიცა ნორმათა დადგენის პრინციპები (ნორმათა პრინციპების შესამოწმებლად ამოსავლად მინეულ იქნა ძველი თუ ახალი დიტერატიურული ან ცოცხალი მეტყველება, ანდა სამივე ერთად. ხოლო ენის სპეციფიკა, რასაც უნდა ეყრდნობოდეს თვით პრინციპების დადგენა, გულისხმობს შემდეგ ძირითად მხარეებს: 1. ენა სისტემაა; 2. ენა სოციალური მოვლენაა; 3. ენა აზროვნებისა და ურთიერთობის იარაღია).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მედმივი სახელმწიფო კომისია გ. ჯაფახიშვილის თავმჯდომარეობით თავისი საქმოდ ხანგრძლივი საქმიანობის პერიოდში სისტემატურად მუშაობდა ძირითადი ამოცანის შესასრულებლად — იხილავდა ნორმათა პროექტებს, აკანონებდა სალიტერატურო ენის ნორმებს. კომისიამ კიდევ ერთხელ განიხილა, დააზუსტა და შეაფასო 1930-იან და 40-იან წლებში სახელმწიფო კომისიების მიერ სადავო საკითხთა შესახებ შემუშავებული ნორმები, ხოლო ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ახალი პროექტები დაამტკიცა ნორმებად.

1975 წლის 23 სექტემბერს კომისიამ საგანგებოდ განიხილა ეკონომიკის დარგის რამდენიმე სპეციალური ტერმინი, რომელთა შესახებაც ეკონომისტთა შორის დიდი ხანია დავა წარმოებდა და შეთანხმების მიღწევა არ ხერხდებოდა. რამდენიმე სხდომაზე მსჯელობის შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ უნდა იხმარებოდეს:

1) ეკონომიკური, — თუ ეს უელსართავი სახელი ნაწარმოებია სახელისაგან ეკონომიკა (ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური პროცესები, ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური გამოკვლევა...) და ეკონომიური, — თუ ეს უელსართავი ნაწარმოებია სახელისაგან

კლანსმბა (ეკონომიური მეთოდი, ეკონომიური მანქანა, ეკონომიური მასალები...);

2) კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია დაეშვა ხმარება პარალელური ტერმინებისა აღწარმოება და კვლავწარმოება, რომლებიც რუსული воспроизводство-სა და ევროპული რეპროდუქციის კალკებია, ოღონდ უპირატესობა მიეცა კვლავწარმოებას მისგან 'ხმნურ ყორმათა წარმოებისას საწარმოებულ ფუქედ მხოლოდ 'ხმნური ფუქე (წარმოება) იქნა გამოსაყენებლად რეკომენდებული, კვლავ ელემენტი კი მიღებულ ფორმას წინ უნდა დაერთოს და დეფინით გამოიყოს: კვლავ-აწარმოებას (და არა აკვლავწარმოებას), კვლავ-აწარმოება, კვლავ-წარმოებული, კვლავ-საწარმოებელი და ა.შ.;

3) დადგინდა 'სოფი სხვა ტერმინი(ვ): Производительные силы — საწარმოო ძალები; Домашнее производство — საშინაო წარმოება, домашняя промышленность — საშინაო მრეწველობა, семейное производство — საოჯახო წარმოება და სხვ.; Кустарь — შინამრეწველი, кустарная промышленность — შინამრეწველობა.

სალიტერატურო ენის ძირითადი სადავო ფორმების მოგვარებაში, ნორმების დადგენაში და დამტკიცებაში დიდად შეუწყო ხელი ვარლამ თოფურიას და ივანე გიგინეიშვილის მიერ „ქართული ენის ორთოგრაფიული დექსიკონის“ დამუშავებასა და გამოცემას (რედაქტორი ვ. თოფურია, 1968 წ. 024+1094 გვ.). ეს პირველი ვრცელი ორთოგრაფიული დექსიკონია ქართული ენისა. მანამდე სამჯერ (1941, 1946 და 1949 წ.წ.) გამოიცა იმავე ავტორთა მიერ შედგენილი სასკოლო ორთოგრაფიული დექსიკონი.

ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, მოეწყო ორთოგრაფიული დექსიკონის განხილვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები, მეცნიერები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პედაგოგები...

ვინაიდან ესოდენ ფართოდ გამოსაყენებელი დექსიკონი შედარებით მცირე ტირაჟით იყო გამოცემული, კომისიამ საჭიროდ მიიჩნია მისი მეორედ გამოცემა (რაც მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ — 1998 წელს — განხორციელდა).

ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის სისტემატური მუშაობის შედეგად მრავალი ნორმა იქნა დადგენილი და სავალდებულოდ გამოცხადებული. ასე რომ, აუცილებელი გახდა მათი ნაწილ-ნაწილ მაინც გამოქვეყნება, რომ მთლიანი კრებულის გამოსვლაძე მიღებული ნორმები ხელმისაწვდომი გამხდარიყო ყველასათვის. ჯერ კიდევ 1965 წ. კმ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მიხისტრთა საბჭოს დადგენილებით (1965, 26 ივნისი, № 399) ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაევადა პერიოდულად განაკეთების სახით

გამოსაცემად მოემზადებინა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მსახურები წელიწადში ოცი პირობითი თაბახის რაოდენობით, მისი გამოცემა კი დაეკისრა მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს. მაგრამ 1966 წ. 15 მარტის დადგენილებით (№ 162) ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და მეცნიერებათა აკადემიას დაუვალა ნორმათა კრებულის გამოცემა ერთ წიგნად.

1970 წ. გამოქვეყნდა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, კრებული პირველი (რედაქტორი ივ. გიგინეიშვილი, XV+301 გვ.), რომელშიც შეტანილი ნორმები განხილული და დამტკიცებულია საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ.

ჯერ 1968 წელს გამოცემულ „ქართული ენის ორთოგრაფიულ დუქსიონს“, ხოლო შემდეგ — 1970 წელს გამოქვეყნებულ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ კრებულს დამატების სახით ერთვის ადამიანთა საკუთარი სახელგების სარეკომენდაციო სია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ (თამაჯღამარე ისიდორე დოლიძე, წევრები: ი. აბულაძე, ნ. ბერძენიშვილი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ქ. ლომთათიძე, ა. შანიძე, არნ. ნიქობაგა, გ. წერეთელი).

განმარტებითი წერილი „ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სიის შედგენილობის შესახებ“ დაწერილია ივ. გიგინეიშვილის მიერ⁴⁵⁶.

კომისიის ხელშეწყობით დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტყველების კულტურის განყოფილების კრებულის „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ გამოსვლა. პირველი წიგნი გამოვიდა 1972 წელს. დღემდე გამოსულია თერთმეტი წიგნი: I-V წიგნები ივანე გიგინეიშვილის რედაქტორობით (II — 1979, III — 1980, IV — 1981, V — 1983), ხოლო VI-XI წიგნები — შუქია აფრიდონიძის რედაქტორობით (VI — 1984, VII — 1985, VIII — 1988, IX — 1989, X — 1993, XI — 1998). კრებულებში იბეჭდება წერილები სალიტერატურო ენის სხვადასხვა სფეროდან: მართლწერა, სიტყვაწარმოება, სახელის ბრუნებასა და სმნის უღვლილებასთან, ასევე სიტყვათა შეწყობასთან დაკავშირებული საკითხები, უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების ქართულად გადმოცემის წე-

⁴⁵⁶ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული პირველი, თბ., 1970, გვ. X.

სების შესახებ და სხვ. აქვეა მოთავსებული მიმოხილვები უკრნაღ-
გასეთების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელ-
მძღვანელოთა, აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურის ენის სიწმინ-
დის საკითხებზე და ა. შ.

„კრებულ“ში გამოქვეყნებული წერილები სალიტერატურო ენის
ნორმებს შეეხება. ამ წერილებში გათვალისწინებულია საკითხის
ისტორია, გამოკვლეულია თანამედროვე სალიტერატურო ენაში არ-
სებული ვითარება და ნახევრებია მოვლენის განვითარების ტენდენ-
ცია. ზოგი საკითხის შესახებ, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა
არსებობდეს, ეს საკითხთა შემდგომს განხილვას გულისხმობს.
ამის შესწავლად დაეძგება ეს მასალა საფუძვლად ნორმათა პროექტებს,
რომლებიც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენის ნორმათა
დამდგენ კომისიას წარუდგინება⁴⁵⁷, — ასე განმარტავს კრებულის
მოსაწინააღმდეგობასა და მნიშვნელობას რედაქტორი პირველი
წიგნის წინასიტყვაობაში.

კომისია დიდ დახმარებასა და საერთო ხელმძღვანელობას
უწევდა ადამიანის საკუთარ სახელთა და გეოგრაფიულ სახელთა
ორთოგრაფიული ლექსიკონების გამოსაცემად მომზადებას.

ქართული (საბჭოთა) ენციკლოპედიის (ქსე) გამოცემასთან
დაკავშირებით აუცილებელი და მეტად საშური გახდა უცხოურ
პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ქართულად გადმოცემის წესე-
ბის შემუშავება და სათანადო ორთოგრაფიული ცნობარების გამო-
ცემა. ამ საკითხის გამო ჯერ კიდევ 1966 წლის 15 მარტს იქნა მი-
ღებული დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და კ.პ.ბ) (კ.პ.ს. მიერ. 1970 წ. 25 მაისს მინისტრთა საბჭომ განიხი-
ლა ამ დადგენილების შესრულების საკითხი და მიიღო დადგენი-
ლება (№ 298), რომლის მიხედვითაც ქსე-ს სათანადო ლიტერატუ-
რული კონტროლის რედაქციას დაეუფლა მოემზადებინა და ენათ-
მეცნიერების ინსტიტუტისათვის გადაეცა ლექსიკონებისათვის საჭი-
რო მასალა (ენციკლოპედიის სიტყვიანის ფარგლებში), ხოლო ენათ-
მეცნიერების ინსტიტუტს — განეხილა ეს მასალა და 1971 წლის
ბოლოსათვის გამოსაცემად მოემზადებინა ლექსიკონი.

ქსე-ს რედაქციაში სატრანსკრიფციო ჯგუფისა (ხელმძღვანელი
კონა გიგინეშვილი, მისი გარდაცვალების შემდეგ — ივ. გიგინეშ-
ვილი) და სხვადასხვა უცხო ენის, აგრეთვე სხვადასხვა დარგის
სპეციალისტთა ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა უცხოურ
საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემის წესები, რომელთა პირ-
ველი პროექტი — ბერძნული და რომაული პირთა და გეოგრაფიუ-
ლი სახელების ქართულად გადმოტანის წესები — ნორმების

⁴⁵⁷ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, 1972, გვ. 6.

დამდგენის სახელმწიფო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა 1975 წ. 23 მარტის სხდომაზე. მოგვიანებით (1987) კომისიამ დაამტკიცა აგრეთვე ჯერ საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების, შემდგომ კი (1996 წ.) უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემის წესები, რომლებიც შეევა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მეორე კრებულში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული ენციკლოპედიის თანამშრომლობის შედეგად და კომისიის დიდი ხელისშეწყობით წლების მანძილზე მომზადდა და 1980-იან წლებში გამოიცა ხუთი ორთოგრაფიული ლექსიკონი:

1. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (შეადგინა კონა გიგინეიშვილმა; რედაქტორები — ი. გიგინეიშვილი, ა.კ. ურუშაძე, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1985;

2. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორები: ვ. აფხაზაია, ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1987;

3. საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორები: შ. აფრიდონიძე, თ. ზურაბიშვილი), თბ., 1987;

4. საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორები: ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1989;

5. უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორები: ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი), თბ., 1989.

ამ დიდ სამუშაოში ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

აღნიშნულ დიდ სამუშაოებთან ერთად, კომისია თავის გადაწყვეტებულ ამოცანად მიიხსენება დადგენილ ნორმათა პოპულარიზაციას, მათს დანერგვასა და დაცვას. საქართველოს კ(პ) (კენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1966 წლის 15 მარტს მიიღეს დადგენილება (№ 162): „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმათა დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“. ამ ერთობლივი დადგენილების შესრულებას მუდმივი კონტროლი ეწეოდა. 1970 წ. 21 მაისს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, რომელიც სემიადანიშნული საკითხის შესრულებას ისახავდა მიზნად, გადაწყვიდა: ამ დადგენილების შესაბამისად, სისტემატურად შეისწავლებოდეს (კენტრალური და რაიონული გასეთების ენა მათში სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით.

ამ მიზნით ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლებმა შეისწავლეს უახლოესი ხუთი წლის ჟურნალ-

გა'ხეთების ენა. გამოირკვა, რომ ქართულ პრესაში ბევრი რამ გა-
მისწორდა და მართებული ფორმები იხმარება, მაგრამ მაინც არის
სერიოზული სარვესები, შეცდომები, უზუსტობანი, დარღვევები.
მთლიანად გა'ხეთების ენის მიმოხილვას მიესდენა განყოფილების
კრებულის „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მესამე
წიგნი (1980 წ.).

პრესის ენის დახვეწა-გაუმჯობესებისა და ნორმათა დაცვის
ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს ქურნალისტთა კავშირთან
შექმნა ენისა და სტილის კომისია. ამ კომისიის ენათმეცნიერმა
წევრებმა (ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების
თანამშრომლებმა) საგანგებოდ შეისწავლეს უკანასკნელი წლების
ქურნალისტების ენა, მონაწილეობა მიიღეს ბიჭვინთაში მოწყობილ
თათბირ-სემინარის მუშაობაში (წარმოადგინეს რაიონული გა'ხეთ-
ების ენისა და სტილის ანალიზი, მიმოხილვა); მათვე წაუკითხეს
ლექციები საქართველოს სსრ კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არ-
სებულ კვლითმკვლევით ახამაღლებულ კურსებზე მოვლინებულ
ქურნალისტებს.

უნიციტრობიანი ნორმების პოპულარიზაციისა და დანერგვის
მიზნით ცენტრალურ პრესაში შემოღებულ იქნა რეზრიკა „ქართუ-
ლი სალიტერატურო ენის საკითხები“, გა.ს. „თბილისში“ — „ვინ
ამახინჯებს ქართულ ენას?“. პრესაში იბეჭდებოდა სტატიები ქარ-
თულ სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის შესახებ. 1983 წელს
ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტყველების კულტურის გან-
ყოფილება მონაწილეობას იღებდა გა.ს. „კომუნისტის“ სარედაქციო
თათბირებში, რომლებზედაც იმართებოდა სპეციალური მსჯელობა
სალიტერატურო ენის სიწმინდისა და ნორმალიზაციის საკითხებზე.

ქურნალისტების გარეშე არ დარჩენილა დარღვევები რადიოსა და
ტელევიზიაში. 1979 წლის იენისიდან მოყოლებული, რეგულარუ-
ლად ტარდებოდა რადიოსაუბრების სერია „ქართული სალიტერა-
ტურო ენის სიწმინდისათვის“, რომელსაც უძღვებოდა ივ. გიგინეიშ-
ვილი. გადაცემაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: არნ. ნიქობაევა,
ქ. ლომთათიძე, ივ. გიგინეიშვილი, ქართული მეტყველების კულტუ-
რის განყოფილების თანამშრომლები (ეს სერია გრძელდებოდა
თითქმის ხუთი წლის განმავლობაში). მათივე ძალებით მომზადდა
და გადაიცა ვრცელი ტელესაუბარი სალიტერატურო ქართულის
ნორმალიზაციის საკითხების შესახებ.

1980-იან წლებში საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტე-
ლევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თხოვნით ამავე განყოფილების
თანამშრომლებმა დაამუშავეს ორი წლის განმავლობაში რადიოთი
და ტელევიზიით გადაცემული ტექსტობრივი მასალა და მისი
ენობრივი ანალიზი შემაჯამებელი მოხსენების სახით წარმოად-

გინეს კომიტეტის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე. ამავე ხანებში სატელევიზიო პროგრამა „მოამბე“ შემოიღო რუბრიკა „ენა დედაა კრისა“, რომელსაც უძღვებოდა ღ. ლენჯილია.

მასწავლებლებში სალიტერატურო ენის ცოდნის ფართო პროპაგანდის მიზნით ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად მასწავლებელთა სახლში დაარსდა „ენისა და ლიტერატურის უნივერსიტეტი“, რომელშიც სისტემატურად იკითხებოდა ლექციები ქართული სალიტერატურო ენის, მისი ნორმალიზაციისა და ენის სიწმინდის საკითხებზე. უფრო მოგვიანებით, 1970–80-იანი წლების მანძილზე ამავე სამუშაოს ეწეოდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები საზოგადოება „ცოდნის“ სახით.

ეურადლება მიექცა დაწესებულებებისა და მდასიების ფირნიშებს, თეატრისა და კინოს აფიშებს, განცხადებებს, იარაღებს. გამოყენილი საქონლის წარწერებისა და მისთ. ტექსტებს. დიდი ეურადლება ექცეოდა სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრების ქართულენოვან გამოცემათა ტექსტების ენის სრულყოფას.

კომპარტიის კალინინის რაიკომის ინიციატივით შეიქმნა სალიტერატურო ენის ნორმათა დანერგვის სახელმძღვანელო კომისია, რომელიც კონტროლს უწევდა ნორმების დაცვასა და დანერგვას რაიონის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულება-ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია 1981 წლის 16 იანვრისათვის ასეთი შემაჯგენლობისაა:

ს. პატარიძე (თამაჯდომარე) — მინისტრთა საბჭოს თამაჯდომარე;

ბ. ენუქიძე (მოადგილე) — კპ(ბ) ცკ-ის მდივანი;

ვ. სირაძე (მოადგილე) — მინისტრთა საბჭოს თავრის მოადგილე;

ო. ნერქეხია (მოადგილე) — მინისტრთა საბჭოს თავრის მოადგილე;

გრ. აბაშიძე — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების კომიტეტის თამაჯდომარე;

ი. აბაშიძე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი;

ალ. ბარაშიძე — ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

ბ. ბედინეიშვილი — გა.ს. „კომუნისტის“ რედაქტორი;

ივ. გიგინეიშვილი (კომისიის მდივანი) — ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე;

რ. დვალი — აკადემიკოსი;

ნ. დუმბაძე — მწერალთა კავშირის თავმჯდომარე;

თ. ღაშქარაშვილი — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიონი;

ქ. ლომთათიძე — ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

კ. ლორთქიფანიძე — აღმანახ „განთიადის“ რედაქტორი;

ე. მადრაძე — საქ. სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავ-რე;

ი. ქავთარაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე;

ო. ქინქლაძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი;

ა. შანიძე — აკადემიკოსი;

არნ. ნიქობაძე — აკადემიკოსი;

დ. ნხიკვიციანი — საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო განათლების მინისტრი, მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

შ. ძიძიგური — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

ე. ხარაძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

ბ. ჯიბლაძე — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1981 წ. 16 თანერის სხდომაზე კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პროექტები და მიიღო ნორმები შემდეგ საკითხებზე:

— მოცემითი და სახელობითი ბრუნვების გაქვეყნებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას;

— სახლერული სახელის რიცხვი რამდენიმე მსახლერულთან;

— სადაერობის სახელთა წარმოება -ელ და -ის დაბოლოებიან გეოგრაფიულ სახელთაგან;

— აკადემიკოსობის და მეცნიერაცხილვის ტიპის 'სმნათა პირველი პირის ფორმათა მართლწერა;

— კავსატივის ფორმათა მართლწერა.

იმავე სხდომაზე კომისიამ მოისმინა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამგის რ. ღაშქარაშვილის მოხსენება თემაზე: „ტერმინოლოგიური მუშაობა ჩვენში და მისი გაუმჯობესების გზები“. იმავე წლის 8 აპრილის სხდომაზე კი დამტკიცდა შემდეგი პროექტები: 1. სახლერულის რიცხვი გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსახლერულთან; 2. ნა — ელ და ნა აფიქსებით სიტყვათა წარმოებასთან დაკავშირებული 'სოვი საკითხი.

ანალოგიური საკითხები განიხილებოდა როგორც წინა, ისე მომდევნო წლებში ნატარებულ სხდომებზედაც⁴⁵⁸.

მეცნიერული გამოკვლევები ამ საკითხთა შესახებ წინასწარ ქვეყნდებოდა კრებულში „ქართული ლიტერატურის საკითხები“.

1982 წლის კვარტალურ გეგმას, რომელიც, ცხადია, შედგენილი იყო 1981 წლის ბოლომდე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე აწერდა ხელს. გეგმა ვარაუდობდა კვლავაც სადავო საკითხების მოძიებას, პროექტების შემუშავებასა და დამტკიცებას. ამის პარალელურად კომისიამ წინ წამოსწია მიღებულ ნორმათა გაპრეკვალებისა და დანერგვის პრობლემები, საამისოდ საჭიროდ იქნა მისიველი პოლიტიკური და სამეცნიერო ლიტერატურის ენის შესწავლა ნორმათა დაცვის თვალსაზრისით და სათანადო რეკომენდაციების მომზადება; ასევე რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული სათანადო შემოსწავლებები; ეურნალ-გაზეთების რედაქტორთა და ლიტერატურულ მუშაკთა, გამომცემლობების ხელმძღვანელების, საქინფორმისა და სხვა ანალოგიური დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაკთა თათბირზე სალიტერატურო ენის უნიფიცირებულ ნორმათა განხილვა და ა.შ.

1982 წ. 8 ივლისის № 496 დადგენილებით დამტკიცდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის ახალი შემადგენლობა: დირექტორი ქართველიშვილი (თავმჯდომარე), გურამ ენუქიძე (მთავადგილე), ვიქტორია სირაძე (მთავადგილე), თათარ ნერქეხია (მთავადგილე), ქეთევან ღოთთათიძე (პასუხისმგებელი მდივანი), წევრები: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, შუქია აფრიდონიძე, სურაბ ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ბედინეიშვილი, რაფიელ დვალისი, ნოდარ დუმბაძე, თამარ ლაშქარაშვილი, კონსტანტინე ღორთქიფანიძე, ელგუჯა მადრაძე, ვაჟა ოკუჯაია, ივანე ქეთარაძე, თათარ ქინქლაძე, როგნე და ღამბაშიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ნიქობაია, დავით ნსიკეიშვილი, შოთა ძიძიგური, მიხეილ ჭაბაშვილი, სურაბ ჭუმბურიძე, ემბუნი ხარაძე, გიორგი ჯიბლაძე.

აგრძელებდა რა თავის ძირითად საქმიანობას, კომისიამ თავის სხდომებზე განიხილა და ნორმებად დაამტკიცა შემდეგი პროექტები:

⁴⁵⁸ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შედეგები და უახლესი ამოცანები, თბილისი, 1981 წ.

— მრავლობით რიცხვში ხმარებული სოგი არსებითი სახელის შესახებ (ხათვალე თუ ხათვალეებ?);

— -აჟი(ა) სუფიქსის შემცველი რუსული სახელების ქართულად გადმოცემისათვის;

— სიტყვათშეხამების დარღვევათა ლექსიკონის აგების პრინციპები;

— არაერთგვარ მსახლერელთა რიგი შესიტყვებაში (დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებებში);

— გერმანული ch და მისი გადმოცემა ქართულში;

— თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ხმარებისათვის;

— -ზე და -ში თანდებულთა მონაცვლეუბისათვის;

— მიმდებარე კონსტრუქციის ხმარებასთან დაკავშირებულ სოგი საკითხი;

— სოგი კავშირის სწორი ხმარებისათვის;

— მამის სახელით მიმართვის შესახებ;

— დანართის ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები;

— რთული შედგენილობის გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობის შესახებ.

1984წ. 4 აპრილის სხდომაზე კომისიამ დაადგინა, რომ ნორმათა პროექტები და კომისიის გადაწვეტილებები თუ სხვა მასალები 1970 წლიდან დღემდე თანდათანობით გამოქვეყნებულიყო ბიულეტენების სახით, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედებოდა ნორმების მეორე კრებულს. ამით ფართო საზოგადოებისათვის ნორმათა ახალი კრებულის გამოსვლამდე ხელმისაწვდომი გახდებოდა 1970 წლის შემდეგ დაშტოვებული ნორმები.

კომისიის ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა 1984 წ. 31 აგვისტოს. ბიულეტენების შედგენისა და რედაქტირებისათვის შეიქმნა ხარუდაქციო კოლეჯია: ზ. ახვლედიანი (რედაქტორი), ქ. ლომთათიძე, შ. აფრიდონიძე, შ. ხალარაძე, მ. ტონია (პასუხისმგებელი მდივანი).

ამ დადგენილების საფუძველზე 1985 წელს გამოქვეყნდა პირველი ორი ნაკვეთი (რედ. ზ. ახვლედიანი), 1987 წელს კი — მესამე ნაკვეთი⁴⁵⁹ (რედაქტორი ს. რიგვაეა), რომლებშიც შემოკლებითაა წარმოდგენილი. რამდენიმე პროექტი.

№№ 1-2 ბიულეტენში შესული ნორმების პროექტები მოამზადეს:

⁴⁵⁹ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №№ 1-2. თბ., 1985; ბიულეტენი № 3. თბ., 1987.

თვ. გვიგინეიშვილმა — ეკონომიკის 'სოციერთი ტერმინის შესახებ;

სახალხო დემუკრატთა საბჭო (საბჭოები) თუ სახალხო დემუკრატების საბჭო (საბჭოები);

თ. სურაბიშვილმა — მავრ(ვობი ა-ს ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში;

მიცემითისა და სახელობითის გაქვეყნებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას;

ლ. ლუკაძემ — სადაურობის სახელთა წარმოება -ჟ და -ძს სუფიქსების შემცველ გეოგრაფიულ სახელთაგან;

არაერთგვარ მსახდერელთა რიგი შესიტყვებაში (დაწესებულუბათა და ორგანიზაციათა სახელწოდებებში);

მ. აფრიდონიძემ — თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ხმარებისათვის;

გ. კალანდაძემ — ავადმკლფობს და შეუკრაცხელფს ტიპის 'ხმნათა ფორმის მართლწერისათვის;

თ. ლვინაძემ — კაუსატივის ფორმათა მართლწერისათვის;

ლ. კაიშაურმა — გერმანული ch და მისი გადმოცემა ქართულში.

№ 3 ბიულეტენში შესული ნორმების პროექტები მთაშადეს:

მ. აფრიდონიძემ — სიტყვის გადატანის წესები;

რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა;

გ. კალანდაძემ — თვებს — გებულობს ტიპის 'ხმნებში'; თანდებულთა ხმარების საკითხები (-ხე და -ში თანდებულთა მონაცემუობის მიხედვით);

თ. სურაბიშვილმა — ნა—ეჟ და ნა- აფიქსებით სიტყვათა წარმოებასთან დაკავშირებული 'სოციერთი საკითხი;

ტ. კალაძემ — სა'დერელის რიცხვი გაურკვეველი ხიმრავლის აღმნიშენელ მსახდერელთან;

ლ. ლუკაძემ — კავშირთა ხმარების საკითხები (1. არა მარტო — არამედ ... -ც, არა მხოლოდ — არამედ ... -ც).

რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების თაობაზე მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილების⁴⁶⁰ განსახორციელებლად კომისიამ

⁴⁶⁰ საქ. კ(ბ) (კ.ჩხია და მინისტრთა საბჭოს 1983 წ. 27. IX-ის № 661 დადგენილება 'ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ რესპუბლიკის სასწავლებლებში'.

საგანგებო ეურადლება დაუთმო სახელმძღვანელოების ენას. სახელმძღვანელოთა უმეტესი ნაწილი თარგმნილი იყო სხვა სისტემის ენიდან, რამაც განაპირობა გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომებისა და უზუსტობების, ქართულისათვის არაბუნებრივი კონსტრუქციების, მოუღებელი კალკების, სემანტიკურად შეუხამებული შესიტყვეებისა და მისთ. სიუხვე სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომლები 1975—1979 წლებში და შემდგომაც ინტენსიურად მუშაობდნენ სახელმძღვანელოთა ენის შესასწავლად და დასახვეწად. მათ მიერ შესრულებული ენობრივი მისიხილებების ერთი ნაწილი გაეგზავნა განათლების სამინისტროს (მისივე თხოვნით), რომელმაც მოიწონა ეს მასალა და გადაუგზავნა გამომცემლობა „განათლებას“, რის საფუძველზედაც სოფი სახელმძღვანელოს მომდევნო გამოცემები სათანადოდ გასწორდა⁴⁶¹.

მეცნიერებათა აკადემიის სოფი ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ახალგაზრდა სპეციალისტებისაგან შედგა „ახალგაზრდა მეცნიერთა სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო“, რამდენიმე დარგის (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის...) სახელმძღვანელოს გაუკეთდა საფუძვლიანი რედაქცია და შემდეგ წელს ამგვარად რედაქტირებული წიგნები დაიბეჭდა. რამდენიმე საგნის (მათემატიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის) სახელმძღვანელოთა ენობრივი ანალიზი გამოქვეყნდა „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ V წიგნში და ფართო სასოგადოების დადებითი შეფასება დაიმსახურა.

უკრნაღმა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ მთავროდისკუსია-თათბირი, რომელიც სახელმძღვანელოთა ენისა და სტილის საკითხებს მიესძენა. საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ სპეციალისტ-ენათმეცნიერის რეკვენსიის გარეშე სახელმძღვანელო წარმოებას არ გადასცემოდა.

კომისიის სხდომამ დადებითად შეაფასა მეტყველების კულტურის განყოფილების თანამშრომელთა სამეცნიერო-თეორიული და პრაქტიკული მუშაობა, რის საფუძველზედაც განათლების სამინისტროსა და გამომცემლობა „განათლებას“, აგრეთვე „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს“ დააველა უახლოეს ხანებში გადამწვევები სომების მიღება სახელმძღვანელოთა ენისა და სტილის გასაუმ-

⁴⁶¹ ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. მ. ვ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუღმივი სახელმწიფო კომისიის მუშაობის ანგარიში.

ჯობესებდად: უკვე გამოსული სახელმძღვანელოების საჯარო განხილვის მოწეობა; ავტორთა და მთარგმნელთა შერჩევის, აგრეთვე რედაქტირებისა და რეცენზირების პროცესების სრულყოფა-დახვეწა; აუცილებლად იქნა მიხნეული სპეციალისტ-ენათმეცნიერის მოწვევა; ქართული ენისა და ამა თუ იმ საგნის სპეციალისტის ერთობლივი მუშაობის პრაქტიკისათვის რეგულარული ხასიათის მინიჭება; მუშაობის გაუმჯობესების მასტიმულირებელი პირობების შექმნა (ჯილდო საუკეთესო სახელმძღვანელოსათვის, საუკეთესო თარგმანისათვის და ა.შ.). ენათმეცნიერების ინსტიტუტს კი დაეველა მუშაობის გაგრძელება სასკოლო სახელმძღვანელოებში ენობრივ დარღვევათა გამოსაგულუნად; აქტიური მონაწილეობის მიღება სახელმძღვანელოთა რედაქტირებისა და რეცენზირების პროცესში, აგრეთვე საჯარო განხილვაში.

კომისიამ თავის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სიტყვათხმარების ლექსიკონის საკითხს: ჯერ სხდომაზე (1983 წ. 4. IV) განიხილა და დაამტკიცა ლექსიკონის აგების პრინციპები, შემდეგ კი მოისმინა შ. აფრიდონიძის მოხსენება უკვე მომზადებული ლექსიკონის შესახებ, რის საფუძველზედაც მოიწონა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მუშაობა და დაადგინა:

1. მოზანშეწონილად იქნეს მიხნეული მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით ლექსიკონის ახალი, შეესებულებული გამოცემის მოსამზადებლად; 2. დაეველოს გამოსცემლობა „მეცნიერებას“ უზრუნველყოს ლექსიკონის შეუფერხებელი და ტექნიკურად სრულყოფილი გამოცემა.

ქართულ ენაზე პირველად შექმნილ ამ ორიგინალურ, მეტად საინტერესო და საჭირო ლექსიკონს (სათაურით „სიტყვა და კონტექსტი“) მთლიანად დაეთმო კრებულ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ VII წიგნი (1985 წ.). ამ ლექსიკონმა საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება პოვა, პრესაში გამოქვეყნდა არაერთი დადებითი რეცენზია, რომლებშიც ლექსიკონი სამაგიდო წიგნად იქნა მიხნეული.

1985 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს № 681 დადგენილებით დამტკიცდა მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მეუღლივი სახელმწიფო კომისიის ახალი (34-კაციანი) შემადგენლობა: დ. ქართველიშვილი (თავმჯდომარე), გ. ენუქიძე (მოადგილე), ვ. სირაძე (მოადგილე), ო. ჩერქეზია (მოადგილე), ქ. ლომთათიძე (პრეზ. მდივანი), გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, ნ. ამადლობედი, შ. აფრიდონიძე, ს. ახვლედიანი, ელ. ბაბუნაშვილი, ალ. ბარამიძე, ვ. ბაქრაძე, გ. ბეღინიშვილი, ალ. კობახიძე, თ. ლაშქარაშვილი.

ლი, კ. ლორთქიფანიძე, გ. მირიანაშვილი, შ. ნიშნაიანი, ირ. ყაღა-
ვა, ო. ქინქლაძე, რ. ღამბაშიძე, ა. ძიძიგური, შ. ძიძიგური, გ. ციციშ-
ვილი, ა. შანიძე, არნ. ნიქოზაია, დ. ჩხიკვიშვილი, ზ. წილოსანი,
მ. ჭაბაშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ვ. ხარაძე, გ. ჯიბლაძე, ბ. ჯორბენაძე.

ვინაიდან ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა არსებული
კრებულები, გამოცემული 1970 წელს, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვია-
თობად იქცა, მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე
ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მოამზადა და 1986 წელს გამოცემი-
ლობა „მეცნიერებამ“ ხელახლა (ფოტოტიპირულად) გამოსცა „თანა-
მედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებული.
წიგნის ანოტაციაში ეკითხულობთ: „წინამდებარე კრებული
წარმოადგენს 1970 წელს გამოცემული „თანამედროვე ქართული
სალიტერატურო ენის ნორმების“ ფოტოტიპირულ გამოცემას. იგი
იბეჭდება საქართველოს სსრ სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებ-
ლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სადი-
რექციო ორგანოების მიერ მიღებული დადგენილების საფუძველ-
ზე“.

1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში დაწეებული ე.წ.
გარდაქმნების პერიოდში, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა
დამდგენი მეცნიერი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეობა
მოუხდა იმჟამინდელ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნოდარ
ჭითაიას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წ. 7 მარტის
სხდომის დადგენილებით (№ 92) მინისტრთა საბჭოსთან არსებული
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი
მეცნიერი სახელმწიფო კომისია გარდაქმნა საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ქართული სალიტერატურო ენის
მეცნიერ კომისიად.

აღნიშნა რა, რომ „ქართული სალიტერატურო ენის მეცნიერება
სახელმწიფო კომისიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქართული
სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენისა და საყოველთაოდ და-
ნერგვის უზრუნველსაყოფად“, სხდომამ კომისიის მუშაობის გარ-
დაქმნის აუცილებლობა ასე დაასაბუთა:

„ახალი პროგრამების შესაბამისად საქმიანობის წარმართვა
აუცილებელია ქვეყნად დემოკრატიზაციის პროცესისა და საჯარო-
ობის შემდგომი განვითარების, გარდაქმნის თანამედროვე ვითარე-
ბის გათვალისწინებით. ქართული სალიტერატურო ენის განვითარ-
ებისათვის სრულყოფილი საერთო-სახალხო საქმე უნდა გახდეს, საჭი-
როა გაძლიერდეს კონტროლი ქართული სალიტერატურო ენის
ნორმათა დასამკვიდრებლად, ფართო სასოციალიზაციო განხილვის
საკითხად იქცეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის

სათანადო დონეზე სწავლება ეყვლა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში“. ეს გარდაქმნა საბიროდ იქნა მიხნეული აგრეთვე „ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების განსამტკიცებლად, მისი საყოველთაოდ დანერგვის, მოვლა-პატრონობის, შემდგომი განვითარებისა და მეცნიერული შესწავლის უზრუნველსაყოფად“⁴⁶².

ამ რეორგანიზაციის შედეგად ქართული სალიტერატურო ენის მუდმივ სახელმწიფო კომისიაში ორი ქვეკომისია ჩამოყალიბდა:

1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ქვეკომისია;

2. ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი ქვეკომისია.

მეორე ქვეკომისიაში თავის მხრივ შეიქმნა ორი საბჭო: ა) კომპიუტერიზაციისა და ბ) სახელამხედველო.

ამ ოთხი დანაყოფის ფუნქცია-მოვალეობები ასე განაწილდა:

1. სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ქვეკომისია, უნდა განეხილა და დაედგინა საველდებულო ხმარების ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სახეობები (ე. ი. ნორმები);

2. ყოველმხრივ უნდა უზრუნველყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილი საგანძურის სრულად გამოსაყენებლად, რათა ეს ენა ყოფილიყო მონოლითური, ხალხური და ჯეროვნად მომსახურებოდა სახელმწიფოებრივი და სა'სოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

ამ ქვეკომისიის სამუშაო ბა'ზა კვლავაც რჩებოდა არნ. ნიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეცნიერებების კულტურის განყოფილება. მის მიერ შემუშავებული ნორმის პროექტი უნდა განეხილა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, მოწინავე პროექტი აპრობაციისათვის უნდა წარდგენილიყო ნორმათა დამდგენ ქვეკომისიას, რის შემდეგაც მას ამტკიცებდა ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი კომისია.

მეორე, ე. ი. სალიტერატურო ენის ფუნქციების მაკონტროლებელი ქვეკომისია კონტროლს უწევს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას და მისი დარღვევის შემთხვევაში იღებს ქმედით ღონისძიებებს. ქვეკომისია აგრეთვე უზრუნველყოფს ქართული ენის გამოყენების სახელმწიფოებრივი და სა'სოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ფუნქციების მაკონტროლებელი ქვეკომისიის შემადგენლობაში შემავალი ორი საბჭოდან პირველს, ე. ი. კომპიუტერიზაციის საბჭოს

⁴⁶² საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს 1990 წ. 7 მარტის დადგენილება № 92.

ეკვლეობდა განეხორციელებინა ქმედითი ღონისძიებანი ქართული შრიფტით აღჭურვილი კომპიუტერებით ეველა ხასწავლო დაწკებულებების უახლოეს ხანში (5-7 წელიწადში) უზრუნველსაყოფად. მუორეს, ეი. სახსეადმხედელო საბჭოს კი ეკვლეობდა რესპუბლიკაში ქართული ენის ფუნქციონირების გაკონტროლება, სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევების, პასუხების გაცემა ქართული სალიტერატურო ენით დაინტერესებულ ეველა ორგანიზაციასა თუ მოქალაქისათვის; მეთოდური ხელმძღვანელობა და საკონსულტაციო დახმარების გაწევა რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა, საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან არსებული ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის სახედამსუდელო და საკონსულტაციო კომისიებისათვის.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის, შემდგომ კი ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის ახალი სტრუქტურა მიიღო მინისტრთა საბჭოს სხდომამ 1990 წლის 7 მარტს (დადგენილება № 92).

უთუოდ კომისიის მოვალეობათა ასეთ დიფერენცირება-დებალიზაციას უნდა გამოეწვია კომისიის მრავალრიცხოვნობაც: იმავე 1990 წლის 7 მარტის № 92 დადგენილებით დამტკიცებულ სიაში კომისიის 48 წევრია ყიქხირებული. კომისიის, ქვეკომისიებისა და საბჭოების ხელმძღვანელობა დაეველათ შემდეგ პირებს:

ნოდარ ჭითანავე — კომისიის თავმჯდომარე;

ეაფა ღორთქიფანიძე — თავმჯდომარის მოადგილე;

შექია აფრიდონიძე — ნორმათა დამდგენი ქვეკომისიის თავმჯდომარე;

ბესარიონ ჯორბენაძე — სალიტერატურო ენის ფუნქციონირების მკონტროლებელი ქვეკომისიის თავმჯდომარე;

კარლო ბეხნიკაშვილი — კომისიის მდივანი.

* * *

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს (1991 წ.) დადგა საკითხი სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიის შექმნისა პრეზიდენტთან. ამ საქმის ორგანიზაცია დაეველა ენათმეცნიერებს — მზექალა შანიძესა და თეიმურაზ გვანცვლაძეს. მაგრამ კომისიის დაკომპლექტება ძალსე რთული აღმოჩნდა, რადგან მეტისმეტად ბევრი იყო მსურველი ამ კომისიაში მუშაობისა. როგორც შემადგენლობის, ისე სამუშაო გეგმის დასუსტება-დახევენას დიდი დრო დასჭირდა და ამ საქმის მოგვარე-

ბა ველარ მოსეწრო. ამას დაერთო ქვეყნის გართულებული სა'სო-გადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, რის გამოც ეს მუშაობა რამდენიმე წლით შეწყდა.

მხოლოდ 1994 წლის 21 ოქტომბერს განახლდა საორგანიზაციო მუშაობა. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირ. მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით შეიკრიბა სამუშაო ჯგუფი (ბ. კვარაცხელია, შ. აფრიდონიძე, გ. ბურჭულაძე, გ. გოგოლაშვილი, ლ. უზანეთიშვილი, ლ. ლვინჯილია).

გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა მომზადდეს სახელმწიფო მეთაურის განკარგულების პროექტი საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, მისი შემდგომი განვითარებისა და მეცნიერული შესწავლის შესახებ. ენათმეცნიერების ინსტიტუტს დაეკალა ერთი თვის ვადაში ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულების პროექტის წარდგენა მინისტრთა კაბინეტისათვის. წარმოდგენილ იქნა ორივე ქვეკომისიის დებულება და შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის რეორგანიზაციის შედეგად 1995 წლის 16 მაისს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის № 171 ბრძანებულებით შეიქმნა და ამჟამადც მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია (თავმჯდომარე — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე).

პირველი სხდომა ჩატარდა 1995 წლის 25 ოქტომბერს.

1996 წლის 5 ივლისის სხდომამ განიხილა, მოიწონა და დაამტკიცა:

1. ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიული დექლინაციის“ დებულების პრინციპები ახალი, შეესაბამებული გამოცემის მიხედვით;

2. უცხოური პირთა სახელ-გვარებისა და სასლავარგარეთის ქვეყნების გუგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემის წესები (ივ. გიგინეიშვილის, ალ. კობახიძისა და მ. ჭაბაშვილის პროექტის მიხედვით (ორივე საკითხი წარმოადგინა არნ. ნიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელმა, დოც. შ. აფრიდონიძემ).

სხდომამ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — არნ. ნიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

პროფ. გურა კვარაცხელია, პასუხისმგებელი მდივანი — ლამარა უჩანეიშვილი.

1997 წ. საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა — „სახელმწიფო ენის ფუნქციონირებისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის მაკონტროლებელი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო“. კომისიამ მხარი დაუჭირა წინადადებას — შეიქმნას საპედაგოგო სამსახური 15 კაცის შემადგენლობით, რომელიც მოაწესრიგებს და ორგანიზაციას გაუწევს სახელმწიფო ენის პრაქტიკული მოხმარებისა და მის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე რეკომენდაცია მიეცა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ლევან ღვინჯილიას, რომელიც სხდომაში დაამტკიცა.

1997 წლის 20 აპრილის № 209 ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16 მაისის № 171 და იმავე წლის 3 აგვისტოს № 298 ბრძანებულებები კომისიის შემადგენლობის შესახებ და დამტკიცდა როგორც კომისიის შემადგენლობის დებულება, ისე კომისიის წევრთა შემადგენლობა: ედ. შევარდნაძე — თავმჯდომარე, გ. კვარაცხელია — თავმჯდომარის მოადგილე, წევრები: ვ. აბაშიძე, ს. აღუქსიძე, ე. ამაშუკელი, ჭ. ამირეჯიბი, ა. არაბული, ე. ასათიანი, ა. აფაქიძე, შ. აფრიდონიძე, ე. ბაბუნაშვილი, ბ. ბრეგვაძე, თ. გამყრელიძე, ა. გერასიმოვი, მ. გიგინეიშვილი, ა. გოგელია, რ. გორდენიანი, შ. ზოიძე, ა. თავხელიძე, დ. იაკობიძე, კ. იმედაშვილი, ა. კალანდაძე, თ. კვაჭანტირაძე, ბ. კვიციანიძე, ა. კობახიძე, კ. კოკოვეი, ე. კორტეიშვილი, მ. ლებანიძე, ნ. ლუციშვილი, გ. ლომაძე, ქ. ლომთათიძე, ი. მამულაძე, ლ. მარშანია, .ი. მაჭავარიანი, გ. მერკვილაძე, ვ. მეტრეველი, რ. მეტრეველი, ო. მეღვინეთუხუცესი, თ. ნინიძე, შ. ნიშნანიძე, ვ. პაპავა, ე. რეხილაძე, ა. სანებლიძე, ა. საყვარელიძე, ა. სიხარულიძე, ლ. სტურუა, მ. უგრეხელიძე, თ. უთურგაიძე, ლ. უჩანეიშვილი, გ. ყანჯიკიძე, ნ. ყოფხიაძე, ლ. ღვინჯილია, მ. შანიძე, გ. შანიაშარი, ს. შენგელია, ბ. შოშიტაიშვილი, ჯ. ნარკვიანი, გ. ციციშვილი, თ. ჭილაძე, ა. ჭინჭარაული, ნ. ჯაფახიშვილი, ი. ჯიბურტი.

დამტკიცებულ დებულებაში კომისიის შემადგენლობის მიზანი ასეა განსაზღვრული:

— სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის შემუშავება, მისი გატარებისათვის რეკომენდაციების გაწევა;

— საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებისა და დაცვის ნორმატიული და სამეცნიერო ბაზის შექმნა;

— სახელმწიფო ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტის შედგენა და დამტკიცება, მისი მუდმივი კორექტირება;

— ქართული სალიტერატურო ენის შემუშავებულ ნორმათა დამტკიცება და პროპაგანდა ენობრივ პრაქტიკაში მათი დანერგვის მიზნით; ენის სიწმინდის დაცვისათვის მედმივე ზრუნვა ენის სახელმწიფო პალატასა თუ სხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

— სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის პროცესის წარმართვა;

— კომისიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულების — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ნიქობაგას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული (ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მეშვეობით) პროექტების განხილვა და (მოწონების შემთხვევაში) მათი დამტკიცება;

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მედმივე სახელმწიფო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება ხაველდებელოა.⁴⁶³

კომისია გამოსაცემად ამზადებს ბიულეტენებს, რომლებშიც ქვეყნდება კომისიის გადაწყვეტილებანი და მის მუშაობასთან დაკავშირებული სხვა მასალები;

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სისტემატურად ქვეყნდება ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, აგრეთვე კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“.

კომისიის მუშაობის რეჟიმი:

— კომისიის სხდომა მოიწვევა ორ თვეში ერთხელ; სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით; საგანგებო სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან სახელმწიფო პალატის წინადადებით;

— კომისიის სხდომების მომზადებასა და სხდომათა შორის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; კომისიის მუშაობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის კომისიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი მდივნის ერთი საშტატო ერთეული (სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურაში). მას კომისიის წარდგინებით ნიშნავს და ათავსუყვლებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე — სახელმწიფო კანცელარიის უფროსი.

⁴⁶³ კომისიის მუშაობის რეჟიმი:

— კომისიის სხდომა მოიწვევა ორ თვეში ერთხელ; სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით; საგანგებო სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის, მისი მოადგილის ან სახელმწიფო პალატის წინადადებით;

— კომისიის სხდომების მომზადებასა და სხდომათა შორის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; კომისიის მუშაობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის კომისიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი მდივნის ერთი საშტატო ერთეული (სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურაში). მას კომისიის წარდგინებით ნიშნავს და ათავსუყვლებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე — სახელმწიფო კანცელარიის უფროსი.

სიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი მდივნის ერთი საშტატო ერთეული (სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურაში). მას კომისიის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე — სახელმწიფო კანცელარიის უფროსი.

1998 წლის 4 მარტს სახელმწიფო კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს, მოიწონეს და დაამტკიცეს კიდევ არი ნორმის პროექტი (წარმოადგინა შ. აფრიდონიძემ):

1. ერთი სახის უცხო წარმოშობის უმნათა და ნაზუნარ სახელთა გადმოცემა ქართულში (ნ. აბესაძის პროექტის მიხედვით);

2. სამედიცინო ტერმინთა ორთოგრაფიული ლექსიკონის აგების წესები (შ. აფრიდონიძის პროექტი).

სხდომამ განიხილა სხვა საკითხებიც, კერძოდ: 1. ქართული ენის მანქანური ფონდის შექმნის შესახებ (მომხს. გ. კვარაცხელია); 2. ტერმინოლოგიური საქმიანობის კოორდინირების შესახებ (მომხს. ლ. ღვინჯილია); 3. სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი (მისი სოგადი პრინციპები წარმოადგინა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თ. ნინიძემ).

კომისიამ მოხანშეწონილად მიიჩნია ქართული ენის მანქანური ფონდის შექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტში, როგორც სახელმწიფო ენის კომისიის საბაზო დაწესებულებაში (სათანადო № 437 ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტისა გამოვიდა 1999 წლის 14 ივლისს). მოხანშეწონილად იქნა მიჩნეული აგრეთვე ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის ნორმალისაცვისა და უნიფიკაციის მიზნით ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა არნ. ნიქობაიას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანხმობით (ეს გადაწვევები ედება აისახა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 8 ნოემბრის № 625 ბრძანებულებაში).

კომისიის გადაწყვეტილებით, „სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის“ პროექტზე შენიშვნა-წინადადებები კომისიის წევრებს უნდა წარმოედგინათ უახლოეს ხანში.

1999 წ. 13 აპრილს კომისიის მორიგ სხდომას განსახილველად წარედგინა ამავე კანონპროექტის განახლებული ვრცელი ვარიანტი (მომხსენებელი ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე ლ. ღვინჯილია). პროექტის სრულყოფის მიზნით კომისიამ მოხანშეწონილად მიიჩნია იუსტიციის სამინისტროსა და პალატის ერთობლივი მუშაობის გაგრძელება და კომისიის წევრთა შენიშვნა-წინადადებების გათვალისწინებით საბოლოო ვარიანტის წარმოდგენა კომისიის სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 29 იანვრის № 38 ბრძანებულებით დამტკიცდა კომისიის მუშაობის დებულება და

წევრთა შემადგენლობა 1997 წ. 20 აპრილის № 209 ბრძანებულებაში შეტანილი გარკვეული კორექტივებით, კერძოდ, კომისიის ზოგი წევრის გარდაცვალებასთან ან თანამდებობრივ გადაინაცვლებასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნენ კომისიის წევრთა სიდიან: გ. შერკვილაძე, გ. ყანაჯიძე (გარდაცვლილი წევრები), აგრეთვე: დ. იაკობიძე, თ. კვაჭანტირაძე, ნ. ლეკიშვილი, თ. ნინიძე, ბ. შოშიტაიშვილი, ნ. ჯაყახიშვილი. მათ ნაცვლად კომისიაში შევიდნენ: გ. ბენაშვილი, ი. ზოდელაია, ა. კარტოხია, ე. ლორთქიფანიძე, ი. მანაგაძე, ზ. მახარაძე, დ. თხოფრიშვილი, რ. დღონტი, თ. წიქლიაძე, ლ. ჭანტურია.

პრეზიდენტის 2001 წლის 31 იანვრის № 29 ბრძანებულებით კომისიის შემადგენლობაში კვლავ მოხდა ცვლილება ანალოგიური მიზეზებით: ნაცვლად რამდენიმე ადრინდელი წევრისა (ე. აბაშიძე, ე. ამაშუკელი, ე. ასათიანი, ა. აფაქიძე, ე. ბაბუნაშვილი, ბ. ბრეგვაძე, შ. ზოიძე, ბ. კვერნაძე, კ. კოკოუცი, ე. ლორთქიფანიძე, ი. მანაგაძე, ი. მაჭავარიანი, ე. მეტრეველი, ო. მეღვინეთოხუცესი, შ. ნიშნიანიძე, დ. თხოფრიშვილი, ე. პაპაია, მ. უგრეხელიძე, ლ. ჭანტურია) კომისიაში შეყვანილ იქნენ: გ. არსენიშვილი, ა. გობრონიძე, ს. გოგობერიძე, გ. გოგოლაშვილი, კ. იმნაძე, თ. ისაკაძე, ზ. ნოღაიძე, თ. თამაძე, მ. სააკაშვილი, ზ. ჭუმბურიძე.

* * *

ქართული ხალიტერატურა ენის პრაქტიკულად დანერგვის თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1997 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის, კერძოდ, მისი თავმჯდომარის მანანა გიგინეიშვილის ინიციატივით მოეწყო გაფართოებული საპარლამენტო სხდომა, რომელსაც დაესწრო საქართველოს შემოქმედებითი ინტელიტენცია. ამ სხდომაზე შემოაჯამებული მოხსენებით გამოვიდა მანანა გიგინეიშვილი, რომელმაც თანამედროვე პრესაში გაერცვლებული ენობრივი შეცდომების მიმოხილვასთან ერთად პრაქტიკული გზებიც დასახა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ მოხსენებამ, რომელიც რამდენიმე გაზეთში დაბეჭდა, ფართო გამოსხაურება პოვა მოწინავე ქართულ საზოგადოებრიობაში. ყოველივე ამან ის შედეგი გამოიღო, რომ 1998 წლის 25 მაისიდან საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (თავმჯდომარე ა. გოგელია) შემოიღო ტელეგადაცემათა ციკლი სათაურით „ჩვენი ენა ქართული“, რომელსაც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში (1998-1999 წწ.) უძღვებოდა ენათმეცნიერების

ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე შუქია აფრიდონიძე (ამჟამად ამ მეწიობას აგრძელებს ამავე განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომელი ნინო ჯორბენაძე). ამ გადაცემებში საქართველოს ტელევიზიის ისტორიაში პირველად იქნა გამოყენებული ორიგინალური მეთოდი ენობრივი შეცდომების აღმოსაფხვრელად — ექრანზე სწორი და მცდარი ვარიანტების თვალსაჩინო წყენებით. კადრს მიღმა ამ მახალის ახმოვანებდა ხახალხო არტისტი გიორგი გუგუშკარი. ყოველივე ამის გამო სულ მოკლე ხანში ეს გადაცემა საკმაოდ პოპულარული გახდა. ტელევიზიით გადაცემული მახალა პარადულურად პრესაშიც იბეჭდებოდა (გათყელისწინებულა ამ მახალის ცალკე წიგნაკად გამოცემა).

საქართველოს პრესიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია კელაიაძე აგრძელებს მეწიობას სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე პირობებში მის წინაშე მდგარი ამოცანების კვალიობაზე.

დანართი

მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში

ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად უპირატესად გამოყენებული იყო -ნ და -თ(ა) სუფიქსები. -ებ სუფიქსი მრავლობითის საწარმოებლად უფრო იშვიათად იხმარებოდა.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითი არა მხოლოდ გამოყენების მხრივ სჭარბობდა -ებ სუფიქსიანს, არამედ სინტაქსური ძალითაც; კერძოდ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითში დასმული სახლერული მსახლერელს ითანხმებდა რიცხვში, -ებ სუფიქსიან მრავლობითში დასმული სახლერული კი - ვერა.

შემდგომ თანდათან -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ხმარების არე იზრდება, -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანებისა კი მცირდება, იხლუდება და ახალ ქართულში უკვე გაბატონებულია მრავლობითის წარმოება -ებ სუფიქსით, იშვიათია -ნ და -თ(ა) სუფიქსიანი ფორმები.

ამასთან, შესუსტდა -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალაც, სახელდობრ, ამგვარ მრავლობითში დასმული სახლერული მეტწილად ვეღარ ითანხმებს მსახლერელს რიცხვში.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმათაგან დღესდღეობით პროდუქტიული დარჩა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები, მიცემითისა და მოთხოვნილობითის, აგრეთვე სახელობითისა და წოდებითის ფორმები აქტუალური აღარაა თანამედროვე ქართულისათვის.

-თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შემცველი გამოთქმები სოფჯერ ერთადერთიც კია თანა-

მედროვე სალიტერატურო ენაში: საბჭოთა კავშირი; დედათა და ბავშვთა ოთახი; მოსწავლეთა არდადეგები; კომპოზიტორთა კავშირი; მშრომელთა დეპუტატების საბჭო; ეროვნებათა საბჭო; მეცნიერებათა აკადემია; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

რიცხვში შეთანხმება ყველგან დარღვეულია, მათ შორის ნათესაობით ბრუნვაშიც.

მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში დასმულ სახლვერულთან მსახლვერელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი.

ილია: აქა ყოფილა უწინ კრებული დეთისთვის ქვეყნიდამ გ ა ნ დ ე გ ი ლ ძ მ ა თ ა.

გვეყვარებინა ჩ ვ ე ნ მ კ ი თ ხ ე ე ლ თ ა თ ვ ის.

აკაკი: ვინ შეამკოს ღირსეულად ქ ა რ თ ვ ე ლ გ მ ი რ თ ა მხარ-მკლავები?

ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში, ქ ა რ თ ვ ე ლ ქ ა ლ თ ა ენახე კრება.

ვაჟა: საუნჯე ჩემის გულისა, ქ ა რ თ ვ ე ლ დ ე დ ა თ ა შეიღები.

მომინდა ძველი დროების, გ ა რ დ ა ს უ ლ გ მ ი რ თ ა ხსენება.

მ თ ა თ გ უ ლ ი, დაწელულუბული დ ა ხ ო ც ი ლ შ ვ ი ლ თ ა (კქერთა...)

კვლავ ვიყო აღტყინებული, კ ე თ ი ლ ხ მ ა თ ა ხმებზე მწყობელი.

მსახლვერელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაშიც:

ილია: [მთვარე] თვის მ კ რ თ ა ლ ს ხ ი ვ თ ა კერის ქვეყანაზედ.

ბევრს ვეუდრნენ და არ გაჰყვა მეფე თავის ე რ თ გ უ ლ ე მ ა თ ა.

ვაჟა: ხმელი წიფელი... ეურს არ ათხოვებს ამ ა მ ა ე მ ც უ ნ ა რ ე თ.

აკაკი: დ ა ნ ა გ რ უ ლ მ ო ძ მ ე თ მიხედვ, სიცოცხლე გაიმწარყო.

უ ს უ ლ ო ს ა გ ა ნ თ მაინც შესწივლე.

მაგრამ მიცემითში მსახლვერელს ბრუნვის ნიშანიც დაერთვის:

ქ ა რ გ ს ე მ ა თ საკარგემოს ასმევენ (ვაჟა).

სახელობითში რიცხვში შეთანხმება არაა, მსა'სღვრელი მხოლოდით რიცხვშია წარმოდგენილი:

პირდაპირი წყობა

ილია: მეწვივნენ იგი უ ც ხ ო ს ი ლ ვ ა ნ ი.
მაგრამ კი თქვენი მ რ უ დ ე ს ა ქ მ ე ნ ი ისევ ისევ
მრუდელ დარნება.

ახეთ შემთხვევაში ჯერ კიდევ დ. გურამიშვილთან გვაქვს:

დაცაიუიწვეს მათ მისი უ რ ი ც ხ ე ი მ ო წ ე ა ლ ე
ბ ა ნ ი.
მიიღეთ წ მ ი ნ დ ა ჭ უ რ ჭ ე ლ ნ ი.

შებრუნებული წყობა

აკაკი: ბეურჯერ ენახო დ ღ ე ნ ი ტ კ ბ ი ლ ი.

მაგრამ მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში შეთანხმების შემთხვევები ჯერ კიდევ ხშირია.

სახელობითი ბრუნვა

პ რ ე კ ო ს ი ც ი უ ლ ი წ ე ო ბ ა

ილია: მარტო ე რ თ ნ ი ს ი რ ი ნ ო ს ნ ი იმ აკვანს გარს
ეხვევიან.

მა'მ რისთვის გამოზრდამდებიან ხელმე ა მ გ ე ა რ ნ ი
პ ი რ ნ ი სცენა'სუდ?

გამოუვლით ო რ ნ ი ო ბ ო ლ ნ ი ამ ტრიად
დედამიწა'სუდ.

ვაჟა: პოი, შენი ჭირიმე, რო დაგვხედე, ბიჭო!—ეუბნებოდნენ თავს
შ ე ს ა რ ხ ო შ ე ბ უ ლ ნ ი ფ რ ი ნ ე ე ლ ნ ი.

აჰას იძახდნენ სტუმრად მ ო წ ე ე უ ლ ნ ი ფ რ ი ნ
ე ე ლ ნ ი.

ს უ დ ა რ ნ ა ც მ უ ლ ნ ი მ თ ა ნ ი დგანან.

აკაკი: და მკვილებელთა შ ა კ ნ ი ს ა ქ მ ე ნ ი ფერს ვერ
უცვლიან თეთრსა სუდარსა.

პ ო ს ტ ა ო ზ ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

ილია: და მას ფ ო თ ო ლ ნ ი ც მ ო შ რ ი ა ლ ე ნ ი
ხშირად უფროხობდნენ მოსვენებასა.

მოედრიკნა მ უ ხ ლ ნ ი ძ ლ ი ე რ ნ ი.

ვაჟა: „მ თ ა ნ ი მ ა დ ა ლ ნ ი“.

განს მოშორებით დამდგარან დ ი ა ც ნ ი მ ა ნ დ ო -
ლ ი ა ნ ნ ი.

მ ა ჟ კ ა ც ნ ი ი მ ე ლ ი ა ნ ნ ი ნეენს ბატონს
ებუდუბისა.

აკაკი: ს ი მ ნ ი მ კ ე ნ ე ს ა რ ნ ი სამარის ხმითა ზედ დას-
ტირიან რაღაც საგანსა.

მთხრობითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ი წ ე ო ბ ა

ილია: კვლავ განიღვიძეს ნ ვ ე უ ლ თ ა ფ ი ქ რ თ ა.

აგერა მცხეთაც... სად პირველ ქართველის მ ო რ ჭ მ უ ლ -
თ ა შ ვ ი ლ თ ა ღრმად ჩარგეს ძირი თაყვისუფლების.

პ ო ს ტ ა ო ზ ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

ვაჟა: სამითხის ფერი დაიდევს ა რ ე - მ ა რ ე თ ა ტ ე ი -
ა ნ თ ა.

მიცემითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ი წ ე ო ბ ა

ილია: ტ რ ე ლ თ ა ე ნ ა თ ა ურიდეთ.

პოეზიაში ქვებზედ ხათქა-ხეთქი უ კ ე თ ე ს თ ა ფ ი
ქ რ თ ა დამიბნევედა ხოლმე.

ვაჟა: [მთებო], რად აღენთ ც ი ვ თ ა წ ე ა რ ო თ ა? რად
ზრდით ღ ა ღ თ ა ხ ა რ ჯ ი ხ ე თ ა?
ჯარად დ ა მ ს ხ დ ა რ თ ა ხ ე ვ ს უ რ თ ა თავეხედ
წაადგა ბაღღები.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

ილია: [მზემ] კაეკასის მთების წ ე ვ ე რ თ ა მ ა ღ ა ღ თ ა
ხედ გადაჰყინა ოქროს ნათელი.

ვაჟა: [არწივი] დახდევნებიყო მღვერდაა წ ე რ ო თ ა გ ა ღ -
მ ო მ ა ვ ა ღ თ ა.

ნათესაობითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ღ ი წ ე ო ბ ა

ილია: სახელოვანი განეკახლე წ ა რ ს უ ლ თ დ ღ ე თ ყოფა.
ესლა თვითვე, გვეგონია, დარწმუნდნენ, რომ არამც თუ პემ-
კინის და ლერმონტოვის თარგმნა შეეძლოს, არამედ კას-
ლოვისა(ცა და სხვათა უფრო მდარეთა რ ი თ მ ი ს
მ ბ ე ჭ ე ე ღ თ ა პ ო ე ტ თ ა.

ვაჟა: მცილდება კ ე კ ღ უ ც თ თ ვ ა ღ თ ხეღვა.
ჯაჭვ-მუხარადით მორთულნი წ ა რ ს უ ღ თ ა დ რ ო -
თ ა ქართუელნი.

აკაკი: [სიმებმა] მომცეს წ ა რ ს უ ღ თ ა დ რ ო თ ა
მოგონება.

[მღინარეს] მსურს გაგლეჯა კ ღ ღ ო ვ ა ნ თ კ ი ღ ე თ ა.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

ილია: მეც ვგრე ვარ, როგორც მხედავთ, ო რ ა ტ ო რ თ ა
კ ა რ გ თ ა სწორი.

ოცჯერ ზომეა, ერთხელ ჰრავ - წესია მ ე ფ ე თ
ქებულთა.

ვაჟა: [ხევესურებმა] თან გადიყოლეს მზის სხივი შუბისა **წ ე ე რ-
თ ა მ ბ რ ჭ ე ი ნ ა ვ თ ა.**

მიმართვის ფორმა

პ რ ე პ ო ს ი ც ი უ ლ ი წ ე ო ბ ა

ვაჟა: რაც ნვენ არ ვიცით, **ძ ვ ი რ ფ ა ს ო ე მ ა ნ ო,** ის
დაწვრილებით ცაში იციან.

პ ო ს ტ პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

ვაჟა: **მ თ ა ნ ო მ ა ღ ა ღ ნ ო,** ბარად იქეცით.

არის შემთხვევები, როდესაც სასღერუელს ორი მსაზღერელი
ახლაგს, რომელთაგან ერთი წინ უძღვის, ხოლო მეორე მოსდევს,
ან ორივე მოსდევს. ასეთ შემთხვევებში კლასიკოსთა ნაწერებში
მსაზღერელ-საზღერული შეთანხმებულია რიცხვში.

ილია: **შორნი მ ნ ა თ ო ბ ნ ი მ ო კ ა მ კ ა მ ე ნ ი .** იმ
მწეხარს დამეს მხიარულობდნენ.

თვალწინ მიერიან **უ კ ე თ ე ს ნ ი ე ვ ა ვ ი ღ ნ ი**
მ ჭ კ ნ ა რ ნ ი.

ვაჟა: **და ს ა ღ ნ ი კ ღ დ ე ნ ი, პ ი რ ქ ე შ ნ ი,** უფს-
კრულს ნახულნი ფესვითა.

მოვეხანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ XIX ს. სალიტერატურო
ენაში – ნ და –თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზ-
ღერულთან მსაზღერელის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები ჯერ
კიდევ ხშირია, მაგრამ შეთანხმების ეს წესი უკვე საკმაოდ შერ-
ყვეულია და, არც თუ იშვიათად გვაქვს შეუთანხმებლობის შემთხვე-
ვები. შემთხვევითი არ არის, რომ შეთანხმება უფრო ხშირად
გვხვდება ლექსში. ნაკლებ – პროზაში. ამდენად, ასეთი ფორმები
სტილისტიკური მოთხოვნისგან გამომწვეული ნანს, არქაული
ფორმების, როგორც სტილისტიკური ხერხის, გამოყენების შედეგია
ხშირად. ვაჟასთან ასეთი ფორმების სიუხვე კი დიალექტის გავ-
ლენით უნდა აიხსნას.

ამ ვარაუდს შეიძლება მხარი დაუჭიროს ერთმა ფაქტმა: XIX საუკუნის (იშვიათად თანამედროვე) მწერლები სოფჯერ (ვდილობენ - ებ სუფიქსიან მრავლობითში დასძულ სახლვერულსაც შეუთანხმონ მსახლვერული, რაც ძველი ქართულისთვისაც კი უცხოა. ასეთ შექიხვევაში - ებ სუფიქსიან მრავლობითში დასძულ სახლვერულთან - ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითით გაფორმებული მსახლვერული გვაქვს.

ილია: დ ა დ ა ლ უ ლ ნ ი მ ე უ რ მ ე ე ბ ი დაეკარნენ და ძილს მიეცნენ.

ძ ი რ ს მ ი ლ ა გ ე ბ უ ლ ნ ი ფიქრები მადლა მიეცნენ.

აი, ეს უ პ ი რ ა ტ ე ს ნ ი ვ ა რ ს კ ე ლ ა ვ ე ბ ი რუისის ლიტერატურისა.

აკაკი: მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ, ქვესკნელი - საფლავს და ძ ე ლ ე ბ ს გ ა მ ხ მ ა რ თ ა.

თ ა ნ ა მ ე დ რ ი ე ე მ წ ე რ ა ლ თ ა გ ა ნ

ი. აბაშიძე: ხევისბერებივით ჩამომსხდარან მ თ ე ბ ი ქ ე ი ა ნ ნ ი.

ო. სულაბერიძე: რად არ აკეხეხს თ ე ა ლ ე ბ ს ჭ კ ე ი ა ნ თ.

ეს მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან სახლვერულთან მსახლვერულის შეთანხმების ძველი წესი უკვე შერყეულია.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში კიდევ უფრო შეიხლუდა -ნ -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ხმარება და კიდევ უფრო იშვიათი გახდა შეთანხმების შემთხვევები.

რამდენიმე შემთხვევა მაინც გვაქვს:

პ რ ე პ ი ო ს ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

მფრინავი ხარ, მ ა დ ა ლ თ ა კ ლ დ ე თ ა გადამლახველი (გ. აბაშ).

[ციხე] კვლავ ისმენს, ძ ე ე ლ თ ა ვ ე ლ თ ა ნიავექარის ნანას (ლ. ასათ).

ჩვენ წ ი ნ ა პ ა რ თ ა ნ ა შ თ თ ხანახავად დაეძრწოდით ტყე-ღრუდ (ი. გრიშ).

პ ო ს ტ პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

რბოდა ველად და ც რ ე მ ლ თ ა მ დ უ ღ ა რ თ ა
ღვრიდა მრავალი მისი მნახველი (გ. აბაშ).

ასეთი ნიმუშები ახლა მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. წვეულებრივ
-ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმული ხა'სღერუელი
ველარ ითანხმებს მსა'სღერელს რიცხვში.

სახელობითი

პ რ ე პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

გ. ლეონიძე: იმ ცრემლებს შეუკრეფია ქართლის ც ი ე - ტ კ ბ ო -
ლ ი წყარონი.

და თუ ლექსში სწევეს მარად მშვენებით სიცოცხლის
ძალთა ტ კ ბ ი ღ ი უ ღ ე რ ა ნ ი.

მის. ჯავახიშვილი: [ალექსანდრე] იბრძოდა და ყოველ შემოტევაზე
ისეთივე ლ ტ ო ლ ვ ი ლ ი და გ ა ნ დ ე უ -
ნ ი ლ ი მ ა ძ ი ე ბ ე ლ ნ ი მოჰყავდა,
როგორც თვითონ იყო.

გ. აბაშიძე: პატარა ტბები ღვანან უძრავად იმ დიად დღეთა მ უ ნ -
ჯ ი მ ო წ მ ე ნ ი.

ახლაც ყრესკიდან გვიყურებს მკაცრად ცეცხლმოდუ-
ბული მ ი ს ი გ უ გ ა ნ ი.

ფ ე ხ დ ა უ დ გ ა მ ი და ხ ე ლ უ ხ ლ ე ბ ი
ხ რ ა მ ნ ი რომ ჩანდნენ, როგორც ქვევრები.

ი. აბაშიძე: არც თუ ი ს ე თ ი მ დ ე ვ ნ ი ყოფილან.

მთიჭრენ ბარში მ თ ი უ ლ ი მ დ ე ვ ნ ი.

მის. მრევლიშვილი: უბნებად ნ ა მ ო მ ს ხ დ ა რ ი კ ო ლ მ ე -
უ რ ნ ე ნ ი აღარ აკლიდნენ ერთმანეთს
ლაპარაკს.

შ ე ს ა რ ხ ო შ ე ბ უ ლ ი თ ა ნ ა მ ე -
ს ა უ ბ რ ე ნ ი მორთვ ჯამს სუამდნენ.

პ ო ს ტ პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ა. მირცხულავა: ბაღში აღარ შრიალუბენ ხ ე ნ ი ყ ო თ ლ ე ბ -
შ ე მ ო ც ლ ი ლ ი.

ბ. ვარდოშვილი: მონობის დ ღ ე ნ ი, მ კ ა ც რ ი დ ა ბ ნ ე -
ღ ი, 'სიხლით განთუბდა უშიშარს მარად.

მოთხრობითი

პ რ ე პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

გ. ლეონიძე: ც ხ რ ა ძ მ ა თ მკათაულ მიძიდეს.

მიცემითი

პ რ ე პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

- მ. ჯავახიშვილი: ახალციხელ ქ ა რ თ ვ ე ლ კ ა თ ო ლ ი კ უ
თ ა შორის თამარაანთ გვარი ყველაზე განათ-
ლებული და შეძლებული იყო.
- გ. ლეონიძე: შენ დამიშწიფე სიტყვები, ვით ხეს გასული მტყვნები,
შენი, შენდამი, შ ე ნ ს შ ე ქ თ ა, შენს ციმციმს
მისადევნები.
- ა. აბაშელი: მკენარ ფოთოლიყით რად დანებდი გ ა ფ რ ე ნ ი ლ
დ რ ე თ ა?
[ვარსკვლავი] ცეცხლად იქცა და წინწკლებად ცის
თ ე თ რ ე ვ ა გ ი ლ თ დ ა ე ს ხ უ რ ა.
- ი. ნონეშვილი: ხიჯის გადება ს ა მ ძ მ ა თ ა შორის ოცნებად
გქონდა.

ნათესაობითი

პ რ ე პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

- მ. ჯავახიშვილი: იქვე მახლობლად ახალ ნათარეშევს — ქ ა რ-
თ ვ ე ლ ტ ყ ვ ე თ ა ფარას პყიდიან.
- გ. ლეონიძე: მარად ბრწყინავს სამშობლო — დ ი დ შ ე ი ლ-
თ ა მუაკენე.
[შეუხარი] ა ხ ა ლ ს ა რ თ უ ლ თ ა წითელ
აგურებს.
ეს ლექსია თუ მღერის გ ა ე ლ ი ლ დ რ ე თ ა
კრებული?
თქვენი ჭრილობის წვეთ-წვეთი ძ ე ე ლ გ მ ი რ თ
სისხლს შეურთებია.
გაშაღე... ყველა ფურცელი არის ფოლადის ნაცარი,
დ ა მ ს ხ ე რ ე უ ლ ხ მ ა ლ თ ა ჟღრიალი,
დუჟკაცთა ნამამაცარი.

აღ. აბაშელი: რკინის 'სრიალ'ში გამოკრთის ხშირად რეკა
ქართულად მ ო ქ ნ ე უ ლ ხ მ ა ლ თ ა.
გესმის გუბუნი გ ა რ დ ა ხ უ ლ ჟ ა მ თ ა.
ღამე გამოვლიდეს ზურგს უკან ღარნა ბნელი
მანძილი შ ო რ ქ ე ე ყ ა ნ ა თ ა.
მ ყ ე თ ქ ა ე ს ხ ი ე თ ა შადრევანმა შუა
გააპო სიურცე ცისა.
სიცოცხლე ჯერ კიდევ მინდა და მ რ ა ვ ა ლ
დ ღ ე თ ა მთიმდე ვარ.

ი. აბაშიძე: იეაე დღეგრძელი, 'შენ — ნენი მკერდი, ბ ე დ ნ ი ე რ
დ ღ ე თ ა გამომკვეთელი.

გ. აბაშიძე: შ მ ა გ მ დ ი ნ ა რ ე თ ა ბრუნვა მანქარებს.
ხმა მესმის ცხენით გ ა თ ქ ე რ ი ღ ე რ მ ა თ ა.

ლ. ასათიანი: ხენთქა მ ძ ი ნ ა რ ე რ ა ი ნ ღ თ ა
აბიბინებდა ბაღახსა.

ქ. კალაძე: მთებს ხეჭიალი აწიათ 'ხევისა, ვით მოგონება უ ხ
ს ო ე ა რ ჟ ა მ თ ა.

თანამედროვე მწერლობაში — ებ სუფიქსიან მრავლობითში
დასმულ სახლერულთან შეთანხმებული მსახლერული (გვხვდება
(მოსტაო'ხოცოური წყობისას).

ი. აბაშიძე: მისი შ ა რ ე ბ ი დ ა ქ ა რ გ ე ლ ე ბ ი.
ბუცბუტებენ ქ ე ე ბ ი მ წ ე ე ლ ე ბ ი.
დ რ ო შ ე ბ ს ყ რ თ ი ა ნ ე ბ ს მოედანზე
წითლად გადაშლიდს.

შდრ. ვაჟა: შეეამკე მ თ ე ბ ი მ ა ღ ლ ე ბ ი.
[მღეეებმა] მომაპერეს გაშმაგებელი თ ე ა ღ ე ბ ი
შ ხ ა მ ი ა ნ ე ბ ი.
და გაუწოდეს ყანწითურ მ კ ღ ა ე ე ბ ი ტ ო ტ ი
ა ნ ე ბ ი.

ასეთი შემთხვევები მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ სახლერულ-
თან მსახლერელი მხოლოდ შეთანხმებული ფორმით გვხვდება
სეენს პრესაში:

„კომუნისტი“: უმაღლესი საბჭოს ტრიბუნისად გაკეთდა... თ ვ ა ლ-
ს ა ნ ი ნ ო წ ა რ მ ა ტ ე ბ ა თ ა დიდი და
პ რ ი ნ ც ი კ უ ლ ი გ ა ნ 'ს ო გ ა დ ე ბ ა ნ ი.
მ ე ც ნ ი ე რ უ ლ და კ უ ლ ტ უ რ უ ლ
ყასიულობათა გაცვლა.

გავითვალისწინათ თვითუკული რესპუბლიკის
ეროვნული თავისებურებანი და
სპეციფიკა.

შეიქმნა რეალური შესაძლებლობა
ბანი მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

„ახ. კომუნისტი“: ნორჩი კი ევლეთა სტუმრები.

ამგვარგმირთა უკვდავ პლეადას
ეკუთვნიან ბახტრიონის სახელოვანი სარდლები.
ვგულისხმობთ ქართველ ეროვნულ
გმირთა სახელებს.

„სახალხო განათლება“: ნამორჩენილ მოსწავლე
თა მშობლები ძეშობენ.

როგორ შეიძლება ორცვლიან მეცადინეო-
ბასთან დაკავშირებულ

სიძინელებთა გადაღობა?

დაეუბრუნეთ შენობები კანონიერ
მფლობელებს!

შეთანხმება აღარაა საყოველთაოდ გავრცელებულ შესიტყვე-
ბებში. როგორცაა, მაგალითად: მოზარდ მაყურებელთა თეატრი,
საგარეო საქმეთა სამინისტრო, არითმეტიკულ ამოცანათა კრებუ-
ლი, ნორჩ ნატურალისტთა განყოფილება, ნორჩ მათემატიკოსთა სა-
ქალაქო ოლიმპიადა.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ნა-
თესაობითში დასმული ან ნანათესაობითარი მსახლერული გვაქვს.

ასეთი მსახლერული შეიძლება იყოს მხოლოდობით რიცხვში ან
მრავლობით რიცხვში (განთიადის დღენი, სამშობლოს ქვიშანი,
მთების ასულნი).

როდესაც მართული მსახლერული წინ უსწრებს სახლერულს,
შეთანხმება არ შეიძლება გექონდეს.

სახლერული სახელობითშია:

ილია: ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლში
დამიღამებია.

აკაკი: ქვეყნის მკურნალნიც შემოკრბენ, ვეღარ
მარგებენ რამესა.

ვაჟა: ჩემის სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად
მომაქაროდი.

შენი ერისა ჭაბუკნი გაამბორებენ ხელსედა.
სიყრმიისა დღენი წავიდენ.

სახლერული მიცემითშია:

ვაჟა: ღამისი მთებისას უღთა ხმა ხმისთვის
შაუწონია

ეარსკვლავნი მთის წვერთ სწვევიან.

„ახ. კომუნისტი“: ნორვეგიის, შოტლანდიისა და დანიის სანაპიროების მცხოვრებთ ხშირად უნახავთ ასეთი წვიმა.

საზღვრული ნათესაობითშია:

ვაჟა: მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო, ქართლისა
წელულთა მოზარე!

პრესა: იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა...
თმისგამსაღებულთა წინააღმდეგ
(„ახ. კომ.“).

მოკაეშირე რესპუბლიკების უფლებათა
გაფართოება („კომ.“).

რაც შეეხება პოსტპოლიციურ წყობას, დღეს უკვე საზღვრული
წყველებრივ არ ითანხმებს ნანათესაობითარ მსაზღვრელს:

ვაჟა: თრთიან ყუა ვიღნი მთებისა.

მტირალი დუღის მოხალხენადა მოიპატიუა მნათობ-
ნი ცისა.

სეენც, მსხვერპლნი ძალმოშრეო-
ბის, ცრემლს აღარ ვღერიდეთ მწარესა.

მაგრამ იშვიათად, აქა-იქ ახალ მწერლობაშიც გვხვდება მომ-
დუნო მართული მსაზღვრელის შეთანხმება:

ვაჟა: ის ღაღნი ძენი კლდეთანი ვაჟაკს
გპტყვიან ნანასა.

საფხულში აევაეუდებიან მკერდნი ცქისაღის
კლდისანი.

ევაილთ პირს ეკონებიან ცივნი ნამცვრეჟ-
ნი ცისანი.

თუ დამეშავოს მე რამა, ძალნი მრისხაუდენ
ღვთისანი.

ძალნი ცისანო, გვიშველეთ.

ახეთი შემთხვევები ან სტილისტიკურ არქაიზმად, ან კიდევ დიალექტიზმად უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვაქვს მსახდურეულად, რიცხვში შეთანხმება არ არის სახელობითსა და წოდებითში. მსახდურელს ბრუნვის ნიშანი აქვს სოგჯერ მოცემითშიც. ნათესაობითში მსახდურელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ვაჟა: ჩვენ ვართ, ერეკლეუ, შ ე ნ ი ხ ე ე ს უ რ ნ ი.

მოუხდურეთ შ ე ნ ი მ ო ძ მ ე ნ ი შენი სამარის კარსაო.

შ ე ნ ს თ ვ ა ლ თ ენაცვლოს მამიდა.

პირნათლად მივა სულეთსა, სადც ი მ ი ს წ ი ნ ა პ ა რ ნ ი ა.

აკაკი: საბრალო გულო, დროა გამოთქვა დღეს თაყისუფლად შ ე ნ ი ტ ა ნ ჯ ვ ა ნ ი.

შენი სახე მაინც ნ ე მ თ ვ ა ლ თ წინ არი.

მ. ჯავახიშვილი: დაჟინებით იმეორებდნენ მ ი ს ი მ ი მ დ ე უ ვ ა რ ნ ი ც.

მაგრამ არც თუ იშვიათად (მით უმეტეს XIX ს. მწერლობაში) გვხვდება შეთანხმება პირდაპირ წყობაშიც და შებრუნებულშიც:

პ რ ე პ ო ს ი ც ი უ რ ი წ ე ო ბ ა

ილია: შ ე ნ თ ა შ ვ ი ლ თ გული შ ე ნ თ ა მ ტ ე რ თ ა შეაკლეს ზედა.

შ ე ნ თ ა შ ვ ი ლ თ სისხლით გული სრულად გარდამებანა.

ნგრეულან მისნი დ ი დ ნ ი პ ა ლ ა ტ ნ ი.

და ე რ ს თ ე ი ს თ ა ც რ ე მ ლ თ ნადენით ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ვაჟა: ტყუილად აშფოთდებიან ნ ე მ ნ ი წ ა წ ა ლ ნ ი იანი. ნ ე მ თ ძ მ ა თ ცხონებამ.

რა ღამაზია, წყეულო, შ ე ნ თ ს ე ი რ თ თ ა ლ ა დ ნ ი ნ ქ ე რ ა ნ ი.

ეგ შ ე ნ თ ა მ ო ძ მ ე თ სისხლია.

ი. ნონეშვილი: მგონია, ღამე შ ე ნ თ ა თ ვ ა ლ თ ა შექით თენდება.

ახეთი შემთხვევებიც ან სტილისტიკური არქაიზმებია, ან კიდევ დიალექტიზმები.

ილია: შენისა ცრემლით თ ვ ა ლ ნ ი ნ ე მ ნ ი მიტირებია.
 ოჰ, ხად არიან, სიჭაბუკეჲ, ს ი ტ კ ბ ო ნ ი შ ე ნ ნ ი?
 ვაი, რომ ბინდი დ დ ე თ ა ნ ე მ თ ა სიკვდილს
 მიქადის.

წ ა რ ვ ლ ი ლ თ ა დ დ ე თ ა შენთა მახსოვს
 დიდებულება.

ვაჟა: ს ხ ი ვ თ ა შ ე ნ თ ა უკუმერელო.

ი. ნონეშვილი: არ ექნებოდა ს პ ა თ ა შ ე ნ თ ა მტერთან
 სიანი.

შებრუნებული წეობა პოეზიის ენაში გვხვდება უპირატესად.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ სახლურულ-
 თან მსახლურელის შეთანხმება რიცხვში, რაც ძველ ქართულში
 ესოდენ მტკიცე წესს ემორჩილებოდა, თანდათან ირღვეოდა. მე-19
 საუკუნის მწერალთა ენაში ეს წესი უკვე დარღვეულია. შეთანხმე-
 ბა შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს. შეთანხმების შემთხვე-
 ვები ჭარბობს ლექსში.

ამ დროიდან შეთანხმების მოშლის პროცესი კიდევ უფრო
 ძლიერდება და თანამედროვე სალიტერატურო ენაში გაბატონებუ-
 ლია ასეთ სახლურულთან მსახლურელის შეუთანხმებლობა რიც-
 ხეში.

მიუვლენის განვითარების ისტორია(ცა და თანამედროვე ვითა-
 რება(ც გვიკარნახებს თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის
 დადგინდეს შემდეგი წესები:

1. პ ი რ დ ა პ ი რ ი წ ე ო ბ ი ს ა ს (მსახლურელი +
 სახლურელი) –ნ და –თ(ა) ს უ ფ ი ქ ს ე ბ ი ა ნ მ რ ა ე ლ ო ბ
 ი თ შ ი დ ა ს მ უ ლ ს ა ' ს დ ვ რ უ ლ ს მ ს ა ' ს დ ვ
 რ ე ლ ი რ ი ც ხ ე შ ი ა რ შ ე ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა. ს ა ხ ე
 ლ ო ბ ი თ შ ი დ ა მ ი მ ა რ თ ვ ი ს ფ ო რ მ ა შ ი
 მ ს ა ' ს დ ვ რ ე ლ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ს დ ა ი რ
 თ ა ვ ს, დ ა ნ ა რ ნ ე ნ ბ რ უ ნ ვ ე ბ შ ი ფ უ ძ ი ს ს ა
 ხ ი თ ი ქ ნ ე ბ ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი.

სახელობითი
 წოდებითი (მიმართვის ფორმა)

მაღალი მთანი
 მაღალი მთანი

მოთხრობითი
 მიცემითი
 ნათესაობითი

მაღალ მთათა

2. ა მ ა თ ვ ე მ ი ე კ ე დ ლ ე ბ ა ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი. რ ო ც ა მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ა დ კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი. ო დ ო ნ დ ა მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ა შ ი მ ი ც ე მ ი თ შ ი დ ა ს ა შ ვ ე ბ ა დ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ქ ნ ე ს მ ი ნ ე უ ლ ი ფ ო რ მ ა, ს ა დ ა ც მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ს დ ა ი რ თ ა ვ ს.

| | |
|----------------------------|-----------------------------|
| სახელობითი | წყენი მოძმენი |
| წოდებითი (მიმართვის ფორმა) | წყენო მოძმენო |
| მოთხრობითი | წყენ მოძმეთ |
| მიცემითი | წყენ მოძმეთ წყენს მოძმეთ |
| ნათესაობითი | წყენ მოძმეთ |

3. შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი წ ე ო ბ ი ხ ა ს (საზღვრული + მსაზღვრული) მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი. ს ა ზ დ ვ რ უ ლ ს რ ი ც ხ ვ შ ი შ ე ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა. ი გ ი ვ ე წ ე ს ი გ ა ვ რ (ვ ე ლ დ ე ბ ა ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ა ზ ე დ ა ც რ ო დ ე ს ა ც მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ა დ კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი.

| | | |
|----------------------------|---------------|----------------|
| სახელობითი | მთანი მაღალნი | მოძმენი წყენნი |
| წოდებითი (მიმართვის ფორმა) | მთანო მაღალნო | მოძმენო წყენნო |
| მოთხრობითი | | |
| მიცემითი | მთათა მაღალთა | მოძმეთა წყენთა |
| ნათესაობითი | | |

სახელობითსა და წოდებითში (მიმართვის ფორმაში) პარალელურად შეიძლება შეუთანხმებელი მსაზღვრულიც იქნეს დატოვებულნი: მთანი მაღალი, მთანო მაღალო.

4. ნათესაობით ბრუნვაში დასმული და ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი ს ა ზ დ ვ რ უ ლ ს რ ი ც ხ ვ შ ი არ შ ე ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა.

| | | |
|----------------------------|---------------|----------------|
| სახელობითი | მთის ყვავილნი | ყვავილნი მთისა |
| წოდებითი (მიმართვის ფორმა) | | მთის ყვავილნო |
| მოთხრობითი | | ყვავილნო მთისა |
| მიცემითი | მთის ყვავილთა | ყვავილთა მთისა |
| ნათესაობითი | | |

დასახელებული ფორმები უპირატესად მწერლობის (უმთავრესად პოეზიის) ენაში შეიძლება შეგვიხვედეს და გამართლებულია სტილისტიკური მიზნებით. სალიტერატურო ენაში ნეუულებრივ ხმარებული მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია.

სადაურობის სახელთა წარმოება -ეთ და -ის
სუფიქსების შემცველ ბიოგრაფიულ სახელთაგან

ქართულ ენაში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად სხვა აფიქსთა გვერდით ხშირად გამოიყენება თ-ს შემცველი რამდენიმე ბოლოსართი. ესენია:

-ათ (გელ-ათ-ი, რცხილ-ათ-ი, წონხ-ათ-ი, გეხ-ათ-ი, ცუცხე-ათ-ი...);

-ეთ (თელ-ეთ-ი, კაკბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ნიგოხ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი...);

-ით (ბაჯ-ით-ი, ძიშ-ით-ი, კვალ-ით-ი, ხრუ-ით-ი...);

-ოთ (რიკ-ოთ-ი, იკ-ოთ-ი, რუფ-ოთ-ი, ქოლ-ოთ-ი...);

-უთ (გეგ-უთ-ი, ლანხ-უთ-ი, უხ-უთ-ი, შექრ-უთ-ი, შეხ-უთ-ი...).

ამათვე ეკუთვნის -თა სუფიქსიანი ფორმები: დვალ-თა, წიხკ-თა, ბუქუქურ-თა, გოგოლაურ-თა, ცაბაურ-თა, მცხეთა, ხანძ-თა, კავ-თა...

ასეთ გეოგრაფიულ სახელთაგან (ისევე როგორც სხვა გეოგრაფიულ სახელთაგან) სადაურობის სახელები იწარმოება -ელ და -ურ ბოლოსართების დართვით; წარმოებისას ამოსხველ ფუძედ გამოიყენებულა თ-ს შემცველი აფიქსით გაფორმებული სათანადო ფუძე, ე.ი. ბოლოსართები -ათ, -ით, -ოთ, -უთ, -თა შედის საწარმოებულ ფუძეში: თეკლ-ათ-ი - თეკლათ-ელ-ი, თეკლათ-ურ-ი; კვალ-ით-ი - კვალით-ელ-ი, კვალით-ურ-ი, რუფ-ოთ-ი - რუფოთ-ელ-ი; რუფოთ-ულ-ი; გეგ-უთ-ი - გეგუთ-ელ-ი, გეგუთ-ურ-ი; მცხეთა - მცხეთ-ელ-ი, მცხეთ-ურ-ი...

ასეა თანამედროვე ქართულში, ასე იყო ძველ ქართულშიც.

გამონაკლისს წარმოადგენს -ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები. ასეთი სახელებისაგან სადაურობის სახელთა წარმოებისას ამოსხველ ფუძედ აღებული იყო მარტივი ფუძე, -ეთ სუფიქსის გარეშე: ენაგ-ეთ-ი - ენაგ-ელ-ი, კარალ-ეთ-ი - კარალ-ელ-ი, ტბ-ეთ-ი - ტბ-ელ-ი, ფიტარ-ეთ-ი - ფიტარ-ელ-ი, ყანჩა-ეთ-ი - ყანჩა-ელ-ი

(შემდგომ: ყანჩა-ველი-ი), ცხირ-ეთ-ი – ცხირ-ელ-ი, წოდორ-ეთ-ი – წოდორ-ელ-ი, თიან-ეთ-ი – თიან-ელ-ი...

ასევე -ურ სუფიქსის დართვისას: ენაგ-ეთ-ი – ენაგ-ურ-ი, თიან-ეთ-ი – თიან-ურ-ი.

ამგვარი წარმოება ძველი ქართულისათვის ნორმა იყო და ეს წესი გადმოვიდა ახალ ქართულსაც, მაგრამ გამოწინადადებები ძველსავე ქართულში გვხვდება. წარმოებისას სოგჯერ ამოსავლად -ეთ სუფიქსდართული ფუძეა გამოყენებული – უმეტესად ერთმარცხლიან ფუძეებთან: რუ-ეთ-ი – რუ-ეთ-ელ-ი, ბრ-ეთ-ი – ბრ-ეთ-ელ-ი (პირის ბრეთელი: ქრონიკები); ხოლო უფრო გვიან, XVII-XVIII საუკუნეებში – ერთსე მეტმარცხლიან ფუძეებთანაც, მაგალითად: თელ-ეთ-ელ-ი, კარგარ-ეთ-ელ-ი...

XIX საუკუნეში უკვე ასეთი წარმოება ბატონდება და ეს ტენდენცია ისე გაძლიერდა, რომ -ეთ სუფიქსდართული ფორმები სოგჯერ გვხვდება იქ, სადაც მოსალოდნელი არ იყო: მაგ., ი. გოგუბაშვილი ხმარობს ფორმას რუსეთელი, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გვხვდება ფორმები: უცხოეთელი, ჩინეთური.

ასეთი ფორმები სალიტერატურო ენაში შემდგომ ვერ დამკვიდრდა ამ და ბევრ სხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ წარმოებისას -ეთ სუფიქსიანი ფორმები გახშირდა და გაბატონდა. დღევანდელ ქართულში სვეულებრივია: ენაგეთელი, კაკაბეთელი, კლდეეთელი, არგვეთელი, კარალეთელი, თრიალეთელი და მისთ. მაგ.: „წკვარამეთელი, უკუნეთელი, კვირიკეთელი, კაკაბეთელი და წიყნაგვარელი ბავშვები ბონდისხიდეული ბავშვებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან“ (ნ. დუმბაძე).

ამავე დროს არაერთ შემთხვევაში ძველი ფორმებიც არაა უცხო დღევანდელი ქართულისათვის და განსაკუთრებით სასუბრო მეტყველებაში იხმარება, მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოში. მაგ.: თიანელი, დუშელი, ბოლნური... თუმცა ეს წარმოება დასაფლური დიალექტისთვისაც არაა უცხო: სიმონეთი – სიმონელი.

-ეთ სუფიქსიან სახელთაგან წარმოების ანალოგიურია -ის სუფიქსიან სახელთაგან სადაურობის სახელთა წარმოება.

ძველ ქართულში ასეთ შემთხვევაში ამოსავალი იყო მარტივი ფუძე, -ის სუფიქსი წარმოებისას არ ჩანდა: პანკ-ის-ი – პანკ-ელ-ი („კახეთი(ცა პანკელსა თორღუას შევედრა“: ქრონიკები); ტფილ-ის-ი – ტფილ-ელ-ი (აბო ტფილელი, იასუბ ტფილელი...); დმან-ის-ი – დმან-ელ-ი; ურბნ-ის-ი – ურბნ-ელ-ი...

მაგრამ ამ შემთხვევაშიც იმავე მოვლენამ იმინა თავი, რაც -ეთ ბოლოსართიან სახელთაგან სადაურობის წარმოებისას: მანგლელის გვერდით მანგლისელი ჩნდება, ხოლო მროველის გვერდით – რუისელი...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ორი ერთგვარი ფორმის განიხილავს შედეგად ზოგჯერ მნიშვნელობის თვალსაზრისით დიფერენცია (თა მთავრობა, ერთ-ერთ ტერმინად იქცა, მაგ: ქუთათელი ქუთათისის ეპისკოპოსის სახელად გამოყენება, ქუთათელი (და ქუთათური) კი ქუთათისის მკვიდრია; მრეველი რუისის ეპისკოპოსია, რუისელი - სოფ. რუისის მკვიდრი (სევენ, მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმა შაჰ-ნავა'ს ურბნელისა და რუისელთა სალაპარაკო საქმე გაქსინჯეთ... ურბნელი ნურც ქრთამსა და ნურც ძღვენსა ნუ სთხოვს და ნურც რუისელნი დალასა დაქმალავენ": ისტ.საბ.).

შემდგომ ახალი ფორმები კიდევ უფრო ვრცელდება და თანამედროვე სალიტერატურო ენაში -ის სუფიქსიანი ფუძისაგან წარმოება წესად იქცევა. ნეულებრივია ფორმები: ბოლნისელი (ბოლნისელი მექენახეები), რუისელი, ურბნისელი, ნიჩბისელი, თბილისელი („თბილისი და თბილისელები“), ქუთათისელი, კრწანისელი და მისთ. ასეთია განკითარების ტენდენცია, ასეთი ფორმები წარმოა ახალ სალიტერატურო ქართულში.

მიუხედავად ამისა, ზოგი სახელი ძველი წარმოებისა, როგორიცაა, ვაქვათ, თიანელი, თიანური, დუშელი, ქვიშხელი, კაკაბელი, წავეკელი და რამდენიმე სხვა, - ჯერ კიდევ ცოცხალია, განსაკუთრებით, არალიტერატურულ, სასაუბრო მეტყველებაში. აქედან ეს ფორმები გზას იკაფავს მხატვრული ლიტერატურის ენაშიც და შეუძლებელია დარწმუნდეს ძირითად ფორმათა პარალელურად სტილებრივი მიზნებისთვის.

ძველი წარმოების ისეთი ფორმები, როგორიცაა: პორისონტის მხარეთა აღმნიშვნელ ფუძეთაგან ნაწარმოები სახელები (აღმოსავლეთი - აღმოსავლელი, აღმოსავლური; დასავლეთი - დასავლელი, დასავლური; ჩრდილოეთი - ჩრდილოელი, ჩრდილოური; სამსრეთი - სამხრელი, სამხრული), საქართველოს ზოგი კუთხის სახელისაგან ნაწარმოები ეთნონიმური სახელები (იმერეთი - იმერელი, იმერული; კახეთი - კახელი, კახური; ჯავახეთი - ჯავახელი, ჯავახური), აგრეთვე ზოგი უცხო ქვეყნის -ეთ ბოლოსართიანი სახელწოდებისაგან ნაწარმოები სახელები (ჩინეთი - ჩინელი, ჩინური; უფრო ახალი: ესპანეთი - ესპანელი, ესპანური; ბულგარეთი - ბულგარელი, ბულგარული; რუმინეთი - რუმინელი, რუმინული), რა თქმა უნდა, უცვლელად დარჩება, მათი საკითხი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში არ დაისმის.

კაჭმირთა ხმარების საკითხები

1. არა მარტო – არამედ... -ც, არა მხოლოდ – არამედ... -ც

1. საკითხი სინტაქსურ-სტილისტიკური ხასიათისაა. თუ ეხება წვეილი კაეშირების (არა მარტო – არამედ, არა მხოლოდ – არამედ, არათუ – არამედ და სხვ.) მართებულად გამოყენებას.

2. მსგავსად აგებული წვეილი კაეშირები (ყველა მათგანში მქორე წვერი არის არამედ) ორი სხვადასხვა ფუნქციით იხმარება:

ა) ერთგვარ წვერთა დაჯგუფება, შეერთება კეისრება კაეშირებს:

არა მარტო – არამედ

არა მხოლოდ – არამედ

არათუ – არამედ

მათ მაჯგუფებელი კაეშირები ეწოდება.

მაგალითად: მოვიდნენ არა მარტო ბაეშეები, არამედ მშობლებუ ბი(ც);

ან: არათუ ბაეშეები მოვიდნენ, არამედ მშობლები(ც).

ეს ნიშნავს: ბაეშეები(ც) მოვიდნენ და მშობლები(ც), მოვიდნენ ბაეშეები და აგრეთვე მშობლები.

აქ ერთგვარი წვერები (ბაეშეები და მშობლები) შეერთებულია, დაჯგუფებულია არა მარტო – არამედ წვეილი კაეშირით. მაგ:

„ამათ [ბუხებს] გაბესრებული კეაეთ არა მარტო აღამიანები, არამედ შინაური ცხოველები(ც)“ (ი.გოგებ.).

(კ.ი. გაბესრებული კეაეთ აღამიანები და აგრეთვე ცხოველები, აღამიანები(ც) და ცხოველები(ც)).

„[სეტყვას] ვასებისთეის არა მარტო მტეენები, არამედ ტოტები და ფოთლები(ც) კი დაემტერია“ (ნ. ლომ.).

(კ.ი. დაემტერია მტეენები და აგრეთვე ფოთლები, მტეენები(ც) და ფოთლები(ც)).

იმას უნდა ესრუნა არა მარტო თავის თავესე, არამედ სხვაესე
დაც (ე. ბარნ.).

(ე.ი. უნდა ესრუნა თავის თავესედაც და სხვაესედაც).

ბ) ერთგვარ წევრთა დაპირისპირებას ასახავენ შემდეგი კავში-
რები:

არა - არამედ

კი არ - არამედ

მათ მაპირისპირებელი კავშირები ეწოდება.

მაგალითად: მოვიდნენ არა ბავშვები, არამედ მშობლები...

ეს ნიშნავს: ბავშვები არ მოსულან, მოვიდნენ მშობლები. ე.ი.
მოსალოდნელი იყო ბავშვების მოსვლა, მათ ნაცვლად მოვიდნენ
მშობლები. ერთგვარი წევრები დაპირისპირებულია შემასმენლით
გადმოცემული მოქმედების თვალსაზრისით (ერთი ასრულებს ამ
მოქმედებას, მეორე - არა).

„სვენ, ირმები, ენით კი არ ვლაპარაკობთ, არამედ თვალებით“
(ი. ევლ.).

(ე.ი. მოსალოდნელი იყო ენით ლაპარაკი, მაგრამ არ ლაპარა-
კობენ ენით).

„ეს ხმა სინემეს კი არ არღვევს, არამედ ამსაფრებს კიდევაც“
(ს. კლდ.).

(ე.ი. მოსალოდნელი იყო დარღვევა სინემისა, ხმა კი პირველ-
ამსაფრებს მას).

„ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი არამც თუ
შედრკნენ, არამედ ღომებად გადაიქცნენ“ (ი. გოგებ.).

(ე.ი. შედრკამის ნაცვლად ღომებად იქცნენ...).

ბოლო ორ წინადადებაში შეპირისპირებულია შემასმენლები -
პირველი შემასმენლით გადმოცემული მოქმედება არ სრულდება.
სრულდება სხვა მოქმედება, რომელიც კონტრასტით მოსალოდნელი
არ იყო.

3. ეს წყვილი კავშირები გამოიყენება როგორც შერწყმულ,
ასევე რთულ თანწყობილ წინადადებაში.

მაგალითად, შერწყმულია: მოყიდა არა მარტო გიორგი, არამედ
თამარიც.

თანწყობილია: ამ საქმის გაკეთება არა მარტო სვენ მოყინდო-
მეთ, არამედ მესობლებიც დატრიალდნენ.

4. ამ წყვილ კავშირებთან ერთად ხშირად გამოიყენება დამხმა-
რე გამაძლიერებელი ნაწილაკები: -ც, -ცა, კიდევც, აგრეთვე და სხე.

5. წყვილი კავშირები არა მარტო - არამედ, არა მხოლოდ -
არამედ, არათუ - არამედ..., ძველი ქართულიდან მოყოლებული,
საკმაოდ ხშირად სახმარი კავშირებია. დღეს ისინი უპირატესად
წიგნის ენაში იხმარებიან, ცოცხალი მეტყველება მათ გვერდს უშ-

ლის, განსაკუთრებით – არამედ კომპონენტს; იყენებს მხოლოდ პირველ ნაწილს, თანაც ამჯობინებს კი არა, კი ნუ, ნუ კი-ს გამოყენებას.

6. წვეილი კავშირების შემადგენელი ნაწილები, ერთი მხრით, არა მარტო (არა მხოლოდ...) და, მეორე მხრით, არამედ ნებისმიერ ადგილას არ შეიძლება ვიხმაროთ – მათი ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია.

7. რამდენადაც კავშირის ძირითადი ფუნქცია დაპირისპირება ან დაჯგუფებაა, ის ისწრაფვის ახლოს იყოს იმ წვერებთან, რომელთა დაპირისპირებასაც გადმოსცემს, ან რომლებიც უნდა დააჯგუფოს.

8. ამიტომ ამ კავშირთა მართებულად ხმარების პრინციპი ორივე ტიპის წინადადებაში ერთია: კავშირი გარკვეულ ადგილს უნდა იტყვოდეს წინადადებაში შესაპირისპირებელი თუ დასაჯგუფებელი წვერების მიმართ, სახელდობრ, იგი შეპირისპირებული ან დასაჯგუფებელი წვერის წინ უნდა დაისვას.

9. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შესაპირისპირებელი წვერი აუცილებლად კავშირის უშუალო მეზობლად უნდა იყოს. მას შეიძლება უძლიოდეს (ე.ი. კავშირსა და ამ წვერს შორის მოექცეს) ამხსნელი სიტყვა ან სიტყვები: შემასმენელს – გარემოება ან დამატება, სახელით გადმოცემულ წვერს კი – განსაზღვრება.

მაგ.: მოიბრძინა არა მარტო მეზობლის პატარა გოგონამ, არამედ მისმა უფროსმა ძმამაც.

აქ, საესებით მართებულად, დასაჯგუფებელი წვერები გოგონა და ძმა ორშემადგენლიანი კავშირის შესაბამის ნაწილთა შემდეგ არიან განლაგებულნი და, ასევე, საესებით კანონზომიერად, ამ წვერთაგან თითოეულს უძღვის თავისი ამხსნელები: მეზობლის პატარა (გოგონა); მისი, უფროსი (ძმა).

10. ამ წესის დარღვევა სტილის გაბუნდოვანებას იწვევს, აზრის ნათლად გადმოცემას ხელს უშლის, წინადადებას ამძიმებს.

ასეთი შემთხვევები გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო ენაში. მაგ.:

„მხატვარი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე, არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონე“ („თბილ.“).

წინადადების პირველი ნაწილი („მხატვარი საშუალებას იძლევა გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე“) ქმნის შტაბეჭდილებას, მოლოდინს, რომ მეორე ნაწილში ლაპარაკი იქმნება სარეკლამო საქმის სხვა მხარის გაუმჯობესებაზე, ე.ი. გაუმჯობესდება სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარეც და სხვა მხარეც. ამ შტაბეჭდილებას ქმნის არა მარტო-

ს დასმა დამატების - „შინაარსობრივი მხარის“ წინ. მაგრამ მეორე ნაწილში („...არამედ ავამადლოთ რეკლამის მხატვრული დონე“) უკვე ირკვევა, რომ აქ მაჯგუფებელი კავშირის ნაწილი არამედ უკავშირდება „ავამადლოთ“ ხმნას, რომელიც უნდა დაჯგუფდეს პირველ შემასმენელთან, ამისთვის კი საჭიროა პირველი შემასმენელიც მოსდევდეს კავშირს. ე.ი. უნდა იყოს ასე:

მხატვარი საშუალებას იძლევა არა მარტო გააუმჯობესოს სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარე, არამედ ავამადლოთ რეკლამის მხატვრული დონეც.

ან სხვაგვარად: მხატვარი არა მარტო სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესების, არამედ რეკლამის მხატვრული დონის ამაღლების საშუალებასაც იძლევა.

„ეს მკვეთრად გააუმჯობესებდა არა მარტო ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დამაბულობის შენელებასაც“ („კომ“).

დასაჯგუფებელია ერთგვარი შემასმენლები: გააუმჯობესებდა და ხელს შეუწყობდა. კავშირებიც მათ წინ უნდა დაისყას. წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: ეს არა მარტო მკვეთრად გააუმჯობესებდა ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დამაბულობის შენელებასაც.

„ეს მეთოდი განაპირობებს არა მარტო ეურძნის მოსაგაღს, არამედ საშუალებას გვაძლევს დაეამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო“ („კომ“).

გადმოსაცემია შინაარსი, რომ ეს მეთოდი კიდევაც განაპირობებს რაღაცას და კიდევაც გვაძლევს რაღაცას. ეს აზრი რომ ნათლად იყოს ნათქვამი, საჭიროა შემასმენელთა სათანადო დაჯგუფება, რაც მაჯგუფებელ კავშირებს აკისრია, მაგრამ კავშირისა და შემასმენლის გარკვეული მიმართების ასახვა ხერხდება წინადადებაში სიტყვათა სათანადო განლაგებით - ერთგვარი შემასმენლები უნდა მოსდევდეს კავშირს. აქ კი კავშირის პირველ ნაწილს (არა მარტო) მოსდევს არა შემასმენელი, არამედ დამატება (არა მარტო ეურძნის მოსაგაღს). ბუნებრივია, მასზეა მახვილი და წინადადების პირველი ნაწილი ქმნის შტაბპკდილებას, რომ მეთოდი განაპირობებს, გარდა ეურძნის მოსაგაღსა, კიდევ რაღაც სხვასაც. აზრი რომ ნათლად გადმოეცათ, წინადადება ასე უნდა აგებულოყ:

ეს მეთოდი არა მარტო განაპირობებს ეურძნის მოსაგაღს, არამედ აგრეთვე საშუალებას გვაძლევს დაეამზადოთ მაღალხარისხიანი ღვინო.

ასევე მჭიდრო ურთიერთობაშია დაპირისპირებულ წევრებთან მაპირისპირებელი წყვილი კავშირები, მაგალითად:

„[გალაკტიონი] შემდეგში აქვეყნებს არა დეკლარაციებს ახალი ცხოვრებისადმი თანაგრძნობის შესახებ, არამედ ორგანულად იბრძვის სინამდვილის კონკრეტული, უშუალო და მხატვრული ასახვისათვის“ („ლიტ. საქ“).

წყვილი მაპირისპირებული კავშირის (არა – არამედ) პირველი ნაწილი (არა) წინ უძღვის დამატებას (დეკლარაციებს), ამიტომ მეორე ნაწილშიც საპირისპირო დამატებას მოველით, მაგალითად ასე: აქვეყნებს არა დეკლარაციებს, არამედ ლექსებს; მაგრამ მეორე ნაწილში გვეუბნებიან, რომ გალაკტიონი იბრძვის სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის. ე.ი. შესაპირისპირებელი წევრები შემასმენლებია (აქვეყნებს – იბრძვის) და კავშირის პირველ ნაწილს სწორედ შემასმენელი უნდა მოსდევდეს. ამ შემთხვევაში არა ნაწილაკის გამოყენებას აჯობებდა კი არ ეხმარათ. მაშინ მთელი წინადადება ასთ ხახეს მიიღებდა:

[გალაკტიონი] შემდეგში დეკლარაციებს კი არ აქვეყნებს, არამედ იბრძვის სინამდვილის კონკრეტული, უშუალო და მხატვრული ასახვისათვის.

* * *

ყოველივე „სემოთქმელის გათვალისწინებით კომისია აღგენს:

წყვილი კავშირების (არა მარტო – არამედ, არა მხოლოდ – არამედ...) ხმარებისას გატარდეს შემდეგი წესი: შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წევრები წყვილი კავშირის შესაბამისი ნაწილების შემდეგ უნდა იხმარებოდეს, მაგალითად, ასე: „ეს არა მარტო გააუმჯობესებდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებას“.

დაუშვებელია დასაჯგუფებელ წევრთა დასმა დაჯგუფებელი თუ მაპირისპირებელი წყვილი კავშირების წინ, რადგანაც ასეთი უმართებულო სიტყვათგანლაგება აზრს აბუნდოვანებს.

არაერთგვარ მსაზღვრელთა რიბი შესიტყვიებაში
(დაწინებულებათა და ორგანიზაციათა
სახელწოდებებში)

ქართულში ხშირად იხმარება მსაზღვრელ-საზღვრულის შემკველი ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია. ის შეიძლება აღნიშნავდეს მასალას ან ნივთიერებას (ვერცხლის კოვზი, თიხის ჯამი, ხის კიბე, ქვის სახლი, წითის კაბა, მატყლის წინდა, თაფლის სანთელი...), დანიშნულებას (ღვინის კასრი, წაის ჭიქა, მურაბის ქილა, პაპიროსის ქაღალდი...), წარმომავლობას (სღვის კენჭი, მდინარის წყალი, ტბის თევზი, ღორის ხორცი, ძროხის რძე, ხარის ტყავი...), კუთვნილებას (ამხანაგის წიგნი, უნივერსიტეტის შენობა, მეზობლის ეზო, მტრის ჯარი...) და სხვ.

კუთვნილების აღმნიშვნელი ჯგუფის შესიტყვების სხვა — შეთანხმებული მსაზღვრელი რომ დაემატოს, ის ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის შემდეგ დაიჭერს ადგილს (ამხანაგის ორი წიგნი, უნივერსიტეტის ახალი შენობა, მეზობლის ამწვანებულო ეზო, მტრის დიდი ჯარი... შდრ. მასალის ან ნივთიერების აღმნიშვნელ შესიტყვებებში შეთანხმებული მსაზღვრელი, რომელიც პირველ ადგილზეა: ორი ვერცხლის კოვზი, ახალი ქვის სახლი, მადალი ხის კიბე...).

ამ ჯგუფს განეკუთვნება დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებების შემკველი შესიტყვებები. მაგ.: თბილისის უნივერსიტეტი, თელავის ინსტიტუტი, საქართველოს აკადემია...

შემდეგ დამატებული შეთანხმებული მსაზღვრელი აქაც შუაში წაისმის: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, ქუთაისის საავტომაქო, თბილისის 55-ე სკოლა...

მაგრამ ხშირად ასეთი შესიტყვება კიდევ უფრო გართულებულია – მას ემატება ახალი მსახლერელები, ჩვეულებრივ, ვისიმე სახელობის ან ჯილდოს აღმნიშვნელი. ეს ახლად დამატებული მსახლერელიც ნათესაობითში მდგომი გეოგრაფიული სახელის შემდეგ დაისძის. გვექნება:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აფხაზეთის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოსარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრი

თბილისის ი. გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე

თუ სახელწოდებაში ჯილდოს აღმნიშვნელი მსახლერელიც შედის და ვისიმე სახელობის აღმნიშვნელიც, ჯილდოს აღმნიშვნელ მსახლერელს უსწრებს სახელობის აღმნიშვნელი მსახლერელი. გვექნება:

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ლენინისა და შრომის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

‘ხოგჯერ თავს იყრის რამდენიმე ისეთი მსახლერელი, რომლთა ბიც სხვადასხვა ნიშნის (რიგის, დანიშნულების, თვისების, კუთვნილების...) მიხედვით ახასიათებენ სახლერელს (მაგ.: აკადემიური, დრამატული, სახელმწიფო, პირველი, საშუალო, სამხედრო, ტექნიკური, ქართული...)

ამგვარი მსახლერელები, ჩვეულებრივ, ასეთი წესით ლაგდება: პირველად რიგის აღმნიშვნელი მსახლერელია, მას მოსდევს კუთვნილება-დანიშნულების, შემდეგ კი – თვისების აღმნიშვნელი მსახლერელები. მაგალითად:

თბილისის კაპიტან ბუხაიძის სახელობის №63 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

თბილისის პირველი სამონტაჟო სპეციალიზებული სამმართველო.

თეთრახევის მსხვილფეხა საქონლის მექანიზებული ფერმა.

მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს წესი სოფჯერ ირღვევა. მაგალითად, ხმარობენ ასე:

თბილისის უმაღლესი საარტილერიო მეთაურთა წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი 26 კომისრის სახელობის სასწავლებელი.

წითელწიქაროს რაიონის სამთაწიქაროს სპეციალიზებული მეფენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

საჭიროა ყველა მსგავს შემთხვევაში დაცულ იქნეს ერთიანი პრინციპი. გვექნება:

თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი საარტილერიო მეთაურთა უმაღლესი სასწავლებელი.

წითელწიქაროს რაიონის სამთაწიქაროს მეფენახეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა.

რთულია ისეთი სახელწოდება(ვ, რომელიც საუწყებო დაქვემდებარების აღნიშვნასაც შეიცავს. ასეთ შემთხვევაში მეთაური ორგანიზაციის აღმნიშვნელი მსახურელი ყველაზე წინ უნდა დაისვას:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიო-თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის 75-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

ზემოთქმულის მიხედვით, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებების ერთგვარობისათვის გატარდეს შემდეგი წესები:

1. რამდენიმე არაერთგვარი მსახურელის შემცველ დაწესებულება-ორგანიზაციათა სახელწოდებებში პირველ ადგილზე იქნება მართული (ნათესაობითში დასმული) გეოგრაფიული სახელი, შემდეგ - რიგის, თვისების ან დანიშნულების გამომხატველი მსახურელები. თუ სახელწოდებაში ერთდროულად რამდენიმე ამგვარი მსახურელია, ჯერ დაიწეროს რიგის აღმნიშვნელი, შემდეგ -

დანიშნულებისა, ბოლოს კი - თვისების აღმნიშვნელი მსახ-
ღურელი (თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი,
თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრი).

2. ჯილდოს, აგრეთვე გამოსენილი პირის (ან მოვლენის) სახე-
ლობის აღმნიშვნელი მსახღურელი დაისევას უშუალოდ გეოგრაფიუ-
ლი სახელის შემდეგ. ამასთან, ისე, რომ ჯილდოს აღმნიშვნელი
მოსდევდეს სახელობის აღმნიშვნელს (თბილისის კოტე მარჯანიშ-
ვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელ-
მწიფო აკადემიური თეატრი).

3. საუწყებო დაქვემდებარების აღმნიშვნელ სახელწოდებაში
პირველ ადგილზე დაისევას მეთაური ორგანიზაციის აღმნიშვნელი
მსახღურელი (საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინის-
ტროს საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური).

ბიბლიოგრაფია
ლია ლეჟავას მემცნიერული შრომებისა:

ა) სტატიები:

1. მევენახეობის ტერმინები ჭიათურის რაიონში: *თსუ სტუდენტთა შრომების კრებული*, III, 1948.
2. ხალხური ზეპირსიტყვიერების სოციურთი ჟანრის ენის შესწავლისათვის: *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, VIII, 1956, გვ. 151-160.
3. სახელი ანტონ პირველის გრამატიკაში: *სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*, 1, 1956, გვ. 434-441.
4. ქართული ანდაზების გამოცემის საკითხები: *ქ. მნათობი*, №7, 1956.
5. ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით: *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, IX-X, 1958, გვ. 173-191.
6. ქართული ანდაზების ენა: *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, 1, 1959, გვ. 139-267.
7. დადესტნის ხალხთა ანდაზების კრებული: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, 1.

8. შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე: *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XIV, 1964, გვ. 197–220.
9. ქართული ანდაზები: *ხალხური სიბრძნე*, V, 1965: ლექსიკონი – გვ. 516–536; წინასიტყვაობა – გვ. 5–15; ანდაზების ტექსტი – გვ. 21–237.
10. დავით კლდიაშვილის სტილის შესწავლისათვის: *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XVII, 1970, გვ. 24–34.
11. მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაუროგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, I, 1972, გვ. 58–98.
12. -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, II, 1979, გვ. 175–202.
13. ნაშრომი ზემოიმერული კილოკავის შესახებ: ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973 (რეცენზია): *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXI, 1979, გვ. 247–256.
14. სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში სიტყვათგანლაგებისას (თანამედროვე) ქართული პრესის ენაში: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, III, 1980, გვ. 295–336.
15. მ. სუხიშვილი, "სტატიკური ზმნები ქართულში" (რეცენზია): *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული*, VII, 1980, გვ. 283–293 (რუს. ენაზე, რეზიუმე – ქართ., ინგლ. ენებზე).
16. მეტყველების კულტურის საკითხები დიმიტრი ყიფიანის "ახალ ქართულ გრამმატიკაში": *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, IV, 1981, გვ. 8–20.
17. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის შესახებ: *ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები*, V, 1981, გვ. 45–57.

18. როელ წინადადებაში ზმნისართ-კავშირთა მართებულად გამოსეჩენების საკითხები: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, V, 1983, გვ. 165–188.
19. ზმნისართ-კავშირთა გამოსეჩენებისათვის: ჟ. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*, № 3, 1983, გვ. 98–106.
20. ივანე გიგინეიშვილი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, VI, 1984, გვ. 7–36.
21. სიტყვა და კონტექსტი (მასალები ლექსიკონისათვის): *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, VII, 1985 (ავტორთა კოლექტივთან ერთად).
22. ივანე გიგინეიშვილი (მონოგრაფია), 1986, 102 გვ.
23. დიმიტრი ყიფიანის "ახალი ქართული გრამმატიკა", *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXV, 1986, გვ. 60–90.
24. ერთი ტიპის ფუნქციური დიფერენციაციისათვის ("შინაარსობრივი" თუ "შინაარსობლივი", "დარგობრივი" თუ "დარგობლივი"): ჟ. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*, №№1–4, 1987, გვ. 192-201.
25. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან ("ქართული კულტურის მოვეარულთა საზოგადოება"): *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, VIII, 1988, გვ. 6–26.
26. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (ნორმალისაციის პრინციპები "ივერიაში"): *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, IX, 1989, გვ. 88–137.
29. ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება (შ. აფრიდონიძესთან ერთად): *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, XXX, 1991, გვ. 66–73.
30. აკლია – უკლია ფორმთა დიფერენციაციისათვის: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, X, 1993, გვ. 104–117.

31. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (ნორმალისაციის პრინციპები გა"ს."კვალ"ში): *ქართული ლიტერატურის საკითხები*, XI, 1998, გვ. 6–42.

ხელნაწერები სტატიები:

1. დროის კატეგორია სასკოლო-პრაქტიკულ გრამატიკებში, 1947
2. ცოცხალი სასაუბრო ენა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში:
3. ქართული ხალხური ანდასები მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრულ ნაწარმოებებში:
4. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიები), 2001, 48 გვ.

თეზისები:

1. მუყენახეობის ტერმინები ჭიათურის რაიონში: *თსუ სტუდენტთა IX სამეცნიერო კონფერენცია* 1947, გვ. 4–5.
2. ხალხური სუპერსტიციუზების სოციოლოგიური უნარის ენის შესწავლისათვის: *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მეშაქთა მე-3 სამეცნიერო კონფერენცია*, 1952, გვ. 25–26.
3. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლისათვის, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-13 სამეცნიერო სესია*, 1956, გვ. 6-7.
4. მსახლერულთა რიგი არაერთგვარი პრეპოზიციური მსახლერულუბის შემცველ შესიტყვებაში თანამედროვე ქართულ სალიტერატუ-

- რო ენაში: *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 25-ე სამეცნიერო სესია*, 1969 წ. გვ. 13–14.
5. -ობრივ(ი)/-ობლივ(ი), -ებრივ(ი) /-ებლივ(ი), *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 43-ე სამეცნიერო სესია*, 1985, გვ. 25–26.
6. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან ("ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება"): *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 45-ე სამეცნიერო სესია*, 1987, გვ. 17–18.
7. აკაკი წერეთლის შეხედულებები ენის საკითხებზე: *ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია*: აკაკი წერეთელი – 150 (მასალა), 1991, გვ. 14–15.
8. ივ. ჯავახიშვილი და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის პრინციპები, *ენათმეცნიერების ინსტიტუტის 55-ე სამეცნიერო სესია*, 1996, გვ. 17–18.

ნორმათა პროექტები:

1. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში: *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები*, I (გამოც. I – 1970, გამოც. II – 1986), გვ. 139–147.
2. სადაურობის სახელთა წარმოება -ეთ და -ის სუფიქსების შემცველ გეოგრაფიულ სახელთაგან: *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები*, ბიულეტენი №№ 1-2, 1985, გვ. 27–29.
3. არაერთგვარ მსაზღვრელთა რიგი შესიტყვებაში (დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებებში): *თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები*, ბიულეტენი №№ 1-2, 1985, გვ. 38–41.

4. კავშირთა ხმარების საკითხები: 1. არა მარტო – არამედ... -ც. არა მხოლოდ – არამედ... -ც: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი № 3, 1987, გვ. 50–54.

ნორმათა პროექტები (ხელნაწერი):

1. კითხვით და სხვა დამხმარე სიტყვათა და ნაწილაკთა გამოყენებისათვის რთულ დაქვემდებარებულ და მარტივ წინადადებაში.
2. შედგენილი შემასმენელი მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან.

შინაარსი

| | |
|---|-----|
| რედაქტორის წინასიტყვაობა ----- | 3 |
| მეტყველების კულტურის საკითხები დიმიტრი ყიფიანის „ახალ ქართულ გრამატიკაში“ ----- | 6 |
| ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (ნორმალისაციის პრინციპები „ივერიაში“) ----- | 19 |
| ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (ნორმალისაციის პრინციპები გაზ. „კვალში“) ----- | 70 |
| ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან („ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“) ----- | 104 |
| ივანე გიგიმეიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები ----- | 126 |
| თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის ისტორიიდან (სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიები) ----- | 155 |
| დანართი მსახდვრელი სახელის შეთანხმება სახდვრულთან მრავლობით რიცხვში ----- | 216 |
| სადაურობის სახელთა წარმოება -ეთ და -ის სუფიქსების შემცველ გეოგრაფიულ სახელთაგან --- | 232 |

| | |
|---|-----|
| კავშირთა ხმარების საკითხები ----- | 235 |
| არაერთგვარ მსაზღვრელთა რიგი შესიტყვებაში (დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებებში) ----- | 240 |
| ბიბლიოგრაფია ღია ლექავას მეცნიერული შრომებისა ----- | 244 |